644
1969/4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

3

1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

142

გამოცემის მეცამეტე წელი

3

მარტი

1969

თბილისი

11281

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ლენინიანა

3. მინდია არაბული. კავკასიონზე იდგა ლენინი. ლექსი

პროზა

5. კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ჩემი პირველი კომკავშირელი. ავტობიოგრაფიული მოთხრობა
27. გურამ დოჩანაშვილი. ნაბიჯი. მოთხრობა
49. სერგი ჭილაია. შვილები. ქრონიკა. დასაწყისი
73. დიმიტრი მირიანაშვილი. უიღბლო კაცი. მოთხრობა

პოეზია

23. ავთანდილ ხარაიშვილი. ლექსები
24. ციანა მულუა. ლექსები
24. ლიდა სტვილია. ლექსები
25. მზია ჩხეტიანი. ლექსები
26. მარი აბრამიშვილი. მაშინ. ლექსი
45. გიორ გეგეჭკორი. ლექსები

ჰაშნიკი

83. მაკა ჯოხაძე. გურამ-გურამ. მოთხრობა
85. გოჩა არჩაძე. ზამთარი. მოთხრობა
99. მეია სიმონიშვილი. თეთრი ცა. მოთხრობა
102. ბადრი ჭოჭოხელიძე. დამალულბანა. მოთხრობა

პოეზიის მერიდიანები

104. ინგლისელი პოეტები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

ჩვენი კალენდარი

109. ი. კრილოვი. მგელი და კრავი. თარგმანი ა. წერეთლისა

უცხოური ნოველა

110. ერვინ შტრიტმატერი. შულცენჰოფის კალენდარი
თარგმნა ოთარ ხუციშვილმა

ნარკვევი

115. ვახტანგ გორგანელი. იქ, სადაც ოქროს ციხე დგას
120. ვლადიმერ გოგოლაშვილი. სოფელში ცხოვრობს ახალგაზრდა

წერილები

125. ვიხელი ჯიბუტელაშვილი. საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა
130. ვლადიმერ ჯიბუტი. მუზრან მაჰავარიანის პოეზია
136. გიორგი ფეთეკაური. დედის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში
141. ანრი გრეგუარი. ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი

ახალგაზრდა მეცნიერები „ცისკარში"

146. მაღლენა მირიანაშვილი. ორი იუბილე

ხელოვნება

152. რევაზ მიშველაძე. სიცილის სალონში...

წიგნების სამყაროში

155. დალი ოკაკია-ფანჯიკიძე. ლეონჰარდ ფრანკი ქართულად

158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აპაკი ბაძრაძე,
გიორ გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზაშვილი,
ალრლო ალბაძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ოტია პაპაკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ნოდარ ჭულუხანარი,
ტარიელ ბაბუაშვილი,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაია,
ლაშა ჯანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდია არაბული

კავკასიონზე იდგა ლენინი

ჭრიალი ისმის ჭერხოს კარისა,
გაიხრჭიალეს ჯავრით კბილებმა...
ვაჟო, სოფელმა რად დაგარისხა,
ჩუ, თორემ დედის გულს ეტკინება.
რად ებრძვი ტკივილს მუდამ უხილავს,
ხმლის ტარზე რატომ გიდევს მარჯვენა?
ლაჩარს სჩვევია მუდამ წუხილი,
ვაჟკაცს კი — ბრძოლა და გამარჯვება!
ახლა რად გიკვირს, გულჯავრიანად
მკერდი რამდენჯერ დაგიმჯიღია,
სულ გაუხსნელი გქონდა იარა
და დარდიც — მუდამ ერთი იღლია.
ხალხმა კაცობა თუ შეგირისხა,
რა ვუყოთ, მოდის ძველი დროიდან,
უკვე შემოსწვდა ხევებს გმირის ხმა,
შენი კაცობის ჯერიც მოვიდა.
ლოცვა იყო თუ მოლაშქრე გმირის
დამწყალობნება სალოცავიდან...
დედამ ჩაუდო საგზალი კვირის
და ვაჟი თერგის მხარეს წავიდა.

არხვატო, მალე ნისლებს აიყრი,
მზე ჩააშუქებს ბღოს და ატაბეს.
კვალი გატყვია ბევრი კაი ყმის,
ბევრიც გრიგალს და ქარს გაატანე.
ბევრჯერ უცდია შენი დალეწვა
მრავალ ხმლიანს და მრავალ თოფიანს,
მაგრამ მოსჭრია მკლავი გარეწარს
და შენს ციხეთა ქვებს შეეხმობია.
არ გატეხილხარ აწიოკებით,
ხმალიც გიჭრიდა, ხანჯლის ნამტვრევიც,
დღეს კი მოგწვდება ხელი მოკეთის
და დავიდგება დრო სანატრელი.
ნათდება! — დღეს აქ ყველა თავს იხრის,

ხმა ყიჟინისა, მტრის ხმა როდია;
კარი გახსენი ყველა ქაჯ-ციხის,
ბოლშევიკები ჩვენთან მოდიან!
შენს თავზეც უნდა გადაიდაროს
უნდა მოეღოს ბოლო შავ დროჟამს! —
შესჩურჩულებდა ვაჟი მიდამოს
და მოკრძალებით ჰკოცნიდა დროშას.

თან მოჰყვებოდა შუქი რამდენი
დროშას, მწვერვალზე მაღლა ატანილს,
შვებით სუნთქავდნენ ოფლიანადენი
ხიმიკაურის აბჯრის ვადანი.
ყველა სამზირი დაცარიელდა,
დუშმანთან მუდამ შეურიგალი.
როცა ლენინის სახემ იელვა,
ყველა ქარაფში ჩადგა გრიგალი!
და გულს სიკვეთე რომ დააჯერეს,
არ დარჩენია ჯავრი იოტიც.
ცივ ყორეებზე მიმხმარ მარჯვენებს
რაღაცა უფრო მეტად სტკიოდა.
შემოდიოდა მთებში დრო შვების
და ყველა ხევ-ხუვს ნათლით მოსავდა,
ხალს გამოჰქონდა ხატის დროშები
და მუხლს იყრიდა სხვა სალოცავთან.
მთაგრეხილებმა ფერი იცვალეს,
მზე კაშკაშებდა სხივებთაკარა,
ყველგან ლენინის მზეს იფიცავდნენ,
დიდი ცხოვრების გზა რომ გაკვალა.

ზარები რეკდნენ ყველა ხატიდან,
ტანს ჟრუანტელი ჰქონდა გამჯდარი.
ზოგი გულსა და მუხლს ინატრიდა,
ზოგს შერჩენოდა ხელში აბჯარი.
ბევრი ყმა გაჰყვა ძმათა ნაკვალევს,
შეიფიცვერცხლა ბოლშევიკებთან,
და ფეხი სადაც კი დააკარეს,
გზას ოქომბერი ყველგან იკვლევდა.
მთებმა ერთმანეთს გული გაუსხნეს,
რომ გადურბინა ლაღად ზეფირმა!
ვაჟები თოფებს ცლიდნენ ჭაუსზე
და საარაგვოს შუქი ეფინა!
რეკდნენ ზარები კვლავ ხმაგუგუნა,
ხევებს ზარავდა ციხეთა ყრუ ხმა.
მთა მიატოვა შავმა უკუნმა,
მთას გულზე სხივი ეყარა უხვად.
საარწივოდან ამოფრენილი,
თვითონ ტოლი და სწორი მნათობთა,
კავკასიონზე იდგა ლენინი
და ცივ მწვერვალებს გადაჰნათოდა!

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკი ჯიჯგელი პოკვაკუილელი

ვიდრე მოთხრობას დავიწყებდე: გამომცემლობას მოთხრომეული რომ ჩავაბარე, ჩემმა რედაქტორმა მოთხოვა, ორიოდე სიტყვა ამ წიგნების დამწერზედაც მეთქვა.

მეც დავეთანხმე, თუმცა ორიოდე სიტყვას ცოტა კი გადავაჭარბე.

არც ერთი დარგის ხელოვანი ისე არა ჰგავს თავისსავე ქმნილებას, როგორც მწერალი.

ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სიტყვის ძალა განუზომელია, დაულეველი. სიტყვას იმდენი ფერი და ელფერი აქვს, რამდენიც მაგალითად, არ გააჩნია მხატვრის პალიტრას, ან მუსიკალურ ბგერას.

ყოველი მართალი მწერალი უმეტესად თავისი თავისა და თავისი თაობის ბიოგრაფიას მოგვითხრობს. ყველაზე ღრმად და სრულად სწორედ აქ ამოიკითხება მწერლის სულიერი ცხოვრების ამბავი.

ამიტომ უნდა გამოვტყდე, ცოტა გამიჭირდა ამ პატარა ავტობიოგრაფიული ესკიზის დაწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ახლა სამოცდაოთხი წლის კაცი ვარ. ამ ხნის მანძილზე, რა თქმა უნდა, ალბათ ბევრ დამიწერია ავტობიოგრაფია. დამიწერია ათასი რამის გამო.

ხან სამსახურში მიმიღებდნენ, ან სადმე აბრიგადაში ჩავდებდნენ. ხან კიდევ ჯარში დამიძახებდნენ ან უცხო ქვეყანაში გავემგზავრებოდი...

ახლა კაცი ცოცხალია, იმას ანკეტას და ბიოგრაფიას რა გამოუღია!

და შეც ჩამოვთვლიდი ჩემი ცხოვრების ათოოდე საგულისხმო თარიღს: რომ დავიბადე 1905 წელს, 7 იანვარს, სოფელ დიდი ჯიხაიშში, პაპაჩიკის დავით ვაშაკიძის ოჯახში;

რომ ვსწავლობდი ქუთაისში, კლასიკურ გიმნაზიაში, რომ 1923 წელს, მიჩიან ბუაჩიძემ, დავით რონდელმა, ვეფორგი მდივანმა და ამ სტრიქონების ავტორმა დავაარსეთ ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა კავშირი;

რომ ჩემი პირველი ლექსი „ბორის ბელაძე“ დაიბეჭდა 1924 წ. საქართველოს კომკავშირის გაზეთ „სპარტაკში“- იმავე წელს ალმანახ „დარიალში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი მოთხრობა „სანაპიროზე“, და სხვა და სხვა...

ჩამოვწერდი ამას და საჭირო საბუთიც მზად იყო. მერე ამ ჩემს ნაწერს თვალს გადავლებდნენ და საქმისმწარმოებელი დავთარში ჩააკერებდა. ასე რომ, აბაში ხელი გაწაფული მქონდა.

მაშ ახლა რამ დამაბრკოლა!

ამჯერად ჩემი ცხოვრების ამბავს საანკეტალარიო არქივის მტვერი კი არ უნდა დაჰყოროდა, — ეს სტრიქონები შრომელი ცოცხალი ადამიანის გულთან უნდა მიმეტანა... ახლა იმ თარიღებს ისე ძუნწად და მშრალად ვეღარ ჩამოვთვლიდი.

ამგვარ ნაწარმოებს ფასი მხოლოდ მაშინ დაიღებს, თუ ის რაიმე ახალი ეტყვის მკითხველს, მისცემს ისეთ გასაღებს, რომ მწერლის პერსონაჟების სულიერი სამყარო უფრო ახლობელი და გასაგები გახდეს მისთვის. თუ ეს არ მოხდა, თუ მწერალსა და მკითხველს შორის ეს უკანასკნელი საზღვარიც არ მოიშალა, მაშინ ამაოდ გარჯილა კალამი შენი.

ამიტომ გამიძნელდა ეს პატარა წინასიტყვა.

მე მთელი ჩემი წუთისოფელი სანგარში ჩამჯდარ ჯარისკაცივით ვიყავი. დრო არ მქონდა, უკან მომეხედა. ამას კი, როგორც სჩანს, ბევრ სიკეთესთან ერთად, ცუდი მხარეც ჰქონია: სანგრიდან შეიძლება ბევრი რამ ვერ დანახო, ან კარგად ვერ დაინახო და შეიცდე, მოტყუვდე;

ან ზოგჯერ შეიძლება მოგეჩვენოს, რომ შევცდი, მოვტყუვდიო...

ყველაფერი ეს რომ ვაარკვიო და ყველას თავისი მიუზღო, ამას ხანი უნდა. ხანი და აფთიაქის სასწორი.

და კიდევ: სანგრიდან ამოსვლა.

ამიტომ მკითხველი ნუ დამემდურება, რომ ამ დიდ საუბარს ასე ერთბაშად თავი ვერ მოვაბა. ერთი მიძალებით კაცი საკუთარ „შეს“ ყველა მხრიდან ვერ შემოუვლის, როგორც მწერალი თავისი რომანის ვგმირს შემოუვლის ხოლმე.

ამბობენ, მწერლად იბადებიანო.

ხანდახან მგონია, რომ ეს მართალია. ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ქვეყნის პირველი ხილვა, ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიაცილებენ მწერლის შთაგონებას და უხვად ასაზრდოებენ მას.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქოს იმ პირველ ხილვას დროთა ბრუნვაში არაფერი აკლდება და არაფერი ემატება. ადამიანის ცნობიერებას საზღვარს ვინ დაუდებს, მაგრამ ის პირველი ხილვა პირველი სიყვარულივით არის: მისი დავიწყება არ შეიძლება.

ძალიან უნდა დაგსაჯოს ღმერთმა, რომ ის დავიწყოს და გულიდან ამოგიგდოს.

სადაც არ უნდა წახვიდე, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, ის შორეული ლანდები მუდამ თავისკენ ვეძახიან. რომ ისევ აგაფორიაქონ, გამოგაფხიზ-

ლონ, კიდევ რაღაც მოგაწყურონ, კიდევ რაღაც მოგანატრონ და არ გაფიქრებინონ, მე უკვე გაღმა გავედიო.

ყველაზე დიდი და მოუკერძებელი მსაჯული — ხვალინდელი დღე — იტყვის, გაღმა ვინ გავიდა და ვინ არა. მანამდე კი კაცი მოთმენით უნდა იჯდეს იმ დიდი, ჩამოუთვლელი მდინარის პირას, რომელსაც დრო ეწოდება.

ჭაბუკობის დღეებს რომ გავიხსენებ, მაშინვე ორი კაცი დამიდგება თვალწინ: ჩემი პირველი კომკავშირელი ბიკოია ფურცხვანინე და ჩემი პირველი კოლმეურნე კობა ჩოხელი.

ამ ორმა კაცმა, მათთან გატარებულმა დღეებმა, საუბრებმა, მათმა უმწიკვლო ცხოვრებამ ჯერ კიდევ ოცდაა წლებში გარკვეული კალაპოტი მისცეს ჩემს საფიქრალსა და სათქმელს. და მეც მათი გახსენებით ვიწყებ ამ მოთხრობას.

1921 წელი. მარტი. თოვლწყაპი. ქუთაისიდან გარბიან მენშევიკები. მიაქვთ ყველფერი, რისი წაღებაც კი შეიძლება. ქუთაისის რკინიგზის საწყობებსა და ბაქნებზე დიდძალი ქონება დგაროვდა. შაქარი, ბრინჯი, ფქვილი, ტანსაცმელი, ათასნაირი ქსოვილის თოფები, სათმარი საჭურველი... რეალური სასწავლებლის სარდაფებში სახელმწიფო ბაზონა ინახებოდა: ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ნივთები.

პირველ ხანებში გვარდიელები არ ჩქარობდნენ, რომ ეს ქონება ქუთაისიდან გიეტანათ. გვარდიას იმედი ჰქონდა, რომ წითელი არმიის ნაწილებს სურამის უღელტეხილზე შეაჩერებდნენ, მაგრამ ხმა გავარდა, ბოლშევიკურმა რაზმებმა სოხუმის ფრონტი გაარღვიეს, უკვე დაიკავეს სადგური ქვალონი და შეიძლება ბათუმის ფზა გადასჭრანო.

მაშინ კი დაფაცურდნენ გვარდიელები. მთელი ქუთაისის მაშინდელ ტრანსპორტს, — ეტლებს, ურმებს, დროგებს — ყველაფერს ხელი წამოუსვეს და ქონების ევაკუაციას შეუდგნენ.

ჩემი ურემიც ამ დავიდარაბაში მოხვდა.

იმნანად მე და ჩემი უმცროსი ძმა ვალიკო გოგოურაზე ერმილე წკეპლაძის აგურხანაში ვმუშაობდით, შუადღემდე სკოლაში დავდიოდით, თუმცა იმ არეულ-დარეულ წელიწადს სწავლისათვის მაინც და მაინც თავს არავინ იკლავდა: არც ჩვენ და არც ჩვენი მასწავლებლები. ხშირად მთელი კვირაობით ჩვენი კლასი დაკეტილი იყო.

ხან დილიდანვე, ხან კი ნაშუადღევიდან გვიან საღამომდე რიონიდან ურმით წყალს ვეზიდებოდით, ან აგური მიგვქონდა ებრაელების უბანში.

თუ ურემზე სამუშაო არ იყო, მეზობელ აგურხანაში დაგვიძახებდნენ ღუმელიდან გამომწვარი აგურის ამოსატანად. ათასი ცალი აგურის ამოტანაში ნახევარ მილიონ მანეთს გვაძლევდნენ. ნახევარი მილიონი მანეთი კი იმ დროს ცოტა ფული რიდი იყო! ერთი გირვანქა ზეთში გამომცხვარი ჭადის ყიდვა შეიძლებოდა, რასაკვირველია, თუ ამ ჭადს საყიდლად სადმე წაიწყდებოდი.

რიონის პირზე გაზრდილ ბიჭებს ღონე და სიმარდე არ გვაკლდა, თავმოძულებული ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. აგურს გაცივებას არ ვაცლიდით, ნახევრად ჩაქცეული ვეება ღუმელს წვესეოდით და იყო ერთი ორომტრიალი. არ იყო კურტანი, არ იყო ჭილობის ხელთათმანები. ამიტომ ხელისგულები და მუცელი ჭიპის გარშემო მუდამ დათუთქული და დალურჯებული გვქონდა. მთელი მაშინდელი სწორმოო ტექნიკა — ჩვენი შიშველი ხელები იყო. მივწყობდით მუცელზე ჯერ კიდევ ცხელ აგურებს და სირბილ-სირბილით მაღლა ამოვიტანდით.

ბოლო დროს ერმილე წკეპლაძე ბო-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომკავშირელი

ნების მაგივრად მზესუმზირას კოპტონს გვაძლევდა. ამიტომ ბიჭები წელებზე ფეხს იდგამდნენ, ცხელ ღუმელში კი არა, მდუღარე კუპრით სავსე ტბაში გადაცვივდებოდნენ, ოღონდაც ერთი ოყა კოპტონი დამშეულ ოჯახში მიეტანათ. ჩვენ მაშინ ხუთმეტ-თექვსმეტი წლისანი ვიყავით. ამ ასაკს კი, ხომ იცით, არამცთუ შიმშილი და გაჭირვება, ქაჯი ვერ მოერევა!

ის ღღე კარგად მახსოვს. დატვირთული ურემი, როგორც იყო, ციცაბო დალმართზე ჩავიყვანე და წითელ ხიდს მივადექი, რომ უეცრად კვერცხის გულივით ყვითელ ბუშლატში ჩაქედილი გვარდიელი წინ გადამიდგა და მითხრა, ურემი დაცალეო. პასუხს აღარ მოუცადა. მივიდა, ხარები გამოხსნა, ურემი ააყიარავა, და როცა აგური ბათე-ბუთქით ქვაფენილზე ჩამოიცალა, ხარები ისევ შეაბა და გამომიცხადა, თქვენი ურემი მობილიზებულია, გამომყევითო. ქუთაისში დიდმა და პატარამ იცოდა, ამ სიტყვას რომ დაგახლიდნენ, მერე იქ დავა და კამათი აღარ შეიძლებოდა და ჩვენც ხმაამოუღებლად მოვაბრუნეთ ურემი.

რკინიგზის ხიდი რიონზე დაზიანებული იყო. ამიტომ ტვირთი ქუთაისის სადგურიდან სამტრედიაში უნდა ჩავვეტანა, სადაც ბათუმში წასასვლელად გამზადებული ეშელონები იდგნენ.

სადგურზე ერთი გაწამაწია იყო. თბილისიდან გამოქცეული მეწვევეები, მათი ოჯახები დაფეთებული დაეძებდნენ ეტლებს, ორთვალებს—ხონის ბარეიდან დილიენები მოჰყავდათ, ბარი-ბარხანით აესებდნენ, თვითონაც შიგ ეტენებოდნენ და სამტრედიისაკენ მიიჩქაროდნენ.

ჩვენი ურემი ხელახელ დატვირთეს და რეალური სასწავლებლის ეზოში მოგვაცდევინეს. მალე აქ თავი მოიყარა ორმოცოდე დროგმა და ურემმა. ნაშუადღევს სამი ეხენოსანი გვარდიელის თანხლებით ჩვენი ქარავანი გზას გაუდგა.

მოდიოდა თოვლნარევი წვიმა, მარტის ცივი ქარი ძვლებში გვეტანდა. შილიფად ჩაცმული ბიჭებს. ურემს გარშემოშეშებული მივყვებოდი, რომ ზურგზე დაკოჭული სველი ხალათი არ შერხეულიყო. ის რომ შეერხეოდა, ტანში იმწამსვე საშინლად უსიამოვნო ცრუანტელი დამივლიდა.

მთელი ის კვირა საძაგელი ამინდი იდგა, ნამდვილი ქუთათური გაუთავებელი თოვლწყაპი, როდესაც წვიმა წვიმას არა ჰგავს, თოვლი—თოვლს, ტალახი — ტალახს; როდესაც უყურებ ქალაქის თავზე ჩამომხობილ ცას და არ გჯერა, თუ ოდესმე გამოიდარებს და ისევ მზე დახედავს ამ მობუზულ სახლებს, ჩამპალ-ჩაშავებულ ხეებს, დაძენძილ ნისლში მიკარგულ-მოკარგულ გორაკებს.

ამას ყველაფერს კაცი როგორმე გაუძლებდა, რომ გზაში ერთ-ერთ გამყოლს ტუტუცობა არ დაეწყო. ჩვენი გამყოლები ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. მაგრამ ეს ბიჭი, ეტყობოდა, ყველაზე ჭკვიანი იყო, თანაც ყველაზე ავი და მაკვარანცხი. ოცი-ოცდაორი წლისა იქნებოდა. გამხდარი, უფერო, თუმცა ისეთი ცრძელი ნიკაპი ჰქონდა, დღემდე მახსოვს მისი პირისახე. გვერდიდან რომ შეხედავდი, თავპირი ცხენის გამხმარ თავისაქალას უგავდა.

მასაც ყვითელი ბუშლატი ეცვა. ზემოდან ტულმკერდზე ჯვარედინად გარშემოერტყა პრიალა ვაზნებით სავსე ფალასკები. წინ, უნაგირის ბალიშზე, გერმანული შაშხანა ედო. ძალიან უნდოდა, ვაქაცებში გარეულიყო და მხედრული იერი ჰქონოდა, მაგრამ ერთი რამ უფუტეტდა შესახედაობას. თავზე ისეთი დაშმუშნული, გაუბედურებული ქუდი ეხურა, რომ კაცი ამ ახლად გამომცხვარი გვარდიელის ყარამანობას ვერასგზით ვერ დიჯერებდა.

ამხანაგები ხან ლადიმერას ეძახდნენ, ხან კი რატომღაც — ურიელაოსტას.

ის ერთხანს ჩუმად მიგვიძღვებოდა ალაფებულ გზაზე; მერე ეტყობა, შეს-

ცოდა თუ ნელა სარული მობეზრდა. ცხენს მთრახი გადაკრა, გაიშვნა და თვალისწამში წვიმაში მიიმალა.

არ გასულა ათიოდე წუთი, უკანვე დაბრუნდა, ქარავანს ჩაუქროლა, შეგვათვალიერა და ისევ გაჰქრა წვიმაში. ფარცხანაყინვის გადასახვევამდე ასე დააქნევდა ცხენს წინ და უკან.

ხიდზე რომ გავედით, რადაც პოხონდრიამ წამოუარა და აგვეხირდა, ურემები ნელა მოგაყვეთო.

ჩვენც ყასიდად ხარებს შევძახ-შემოვძახეთ, სახრეებიც დავატრიალეთ, მაგრამ ურიელაკოსტა ეშმაკობას მიგვახვდა და ერთი ამბავი დაგვათია, თქვენ აქ „ზაბასტოვკას“ ნუ მიწყობთ, თორემ სამტრედიაში ყველას ნოობახტში ჩაგყრითო. ცხენიდან გადმოიხარა და ქარავნის თავში მიმავალ ხარებს მათრახი დაუშინა.

მეურმე გაგიჟდა, ეს ბიძიკო, ურემია, ფაეტონი ხომ არ გგონიაო!

ურიელაკოსტამ იუკადრისა, სიტყვა როგორ შემომბრუნეო.

მეურმეს ცხენდაცხენ თავს დაადგა და პილწად უთხრა:

— გამეიხედე აქეთ, ბიძაჩემო! ეგერ რომ პატარა ტყეა, ხედავ ამას? წაგიყვან იმ ტყეში და მერე იქიდან გამოსულს კაცი ვერ გნახავს ვერასოდეს! გაიგე ახლა, რა გითხარი!

კიდევ კარგი, ბადრაგის უფროსი გვარდიელი უფრო გონებადამჯდარი ადამიანი გამოდგა. ერთი-ორჯერ ჩუმად დადაულაპარაკა იმ შეჩვენებულ ბიჭს, იმ დამტვრეულ გზაზე მეტი რა სიჩქარე შეიძლებაო. ის მაინც მთელი გზა იმუქრებოდა, ილანძღებოდა, მამულიშვილობას დვეწუნებდა და ყველას სამშობლოს მოღალატეს ეძახდა.

სამტრედიაში ნაშუადამევს ჩავედით. აქაც კარგახანს გვალოდინეს და აქეთ-იქით გვატრიალეს, სანამ იმ წკვარამსა და წვიმა-ძენძეზში საბარგო ვაგონებს იპოვნიდნენ.

საქონლის დადმოტვირთვა რომ დაიწყეს, უცბად გამოირკვა, რომ ქარავანს ერთი ურემი აკლდა. დაუძახეს ბადრაგის უფროსს და მასთან ერთად ურემები და დროგები ერთი ხუთჯერ მაინც გადათვალ-გადმოთვალეს. ჭრაქის შუქზე საბუთები გასინჯეს...

ერთი ურემი არ იყო და არა.

— ნუ ღელავ, ბიკენტი-ბატონო! ალბათ გზაში ჩამოგვრჩა და სიბნელეში ვერ შევამჩნიეთ! — დაიმედა ვიღაცამ ბადრაგის უფროსი.

— ვისი იყო ის ურემი?

— გვარი არ მახსოვს. ერთი კოჭლი ბიჭი იყო, მღლაკელი...

ამ დროს ერთმა გამყოლმა მოირბინა და სთქვა, ურიელაკოსტა დაიკარგაო.

— როგორ თუ დაიკარგა?!

— მთლად შემოვირბინე სადგური, მისი ლანდიც არ არის არსად!

ხელად შეკრიბეს მეურმეები. იანეთის ხიდზე რომ გადმოვედით, მერე აღარ დაგვინახავსო, განაცხადეს მეურმეებმა.

ბადრაგის უფროსმა თავში ხელი შემოიკრა: დამღუბა იმ არაწმინდა ბიჭმა, თვალსა და ხელს შუა ერთი ურემი მომტაცაო.

კიდევ გასინჯეს საბუთები, კიდევ გამოჰკითხეს მეურმეებს... დადგინეს, რომ დაკარგულ ურემზე ბრინჯისა და შაქრის ცალები ეწყო.

— ესეც შენი მამულიშვილი?! ამიტომ გვაჩქარებდა თურმე! — სთქვა ერთმა მეურმემ.

— ბედი უნდა ყველაფერს, თორემ იმ ღდინძაღლს რატომ ჩემი ურემი არ მოუვიდა თვალში! — მაშინვე შეეხმიანა მეორე.

— რავა კოკიტა-ჩემო, იკისრებდი თუ?

პასუხად კოკიტამ ერთი ისეთი ჩაიხითხითა და ჩაიკრუსუნა, რომ სიტყვები აღარ იყო საჭირო.

იმ ღამეს ილარიონ გენძეხაძის დუქანში სწორედ ამ ორმა მეურმემ არ დაგვაძინა. ჯერ ამოიყორეს მუცელი მოხარშული ცერცვი, მერე მიუსხდნენ ბუხარს და გათენებამდე სულ

ეკონომანი ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომკავშირელი

იმასა სთვლიდნენ და ანგარიშობდნენ, „ის მურდალი ბიჭი მასთან პირშეკრულ მეურმეს რადენს უწილადებსო“.

— თითო ტომარა შაქარი და ბრინჯი რომ მისცეს, ვითომ რა მოხდება?

— სთქვა კოკიტამ

— მაგდენს არ გაიმეტებს, თორემ იცოცხლე, ძალი არ დაჰყეფს იმ ჩითახო ბიჭის ბედს.

— არ გაიმეტებს და, ენას ძვალი არა აქვს, იცი ეს შენ?

—უჩივლებს ვითომ?

— აბა რას იზამს გამწარებული კაცი!

— ჰი-ჰი-ჰი!

— რა გაცინებს?

— ეს მთავრობა ქე გარბის და ვისთან უნდა უჩივლოს!

— აბა, დაღუპულა კაცი!

— რატომ, ძამია! ნახევარი ტომარა შაქარი და ნახევარი ტომარა ბრინჯი რომ დაუთმოს, ცოტა იქნება?

— ცოტა რავა იქნება! მერე რაფერ უხდება შაქარი და ბრინჯი ერთიმეორეს! ჰო-ჰო-ჰო!

— კაი, კაი, ნუ მომსპე კაცი.

— აბა!

გაჩუმდნენ. მეგონა, ახლა მაინც დაიძინებენ-მეთქი, მაგრამ მალე ისევ გამომფხიზლა კოკიტას ხმამ.

— გძინავს, ბეჟან?

— არაა ძილის დრო, თუ?

—გამიგონე, იცი რას ვფიქრობ? მართლა დაიღუპა ის მაღლაკელი ბიჭი!

— არ თქვა, თუ კაცი ხარ!

— კი, კი, ნამდვილად. გახსოვს ურიელაკოსტას თვალები? მეტი არაა ჩემი მტერი, იმ თვალების პატრონმა ნახევარი ტომარა შაქარი არ გაიმეტოს! ხატზე დაგიფიცებ, თუ გინდა!

— ცოტა რაღაცას ხომ მიაშავებს, შე კაი-კაცო! მეტი რაღა უნდა! მოხნა, დათესა, ოფლი დაღვარა თუ რა!

— კი მარა, რისი რომ გასწია, იმას არ ანგარიშობ?! დროზე რომ შეეტყოთ ეს ამბავი, იმ ჩითახოს პირველსავე ხეზე ჩამოჰკიდებდნენ.

— არა, მთლად ხელცარიელს, რა თქმა უნდა, არ გაუშვებს, ამისთანა უსინდისო რაფერ იქნება!

— კაი და კეთილი, თუ ასე დაბოლოვდა ეს საქმე!

ისევ გაჩუმდნენ, ისევ ვიცვალე მხარი და თვალები დავხუჭე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოისვენა იმ ჩემი ცოდვით სავსე კოკიტამ.

— აჰ! — წამოიძახა ერთბაშად, თითქოს ცივი წყალი დასხესო! — არა, არა, ბეჟან, ვერ არის კარგად მისი საქმე! არ უნდა შეკვროდა იმ არაწმინდა გვარდიელს!

— ნუ გადამრიე კაცი! გუშინწინ ერთი ნატეხი შაქარი რომ ეშოვნა, მთელი სოფელი შემოიარა ჩემმა სიდედრმა! გოგო გამიხდა ავად და ცხელი ჩაი ვერ დავალევინე... შაქარს ნუ ეხუმრები შენ! ასე ალა-ალად კი არ იშოვება!

— იცი, რა გითხრა? ახლა ვითომ ურიელაკოსტა ისეთი სულელია, რომ ამ ყურყუმ ღამეში ვიღაცა მეურმეს დაუჯდება და შაქრის გაყოფას დაუწყებს, ერთი კვინტი შენ, ორი კვინტი მეო?! აჰ, არ იფიქრო ეს შენ! ბრიგადეს შუბლში ტყვიას და მორჩა... ღამეს ენა არა აქვს და თვალები, ვინ რას გაიგებს!

— ვითომ იზამს მაგას? ასე გაწირავს ამ საწყალ ბიჭს?!

— აბა, მოწმეს ქვეყანაზე ვინ დატოვებს, მერე მუდამ-დღე შიში და კანკალი რომ ჰქონდეს!

— უყურე შენ! ეს კი არ მიფიქრია, კაცო! აბა გამოსულა იმ ბიჭის წირვა და ის არის!

— ვერ ატყობ?

არა და არ მოისვენეს, სანამ არ მოაკვლევინეს ურიელაკოსტას ის მაღლაკელი მეურმე. მერე კი ერთბაშად დამშვიდდნენ, თითოჯერ ბუხარში გაბუტრჭყეს და ძილად მიეყარნენ.

მეც მალე ჩამეძინა. ძილში ისევ მათი საუბარი ჩამყვა და სიზმარიც ვნახე, ვითომ ურიელაკოსტა და მაღლაკელი ბიჭი ნაქურდალის გაყოფაზე ვერ მორიგდნენ, ჯერ მაგრად შელაპარაკდნენ, ერთმანეთი გალანძღეს, მერე

უცბად ურიელაკოსტამ მაუზერზე ხელი გაიღლო და.. მაღლაკელ მეურმეს კი არ ესროლა, აგერ ეს ჩემი კოკიტა გაგვორა უსულოდ, ბუხრის წინ რომ გაშხლართულიყო და უდარდელად ფშვინავდა.

შიშისაგან გამომეღვიძა. კოკიტა თავზე დამდგომოდა და მეუბნებოდა, — ადექი, ბიჭო, მივდივართო.

გუშინ ბადრაგის უფროსი დამპირდა, ერთი გზობის მერე შინ გაგიშვებო, მომატყუა, არ გამიშვა. ქუთაისში რომ დავბრუნდით, გეგუთის ქუჩაზე გადამახვევინა და მითხრა, ერთი ოფიცრის ოჯახი ვარცხეზენი უნდა წაიყვანოო.

დავაწყვეთ ურემზე ფარდაგებსა და მაფრაშებში გახვეული საბნები, ლეიბები, მუთაქა-ბალიშები, ტანსაცმელი, მერე ზედ ორი პატარა ყოგო-ბიჭი და ორი ქალი მოთავსდა — ერთი ხნიერი, მეორე — უფრო ახალგაზრდა, ორივეს შავები ეცვა. ურემს ჩარდახი გადავაფარეთ და გზას გავუდექით.

ქალები ვიღაცა დათიკოს დასტიროდნენ, მთელი გზა ხმადაბლა მოსთქვამდნენ.

საღორიის ტყე უმზრახად გავიარეთ. მხოლოდ ერთხელ ჩარდახიდან ხნიერმა ქალმა გამოიხედა და ურმის გაჩერება გვთხოვა, ბავშვი გადააყენა.

მგლოვიარე ქალების ხათრით ვერც მე, ვერც ჩემი ძმა ურემზე ვეღარ ავსულიყავით, ხანდახან ჭალს თუ მოგვიდებდით ხელს, რომ დაწყვეტილ-დაქანცულ ფეხებს ცოტა შეღავათი მისცემოდა.

აჯამეთის ბორანთან ბევრი ლოდინი არ დაგვჭირვებია, თუმცა ჩვენზე წინ ათიოდე ურემი მაინც იდგა. ხნიერმა ქალმა მებორნეს დაუძახა და რაღაც ჩაულაპარაკა. მებორნემ მაშინვე თავი დაუქნია, მერე ეჭოში ხელი წამკრა და მითხრა, ურემს გამოუძეხიო. ამით მიეხვდი, ჩვენი მგზავრები მთლად უბარალო კაცის ჯალაბი არ უნდა ყოფილიყო.

საღამოხანს ვარცხეზენში ვიყავით. ადამეს ეკლესიასთან. ეკლესიის ეზოში ერთ-ერთ ოჯახში ბინა ავიღეთ. ბინა ორ ოთახად ყოფილიყო. ერთ ოთახში ბებერი ქალი ეგულებოდა, ბებერ ქალს ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭს ბებერ ბიჭის ცოლი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ცოლს ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭს ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭს ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭის ბებერ ბიჭი ეგულებოდა, ბებერ ბიჭის

ახლაღა დავინახე, დუქნის საჩეხში დანთებულ ცეცხლს სამი თუ ოთხი კაცი შემოსხდომოდა და რაღაცაზე გულიანად ხარხარებდნენ.

ერთი ბიჭი მაშინვე წამოდგა, თოფი იღლიაში მოიგდო და ჩვენთან მოვიდა.

შემომხედა, დამაკვირდა, მერე უცბად გამიღიმა და მითხრა:

— გამარჯობა, კოწო! ვერ მიცანი?!

თვალებს არ დავუჯერე: ურემთან ჩემი სკოლის ამხანაგი, ბიჭოია ფურცხვანიძე იდგა.

— ბიჭოია, ჩემო ბიჭოია! მე კი არა, დედაშენი ვერ გიცნობდა ამ ტანსაცმელში! — შევძახე უსაზღვროდ გახარებულმა.

მართლაც, თვალი ზედ დაგრჩებოდა, ისეთი კრიალა ყვითელი ტყავის პალტო ეცვა. სულ ჭრაჭა-ჭრაჭა გაჰქონდა სიარულის დროს.

სანამ ბიჭოია თვითონ არ მომვარდა და არ გადამკოცნა, მე ადგილიდან ფეხი ვერ დავძარი, ისეთი გოროზი და მიუკარებელი სჩანდა ამ ჭრაჭუნა პალტოში.

ეკითხე:

— აქ რას აკეთებ, ესენი ვინ არიან?

ჩვენ წითელი არმიის მებრძოლები ვართო, ამაყად გვითხრა ბიჭოიამ და საჩეხიდან გამოშლილ ამხანაგებს ჩემი თავი გააცნო.

თურმე ნუ იტყვით! სანამ ჩვენ ვარკვიანიდან მოვბრუნდებოდით, ქუთაისი უკვე რევკომის ხელში გადასულიყო და ეს ოთხი წითელარმიელი რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად ქალაქის ამ უბანში გამოგზავნათ.

ბიჭოია ფურცხვანიძე ორი წლით იყო ჩემზე უფროსი.

(ავადმყოფობის გამო ორჯერ ზედიზედ შესაბმელ ლესში დარჩა).

ისიც ვორაზე ცხოვრობდა. კარგი ამხანაგობა გვქონდა. გაკვეთილებს რომ მოვილევდით, მერე მამიდაჩემის ალუბლებს შევესეოდით, ან არადა, რიონზე საბანაოდ გავიპარებოდით. მამა არა ჰყავდა. დედა მრეცხავად მუშაობდა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. შარშანწინ ბიჭოიამ სწავლას თავი მიანება და ბზობის ყვავილით სადღაც გადაიკარგა. ამბობდნენ, ბიძამ სოხუმში წაიყვანა, ხე-ტყის სახერხ ჩარხზე ამუშავებსო.

უზომოდ გამიხარდა მისი დანახვა, მხოლოდ ცოტა შემრცხვა, რომ ახლა ბიჭოიას გვერდით ჩანჩურა ბიჭივით ვიჯდი. არ მომწონდა ჩემი თავი, სხვათა გამონაცვალში გახვეული, უზომოდ დაღლილი, დამფრთხალი, ერმილე წკეპლაძის მეურმე, ყველას თვალებში რომ მივჩერებოდი და ენაზე მხოლოდ „კი ბატონო“ და „ახლავე ბატონო“ მეკერა.

რა ვუყოთ მერე, რომ ბიჭოიაზე უკეთესად ვსწავლობდი, ლექსებსაც ვწერდი და ვიცოდი, რომ ქვეყანაზე არსებობდა ათასი ჯადო-წიგნი, ღამეს თეთრად რომ გაგათენებინებდა და ჩუმი სლუკუნით ყელის ძარღვებს დაგაწყვეტდა.

მთელი ეს ჩემი უპირატესობა ერთ წუთში გაჰქრა, ბიჭოიას პალტოს ჭრაჭუნი რომ გავიგონე. ლაღად, უშიშრად ეჭირა თავი, თითქოს არსაიდან არავითარ ფათერაკს არ ელოდა.

გამახსენდა, მათემატიკის მასწავლებელი დაფასთან რომ გაიძახებდა, ეს ჩემი ძმაკაცი რა საცოდავად მოიკუნტებოდა. კაცი იფიქრებდა, სახრჩობელაზე ამყავთო.

მთელი კლასი დაუწყებდა კარნახს. იყო ერთი ბუტბუტი, და ჩიჩქოლი, არაქა, ბიჭოიას ვუშველოთო.

დღეს კი ხაინდრავას დუქანთან, ბიჭოია ფურცხვანიძე ისე ატრიალებდა თვალებს, თითქოს ახლა ამან დაფასთან მთელი ქუთაისი გამოიძახაო.

— რამ მისცა ამდენი სითამამე და სიამაყე! — ვფიქრობდი და პასუხი ვერ მეპოვნა.

ვგიჟდებოდი, ბიჭოიას სიარულს რომ ვუყურებდი. ისე განიერად დაბიჯებდა, თითქოს რასაც გვერდს ჩაუვლიდა, ყველაფერი მისი ყოფილიყოს.

ბეჭებიც რომ აწურული დაჰქონდა,

ვეგონებოდა, მიწიდან აფრენას აპირებსო.

— არავისი არ ეშინია. არავისი და არაფრისა! — გამიელვა თავში...

მთელი ის წელიწადი შიშით გაგუდულ ადამიანებში ვცხოვრობდი... ვისაც კი ვიცნობდი, ყველას თვალებში შიში იყო ჩასახლებული. შიში, — რომ მოვიდოდნენ ბოლშევიკები და ქვეყანას ასე გაარიგებდნენ: წინანი უკან და უკანანი წინაო.

მამაჩემი ძველი რეჟიმის კაცი იყო და ეშინოდა, სამსახურიდან დამითხოვნენო.

ბიძაჩემს, ნიკიფორე ბოლქვაძეს ეშინოდა, ლეჩხუმში მამულს ჩამომართმევენო (მენშევიკებმა ყველაფერი დაუტოვეს).

ეშინოდა ჩემი კლასის დამრიგებელს, ქართული ენის მასწავლებელს ალ. გ-ეს.

სიიდან ვიცოდი, რომ ეშინოდა?

მისმა ვაჟმა გამანდო: იცი, წუხელ მამაჩემმა რამდენი ფოტოსურათი და წერილი დასწვა?! ერთი სურათი ძალიან დამენანა. მამაჩემი კოწია სულაქველიძესთან* იყო გადადებული.

ეშინოდა ჩვენს მეზობელს ტარიელა ჭლიკაძეს, წითელარმიელები ქალებს აუპატიურებენო, — და ერთ საღამოს თავის ლამაზ გოგოს თმა შეკრიჭა და ბიჭის ტანსაცმელი ჩააცვა.

ეშინოდა ერმილე წკეპლაძეს, დიდ გადასახადს შემაწერენო.

ეშინოდა ურიელაკოსტას, წითლებმა სამტრედიის ბაზა არ გადაგვიჭრანო.

ეშინოდათ მეურმეებს, მენშევიკებმა გაქცევის წინ ჯავრი ჩვენზე არ იყარონ და ხარები არ წაგვართვანო.

იყვნენ, რა თქმა უნდა, ადამიანები, ახალი წესწყობილების დამყარებას რომ შეეხარხარნენ, მაგრამ მე იმათ არ ვიცნობდი, ისინი ჩვენს ქუჩაზე არ დადიოდნენ. ამიტომ ახლა, ხაინდრავას დუქანთან შურით, აღტაცებით შევცქეროდი ბიჭოია ფურცხვანიძეს, ადამიანს, ვისაც არავისი და არაფრისა არ ეშინოდა.

ბიჭოიას უფლება ჰქონდა, ქუჩაზე ვინც გინდა, ის კაცი გაეჩერებინა და მისი ვინაობა გამოერკვია.

— ვთქვათ, აგერ მიტროფანე ლაღიძე მოდის. იმასაც გააჩერებ? — ვკითხე ბიჭოიას.

— იმასაც. — წარბშეუხრელად მითხრა მან.

მე კი ვინ ვიყავ, ვისი ტიკი-ტომარა! იმ უდღეურმა ურიელაკოსტამ შავი დღე დაგვაყენა, — სიტყვაც ვერ შევუბრუნე.

— გახსოვს, კოწო, თავის ჩამოხრჩობა რომ გვინდოდა, — მითხრა ბიჭოიამ, საჩეხში ბრიალა ცეცხლს რომ მიეუსხედით და ღადარში რამდენიმე ცალი კარტოფილი შევახვეთ: — ბუღლი თუ არ მოგვეა, მოდი, მოვყვეში იმ ამბავს. ეს ჩემი ამხანაგები ცოტა გავამხიარულოთ ამ სიცივეში.

მახსოვს, ბიჭოია, როგორ არ მახსოვს! იმ საღამომ სამდღამოდ დამაქმობილა შენთან. სოქვი, მოჰყევი, დე, გაიცინონ ამ კარგმა ბიჭებმა ჩვენს რაინდობაზე.

ჩვენ მაშინ მეოთხე კლასში ვიყავით*. გადარეული ცელქები არასდროს არა ვყოფილვართ, მაგრამ ერთხელ ისეთი შარი მოგვდეს, ორივე კინაღამ შეგვიწყრეს.

სკოლის ეზოში ნაბობი შეშის ვეება თაკარა იდგა. ხუთი კაცი მთელი დღე მოუნდა იმის დაწყობას. დიდი დასვენების დროს მუშებს ჩვენც მივეხმარეთ. კლასის დამრიგებელმა გარჯა მოვვიწონა და შეგვაქო, მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი უკუღმა წავიდა. გეოგრაფიის გაკვეთილი გაგვიცდა

* ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მეწშევიკების დროს.

* კლასიკური გიმნაზიის მეოთხე კლასი ახლანდელ მეექვსეს შეეფერება. პირველი ორი წელიწადი მოწაფეს მოსამზადებელ განყოფილებებში უნდა ესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბიჭებმა რაღაც ეშმაკად ომობანას თამაშში დაიწყეს. შეშის თაკარას მიადგნენ და იქ სანგრები და სათოფურები მოაწყვეს. შეშა გადაანგრა-გადმოანგრიეს, ისევდაც მაღალი თაკარა ზოგან უფრო ამაღლეს, რომ „მტერი“ ეერსადან მისდგომოდა.

„იერიში“ რომ დაიწყო, ეს ამდენი ნაწვალებ-ნაჯახირები თაკარა ერთბაშად ჩამოინგრა და რიხინ-რიხინით მიწაზე გაიშალა.

დაწყობილი შეშა დამინგრიესო! ქვეყანა შეჰყარა ზედამხედველმა. დაუძახა დარაჯებს და სამი მგელი ერთად დაგვედევნა შიშისაგან სულგამძვრალ ბიჭებს.

ცხოვრებაში განა პირველად მომხდარა, ყველაზე სასტიკად სწორედ ის დასჯილა, ვისაც ყველაზე ნაკლები დაუშავებია. ჩვენც ასე დაგვემართა: ყველამ თავს უშველა, ზოგმა მოასწრო გაქცევა და დამალვა, ზოგსაც ქომაგი გამოუჩნდა. მხოლოდ მე და ბიჭოია გაგვწირა ზედამხედველმა, ყველაფერი ჩვენ დაგვაბრალა. თითქოს ქვეყნის დამქცევი და ამომგდები ვიყავით.

ხვალიდან სკოლაში თქვენი ფეხი არ დავინახო. მოიყვანეთ მშობლები და საბუთები გაიტანეთო, გვითხრა და კლასიდან გამოგვრეკა.

ამაზე დიდი მეხი არც მანამდე და არც შემდეგ თავზე არ დამცემია, თუმცა ადვილად წარმოსადგენია, ჩემი ხნის კაცი რამდენ სიმწარეს ნახავდა ცხოვრების გზაზე ასეთი ქარტეხილების წლებში.

გამათავა, ბოლო მომიღო ზედამხედველის უსამართლობამ. სკოლიდან გარიცხვას სიკვდილი მერჩია. შინ აღარ მიმესვლებოდა, საღდაც უნდა გადავკარგულიყავ, მაგრამ სად?

ბევრი ვიფიქრეთ რა გზას დავდგომოდით. ხან დიდი ჯიხაში მომაგონდა, საღაც ბიძაჩემი ალექსანდრე ვაშაკიძე ცხოვრობდა, ხან კიდევ ბაშისაკენ წამივიდა თვალი. იქ დეიდა მყავდა გათხოვილი, მაგრამ ბიჭოიამ მითხრა: უკუღმართობის გამო სკოლიდან გარიცხულ მოწაფეებს კარს არავინ გაგვიღებსო.

არადა, სადმე უცნობ ქალაქში რომ გადავხვეწილიყავით, საამისო ხაზინა ჩვენ არ გაგვაჩნდა.

ამიტომ გადავწყვიტეთ — თავი ჩამოგვეხრჩო.

იმ დღეებში ერთმა ჩვენმა მეზობელმა ქალმა თავი ჩამოიხრჩო. ექიმს ეთქვა, რაღაც მოურჩენელი ავადმყოფობა ვაქვსო.

ქალი დაბრუნდა შინ, გამოსკვნა თოკი და...

მე ვნახე ის ჩამოხრჩობილი ქალი. კვილი რომ ატყდა, სამზად სახლში პირველმა შევირბინე. ქალი ჭვარტლიან კოჭზე ეკიდა ნივრისა და ხახვის გალების გვერდით. იქვე ეკიდა წითელი პიმპილი, ფუჩეჩით ერთმანეთზე გადაბმული სიმინდის ტაროები, ვაშლის ჩირისა და საჯანჯუხე თხილის ასხმული და კიდევ სხვა რაღაცეები, რასაც ჩვეულებრივად ნართვლევს სამზაღ სახლში ინახავენ. კედელზე — შესაბოლავად გამზადებული ღორის ბარკალი მოსჩანდა.

და შეიძლება სწორედ იმის გამო, რომ ეს ქალი ნივრისა და საჯანჯუხე თხილის ვვერდით ეკიდა, მე არამცთუ შემეშინდა, ვერც კი დავიჯერე, რომ ის მარილა მკვდარი იყო.

სიკვდილმა თავზარი ვერ დამცა, რადგან აქ ყველაფერი ძალიან უბრალოდ და შინაურულად გამოიყურებოდა. ამიტომ როდესაც ბიჭოიამ მკითხა, რა ვქნათო, მე მაშინვე ვუთხარი, თავი ჩამოვიხრჩოთ-მეთქი.

ის დამეთანხმა.

რიონის პირას მოვილაპარაკეთ, რომ ჩვენი განზრახვა ხვალისათვის აღარ გადგვედო, ყველაფერი ახლავე დაგვემთავრებინა გიმნაზიის ეზოში, რომ ჩვენი ბმირული სიკვდილი ყველს დაენახა და გული დასწყვეტოდათ, ეს რა კარგი ბიჭები დავღუპეთო.

თოკი ღიდხანს არ გვიძებნია. რიონიდან ამოვედით თუ არა, იქვე, ძველი

სასახლის ნანგრევებთან, სადაც ჩვენი ვიმნაზიის საქმისმწარმოებელი კოტე ჭიჭინაძე ცხოვრობდა, ბიჭოიამ რკინის მოაჯირზე გამობმული სარეცხის თოკი დაინახა. თოკის მეორე წვერი ალუბლის ხეზე იყო გამოსაკვნილი.

დიასახლისს სარეცხი უკვე ჩამოეღო, თეთრად მოქათქათე თოკზე მხოლოდ რამდენიმე სამაგრი ეკიდა.

— შენ აქ დადექი და უყურე, სახლიდან არავინ გამოვიდეს, — მითხრა ბიჭოიამ.

წელში მოიხარა და ძაღლი კატას რომ დაფეთებს, ალუბლის ხეს ისე შეახტა, თოკი სწრაფად მოხსნა.

მერე მოაჯირთან მიირბინა. თოკი ხელზე დაიხვია, რომ მაღლა აცოცებულიყო. კედელზე ფეხი ვერ მოიკიდა. ხელი დამიქნია, მოდი, მიპოჭიკეო.

სათვალთვალო ადგილი დავტოვე და მოაჯირთან გავჩნდი. ბიჭოია თვალისწამში ზურგზე შემახტა, მაგრამ რაღაც საუბედუროდ, თოკის ნასკვი რკინას ისე ჩაკვდომოდა, მისი გახსნა არ იქნა.

— ჩქარა, ბიჭოია, გავწყდი წელში, — ვაჩქარებდი მე და კედელს ვეკვროდი, რომ მუხლებში არ ჩავკეცილიყავ.

სოხანეს რომ დაბუგვავენ, ისე დამბეგვა ფეხებით ბიჭოიამ, მთლად დამიმტვრია ხერხემლის ძვლები.

ამ ყოფაში ვიყავი, რომ უეცრად ჩემმა ამხანაგმა „ვაი, დედაო“ დაიძახა და ძირს ჩამოხტა. იმწამსვე მეც ვიღაცამ პანჩური ამომკრა და ყურში ჩამძახა:

— რად ვინდათ ეს დამპალი ბაწარი, თქვე მამაძაღლებო! რამე ფასი მაინც ჰქონდეს!

ხმაზე ვიცანი, კოტე ჭიჭინაძე იყო, ჩვენი გიმნაზიის საქმისმწარმოებელი. ეტყობა ბიჭოიას მაგრად მოხვდა მისი ჯოხი, კედელთან ატუზულიყო და დუნდულს იზელდა. მაინც არ გაიქცა, არც მე გავიქეცი...

რატომ გავიქცეოდით! ჩვენ ხომ ჩვენი თავი უკვე გამოვიტირეთ და გამოვიგლოვეთ.

— ქალებო, სადა ხართ, შეხედეთ ამ ქურდებს! — იყვირა ჭიჭინაძემ და მოაჯარის ჯოხი დასცხო.

— არა კოტე-ბიძია, დედა ნუ მომიკვდება, ჩვენ ეს ბაწარი გასაყიდად არ გვინდოდა, — ყოჩაღად წამოიწყო ბიჭოიამ: — ცოტახნით გვჭირდებოდა... ხვალ ისევ...

მოვიტანდითო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცბად ხმა ჩაუწყდა: ალბათ მიხვდა, ხვალ ამ თოკს ჩვენ უკვე ვეღარავის ვეღარ მივუტანდით...

გული ამოუჯდა.

მისი სლუკუნი რომ გავიგონე, მთელი ნასხმანი ამიკანკალდა. ესღა გვაკლდა — დამწვარზე მდუღარე დაგვასხეს: ქურდებად გამოგვაცხადეს.

ამ დროს სახლის აივანზე ქალები გამოცვივდნენ და ისეთი წივილ-კივილი შექმნეს, კაცი იფიქრებდა, ამ ოჯახს ნამდვილად ზელიმხანი დაეცაო.

არ ვიცი იმ წუთში რა დამემართა, — მხოლოდ ეს მახსოს: აივნისაკენ მიწაზე დავეხეთქე და აყვირიალდი:

— ჩვენ არა ვართ ქურდები! ჩვენ არა ვართ ქურდები!

ჭიჭინაძე კინაღამ ჭკუიდან შეიშალა.

— აბა რა ხართ, თქვე მამაძაღლებო! აბა მე მოვხსენი ეს ბაწარი?! ჩემი თვალით მაინც არ დამენახოს, ბიჭოს!

— ჩვენ თავი უნდა ჩამოვიხრჩოთ..

— ისევ აბლუკუნდა ბიჭოია: — ეს თქვენი ბაწარი არსად არ დაიკარგება, საფლავში ხომ არ ჩაგვაყოლებენ!

— რაო, რაო? — ჭიჭინაძემ ჯერ ბიჭოიას გადახედა, მერე ჩემთან მოვიდა, ხელი მომკიდა და ფეხზე ამაყენა.

— თავი უნდა ჩამოვიხრჩოთ! — სლუკ-სლუკით დავამოწმე ბიჭოიას ნათქვამი.

ჭიჭინაძეს გაეცინა:

— ა, უყურე ახლა ამ მაიმუნებს, რაფერ მასულელებენ ამხნის კაცს?

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომპანიონი

გაცინებით კი გაიცინა, მხოლოდ ახლა უფრო ხანგრძლივ დამაკვირდა.

— ჭაუაში მატყუებთ ხომ?

ჩემგან პასუხი რომ ვერ მიიღო, ბიჭოიას მიუბრუნდა და ცოტა დაბნეულად ჰკითხა:

— რა იყო, ბიჭო, მოხდა რამე?

საქმისმწარმოებელმა, ეტყობა, არ იცოდა ჩვენი დღევანდელი ამბავი. იმედი მომეცა, იქნებ ჭიჭინაძემ მაინც დაიჯეროს ჩვენი სიმართლე-მეთქი. სხაპა-სხუპით ვუამბე, თუ რა უსამართლოდ მოგვექცა ჩვენი სკოლის ზედამხედველი.

სრული ორმოცდათერთმეტი წელიწადი გავიდა იმ ერთი ოქტომბრის დღიდან, ორმოცდათერთმეტი წელიწადი... მე კი ახლაც თვალწინ მიდგას ის უზომოდ კეთილი, გულისხმიერი ადამიანი, კლასიკური გიმნაზიის საქმისმწარმოებელი კოტე ჭიჭინაძე.

რომელი დედამიწაელი მოგვეფერება ისე ფაქიზად, ისეთი თანაგრძნობით, ყოველგვარი ფარისეველობის გარეშე, როგორც იმ საღამოს ჩვენ ის მოგვეფერა.

სათქმელი რომ ვუთხარი, ცოტახანს ჩუმად იდგა და სადღაც განზე იხედებოდა. მერე თავზე ხელი დამადო და მითხრა:

— იცით რა გითხრათ, ბიჭებო? მოდი ჯერ ჩემთან შევიდეთ და ვისაღილოთ. ღილსს აქეთ პირში არაფერი ჩამსვლია. მერე კი დავსხდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. მაძღარი კაცი, ხომ იცით, ცოტა უფრო ჭკვიანია!

— ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ! — წაიბურდღუნა ბიჭოიამ.

— ჰაიტ, შე გლახა, შენა! — დაუცაცხანა ჭიჭინაძემ კედელთან ატუზულ ბიჭოიას: — ასე უცბად დაჰყარე ფარხმალი?! რომელ კლასში ხარ შენ!

— მეოთხეში.

— მერე ბიჭო, მეოთხე კლასის მოწაფემ ისტორია არ უნდა იცოდე? თუ შენი წიგნი ცალკე დადის და შენ ცალკე დადიხარ! რაკაა შენი საქმე, მითხარი!

— მაგას ისტორიაში ხუთი აქვს, კოტე-ბიძია! — მივაშველე სიტყვა ამხანაგს.

— რაღაც არ ეტყობა! — სთქვა ჭიჭინაძემ.

— აბა მკითხე რაც გინდა! — მოულოდნელად სთქვა ბიჭოიამ და კედელს მოშორდა.

— რა გკითხო, ბიჭო? — ჩაიცინა ჭიჭინაძემ: — შენ რომ ისტორია ხუთზე იცოდე, მე აქ შიმშილით არ მომკლავდი! შენ რა დაგწაპეს, შე მაიმუნო? დაწყობილი შემა დანგრიაო. მეტი ხომ არაფერი! გიორგი საკაძეს კი სამშობლოს ღალატი დასწაპეს! იცი ეს შენ? მერე იმან რა ჰქნა? წავიდა და სარეცხის ბაწარი მოიპარა, თავი უნდა ჩამოვიხრჩოო? შენც არ მომიკვდე! ადგა და ქვეყანა შეპყარა, იბრძოლა, იდავა, რომ თავისი სიმართლე დაემტკიცებინა! ხედავთ, რას გვეუბნება ისტორია. თქვენ კი რა ჰქენით? ერთმა სულელმა კაცმა გაკავრებულ გულზე სიტყვა ვერ მოზომა, მერე და, ამიტომ ყელში დანა უნდა გამოისვათ? ბიჭოს! დაწყობილ შემას კი არა, ზოგიერთები ამ დაწყობილ ქვეყანას ანგრევენ, მარა სკოლიდან ისინი ვერ გაურიცხავთ, თქვენ ვინ გახლებთ ხელს, თქვენ გლახებო!

— ხვალიდან სკოლაში თქვენი ფეხი არ დავინახოო! — სთქვა ბიჭოიამ.

— იმას არ გაუთენდა ხვალინდელი დღე! ხომ იცი, შვილო, „ზოგიერთი კაცს მწარე სიტყვა უყვარს! სიამოვნებს, თუ ადამიანშვილი დაიფეთა და გადარია! წამოდით ახლა, ერთი ლუკმა გადამაყლაპეთ, თვალებში სინათლე დამელია. ხელი გადაგვხვია და ლაპარაკ-ლაპარაკით სახლისაკენ წავგიყვანა.

კიბეზე რომ ავედით, ცოტა გავინაზე, თავპატიჟი გავიდე.

— ქსენია! — დაუძახა ჭიჭინაძემ იმ ქალს, წეღან ივიანზე რომ ჰკიოდა.

ქსენიამ არ დააყოვნა; ოთახიდან გამოვარდა, ჩანთები და ქუდები ჩამოგვართვა, ხელები დაგვაბანინა.

არ გასულა ორი წუთი, ჩვენ უკვე მაგიდას ვუსხედით და ამოლესილ ლობიოში თითებს ვითხუპნიდით.

ჩუმად ვისადილეთ. მხოლოდ მასპინძლის პატარა გოგო სულ ჭუჭყიანობდა, მაგიდას ქვემოდან ფეხებს უბარახუნებდა, წინ რასაც დაუდებენ, ყველაფერზე არ მინდას იძახდა. დედამისი ხმადაბლა უწყრებოდა:

— სტუმრებისა მაინც შეგრცხვეს, შე უზრდელო! შენი უზნეობა ყველამ უნდა გაიგოს?!

ნასადილევს ჭიჭინაძემ მითხრა, ქართული წერის რეფუელი მაჩვენეო. ჩანთა გავხსენი და რეფუელი მივაწოდე.

ჭიჭინაძემ ნაწერს რომ დახედა, ხმამაღალ სთქვა:

— ბიჭოს, რა კარგი ხელი ჰქონია ამ მაიმუნს! შეხედე, ქსენია, ეეფხისტყაოსნის გადამწერად ივარგებდა სწორედ!

ცოტა უხერხულად შევიმშეშნე. ჩემი ბატიფეხური აბა რა დიდი მოსაწონი რამ იყო, მაგრამ ამ კეთილ კაცს რახან თვალში მოუვიდა, ახლა არა-დამარა უზრდელობა იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ქება შევიფერე, გავიჩუმდი.

— ახლა შენი რეფუელიც ვნახოთ!— მიუბრუნდა იგი ბიჭოიას.

ჭიჭინაძემ მისი ნაწერიც ძალიან შეაქო, მერე ორივეს ხელი ისევ გადაგვხვია და სთქვა:

— მაშველეთ, ბიჭებო, დაჯექით და პედაგოგიური საბჭოს ოქმები გადამიწერეთ. ხვალ თუ არ ჩავაბარე, ნამდვილად მომკლავენ! მაშველეთ?

მოდი და ნუ უშველ!

ამ კაცმა ჩვენთვის ტკბილი სიტყვა არ დაიშურა, საღილიც გვაჭამა, ახლა ხელწერა მოგვიწონა — შეიძლებოდა მისი გაწბილება?

„ი მ ა ს მერეც მოვასწრებთ!“ გავიფიქრე და ბიჭოიას გადავხედე.

ეტყობა, კისერზე თოკის ჩამოცმა მაინცა და მაინც არც ბიჭოიას ეჩქარებოდა: კიო, დამიქნია თავი.

ქამრები მოვუშვით, საყელო გავიხსენით და ისევ მაგიდას შემოვუსხედით.

ჭიჭინაძემ ქაღალდების მთელი დასტა წინ დაგვიდო და გუნებიერად აგვიხსნა, რომელი ოქმი საიდან სადამდე გადაგვიწერა. მერე საწერ-კალამი მოგვიტანა და მარტო დაგვტოვა.

პედაგოგიური საბჭოს ოქმებმა მთელი ჩემი გულისყური წაიღო.

აქ ისეთი ამბები ეწერა, რაც ჩვენთვის მუდამ დამალული იყო. ამ ოქმებში დუღდა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ჭირი და ლხინი, ჩვენი დანაშაული და სასჯელი.

სამწუხაროდ, ეს ცოტა შეყვითლებული ქაღალდები მხოლოდ მეშვიდე და მერვე კლასების ცხოვრებას გვიამბობდა.

პირველი ოქმი რომ გადავწერე, ერთი ნაცნობი გვარ-სახელი არსად შემხვედრია. მხოლოდ ერთხელ ჩვენი კლასის დამრიგებელს მოვკარი თვალი და ის ადგილი მაშინვე ბიჭოიას წავუკითხე. ჩვენი კლასის დამრიგებელი მოითხოვდა, მოწაფეებს ქამარში წიგნების ჩატანება უნდა აეკრძალოსო. მერე ჩამოთვლილი იყო მათი გვარები, საპირფარეშოში ჩუმად თამბაქოს რომ ეწეოდნენ. მერე ვიღაც ლეკავას ეეოგრაფიის კაბინეტში გლობუსი დამტვრია: წაღმა დავატრიალე, ორიანი დამიწერეს — უკუღმა დავატრიალე, მჭინც ორიანი ამომივიდა, ჭკუაზე შემშალაო!...

ბიჭოიას ოქმი უფრო საინტერესო გამოდგა:

ჩხუბი ქუჩაში.

ჩხუბი სამიკიტნოში.

ჩხუბი ვიღაც აგიაშვილის ეგოგოს გამო.

მეშვიდე კლასის მოწაფეს, ვიღაც ბუიღლიშვილს, გიმნაზიის სამკითხველოდან მაინ-რიდის, ყაზბეგისა და ჩარ-

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომკავშირელი

1981

სკიაის წიგნები გაუტანია და ჩილინგაროვების საშაქარლამობი „პოსჩიკებზე“ გადაუცვლია.

ვიღაც რიჟინაშვილმა მათემატიკის მასწავლებელს დიდი ფეშქაში მიართვა თურმე, ჩემი შვილი შეიწყალე, ალგებრაში სამი დაუწერეო. მასწავლებელმა აიღო და მისი ფეშქაში დაჭრილ ჯარისკაცებს გაუგზავნა ქუთაისის ჰოსპიტალში. რიჟინაშვილის ბიჭს კი ალგებრაში ორიანი დაუწერა. მერე დაუძახა და ჰკითხა, შენ იცოდი თუ არა, მამაშენი ძღვენს რომ მიგზავნიდაო.

ვიცოდიო, მიუგო რიჟინაშვილის ბიჭმა. მაშინ მასწავლებელმა ყოფაქცევაშიაც ორიანი ჩაუბეჭდა.

ვწერდი და სულ მიმდიოდა, ვიდრე ამ ოქმებს ბოლომდე ჩავიკითხავდი.

ეჰ, ვფიქრობდი გულში, ჩემი საქმე სხვანაირად რომ არ იყოს, ხვალ ამხანაგებს რამდენს ვაცინებდი ამ რიჟინაშვილის ბიჭზე!

დაღამება ვერ გავიგე, სანამ ოთახში ჭიჭინაძემ ლამპა არ შემოიტანა. ჩვენი ნაწერი გასინჯა და ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— ბიჭოს, გამახარეთ ხომ? მეც კარგი მახარობელი ვარ. — სთქვა მან და ოთახში გაიხედ-გამოიხედა, მერე უცბად თაროზე მიყრილი წიგნებში ხელი შეჰყო და ვერცხლის სათუთუნე გამოიღო, პაპიროსი შეახვია და სანამ ცეცხლს მოუკიდებდა, დარცხვენილი ღიმილით გვითხრა: — მიმალავენ ამ თუთუნს, ხან აქ შეაკვეხებენ, ხან იქ, ეგება ვერ იპოვნოსო, მარა ოთახში შემოვალ თუ არა, ეს მუდრეგი თვითონ დამიძახებს, კუ-კუ, აქა ვარო!

პაპიროსი მადიანად გააბოლა და განაგრძო:

— ველაპარაკე დირექტორს. მანაც ასე მითხრა, ზედამხედველმა ცოტა გადაეჯარბა, ბავშვებს გული გაუხეთქაო. გარიცხვით არაგის გავრიცხავთ, მაგრამ ის შეშა როგორც ეწყო, ისე უნდდა დაწყონო.

— დავწყობთ, ბიძია კოტე, დავაწყობთ! — ბიჭოიამ ჩანთას ხელი წამოუსვა და ეზოში გავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მოიცა, შვილო! — დაუძახა ჭიჭინაძე აცუნცრუკებულ ბიჭოიოს: — ახლა გვიანაა, ხვალ გაკვეთილები რომ დამთავრდება, მთელი კლასი უნდა დარჩეს. ხომ დაწყნარდით ახლა! ბიჭოს!

სიხარულისაგან გაბრუებულმა მადლობაც ვერ ვუთხარი საქმისმწარმოებელს. წელან აბა ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი საქმე ასე წაღმა მობრუნდებოდა. ბიჭოიას ლოყები აუპრიალდა, თითქოს ეს-ეს არის ბარდღუნია ჩიმაკაძეს ტყვიაჩასხმული კოჭი მოუგია.

სიხარული სიხარულად იყოს, მაგრამ ცოტა გული კი დამწყდა, რომ თავის ჩამოხრჩობა ვერ მოვასწარი და ჩვენი უგულო, უსამართლო ზედამხედველი ვერ გავამწარე — ეს რა მომიხდაო.

ის რომ ჩემს ცხედარს დაინახავდა და თავში ხელს შემოიკრავდა, ამაზე მეტი შურისძიება რაღა ჭნნებოდა.

— ახლა მოუსვით აქედან და გასსოვდეთ: ცხოვრებაში თუ კიდევ რამე გაგიჭირდათ, საქართველოს ისტორიაში ჩაიხედეთ. ამისათვის კი დიდი მადლობა მომიხსენებია! — ჭიჭინაძემ ისევ ჩაიცინა და ჩვენი გადაწერილი ოქმები საქაღალდეში ჩაალაგა.

სიხარულისაგან ეს ოქმები სულ დამავიწყდა. რამდენი რამ ვიცოდი ახლა მეშვიდე და მერვე კლასების ულვაშიან მოწაფეებზე. მთელი მათი საიდუმლო ამბები ხელისგულზე მქონდა გაშლილი.

მე ბრიყვი, აბა მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ იმ საღამოს ჭიჭინაძემ ჟამგადასული ოქმები გადაგვაწერინა.

ეს ქაღალდები თურმე არქივიდან ამოიღო, საქმე გაგვიჩინა, რომ ცოტა დავწყნარებულიყავით.

— ბიჭოს, აბა რა მექნაო, — ჩუმად ფრუტუნებდა საქმისმწარმოებელი: — თქვენ ისე არეულად იყურებოდით, შინ ვეღარ გაგიშვითო.

ასე რომ, ახლა იმ ვიღაც ბუიღლიშვილს თუ რიჟინაშვილს ფეხებზე ეკი-

და, მეოთხე კლასის ორი ცხვირმოუხოცელი ბიჭი „ჩემზე რა აზრისა იქნებაო“.

ასე დამთავრდა ჩემი პირველი სულიერი კრიზისი ცხოვრებაში.

ახლა სწორედ ეს ამბავი გაიხსენა ბიჭოია ფურცხვანიძემ და ყველაფერი ისე ონინაზურად წარმოდგინა, ჩვენ ყველას ჟუცელზე კანი არ შეგვრჩენია.

ბოლოს მეკითხა, ვისია ეგ ურემი, სწავლას თავი ხომ არ დაანებეო. მეც ვუამბე ჩემი გაჭირვება.

— მერე ბიჭო, კირილე წკეპლაძეს რომ არ დაუდგე მოჯამაგირედ, სხვა საქმე ვერაფერი იშოვე? — მითხრა ბიჭოიამ.

— ვინც ჯამაგირს იღებს, ყველას მოჯამაგირე ჰქვია! — მივუგე მე.

— შენ ამ ბოლო დროს ენამახვილობა დაგიწყია, კოწო! ვერა ხედავ, ქვეყანაზე რა ამბები ხდება! — მითხრა ბიჭოიამ.

— როგორ ვერ ვხედავ. გუშინ ურიელაკოსტამ ერთი ურემი ბრინჯი და შაქარი გაიტაცა, ერთი ურემი ბრინჯი და შაქარი! გაიგე! ახლა იმას ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა — ქალამნად!

— ე-ე, — ცერად გადმომხედა ბიჭოიამ: — შენი სიმღერა არ მომწონს. თუ არ გეჩქარება, დარჩი აქ ცოტახანს. ვილაპარაკოთ!

— სად უნდა მეჩქარებოდეს, ჩიქვანის ქალმა ჯვარი უკვე დაიწერა! — მივუგე მე.

ისევ ცერად გადმომხედა, სწრაფად ჩაილაპარაკა:

— დარჩი, დარჩი, ურემი ვალიკოს გაატანე. წაბვალ მარტო? — მიუბრუნდა ბიჭოია ჩემს ძმას.

ჩემი ძმა ჯერ აუუჭყურდა, აქ მოგიცდი, ერთად წავიდეთო, მაგრამ ბიჭოიამ ხელად მოიგო მისი გული. ადგა და დუქნიდან ერთი ჟანგიანი ხიშტი გამოიტანა.

— გინდა?

ამას კითხვა უნდოდა?!

თვალებგაბრწყინებულმა ვალიკომ ხიშტი ქამარში გაირჭო და ურემზე ისეთი სახით ავიდა, როგორც ალბათ რომის კეისარი ტრიუმფალურ ეტლში ჯდებოდა.

თოვს.

ახლა უკვე ციდან უხვად მოშურებული ბარდანი ჩამოდის.

ფერდობზე შეფენილი ქოხმახები, ჭიშკრებთან დაყრილი ნეხვი და ნაგავი, ეზოებში დამდგარი ჭინჭყოები, ჩამონგრეული ყორეები, მოუკირწყლავი, ატალახებული ქუჩა — მთელი ეს ჩიხიმიზო გარეუბანი ქათქათა თოვლმა დაფარა და კაცის თვალმაც ცოტა დაისვენა, რომ ამ საცოდაობას აღარ უყურებდა.

ღამდება.

საჩეჩში ცეცხლი ანთია. ხმელი ფიცარი ისეთი თავგადადებული ტაცატკუცით იწვის, თითქოს ამ ბარაქიან თოვლს შილნგს აძლევესო.

ხანდახან ცეცხლიდან კალიასავით გამოხტება პატარა ნაპერწკალი და მაინცა და მაინც მე მომნახავს, ყველაზე საწყალს, ვისაც ათგან დაკერებული და რეცხვისაგან დამდნარი ბლუზა-შარვალი მაცვია. ჩემი კონკების გამოწვა უფრო ადვილია, რა თქმა უნდა, ვიდრე ამ ჭაღის სისქე მაზარებისა, ბიჭოიას ამხანაგებს მხრებზე რომ წამოუსხამთ.

საქარე მხრიდან საჩეხს ბრეზენტი ჩამოაფარეს. ახლა აქ ისეთი სითბო და მყუდროება დგას, რომ ყველანი ბაღუსული სხედან ცეცხლის პირას და სთვლემენ თუ ფიქრად წასულან, კაცი ვერ გაიგებს.

ხანდახან ქუჩიდან სასტვენის ხმა მოისმის. ბიჭოია ზანტად წამოდგება და ბნელში გაუჩინარდება.

დაბრუნდება თუ არა, ჭრაჭუნა პალტოს დაიბერტყავს, ხელისგულებს ცეცხლის ალზე შეატრიალ-შემოატრიალებს, მერე ისევ გვერდზე მოშიჯდება და აგზნებული მეჩურჩულება:

— ჭურში ზიხარ, ბიჭო? ჩვენ ახლა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომპანიონი

მსოფლიო რევოლუციის ხანძარი უნდა დავანთოთ მთელი დედამიწის ზურგზე, მთელი ქვეყნის პროლეტარები კაპიტალიზმის კლანჭებისგან უნდა დავიხსნათ! შენ კი ამ დროს რას აკეთებ! სად იხარჯება შენი ახალგაზრდული ენერგია?! მოშორდი ამ კირილე წკეპლაძეს და წამოდი ჩვენთან, შემოუერთდი მესამე ინტერნაციონალის ძმურ ოჯახს! ხვალ ჩვენი ბატალიონი ბათუმში მიდის, რომ იქიდან თურქი ასკერები გავდევნოთ! მერე ჩინელ ძმებს უნდა მივეშველოთო, ჩანძოლინის უღელში რომ ვმონავენ, ან შეიძლება ჯერ ინდოეთში გადავიდეთ მუშურ-გლეხური ინტერესების დასაცავად... ჩვენთან შენი ხნის ბიჭებიც არიან. შეგსვამ, კოწო-ჩემო, ყაბარდოულ ცხენზე და მიდი, დასცხე ბურკუუზიას! იცი, რა ქვეყნებს ვნახავთ, რამდენ მეფეს ტახტიდან ჩამოვგადებთ?

ამას რომ მეუბნება, უძილობისაგან შეშუპებული დიდრონი თაფლისფერი თვალები რაღაც საოცრად უბრწყინავს.. ვატყობ, ახლა იმ თვალებს ჩემთვის აღარა სცალიათ. ისინი უკვე ინდოეთში არიან და წმინდა მდინარის, განგის, ნაპირებს დასტრიალებენ...

ბიჭოია ფურცხვანიძე მხოლოდ ორი წლით იყო ჩემზე უფროსი, მაგრამ იმ ღამეს ის ორი წელი ოცად გადაიქცა. მივჩერებოდი და არ მჯეროდა, რომ ეს ჩემი ბიჭოია იყო, სამი წლის უკან სარეცხის თოკს რომ იპარავდა თავის ჩამოსახრჩობად.

გამაბარუა, იმდენი მელაპარაკა და ისეთი მაცდური ფერებით დამიხატა ჩვენი მომავალი ცხოვრება წითელი არმიის რიგებში.

იმ თოვლიან ღამეს, ხაინდრავის დახლის ფიცრებით დანთებულ ცეცხლთან ბიჭოიამ აღვილად დაიპყრო ჩემი გული — ოცნებით, ჯერ კიდევ დაუწერელი ლექსებით სავსე გული.

ნან ისე ერთბაშად დამიახლოვა ჩემგან ღროითა და სივრცით დაშორებული საგნები, რომ მისი ნაამბობი გულმართლად ვირწმუნე და უკან აღარ მოვიხედე: არც მშობლებს შევეკითხე, არც კირილე წკეპლაძეს დავეთხოვე, სკოლის ამხანაგებსაც კი არ დავემშვიდობე, დავკარი ფეხი და მეორე დღესვე ორპირის ქუჩაზე, დრგუნების ყოფილ ყაზარმაში გავჩნდი. აქ ბიჭოიამ განცხადება დამაწერინა და ბატალიონის მეთაურთან მიმიყვანა.

არ გასულა ნახევარი საათი, წითელ არმიაში მოხალისედ ჩამრიცხეს. ერთი ნახევარი საათი კიდევ რომ გავიდა, საწყობის უფროსმა დამიძახა, გამოხუნებული ბლუზა-შარვალი, ნახმარი ჩექმები, გაქუცული, სახელმოძღვეული ბუშლატი მომიგდო და მითხრა:

— შენ აქაური ხარ, ბიჭო. აქ დედა გეყოლება, ან ბიცოლა, ამ სახელოს ის მიგიკერებსო!

არ დამცალდა სახელოს მიკერება. ნაშუადღეს ჩვენი ბატალიონი (ოცასიოდე ჯარისაკაცი, ორი სალაშქრო სამზარეულო, ხუთი ფირანი, და ამდენივე ჯორი სპალნეკიდებული) აშალეს და ბათუმისაკენ გზას გაუყენეს.

კოპიტნარამდე ფეხდაფეხ ვიარეთ. აქ კი სატვირთო ვაგონებზე ჩავსხეს და როდის-როდის ალვალიდან დავიძარით.

გვიანი ღამე იყო. ვაგონში ციოდა. ჯარისკაცებმა ყაზარმიდან წამოღებული თივა იატაკზე გაშალეს და ძილს მისცეს თავი.

მეც დავწექი, ჩემი სახელმორღვეული ბუშლატი თავზე წავიფარე და მატარებლის თვლების დგა-დგაში ისევ ჩემს სანუკვარ ფიქრებს გავყევი იდუმალებით მოცულ შორეულ გზებზე.

მაგრამ მეტისმეტად მოკლე გამოდგა ის ჩემი რომანტიული შორეული გზა. ჩვენი ბატალიონი საჯავახოს სადგურს არ გასცილებია. აქ მატარებლიდან ჩამოგვაბრძანეს და გვითხრეს, მენშევიკებს რიონის ხიდი აუფეთქებიათ, ვიდრე იმას არ აღვადგენთ, აქედან ფეხს ვერ მოვიცვლითო.

ჩამოვყარე ყურები, მაგრამ რაღას

ვიზამდი, ბუშლატზე ქამარი მაგრად შემოვიჭირე და მუშაობა დავიწყე.

რაც მაშინ რიონიდან ქვიშა და რიყის ქვა ვზიდე ხან ჯინით, ხანაც ხელის ურიკათი. — მიკვირს, რატომ წელში არ გავწყდი.

დილიდან საღამომდე ჩვენი გაჩერება არ იყო. თოვლშეაპით ალაფებულ ოღრონოღრო გზაზე ურიკა დიდი გაჭირვებით მიგორავდა, და თუ სადმე ორმოში გაეკეტდებოდა, მერე ზედ თავი უნდა გადაგეკლა, რომ იქიდან ამოგვთრია.

მთელი ერთი კვირა ამ ჭაპან-წყვეტაში ვიყავით. მერე ჩვენმა ათისთავმა საიდანღაც გრძელი ფიცრები მოიტანა და გზაზე გაიწყო. ამან ცოტა შეღავათი მოგვცა. მართალია, ხანდახან ურიკა „ლინდაგიდან“ მაინც გადამივარდებოდა, მაგრამ ახლა იმდენი წეწვაგლეჯა აღარ მჭირდებოდა. ურიკას წინიდან შემოვურბენდი, თვალს ხელს დავავლებდი და ფიცარზე შევაყენებდი.

რიონის ხიდი რომ მოთავდა, მერე ორი თვე დაფნარის გზაზე გვამუშავეს. მდინარის მოსახვევში, სადაც ნაპირს დიდი ჩქერი აწყდებოდა, ვეება გოდორ-ყურები ჩავდგით, შიგ ლოდები ჩავყარეთ, რომ წყალდიდობის დროს რიონს ბაზა არ წაელეკა:

— სადაა ინდოეთი, ბიჭოია, სადაა ყაბარდოული ცხენი! — ამოვიკვნესე ერთხელ, ვიგოწში მკლავებდაწყვეტილი რომ დავბრუნდი და თივაზე კუნძივით მივეგდე.

— ცოტა კიდევ მოითმინე, კოწო! ჯერ ხიდები თუ არ შევაკეთეთ, გზები არ გავიყვანეთ, ინდოეთში როგორ ჩავალთ! — მითხრა მან.

და მეც მჯეროდა მისი სიტყვისა: როგორ არ დავიჯერებდი, როდესაც ის თვითონ, კომკავშირის უჯრედის მდივანი, ოთხად იყო გაგლეჯილი. მთელი დღე ჩვენთან ერთად წნავდა გოდორ-ყურებსა და ქვას ეზიდებოდა. საღამოს კი სადგურის მორიგის ოთახში ჩაჯდებოდა, კედლის გაზეთის მასალებს ამზადებდა, ქართველ ჯარისკაცებს რუსულ ენას ასწავლიდა, ან სადმე სოფელში მოხსენებას აკეთებდა თავის საყვარელ თემაზე: ოქტომბერი და მსოფლიო რევოლუცია.

ზაფხული რომ მიიწურა, აღარ ჭალადიდში გვიკოკს თავი, ყორათის ჭაობებში ტყე გვაჭრევინეს: ბათუმში ჯარისათვის შეშა უნდა ჩაგვეტანა. აქ კი ერთმა ანოფელესმა დრო მიხელთა და ისეთი მამალი ციება შემყარა, სული კინაღამ გავაფრთხე. სიცხისაგან გათანგული, ძვალტყავად ქცეული, კარავში ვეგდე და ვბოდავდი:

— სად არის, ბიჭოია, მსოფლიო რევოლუცია... სად არის ჩემი ყაბარდოული ცხენი!

ბიჭოია კი სასთუმალთან მიზნის და მეჩურჩულება:

— ნუ გეშინია, კოწო! გუშინ სამტრედიაში ვიყავი, რაც თუთუნი და შაქარი მქონდა, ერთ პროვიზორს მივეცი. დამპირდა, ქინაქინას გიშოვიო. გესმის, ბიჭო, თუ ის ქინაქინა მიშოვა, გაკეთდა ჩვენი საქმე! ერთ კვირაში ფეხზე დაგაყენებ!

— აქ არ დამტოვო, ბიჭოია, წამიყვანე ინდოეთში... ჩამოვართვათ მაჰარაჯებს მიწა-მამული და ღარიბებს დავურიგოთ! მე ლექსებს დავწერ ინდოეთზე, შენ კი ჩვენი გმირული ბრძოლის სურათები დახატე... შენ ხატავ გენერხება, ბიჭოია! გახსოვს, ჩვენი ფრანგულის მასწავლებელი რომ დახატე?! იმ დღეს დაგსაჯეს და სკოლაში უსადილოდ დაგტოვეს, სასაცილოდ რატომ დახატეო!

მერე ისევ ბურანი წამიღებს და ისევ მეჩვენება — ყაბარდოულ ცხენზე ვზივარ, მაგრამ ეს ჩემი ცხენი მიწაზე კი არ მიჰქრის, ცოტა მაღლა, ბალახების თავზე მიფრინავს, რომ მისი თქარათქური მტერმა არ გაიგონოს.

ხან კიდევ მელანდება — ინდოეთის ველ-მინდერებს ქუთაისელი ბიჭები შესევიან და მიხაკ-დარიჩინს აგროვებენ.

რატომ მიხაკ-დარიჩინს?

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ჩემი პირველი კომკავშირელი

ერთხელ დედა საცივს რომ აკეთებდა, სამზადში ბიძაჩემი, ნასწავლი კაცი, ნიკიფორე ბოლქვაძე შემოვიდა და სთქვა:

— იცი, ჩემო დაო, ინდოეთი რატომ აღმოაჩინეს? იქიდან სწორედ ეს მიხაკ-დარიჩინი უნდა ჩამოეტანათო...

ჩამრჩა, ჩამებეჭდა გულში ეს სიტყვები და ავადმყოფობის დროს ბიჭოიას ხშირად ვეუბნებოდი თურმე, დედაჩემს ინდოეთიდან ერთი ფუთი მიხაკ-დარიჩინი უნდა ჩამოვუტანო, ამაზე მეტად ვერაფრით გავახარებ-მეთქი...

ვინ იცის, ხვალინდელი დღე რას მომიტანდა, რომ დედას ჩემი გზაკვალი არ ეპოვნა და სოფელ ხეთაში არ ჩამოსულიყო, სადაც იმხანად ჩვენი ბატალიონი იდგა.

ციებ-ცხელებამ ისე მომაქცია, ფეხზე ვეღარ ვდგებოდი... ჯარიდან გამანთავისუფლეს. დატრიალდნენ ამხანაგები, ვინ ძველი ქეჩა და საბანი მომიტანა, ვინ საგზალი გამომიწყო, დამაწვინეს დროგზე და გამომისტუმრეს. დედაჩემმა ჯიხაშში ჩამიყვანა და ყველაზე დიდმა წამალმა, დედის ხელმა, მალე ისევ ფეხზე დამაყენა.

თითქმის მთელი წელიწადი დავყავი ამ ბატალიონში, ქვა-ღორღის ზიდვისა და ხე-ტყის ჩეხვის გარდა, მე იქ თითქმის არაფერი გამიკეთებია, მხოლოდ ერთი-ორჯერ კი მომცეს თოფი და ბატალიონის სალაროსთან ყარაულად დამაყენეს. ეს იყო და ეს. ამით დამთავრდა ჩემი ლაშქრობა ინდოეთში.

მაგრამ დაიწყო და არ დამთავრდა ჩემი სიყვარული იმ ადამიანებისადმი, წითელარმიელის მაზარები რომ ეცვათ და ცხოვრებაში ყველაზე მძიმე ჭაპანს ეწეოდნენ.

ის ერთი წელიწადი სამუდამოდ ჩაიჭრა სულში და როცა კალამს მოვკიდე ხელი, ის დღეები ისევ გამიცოცხლდნენ ქაღალდზე და ჩემი პირველი ლექსებისა და მოთხრობების გმირებად იქცნენ.

იმ ერთმა წელიწადმა სამუდამოდ დამაკავშირა წითელ არმიასთან, და ალბათ ამიტომ არ გამიჭირდა, რომ სრული ოცი წლის შემდეგ, ისევ მოხალისედ ჩავწერილიყავ წითელ არმიაში და ისევ მისი ძნელი და გრძელი გზით მევლო.

მცხეთა, 1969.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ყველაფერი გავდა ომის ხმას...
მატარებელმა დაიგვიანა,
ლოდინი ავსებს სადგურის კედლებს,
ცას დაუმძიმდა ჰაერში ფიფქი,
თითქოს ტრამალზე შეჩერდა ქარი.
მატარებელმა დაიგვიანა,
თითქოს დადუმდა სადგურის თვალი,
თითქოს შეწყვიტა ხალხმა სიცილი
და მოლოდინით დამძიმდა წუთი.
...და ვაგონები თმებდათოვლილი
თეთრი მთებივით მოაწყდა სადგურს.
გამხიარულდნენ, გამოიღვიძეს
თოვლში ჩაფლულმა ლიანდაგებმა.

ბ ა ვ შ ვ ო ბ ა

მწვანე მინდორზე მზე ძოვდა დილის..
ხბო და ბალახი — მზე და მინდორი.
ეფინებოდა ცას ჩემი ჩრდილი
და გზაზე მზესთან გამოვდიოდი.
თვალებს უხელდა გზას ჩემი ჩრდილი
და დღე ნელ-ნელა აღებდა კარებს,
რა ახლოს იყო ცამდე მანძილი,
რა ახლოს რეკდა სამყარო ზარებს.
რა ახლოს იდგა მზე და ის ბავშვი,
ყოველი დილით ხელს რომ მართმევდა,
რა უფრო ახლოს ვიყავი მაშინ
ცასთან, მინდორთან და სინათლესთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა მელუა

●

თუ დაგავიწყდი, რა მოხდა მერე,
თუ გამატანე პატარა ღელეს...
შენი ფერებით დაღლილ ჩემს ხელებს
ემახსოვრები კარგა ხნის მერეც...
თუ დაგავიწყდი, ასკილის რტოო,
არაფერია, რა მოხდა მერე...

●

შენ ამატირებ, თუ ავტირდები,
თუ გავიცინებ, შენ გამაცინებ.
მთელ ჩემს სიცოცხლეს შენ დაგპირდები,
საუკუნესაც გადავაცილებ...
მე აპრილივით კვლავ აკვირტდები,
და ღამეს სახლში არ დავაძინებ...
შენ ამატირებ, თუ ავტირდები,
თუ გავიცინებ, შენ გამაცინებ...

ლიდა სჯვილია

●

ჩემს წილ წყალში ვდგავარ,
ჩემს წილ ტკივილს ვიტან...
ჩემს წილ სხივთა ჯავარს
ველი ხვალის ციდან.
ვით ბედს,
ვეძებ სიტყვას
გამძლეს,
გამტანს,
მთავარს?!..
და ის წუთი მიყვარს,
როცა არვის ვგავარ!
მე გაფრენის ცდა ვარ,
ზოგჯერ
თითქოს ცა ვარ...
ზღვა მეხლება,
მაგრამ
ჩემს წილ წყალში ვდგავარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდის გემი

შემოდის გემი,
ტორტმანებენ ტალღები უხმოდ...
და ბღავის გემი,
ის დაღუპულ ხომალდებს უხმობს!

დგას კაპიტანი,
შუბლშეკრული ხმელეთს გაჰყურებს,
იგონებს იგი
შორს დაღუპულ ძმებს, — მეზღვაურებს.

შემოდის გემი,
პროჟექტორის ცხელ თვალებს ახელს...
იგონებს გემი
ალმოდებულ კატარღის სახელს...

ჰქონოდა თმები —
იქნებოდა უკვე ჭაღარა..
და ბღავის გემი,
ეს ხმა არის ჰიმნიც, ნაღარაც...

შემოდის გემი,
ვაშა ამ ხმას და ამ შემოსვლას!
თავის დიდ სახელს
ის დიდებით კვლავაც შემოსავს!

შემოდის გემი,
ტალღა ჰკოცნის რკინას გოლიათს...
და ნავსადგური
ქუდმოხდილი მამა მგონია.

მზია ჩხეჯიანი

აურაცხელი კელაპტარი ენთო ნაპირთან
და გუგუნებდი ჩემს ძარღვებში, შმაგი აპრილი.
ენგურის ზვირთქვეშ ჩემი გული უხმოდ ატირდა
ალალი გოგოს სიხარულით და სიმარტივით...

მაგრამ დაიმსხვრა გაზაფხული — მიწის ჩუქურთმა,
გადაიარა ჩემს სხეულზე ენგურის დარად...
შენ მაინც დარჩი ჩემს ტყეებში, ვით გუგულის ხმა,
და ჩემს მინდვრებზე მოთქრიალე წვიმების ღვარად.

ეს კი ცოტაა...
მე მინდიხარ ცხელი — მზესავით,
როგორც ნიავი დილის ბინდში გატრუნულ ჭალას...
მოდი, მიშველე —
ყანა დამრჩა დაუთესავი
და ჩამჩურჩულე ყურში ენებით:
— მზეო... მზექალავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა შ ი ნ

მიდგას შუადღე —
ვით შუა ცეცხლი,
სადღაც სიბერე ფაჩუნობს ფრთხილად,
მესმის ჭიკჭიკი ნაცნობი მერცხლის
და მაგონდება მე ჩემი დილა.
ეზოს ბალახი
ლბილი და წმინდა
მშვენოდა ფეხზე, ვით მწვანე ქოში,
და წკაპაწკუპით მღეროდა წვიმა
ბაბუაჩემის ნაჩუქარ ქოხში.
კაკლისფოთოლი წყაროზე ღარად,
ცაზე მზის სხივის ციალი მარად,
მეზობლის გოგო,
ტყემლები,
ყანა, —
ეს იყო თვალი ჩემი ქვეყანა.
ჰქროდნენ ქარები მშვიდი და თბილი
და არ მაყრიდნენ თვალებში ნაცარს,
ვიცნობდი მხოლოდ ერთ ვიწრო ბილიკს —
იმ ქოხის კართან გამობმულ ბაწარს.
იჯდა სიბი ქვა მიწაში მყარად
იაშვილების ორღობის თავში;
(იმ მაღალ ქვაზე, რამდენჯერ მჯდარა
თმაგაწეწილი პოეტი ბავშვი).
ცაზე მზე ენთო —
ბრიალა თვალი,
წვიმდა — ვეღოდი ცის შვიდფერ სარტყელს
და რიყის ქვებში ვმალავდი კრძალვით
ჩემს უფრთო ლექსებს —
ღინღლიან ბარტყებს.

ეზოში იყო კაკლების ჩერო
და სახტუნაოდ გაბმული თოკი,
სხვა რამ სიავე არ მახსოვს ჩემი —
ერთხელ წყაროზე გამიტყდა დოქი.

ფრთამოფარფატე პეპელას ვგავდი,
ქარს რომ მიჰქონდა ფრიალა კალთა,
და არ ვიცოდი სახელი დარდის
იმ გატეხილი ჩაფულის გარდა.

და... გამიფრინდა ის სილამაზე,
და... გამიგორდა წითელი ეაშლი, —
ზზივარ ოცნებით ისევ იმ ქვაზე
ბევრი თამაშით დაღლილი ბავშვი.

გურამ დოჩანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგია კიზირია მოწაფეობისას ძალიან ერიდებოდა თეატრში სიარულს. არადა, უყვარდა.

თეატრში აბონემენტით დაიარებოდა მთელი კლასი. გოგია მაშინ ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. იმხანად ბიჭებში რატომღაც დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა, არაფერი არ გაკვირვებოდათ, არაფრით არ აღტაცებულიყვნენ და ასე. გოგია კი, სულელი, წარმოდგენას რომ მიჩერებოდა, რომელიმე ისეთი სცენის ყურებისას, სერიოზული ხალხი „ძძიმეს“ რომ ეძახდა, უნებურად აცრემლდებოდა ხოლმე. ძალიან ბრაზდებოდა საკუთარ თავზე — იცოდა, ქალაჩუნად რომ ჩასთვლიდნენ ბიჭები, მასხრად რომ აიგდებდნენ, მაგრამ რა ექნა, ცრემლს ვერ იკავებდა და... მალულად შეიმშრალებდა თვალს და ცდილობდა, სხვა რაღაცეებზე ეფიქრა, მაგრამ -მუშტებშეკრული, საგანგებოდ განათებული კაცი სცენაზე ხალხის გასაჯონად ყვიროდა: „ის უნდა სასტიკად დაისაჯოს!“ და გოგიას ისევ აუჩუყდებოდა ხოლმე გული. თეატრიდან რომ გამოვიდოდა, სულ სხვა გოგია იყო — მიდიოდა თავისთვის ქუჩაში, საკუთარ თავზე განაწყენებული და მაინც ერთგვარად თანამგრძნობი, მიდიოდა და ვინ იცის, მერამდენედ იმეორებდა, რომ ის ნამდვილი ამბავი კი არ იყო, არამედ პიესა, რომ მართლა კი არ მოჰკლავდნენ ვინმეს, უბრალოდ, მსახიობები იყვნენ. მსახიობი უფრო რომ დაშორდებოდა მოქ-

მედ პირს, პროგრამას ამოიღებდა ჯიბიდან, დახედავდა და წაიკითხავდა: გოგი — კ. ზუმპიაშვილი. სიმართლე რომ ითქვას, ეს ზედმეტიც იყო, თეატრიდან გამოსულ გოგიას აღარაფერი სჯეროდა იმ პიესისა; სამაგეროდ, ამით მომავალი სპექტაკლისათვის იმხნევებდა თავს. მაგრამ შემდეგ წარმოდგენაზე რაც არ უნდა გულგრილი განწყობით წასულიყო, თეატრს მაინც რაღაცა უხილავი ძალა ჰქონდა — შესასვლელთან, რაღაცნაირი უცხო სინათლე ციაგებდა, მრავლად გაკრულ აფიშებზე რამდენიმე პიესის სათაური მსხვილად დაებეჭდათ, თავისი ავტორითა და დაწყების დროით, მერე კონტროლიორი აბონემენტს მოხევდა, გოგია კიბეს ნელა ჩაივლიდა, პალტოს გაიხდიდა, კამნეს სახელოში ჩაკუჭავდა და შეგარდერობეს ფრთხილად ართმევდა გრილ, ბრტყელ ნომერს. მერე დარბაზში შედიოდა, სანახევროდ გავსებულ პარტერში, სანამ თავის ადგილს იპოვნიდა, ძალაუნებურად შეაწუხებდა ვინმეს — თუ შეიძლება, გამატარეთო... მერე კიდევ შემოდიოდნენ მაყურებლები, სავარძლის ზურგს გადაწვებოდნენ, დახედავდნენ ნომერს და სხდებოდნენ... ჭალები თანდათან, ზომიერად ქრებოდა, ხმადაბლა ალაპარაკებული მაყურებლები ჩუმდებოდნენ, ერთი-ორგან თუ მოისმოდა დაგუდული ჩოჩქოლი, მერე დაუკრავდა ორკესტრი და ხავერდის ძმიმედ დანაოჭებული ფარდა იხსნებოდა, დეკორაციების სუნი გადმოდიოდა პარტერში და გოგია აშკარად გრძნობდა, რომ აღარ იყო გულგრილი... მერე კი, მესამე მოქმედებისას, როცა ცნობილი მსახიობი ქალი მისთვის ჩვეული ათრთოლებული ხმით იკითხავდა: „ცოცხლივ? როგორ, ნუთუ მშვენიერი ანტუანა ცოცხლად უნდა დასწვან?..“ გოგიას ბურთი გაეჩრებოდა ყელში და თუმცა თავს მაღლა სწევდა და თვალებს ნაძალადევად აახამხამებდა, მაინც ვეღარ იკავებდა ცრემლს.

ეს ყველაფერი გოგიას ჩვიდმეტი წლისას მოსდიოდა, მერე, რომ დაკაცდა, თანდათან გადაუარა. კლასის ამხანაგები ჩამოშორდნენ, ზოგი სად მოეწყო, ზოგი სად, გოგია კი თანამშრომლებთან რაღაც უხერხულად იყო — ბავშვობის ამხანაგი მაინც სულ სხვაა. ხანდახან თუ შემოხვდებოდა რომელიმე, გაჯგიმული, ცხვირაწეული, ამაყი, შეხვდებოდა და ეუბნებოდა:

— რავა ხარ, გოგია.

— მადლობთ.

— შენი მადლობა რად მინდა, რავა ხარ ისე?

— კარგად.

— ბიჭებს თუ ხვდები.

— ხანდახან, ათასში ერთხელ.

— ბიჭები რომ შეგხვდნენ, გადაეცი, რომ კარგად ვარ, ჯანზე ვარ, კარგად არის-თქო.

— კარგი.

— წადი ახლა შენ, გოგია, და ვინმემ რამე თუ გითხრა, მე აქედან გიყურებ და თუ გაგიჭირდა, ხელად გამოვქანდები. სხვა რა გიყო?

— არაფერი, — ამბობდა გოგია.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, გოგიას ბავშვობიდან უნდა დაგვეწყო ამბავი, თანმიმდევრულად. იმის მშობლები წესიერი ხალხი იყო, ოღონდ ცოტათი ფოციანი დედა ჰყავდა — გოგიას სკოლიდან ხუთი წუთი რომ დააგვიანდებოდა, გამოვიდოდა გარეთ, დადგებოდა ხესთან, გაჰყურებდა ქუჩას. გამოჩნდებოდა გოგია, გაემართებოდა დედამისი გაბრაზებული, მაგრამ რომ მიუახლოვდებოდა, გადაუვლიდა ტრაზი, გადახვევდა ხელს, შეიყვანდა ეზოში... გოგია პატარა უხერხულად გრძნობდა თავს, მეზობლების თვალწინ ასე ბავშვივით რომ ჩაატარებდა დედა, მაგრამ თან უხაროდა კიდეც.

— ა, ხო მოვიდა, არ გამიგია მასე გადარეგა, — ამბობდა მამა.

— რა ვიცი, რეები არ ხდება.

— სად იყავი, სკოლაში, ხომ? აჭამე ახლა ბავშვს და მანამდე გაიქე, გოგია, პური მოარბენინე.

წვალებით გახსნიდა დედა კვანძს, გა-

შლიდა ცხვირსახოცში გამოხვეულ ფულს და მიდიოდა პურზე გოგია. აღმართს აივლიდა, იყიდდა პურს, ჩამოდიოდა დაღმართში. თითებს სწვავდა ახლად გამომცხვარი, თხელი ქართული ლავაში, ცხელი იყო ძალიან. თუ მაგრად შიოდა, თუმცა, ხანდახან არც შიოდა, ჩამოაგლეჯდა გოგია პატარა, უფორმო ნაჭერს, მადიანად ილუკმებოდა ქუჩაში. მერე პურს ნაკლულ ადგილას ჩასჭიდებდა თითებს და ეზოში ისე შედიოდა. გაემზადებინა დედას სალათა, ერბო-კვერცხი, წყალში გავლებული მწვანილი, ისაუზმებდა გოგია და ჯდებოდა ხის ტახტზე. ხელებს მუხლებზე დაიწყობდა, იჯდა ასე, ოდნავ მოხრილი. მამას ძალიან უყვარდა გაზეთები, გადაშლიდა მთელ სიგრძე-სიგანეზე, კითხულობდა. სამზარეულოში დედას ხანდახან წყნარად აუხმიანდებოდა ჭურჭელი, კერძის სუნი დგებოდა ოთახში, იჯდა გოგია ტახტზე.

ზამორეზთან ციოდა ოთახში, დილა-საღამოს მამა ღუმელს ანთებდა. შეაწყობდა კოტტაჯ შეშას, შეუკეთებდა ძველ გაზეთს, გაჰკრავდა ასანთს, აანთებდა. აციაგდებოდა ღუმელის წინ, იატაკზე, სინათლე; მიუშვერდა მამა დამზრალ თითებს, იფშვნტდა ხელებს, სიამოვნებდა, მოდი გოგიაო, აქ, გასძახებდა. მიდიოდა გოგია ღუმელთან, თბებოდა ისიც...

ხანდახან წვიმდა. ატყდებოდა ეზოშა პატარა ალიაქოთი, ჩამოხსნიდნენ სარეცხს, ფანჯრებს ხურავდნენ, სველდებოდა გარეთ ყველაფერი, მავთულებზე ოდნავ ჩამოიბურცებოდნენ წვეთები, გადაიღებდა წვიმა, კლებულობდა ხმაური; გამოვიდოდა მზე, ორთქლი ტივტივებდა დაბლა, ასფალტზე, გააღებდნენ ფანჯრებს, მშვენიერი კარგი ჰაერი იყო...

დედა და მამა ხანდახან კინოში დაიარებოდნენ, ჭართულ ფილმს მაინც ხომ არ გამოტოვებდნენ არაფრით. რჩებოდა გოგია შინ, ჩართავდა რადიოს, მუსიკა უყვარდა. „ჰააი-ი, მუხრან-ბატონის ყმობითა-ა, ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა-ა“, წამოიწყებდა პირველი და წარმოუდგებოდა გოგიას ღარიბი კაცი, ჩამოკონკილი, მშიერი, მწყურვალი, აურეყდებოდა გული. ხანდახან უცხოურ სიმღერებსაც ისმენდა, დიდი უცნაური სიტყვებით: „ტუ-უ, სალა ტუუ...“ მაინც მოსწონდა, მუსიკას ააყოლებდა ხოლმე თავს, კარგი იყო კარგი სიმღერის მოსმენა. იმღერეს ერთხელ რაღიში რაღაცა უცხოური, ყველაზე ხშირად ორი სიტყვა ისმოდა და ის სიტყვები დაამახსოვრდა მხოლოდ: „სანტა ლუჩია.“ ისიც კარგი სიმღერა იყო, ტალღა-ტალღად ადიოდა და ჩამოდიოდა. ჯერ ლოგინში იწვა გოგია და ასე უსმენდა, შეფუთვნილი; იმოქმედა მერე რაღაცამ, ძალიან იმოქმედა, აღელდა გოგია, წამოდგა ზეზე, სიმღერას აყოლილმა გაიარ-გამოიარა საწოლზე, კიდევ მოუნდა რაღაც, რაღაცა უფრო მეტი, დახეხდა ძირს... აიღო ზეწარი, შემოიხვია ტანზე, ცალ ხელში ვითომ კალათი ეჭირა, მეორე ხელს კალათში ჰყოფდა, მიმოდიოდა ლოგინზე და, სიმღერას აყოლილი, კალათიდან ნელ-ნელა ურიგებდა ზღვა ხალხს რაღაცა საჩუქარს, ყვავილები იყო ეს თუ კარალოიკი, რაღაც ამდაგვარი, ზუსტად არ იცოდა... გათავდა მერე სიმღერა, გაიხედ-გამოიხედა გოგიამ, შერცხვა, გაიფინა ისევ ზეწარი, დაწვა, უფრო შერცხვა, წაიხურა თავზე საბანი...

მერე ის იყო, აბონემენტები რომ დაურიგეს კლასში და თეატრში დაიარებოდა, მაგრამ აუჩვილდებოდა ხოლმე გული და ვერ იკავებდა თავს. დაბრუნდებოდა შინ, გადაიკითხავდა დავალებებს, სწერდა რვეულში სუფთად. სწავლობდა გოგია ოთხებზე, სამებზე, ორიანნი თავის დღეში არ მიუღია. ძალიან უყვარდათ მასწავლებლებს, ეჰ, ნეტაი ამასაც ჰქონოდა ნიჭიო, ამბობდნენ. ვის აწყენინებდა, ან როგორ დაილაპარაკებდა გაკვეთილზე, იჯდა თავისთვის, წყნარად. ზოგმა ბოლო კლასებში აურია ძალიან, ასეა, ბენაცვალეო, ამშვიდებდნენ მშო-

გურამ დოჩანაშვილი

ბლები ერთმანეთს, ბიჭი რისი ბიჭია, ცხოვრებაში ერთხელ თუ არ აურიაო. გოგია კი ისევ ისეთი იყო, ნამეტანი ჩუმი, წყნარი... გადადიოდა კლასიდან კლასში, დაამთავრა სკოლა. უმაღლესში ჩაბარებით კი ჩაბარა გამოცდები, მაგრამ პირველ წელს სამი ქულა დააკლდა, მეორე წელს — ხუთი, არ გამოვიდა არაფერი. მოეწყო გოგია სამუშაოდ—ერთ-ერთ კალევით ინსტიტუტში, ლაბორანტად. ხალათები ეცვათ ყველას, გოგიასაც შეუკერა დიდამ ხალათი, ფართო ჯიბეები ჰქონდა. მეცნიერი მუშაკები კი იყვნენ, მაგრამ ზოგიერთი სამი-ოთხი წლით უფროსნი თუ იქნებოდა გოგიაზე, იყურებოდნენ მიკროსკოპში. გოგიასაც ავალებდნენ წვრილმან სამუშაოებს, როგორ დაიზრუბდა რამეს. ნაშუადღევს საათიანი შესვენება ჰქონდათ, დადებდნენ პატარა ფულს და ჰურით, ყველით, ძეხვით და ამისთანებით საუზმობდნენ. ხანდახან სასყიდლებზე გასვლა ეზარებოდა ზოგიერთს და გოგია ხალისით მიდიოდა იმის მაგვრად, როგორ დაალაპარაკებდა ვინმეს. გახარებულს მოჰქონდა საჭმელი, სიამოვნებდა, კარგ საქმეს რომ აკეთებდა. შინ რომ დაბრუნდებოდა, რადიოს უსმენდა, კარგი გადაცემა თუ იყო, წიგნსაც კითხულობდა ხანდახან. დედა ავად გახდა ერთხელ, ლოგინად ჩავარდა ქალი. იმის ნაცვლად გოგია დაიარებოდა ბაზარში, ერთი-ორჯერ არ ეყო ფული—რასაც ეუბნებოდნენ, **იმას იხდიდა.** დაარიგა მერე დედამ და ბაზარში რომ შევიდა, ამოუდგა ვიღაცა ქალს უკან, იმას ექვს შაურად დაუფასეს კარტოფილი, მაგრამ ქალი შეევაჭრა და ოთხ შაურზე დააყვანინა. სანამ ქალი ჩანთაში ჰყრიდა კარტოფილს, გაუწოდა გოგიამ გამყიდველს ოთხი შაური... აუწონა იმ კაცმა ერთი კილო, გადაზოგა ასე გოგიამ ორი შაური, ამოუდგა მერე უკან ვიღაც წუნია კაცს, სდია აქეთ-იქით, მერე, როგორც იქნა, ააწონინა იმ კაცმა ერთგან ხახვი და იყიდა გოგიამაც იმ ფასად ხახვი... ერთ კვირაში უკვე თვითონ ევაჭრებოდა გამყიდველებს, გაიგო გოგიამ ფულის ფასი, მოიზოგავდა ხოლმე ცოტას, გაზეთებს ყიდულობდა. მიუჯდებოდა მაგიდას, გადაშლიდა, ძალიან ჩერდებოდა ხოლმე დედა, ატირდებოდა. — მამაშენსაც უყვარდა მაგ...

გადადებდა გოგია გაზეთს გვერდზე, მიაჩერდებოდა კედელს... რა ყოფილა მაინც სიკვდილი — დიდი უცნაური, გამოუცნობი, აუხსნელი, იდუმალი — იმ დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა, დედა მეზობლებთან იყო გასული სალაპარაკოდ, ტახტზე კი მამა გულაღმა იწვა და ისე იწვა, თითქოს ეძინა, მაგრამ გახელილი, დაბინდული, ჩამორეცხილი ფრესკისფერი თვალები ჰქონდა... გაშრა გოგია, ფეხისწვერებზე შედგა და ისე დაიჩერდა...

დედა რომ მომჯობინდა, მერეც კი დაიარებოდა ბაზარში, სამსახურში ხომ დადიოდა და დადიოდა. ტრამვაი ერჩია ყველაფერს — იაფი ღირდა. დაზოგა გოგიამ ბაზარში სიარულით თოთხმეტი მანეთი ფული, ჩაიდო ჯიბეში. ცოტათი გამოიცვალა, სუულ ცოტათი — აქამდე თუ ყველაფერი სჯეროდა, ახლა რაც დასაჯერებელი იყო, იჯერებდა და რაც არა... მაგრამ ერთნელ ერთმა ნათესავმა ქალმა ისეთი ამბავი მოუკა, მტრისას— ორი რუსის ქალი ცხოვრობდა თურმე იტალიაში, დები ყოფილან, მილიონერის შვილები; რო გარდაცვლიან დედ-მამა, დარჩენიათ ზღვა ფული და ამტყდარა პირველი მსოფლიო ომი და მაინცდამაინც მაშინ მონატრებიათ სამშობლო, წამოსსულან, ნამეტანი უცნაური ქალები ყოფილან... თვალმარგალიტი წამოუღიათ მარტო და ისე წამოსულან, მაგრამ გზაში ვიღაცას აუფფეძებია რაღაცნაირად რელსები და გაჩერებულა კაიხანს მატარებელი ერთ პატარა სოფელთან, ერთ თვეს მდგარა თურმე — ომი იყო... იქ მაგარი შემშილობა ყოფილა თურმე, რა ექნათ იმ ქალებს, ცხოვრებაში გამოუცდელები ყოფილან ძალიან—თითო პურში თითო მზრგალიტს აძლევდნენ თურმე და რომ მოუდწეგიათ საქართველომდე, ორი თუ სამი საგვარეულო ბეჭედი შერჩენიათ ხელზე... ამ დროს, მოგეხსენებათ, რა ამბავიც იყო საქართვე-

ლოში, მენშევიკები, აქეთ შოტლანდიელი ჯარისაკაცები, კაბები ეცვათ თურმე, იქით გერმანელები, ავსტრიელები, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა თურმე... დაუქირავებიათ იმ ქალებს ერთი პატარა სარდაფი, ბნელი, ნესტიანი, მაგრამ სულაც არ წუხდნენ, ადრეც არ ყოფილან ნამეტანი ფუფუნებისმოყვარულნი.. ჰოდა, იმ სარდაფში ვირთხა იყო ერთი თურმე... ჯერ კი დაუფრთხო ქალებს გული, მაგრამ მერე ისე ძალიან აღარ ეშინოდათ. თავი რომ ერჩინათ, მოწაფეები დადიოდნენ იმ ქალებთან, სამეცადინოდ — ერთს ექვსი ენა სცოდნია კარგად, მეორეს — ათი, უცნაურები ყოფილანო...—ამდენ ენას რომ დაიმახსოვრებ კაცი, დაბნეული იქნები, აბა რა იქნები?! ჰოდა, მოსულა ერთხელ ვიღაცა ბავშვის შშობელი და გადარეულა, რაა ეს, არ გრცხვენიათ, ვირთხა რომ ვყავთ ოჯახშიო? მაგია ავადმყოფობის გადამტანი, ყელში კბენა უყვარსო და ასე... აგერ, მოგიტანთ დარიშხანს და აკამეთო... გაჩუმებულან ის ქალები, სირცხვილით ვეღარ თქვეს, იყოს, რას გვიშლისო და რომ მოუტანია იმ შშობელს საწამლავი, ვადაუგდიათ ვირთხისთვის და იმას უქამია. ისხდნენ თურმე და ვერ იძინებდნენ — ნეტი რა მოხდებაო... რო მოუტანებია დამეს, გამხდარა ვირთხა ცუდად, დაწრიალობს თურმე ოთახში, რას დაწრიალობს, წყალი უნდება თურმე მაგ დროს, სხედან ეს ქალები, ხმას ვეღარ იღებენ თურმე... მერე, რომ შექნილა ძალიან გლახათ ვირთხა, აიცოცდა თურმე ქალს მუხლებზე, დაუბჯენია თათები, ძლივს აუწევია თავი და უყურებს, უყურებს თვალებში... ეს ქალები ერთდროულად წამომდგარან, არაფრის შნო და მარიფათი არ ჰქონიათ მანამდე, მაგრამ იმ დღეს გადაუდიათ თავი — უკაცრავად პასუხია, მაგრამ სხვადასხვა ხერხით გადაურჩენიათ ვირთხა, აი, მოწამლულ ადამიანს რომ უვლია, ისე. არაა გადასარევი?

კი იყო გოგია გამოუცდელი, მაგრამ ასეთ სისულელეს დაიჯერებდა ვითომ? რომ ყოფილიყო ის ცხოველი ან ძაღლი (ადამიანის მეგობარია), ან ცხენი (ტრანსპორტის საშუალებაა), ან ძროხა (რძეს და ხორცს გვაძლევს), ან ბუღბული (სტეფენს კარგად), კიდევ შეიძლებოდა დაჯერება, მაგრამ... დედამ კი თქვა, რა არის მაინც ცხოველი, მაგრამ ალბათ ისე თქვა, ზრდილობისთვის. ჩართო გოგიამ რადიო, გადაშალა გაზეთიც, ის ქალი კი ისევ ლაპარაკობდა, არა, მე იმას კი არ ვიძახი, ვირთხა რა გადასარჩენი ცხოველიაო, მაგრამ ისაა მთავარი, რანაირი უცნაური ქალები ყოფილან ის ქალებიო... გოგია აღარ უგდებდა ყურს, მაგრამ სტუმარი რომ წავიდა, ძალიან დაინტერესდა, ეს ამბავი ნამდვილად მოხდა თუ არაო, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი დაადგინა—ერთის მხრივ, ვირთხის გადარჩენა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ძალიან უცნაური ქალები ყოფილან და ვერ დაასკვნა გოგიამ მაინც ვერაფერი... მიუბრუნდა ისევ გაზეთს—გადატრიალება ჩილეში. პარიზი, 22 ნოემბერი. როგორც ფრანს პრესის საagენტო იუწყება..

დაიარებოდა გოგია სამსახურში, მიდიოდა, მოდიოდა. კვლევით ინსტიტუტში ბუფეტი გახსნეს, შესვენებაზე იქ ჩავიდნენ თანამშრომლები — ორ-ორი, თითო-თითოდ... გადაზოგა იმ დღეს გოგიამ კიდევ ათი შაური, არ უსაუზმია, მოშივდა ძალიან, ეჩქარებოდა შინ და ხალხით გატენილ ტრამვაის შეახტა. საფეხური არც ჩანდა, ისე იყო დახუნძლული, სხვები გულგრილად იდგნენ იქ, ეტყობა, შეჩვეულნი იყვნენ, ასე მგზავრობას, გოგიას კი სცხვენოდა, თანამშრომლებმა, ანდა ვინმეს არ დამინახოსო. ტრამვაი ზრიალით მიდიოდა, კარგიოო, ფიქრობდა გოგია, ჩქარა მივალო სახლში. იდგა ასე თავჩაქინდრული, მერე გახედა გზას, ტრამვაის რელსებს, ქარი სიოდა ყურებში, გამოცოცხლდა გოგია, გვერდით მდგარ ბიჭს ახედა. ეცნაურა ცოტათი და უცემ გაუკვირდა — ბიჭს თვალები გაუფართოვდა და ტრამვაის

ბურამ დოჩანაშვილი
ნაბიჯი

მოგზუტა, გაოცებული გოგია კი ორიოდე წამს ვერაფერს მიხვდა, მერე კი, ტრამვაიმ მკვეთრად რომ შეანელა სვლა და რელსებზე აღრჭიალდა, რაღაცა ძლიერი, მოურიდებელი ტკივილი ეტაკა ბეჭებში. სანამ გამოერკვეოდა, ფეხზე წამოდგა და უზარმაზარი თეთრი შვიდიანი ეცა თვალში, დაიბნა, თითქოს პირველად ხედავდა საბარგო მანქანას. გაფიფრებულმა კაცმა ხელი წაავლო, კაბინაში გვერდით მოისვა. გოგიას ეგონა, გაუბრაზდებოდა, მაგრამ მძღოლმა უთხრა, არ დამღუპაო, კინაღამ ბავშვი გავიტანე და იმიტომ შევაჩერეო ისე უცად მანქანა, კიდევ კარგი, ტრამვაიმაც დროზე რომ დაამუხრუჭა, თორემ არ დაგყვებოდა მიწაზე სულიო, ძალიან ხომ არ გტკივაო... არაო, გოგიამ. მძღოლმა შინ მიიყვანა, ნაძალადევად გაუღიმა და თავის ვზაზე წავიდა. გოგიამ შარვალი დაიფერთხა, ეზოში შევიდა, ჩვეულებრივად აიარა კიბე, პირი არ დაუკარებია საშმლისათვის, წამოწვა. რა იყო, ბიჭო, რატომ არ სადილობო, ჰკითხა დედამ... რა ვიცი, არ მინდაო... ბევრს ხომ არ გამუშავებენ, შვილო, სამსახურშიო... არაო, ბუფეტი გაგვიხსნესო და... მართლაო? რეები აქვთ მაინცო... დედა, დავისვენებ რა ცოტასო... დაწვა გოგია ტახტზე, თვალები დახუჭა, ახლოდა შეეშინდა— რა, როგორ, ეს ორი სიტყვა ამოიჩემა— რა, როგორ... მერე გაახსენდა, რომ უნდა ესადილა, რომ ასე იყო საჭირო... ძალისძალათი წაიხემსა, პატარა ხანს მოუბუზული იჯდა და დაწვა მერე. ღამით ორჯერ გაეღვიძა, ზუთრი ტკიოდა... დილით სამსახურში წავიდა, ავტობუსით, მოტორის გუგუნმა გული გაუწვრილა, გაიღიზიანა... სამსახურში რომ მივიდა, გაუთავებლად გრძელი მოეჩვენა კიბე; თანამშრომლებმა ვერაფერი შეამჩნიეს, მიკრისკოპში იყურებოდნენ. ჩამოჯდა სკამზე, იჯდა, იჯდა... გიიხედა მერე გარეთ, იყურა, იყურა... არაფერი გაუკეთებია, ძალიან დაღლილი დაბრუნდა შინ... ითმინა, ითმინა, მესამე ღღეს საავადმყოფოში დაწვინეს.

რატომ არ მითხარი დროზეო, ლოყებს იხოკავდა დედა, რატომ არ მითხარიო დროზე... გოგია იწვა და ფიქრობდა... ალბათ ... დიდი სიცხე ჰქონდა, ოცდაცხრამეტი და ექვსი ხაზი. ექიმები რომ მოვიდნენ, დედამ ტუჩებზე მაგრად მიიკრა მომუჭული თითები, თვალებად გადაიქცა... წამოჯექი აბაო, უთხრეს... წამოჯდა საწოლზე, აიწევინეს პერანგი, შერცხვა გოგიას, ძალიან გამხდარი იყო... ზურგზე რაღაცა მიადეს თუ არა, მაშინვე მიხვდნენ ყველაფერს; ჰიდროთორაქსი, უთხრა ერთმა ექიმმა მეორეს, პუნქცია უნდა გავუკეთოთ ხვალვე... მითხარით, რაა ჩემს თავსო, გამოედევნა ექიმებს დედა. ნუ ღელავთო, თქვეს ექიმებმა, დღესვე რენტგენს გადავუღებთ, ტრავმის შედეგად პატარა სითხე წარმოქმნილაო და ხვალვე გამოვუღებთო... როგორო... ნემსითო.. უიმე, ჩემს თავსო, შეიცხადა დედამ... დაწყნარდით, დაწყნარდით, ნამდვილად აარაო საშიშიო... თქვენი ჭირიმე, არ მომატყუოთო, ეგ ერთი მყავსო, ეგ ერთი... ღამით ცუდად ექინა გოგიას, ასოცდაათი ჰქონდა პულსი, ჰაერი არ ჰყოფნიდა, წამდაუწუმ ეღვიძებოდა, ოფლი სდიოდა, ხშირ-ხშირად და ღრმად სუნთქავდა; ნემსები დაუნიშნეს, დილამდე ძლივს მიატანა, გული უხერდა... ექიმები მოვიდნენ თუ არა, სანიტრებმა ურიკაზე დააწვინეს გოგია და გაქანქანებულ, ბრჭყვიალა ოთახში შეიყვანეს. ექიმი რეზინის მოყვითალოდ გამქვირავლე ხელთათმანებს იცვამდა, მხიარულად უთხრა, ხომ ხარო ვაჟკაცი... გოგიამ უხერხულად გაიღიმა —ძალიან გამხდარი იყო. აბა, დაჯექიო, ექთანმა იღლიებში მკლავები შეუყო, დაამაგრა გოგია... ჯერ გამაყუჩებელ ნემსს გაგიკეთებო, თქვა ექიმმა და გოგიამ პატარა ჩხვლეტა იგრძნო, არც ცოტნია მაინცდამაინც... დაიცა აბა ცოტა ხანსო, დრო უნდა გავიდესო, უთხრა ექიმმა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში იყურებოდა. მერე პირი და ცხვირი თეთრი ნიღაბით აიკრა, თეთრი ქუდიც წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, მხოლოდ ღია ნაცრისფერი თვალები უჩან-

და. რაღაცა ცუდის მოლოდინში გოგია სულ მოიჩვარა, ისე იყო ერთხანს და მოღონიერდა თითქოს... გონს მოეგო და შეკრთა—ექთანის ჩკერდს გრძნობდა გამხდარ, დალეული ჭარდზე, ისე ახლოს არასოდეს ყოფილა ქალთან... უკან დახია, ძლივს ასწია თავი, შიშნარევი ვედრებით მიაჩერდა, სიცხისაგან მზერაარეული, ტუჩებგამშრალი... ექთანმა შშვიდად გაუღიმა, რაღაც საოცრად თბილად, კარგად გაუღიმა ექთანმა და გოგია ისე დამშვიდდა, რომ ბურანი ჩამოაწვა და მკლავში ისეე უჩხვლიტეს. გამოფიზიზღდა თუ არა, აბა, გამაგრდიო, დაუყვავა ექიმმა და უეცრად ზურგში მძლეთამძლე, ძლეკამოსილი ტკივილი ეძგერა. თვალთ დაუბნელდა გოგიას, არა, კი არ დაუბნელდა, რაღაცა მონაცრისფრო, მზის გულზე შემთბარ ბაბის ზვინში იძირებოდა თითქოს, იფლობოდა, იფლობოდა, ყოველი კუნთი სასიამოვნოდ დაშორდა ერთმანეთს, ეს ნამდვილი ნეტარება იყო, არაფრით არ უნდოდა გონზე მოსვლა, არადა, მკლავში კიდევ უჩხვლიტეს, ცხვირში მჟაბე სუნი ეტაკა, ლოყაზე ურტყამდნენ თითებს, საფეთქლებს ულარსდნენ, ის საშინელი სუნი აღარ აძლევდა საშველს, თავი გადასწია გოგიამ, შეკრთა, თვალი გაახილა, არა, შეეხვეწა გოგია, არა, არა... ნუ ვეშინია, ცოტაღა დარჩა, ნუ ეშინია, ეუბნებოდა ექიმი. გოგიას ყბა ჩამოუვარდა, პირი დაადო, ქუთუთოები დაუშმიმდა, მთელი სხეულით მინდობოდა ექთანს, ნიკაპი ჩამოადო მხარზე, ლოყით მიეხუტა. იჯდა ასე, ვერაფერზე ფიქრობდა, უმწეოდ იცდიდა, იცდიდა... მერე მიხვდა, ნემსი რომ გამოუღეს ნეკნებიდან, ღრმად შეისუნთქა, უკეთ გახდა მაშინვე, შერცხვა—ექთანს სახე მოაცალა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო... შენ რა გითხარი, უთხრა ექიმმა და თეთრი ნიღაბი შეიხსნა, როგორ შეგვაშინე... მაინცდამაინც არც ეტყობოდა, თუ შეშინდა, ნაღდად ეხუმრებოდა, ძალიან კარგი კაცი ჩანდა... გოგიას მადლიერებისაგან გული აუჩუყდა, არადა, ლაპარაკი უჭირდა, ისე იყო ღონემიხდილი, მაინც მოახერხა ხმის ამოღება:— მადლობა, დიდი მადლობა, ბოდიშს... რისი ბოდიში? — სუსტად გაიკვირვა ექიმმა... შეგაწუხეთ და... ექიმმა მხარზე ძოუთათუნა ხელი და უთხრა: ეგ არაფერი... რა გქვია?.. გიორგი... ეგ არაფერი, გიორგი, უთხრა ექიმმა.

სანიტრებმა ისეე ურიკაზე დააწვინეს, გოგიამ თვალი მოავლო ოთახს და ის ნემსი რომ იპოვა, გააჯრიალა—წვრილი ფანქრის სიმსხო იყო. დერეფანში გამოიყვანეს თუ არა, დედა მივარდა, ლოყაზე მოუფათურა ხელი, მერე მხარზე, ნიკაპზე, შუბლზე... როგორა ხარ, რატომ არ ყვიროდი, როგორა ხარ, როგორ? გოგიამ გაუღიმა — კარგად... მართლა უკეთ იყო — თავისუფლად სუნთქავდა, ისეთ მხურვალებასაც აღარ გრძნობდა, გულიც საგულეს ჩაუდგა. სანიტრებმა ლოგინში ჩააწვინეს, დედამ კოხტად ამოუყეცა საბანი, ატირდა და გავიდა გარეთ... გოგია მშვიდად იწვა, ხელები მუცელზე ელაგა, ფანჯარას მიჩერებოდა... კარგა ხანს იყო ასე, სუსტად იღიმებოდა..

სამიოდე დღეს უკეთ გრძნობდა თავს, ღილით ოცდაჩვიდმეტამდე ჰქონდა სიცხე, საღამოხანს ოცდათვრამეტამდე აცოცდებოდა ვერცხლისწყლის სვეტი, მაგრამ რა უჭირდა ამას, იმ ამბების შემდეგ... პალატაში ერთი ავადმყოფი იწვა, გოგიას კბილა ბიჭი იქნებოდა, ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაეკეთებინა და აშკარად ეამაყებოდა, იმისმა ოპერაციამ ჩვეულებრივზე დიდხანს რომ გასტანა. „რო ამოჭრეს და მაჩვენეს, არა? გავგიჟდი“... ყვებოდა ბიჭი, „რვა სანტიმეტრი ყოფილა სიგრძით, პრინციპში“... იმ ბიჭთან ძალიან ბევრი მნახველი მოდიოდა და ავადმყოფს ყველასთან სხვადასხვანაირად ეჭირა თავი — ზოგთან ამპარტავნად, უინტერესოდ, მნახველი სხაპასხაპით უყვებოდა რაღაცას, ავადმყოფი კი ჭერს შესცქეროდა, დროდადრო უილაჯოდ გაიკვირვებდა და იკითხავდა:

გურამ დოჩანაშვილი
ნაბიჯი

„ჰო?“ მერე კი სხვა მოვიდა და იმის დანახვაზე სულ გამოიცვალა, დაიძაბა, აშკარად დაეტყო, ძალიან რომ მოუნდა რაღაცა ჭკვიანურის თქმა. მნახველი საშუალო ტანის ბიჭი იყო, წითელი პერანგი ეცვა. ავადმყოფისაკენ დაიხარა და აკოცა, საერთოდ, ვინც კი მოდიოდა უბრმანაწლავოსთან, ყველა ჰკოცნიდა. „მაშ, მაგრად იჩხუბეს?“ ენერგიულად იკითხა ავადმყოფმა. „ისე რა... — თქვა წითელპერანგამ, — არა უშავს“. „როგორ მოერია მაინც, ა?“ „უველაფერი ხდება — ჩხუბია... ბალეტი ხომ არ არი“. „თანაც, იმან გაარტყა არა, პირველი?“ „კი, მაგრამ კარგად ვერ მოაჯდა“... „ალბათ, მაგას კარგი დარტყმა აქვს, პრინციპში...“ „არა უშავს, — დაეთანხმა წითელპერანგა, მაგრამ იქვე გადაიფიქრა — კარგი დარტყმა თუ აქვს, უნდა მოესვა“. „აბა რა“, თქვა ავადმყოფმა. ერთხანს ჩუმად ისხდნენ, წითელპერანგამ მხარზე რატომღაც ამაყად დაიხედა, მერე ოთახს მოავლო თვალი: „რადიო არა გაქვთ?“ „არა... აი, ამას ხელს რომ დააჭერ, გარეთ სინათლე ინთება და ექთანი მოდის“. „ვა...“ ისევ ჩუმად ისხდნენ, რაღაცნაირად, ვერ აეწყვეს საუბარი და ავადმყოფი ძალიან განიცდიდა ამას. უცებ გოგიას შეავლო თვალი და ძალიან ხმამაღლა თქვა: „აი, ეს გუშინწინ მოიყვანეს, წყალი გამოუღეს ფილტვებიდან“. „მართლა? — გოგიას შეხედა წითელპერანგამ, — ეს როგორ“... „ნემსი ყოფილა, გაგიჟდები, — თქვა უბრმანაწლავომ, — „კოკტეილის ჩხირივით“. „ვა,—გაიკვირვა წითელპერანგამ და გოგიას მიუბრუნდა: — ეს რატომ?“ „მანქანა დაეჯახა“. „ვოლგა?“ „არა, საბარგო, — თქვა გოგიამ,—საბარგო დამეჯახა“... „ხომ არ დააჭერინე, ჰა, ბიჭო?“ „არა,“ დაიმორცხვა გოგიამ. „ყოჩაღ. რამდენი შეაწერე?“ „რა?“ „რამდენი შეაწერე?“ გოგიას ეუხერხულა, კითხვა რომ გაამეორებინა, არადა, მაინც ვერ მიუხვდა და დაბნეულმა თვალი მოარიდა. „მალავს“, — ეწყინა წითელპერანგას, — შენ იცი შენი საქმე, ყველამ თავისი საქმე იცის“. მნახველი შეუარაცხყოფილი გამოიყურებოდა და უბრმანაწლავომ თქვა: „ალბათ ნომერი ვერ დაიმახსოვრა, პრინციპში, წაქცეულა“... „მართლა? — წყენამ გაუარა წითელპერანგას, — გიიქცა?“ „არა, იმან მიმიყვანა სახლში“... „მერე, ისე გუშვი?“ „არა, მე თვითონ ვიყავი დამწაბავი“... „ეს როგორ“, წარბები აზიდა მნახველმა. „ტრამვაიზე ვიყავი ჩამოკიდებული“... „მერე რა, — გაუკვირდა წითელპერანგას, შეაქცერდა, აგდებული ღიმილი მოერია სახეზე და ისევ შეათვალიერა გოგია: — შენ რომელ უბანში ცხოვრობ?“ „ვერაზე“. „შუშუტას იცნობ?“ „არა,“, შეწუხდა გოგია. „აბაც გაგიგია, არა?“ „არა“. „ეე“, გაიღიმა წითელპერანგამ და ზურგი შეაქცია — ახლა მისთვის ნათელი იყო, რას წარმოადგენდა გოგია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მნახველს რაღაცა გაახსენდა და იკითხა: „რომელი საათია?“ „არ ვიცი,—შეწუხდა უბრმანაწლავომ და მაჯაზე ხელი დაირტყა, — არ მიყვარს საათის ტარება“. „ამას ხომ არა აქვს, — მხარეკუღუმა გაიშვირა ცერი წითელპერანგამ,—ეგ ისეთი ტიპია, ნაღდად ენება“... „საათი ხომ არა გაქვს, ბიჭო?“ „არა“. „ვა, რა ვქნათ?“—დაინტერესდა მნახველი. „ეახ... ჰო!—ვამოცოცხლდა ავადმყოფი და ღილაკს თითი დააჭირა—ეხლავე იქნება ყველაფერი“. „ეს როგორ?“ „აი, ნახავ...“

პალატაში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, მორიგე ექთანი. — „რომელი მეძახდით?“ „მე, — გაუღიმა ავადმყოფმა,— ვენერა, გენაცვალე, ჯერ გაიცანი, ეს ჩემი ამხანაგია“. „აა, — თქვა ვენერამ და შეწითლდა, წითელპერანგაც სანახევროდ წამოდგა, ერთხანს მუხლებში მოხრილი იდგა და თავს კარგახანს აკანტურებდა, გაცნობის ნიშნად, ბოლოს მაინც ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. „ვენერა. საყვარელო, ხომ არ იცი, საათის რომელია? არა, მე დიდი ბოდიში, საქმეები გაქვს, რამე, შეგაწუხეთ, მაგრამ აქ არავის არა აქვს საათი და თუ და ხარ, ძმურად, გამიგე რა?“ „ეგ ადვილი სამსახურია“, თქვა ვენერამ და გავიდა. „რა

ქაჯია არა პრინციპში?“ — იკითხა ავადმყოფმა. „ჰო, რა... გუშინ, ღამე, ლეკანას ბორიაა სუფრიდან გაუგდია“... „არ გამაგიეო, — აღელდა ავადმყოფი, — ლეკანას — ბორიაა?“ „ჰო, რა..“ „როგორ იყო?“ „ვაჰ, მითხარი რა...“ „შვიდის ოცი წუთია“, თავი შემოჰკო ვენერამ. „ბადლობთ, გენაცვალე, დიდი მადლობა... როგორ იყო?“ „ვა, რა დრო გასულა, მე წავალ,—წამოდგა მნახველი, — ძალიან მეჩქარება, ხვალ მოვალ, მოგიყვები“.... „ნადიდან გააგდო?“ „იქ ვიჯექი—როგორ“... „ხვალ მოდი, რა“... „მოვალ, აბა რა,—თქვა წითელპერანგამ, დაიხარა და ერთმანეთს აკოცეს — კარგად“... წითელპერანგა რომ წავიდა, კმაყოფილმა ავადმყოფმა გოგიას შეხედა და უთხრა: „იცი, ეგ რა სამართლიანი ბიჭია? ყველანი პატივს სცემენ...“

იწვა გოგია თავისთვის, ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი, ჩამოჯდა იქვე, თავთით, დედა. იყვნენ ასე — დედა გოგიაზე ფიქრობდა, გოგია... იმ წითელპერანგა ბიჭზე: „სამართლიანია... როგორია მაინც? რაშია სამართლიანი?“

საჭმელი ხომ არ მოგენატრა რამეო, ჰკითხა დედამ. დაფიქრდა გოგია—პირი უშრებოდა, ლაღიძის წყალი გაახსენდა, ტკბილი, ცივი, შუშხუნა... იმას მაინც ძალიან კარგი გემო ჰქონდა, პიტნას... სწრაფად დაბრუნდა დედა, ვაშლები ამოალაგა ჩანთიდან, ბულიონი, ხაჭაპური, თერმოსი—დალია გოგიამ ლაღიძის წყალი.

ღამდამობით უფრო ცუდად იყო, ყოველ ნახევარ საათში ეღვიძებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, მოკეცავდა ფეხებს, ეგება ასე უფრო კარგიაო. ოდნავ შეიცვლიდა გვერდს, აუძგერდებოდა გული, გაშლიდა ისევ მუხლს, იწვა ასე, ჩაეძინებოდა, ეღვიძებოდა ისევ, შუბლი დაცვაროდა...

მეექვსე დღეს ისევ გამოუღეს სითხე. ბრჭყვიალა ოთახში რომ შეაგორეს, იმ ნემსს მოჰკრა თვალი და გააკრიალა. ამჯერადაც წაუვიდა გული, მაგრამ სულ სხვანაირად — ორიოდე წამით ჰკარგავდა გონებას, მაშინვე ფხიზლდებოდა, ისევ დაუვარდებოდა თავი, ისევ ფხიზლდებოდა და ასე, ნემსი უჩხვლეტდეს მკლავში. ურიკაზე რომ გადაწვინეს, რაღაცის გახსენება დააპირა ერთხანს, მაგრამ ტკივილმა გადავიწყა და რა დავშავე ასეთი, რა დავშავეო, გენებაში ჩურჩულებდა. დედა მჯიღებს ირტყამდა გულზე, როდემდის, როდემდის უნდა იყოს ასეო... დაამშვიდეს, დაამწყნარეს, ამჯერად ნაკლები იყო სითხეო. ვითომ? ცოტათი მოეშვა დედას.

საღამომდე წყნარად იწვა გოგია, აღარაფერი აწუხებდა და ნეტარებდა. სიამოვნებით ახამხამებდა თვალებს, ერთიორჯერ თითებიც აითამაშა მკერდზე, მერე იყო და იმ ბიჭთან მნახველები მოვიდნენ — ორი გოგო. ერთი შეუხედავი იყო, მაგრამ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მეორე კი, ლამაზი, ჩუმად იჯდა, გულმოდგინედ ცოხნიდა საღეჭ რეზინას და დროდადრო თავისთვის იღიმებოდა. გოგიას საბანი ეფარა ტანზე და ახლა უფრო თამამად გრძნობდა თავს, სიგამხდრის აღარ სცხვენოდა, თანაც გოგოები ზედაც არ უყურებდნენ და ძალიან თავისუფლად იწვა. მაგრამ უეცრად მდგომარეობა დაიძაბა:

— დღეს, რომ გამოვდიოდით სკოლიდან, ბაღის წინ ორი ბიჭი იდგა და...—სული მოითქვა მოლაპარაკე გოგომ, — ერთმა შეხედა ინგას და ხმამაღლა თქვა, რა გოგოა, ბიჭოო?

ლამაზმა უფრო გაიღიმა.

— რა-ა? — შუბლი შეიკრა უბრმანწლავომ, — როგორა თქვა?

— რა გოგოა, ბიჭოო?!

— ჰმ! — მუხლზე ხელი დაირტყა მწოლიარემ და მოლაპარაკე გოგო დაფაცურდა, — კარგი რა, ანზორ, იმიტომ კი არ გითხარი, რომ ინერვიულო, კარგი რა, შენ თუ არ გაუფრთხილდი შენს ნერვებს, სხვა კი ვერ მოუვლის, ჯერ ერთი, გულიდან წამოსცდა ეს, მეორეც, რა არის აქ ცუდი და მესამე, ეგებ ამხანაგურად თქვა და...

— ამხანაგი, ბიძაშვილი და ყვავი ჩხი-

გურამ დოჩანაშვილი
ნაბიჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვის მამიდა არ ვიცი მე!—უბრმანაწლავო განრისხებული ჩანდა, — რა ქვია!

— რა ვიცი, ანზორ, მე რა ვიცი, ვიღაც ოხერია, პირველად დავინახე და, საერთოდ, არაფერი არ უნდა მეთქვა, ხომ ვიცი შენი ამბავი და არაფერი არ უნდა მეთქვა, რა ვიცი მე იმისი სახელი!

— არ იცი, არა? — თვალები მოჭუტა ავადმყოფმა.

— არა, მამას გეფიცები.

— რა ეცვა!

ლამაზი გოგო ისევ იღიმებოდა, ოღონდ ახლა იატაკს დაჩერებოდა.

— რაღაცა მწვანე ჯემპერი ეცვა.

— ნაღდად?

— ჩემს მამას გეფიცები, მწვანე ჯემპერი ეცვა.

— მართლა? — მიუბრუნდა ანზორი ლამაზ გოგოს.

— მმ? — იკითხა იმან. ახლა წინა კბილებით ღეჭავდა რეზინას.

— მწვანე ჯემპერი ეცვა?

— მე არ ვიცი, არ შემიხედია.

— ჰმ, — თავი გაიქნია ავადმყოფმა, — მაგათ ჰგონიათ, ოპერაციას გადაუვეებოდი, არა? დაიცადოს... ვნახოთ, აბა ვნახოთ, რა ბიჭია, ჰაა-ჰა!.. — სული შეეხუთა, — ვნახოთ, რა ბიჭია, ხვალ ნაკერებს მომხსნიან და ვნახოთ!...

— აი, შენ ისევ ანერვიულდი, ანზორ, ისევ ანერვიულდი...

— ავნერვიულდი კი არა, დაიცა... ეხლა ტყუილი ლაპარაკი რა საჭიროა, მე მაგაზე მეტს არ ვილაპარაკებ, მაგრამ რომ გამოვალ, მე იმას ვნახავ... როგორმე, გავარჩევთ მწვანე ფერს ლურჯისაგან და ა არც ის ბაღი წავა სადმე... ჰაი-ი, არაფერია, არაფერი... ჰმ!

ორიოდე დღეს არა უშავდა გოგოს, პატარა მადაც გაეხსნა, შემწვარი ხორცი ინატრა, ჰყავე კომბოსტო, ლიმონიანი ჩაი. ღამღამობით ერთი-ორჯერ მაინც გაიფაჩუნებდა ზურგში გატრუნული ტკივილი და მხარს აცცლევინებდა. გათენებისას, როცა საავადყოფო ჭრაჭუნთა და ხველებით იღვიძებდა და ექთნები ჭერში დამიზნებული ნემსებით შემოდიოდნენ პალატაში, მაინც უხაროდა და, ოდნავ სახეალეწილი, პირქვე წვებოდა —დილის ჩხვლეტა სრულებითაც არ იყო მტკივნეული. სამ საკმზე მოკალთებული დედაც იღვიძებდა, ხელისგულით ისწორებდა დაჭმუჭნილ ტანსაცმელს. „წადი, დაიძინე“, ეუბნებოდა გოგია. „აგერ არ მეძინა!“ — უკვირდა დედას. „კარგად ვარ ახლა, წადი, დაიძინე“. „აგერ არ მეძინა?“ — უფრო უკვირდა დედას.

ანზორი რომ გაეწერა, მეორე დღეს ისევ წაიყვანეს ურიკით. მაღალი სიცხე ჰქონდა, მაჯა ახლა ძალიან სუსტად, მაგრამ სწრაფად ფრიალებდა — ას ორმოცი წუთში. იმ ოთახში რომ შეაგორეს, რეჩხი უყო გულმა—ახალგაზრდები დაინახა, სულ გოგოები იყვნენ, ექთანთა მოსამზადებელი კურსებიდან, პრაქტიკაზე. ექიმიც სხვა დახვდა, დაბალი, ამაყად მოლაპარაკე კაცი. „თქვენს წინაშეა, — თქვა ექიმმა და ხელთათმანები მოიირგო, — ავადმყოფი, მკვეთრად გამოვლენილი ჰიდროტორაქსით, ჰიდროწყალი, ტორაქსი—გულ-მკერდი. აბა პირანგი აიწიე, გენაცვალე...“ გოგიას ხელები დაუმძიმდა, ჯერ ერთ გოგოს შეხედა, მერე მეორეს, სხვებს ვეღარ გაუსწორა თვალი, შერცხვა—ძალიან, ძალიან გამხდარი იყო. კიდევ კარგი, ის ძველი ექთანი მაინც რომ იყო და იმას მიეხდო, ნიკაპი ჩამოადო მხარზე, თვალები დახუჭა. „ჩხვლეტა კეთდება მეექვსე და მეშვიდე ნეკნებს შუა, აი აქ, სადაც ახლა გამაყუჩებელ საშუალებას, ნოვოკაინს ვაკეთებ“,—თქვა ექიმმა და გოგიამ ის უწყინარი ჩხვლეტა იგრძნო, პირველი ჩხვლეტა. „ნემსი გაიკლის მთელ კუნთის ქსოვილს, პლევრასაც, შეჩერდება პლევრასა და ფილტვს შორის და იქიდან გამოვიღებთ სითხეს“,—თქვა ექიმმა და გოგია დაძაბული დაელოდა მთავარ, ძლევამოსილ ტკივილს.

იმდღევანდელი გულის წასვლა ყველაზე ღრმა, თბილი და რბილი იყო, მანამდე არასდროს წოლილა შემთბარ ღრუბელზე, საოცრად დამძიმებული სხეული მაინც მსუბუქად ტივტივვ?და ჰაერში და მთელ ტანზე რაღაც უჩვეუ-

ლო, მათრობელა ნეტარება ელამუნებოდა. ადარსად იყო უმწეობის მტანჯველი გრძნობა, სულერთი იყო ახლა ყველაფერი მისთვის. მაგრამ როცა ვიღაცა სხვას უჩჩვილტეს მკლავში ნემსი და გოგია იძულებული გახდა იმისი ხათრით ბრუყვიალა ოთახში დაბრუნებულიყო, ამ მერყევ, გარდამავალ შუალედში თვალი მოჰკრა ვიღაცის შიშველ, ძალიან გამხდარ სხეულს, რომელიც... უყვარდათ! ვის, როდის, როგორ, ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარი ის იყო, რომ უყვარდათ. ვისი იყო ეს სხეული, თავისი, სხვისი, ვერ გაარჩია, მხოლოდ ის იყო მთავარი, რომ, რომ სიყვარულს გაჩნია... რომ მართლა უყვარდათ!

და როცა გოგია გონზე მოვიდა, ვისაც კი შესწვდა თვალით, ყველას მშვიდად შეაცქერდა და იმ სიყვარულის რაღაცა ერთი უმნიშვნელო, პაწაწინა წვეთი ყველას თვალებში დაინახა; იქამდე შესცქეროდა თვითეულს, სანამ ამ სიყვარულს არ შეამჩნევდა და მერე სხვაზე გადაჰქონდა დაღლილი, მომლოდინე მზერა. იქაც, პალატაში რომ დაბრუნდა, დედას უყურა, უყურა და ცდილობდა წამით განეშორებინა ის უზარმაზარი, განსხვავებული სიყვარული, რომელიც ყოველ მოყვარულ დედას აქვს ცალ სამაგიეროდ უფრო კარგი, უფრო საერთო სიყვარული შეემჩნია, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო, ყველაზე ძნელი დედის თვალებში იყო ამისი დანახვა და კედელზე გადაიტანა მზერა, რაღაცა ოკრობოკრო ლაქას უყურა, უყურა და გაბრუდა.

სანამ საავადმყოფოდან გამოეწერებოდა, კიდევ სამჯერ გამოუღეს სითხე.

●

მომჯობინდა გოგია როგორც იქნა, ძლივს წამოდგა, გაიარ-გამოიარა. დადიოდა დერეფნებში, უყურებდა, როგორ თამაშობდნენ ავადმყოფები დომინოს, ხანდახან, ყველა რომ გაიცინებდა, იცინოდა ისიც. სულ დერეფანში იყო, ძალიან თუ დაიღლებოდა, ჩამოჯდებოდა სკამზე, ზამთრის მიკავებულ, გემრიელ მზეს შეუშვერდა ზურგს და იჯდა ასე. გაძლიერებული კვება დაუნიშნეს ექიმებმა და დედა სოფელში წავიდა, დასთან, სანამ ჩამოვიდოდა, ის ორი დღე მეზობელი დაიარებოდა გოგიასთან. ჩამოიტანა დედამ იქიდან სულუგუნი, ჭყინტი ყველი, წმინდად გაცრილი ფქვილი, ქათმები, ბურვაკი, კაი ადესა დვინო, შეპოლილი კუპატი და კიდევ რაღაც-რაღაცეები, მიიტანა შინ და იქიდან მაშინვე საავადმყოფოში გაიქცა. გამოწერეს გოგია, ტაქსი დაიჭირა დედამ, დასხდნენ უკანა სავარძელზე, გაჩერდა მერე ჭიშკართან მანქანა, გადმოვიდნენ, დედამ ფართოდ გააღო კარი. მოდი, მოდი გოგიაო, უთხრა. შევიდა გოგია ოთახში, გაიხედ-გამოიხედა, გაეხარდა შეჩვეული, მონატრებული ნივთების დანახვა, ახლავე დაწექით, უთხრა დედამ, დაიღლებოდით გზაში. შემოვიდნენ მეზობლები, მოიკითხეს, დაანთო დედამ ღუმელი, დათბა. დაღალა გოგია იმ დღეს მანქანით მგზავრობამ, ტანსაცმლის ჩაცმა-გახდამ, ნაცნობი ნივთების თვალიერებამ, ლაპარაკმა, დაეძინა მოღლილს; დილით ადრე გაეღვიძა, დედისაკენ გაიხედა, იმას ისევ ეძინა. კარგახანს იწვა გოგია თავისთვის, ახედა მერე კარადაზე წამოსკუპებულ, გაფარჩხულ ფეხებზე შემდგარ მაღვიძარას; ცოტათი შეცვლილი მოეჩვენა, რანაირად — ვერ მიხვდა. უყურა, უყურა, გაუკვირდა — ხან სწორედ ისეთი იყო მაღვიძარა, უკანასკნელად რომ დაინახა, ხან — ბავშვობისდროინდელი საათივით კრიალა, ხელში ჩასაგდები, ხან —სულ სხვანაირი, გაერთო გოგია მაღვიძარას თვალიერებით, გაუკვირდა ცოტათი — ხანდახან გარკვევით ესმოდა წიკწიკი, მერე არაფერი ესმოდა, თავისას ფიქრობდა — თოთხმეტი მანეთი ფული გაახსენდა, დედას ხომ არ მივცეო, ა? ასე იყო ყოველთვის —საათი სულ თანაბრად მუშაობდა, რაც გოგიას ახსოვდა, მაგრამ ხანდახან ესმოდა ეს წიკწიკი, ხან — არა. შეხედა მერე გოგიამ ღუმელს, ერთმანეთში ჩამჯდარ მილებს, კუთხეში

გურამ დოჩანაშვილი
ნაბიჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწყობილ, კოხტად დალაგებულ შეშას, იწვა ასე, ერთობოდა.

სანამ ქუჩაში გავიდოდა, ერთი კვირა შინ ტრიალებდა; მიდიოდა ფანჯარასთან, იყურებოდა გარეთ, გამვლელებს, გამომვლელებს, ბავშვებს, კაცებს, ქალებს, ვისაც კი დაინახავდა, ყველას აკვირდებოდა, გააყოლებდა ხოლმე თვალს... აი, ეუყურებო, ფიქრობდა, ნაბიჯებს ვუთვლიო, იმათ კი არაფერი იცოან, მიდიან თავისთვისო... დაიღლებოდა ფანჯარასთან დგომით, მიდიოდა მაგიდასთან, სკამს გამოსწევდა, მოხერხებულად ჯდებოდა, აქამდე არც იცოდა გოგიან, რა მშვენივრად შეიძლებოდა სკამის გამოყენება — საზურგეს მიეყრდნობოდა, გაშლიდა ფეხებს, თავს გადასწევდა, ხელებს ჩამოყრიდა. მიდიოდა ისევ ფანჯარასთან, შეიფუთნებოდა, გამოაღებდა, სიამოვნებით შეისუნთქავდა ოთახში შემოჭრილ ჰაერს, წამოწვებოდა ტახტზე, ორ მუთაქას კედელთან მიაწყობდა, ერთმანეთზე, მიეყრდნობოდა მერე და გაზეთებს კითხულობდა: „გადატრიალება ჩილეში. პარიზი, 18 დეკემბერი, ოგორიც ფრანს პრესის საგენტო იუწყება..“

საღამოს, დაძინებამდე, ასე ნახევარ-ერთ საათს ფიქრობდა. ხან რა გაახსენდებოდა, ხან რა, თითქოს ამოწმებდა. რაზე ღირდა შეჩერება. ამდაგვარი ამბები კი მაინცდამაინც ბევრი არ ეგულებოდა. მაინც იყო თითო-ოროლა: „რომ უყვარდათ!.. რომ მართლა უყვარდათ!..“ აფორიაქდებოდა გოგია, მერე მშვიდდებოდა, ახსენდებოდა სკოლა, თავისი მერხი, თანაკლასელების ოინები, ფიზ-მომზადების გაკვეთილები, ქიმიის ლაბორატორია, კვლევითი ინსტიტუტი, მაგრამ ბოლოს მაინც იმ მტანჯველ, ეჭვიან კითხვაზე შეჩერდებოდა: იმ ქალების, უცნაური ქალების ამბავი—მართალი იყო თუ არა? ა, მართალია თუ არა? არა, არ იქნებოდა მართალი, მაგრამ იქნება... ანდა... ვინ იცის... აჰ, არა, არა... სამაგიეროდ, ის ქალები ჩვეულებრივი ქალები რომ არ ყოფილან? რაღაც ნამეტანი უცნაურები იყვრნო, არა, ხომ შეიძლებოდა, ძალიან უცნაურ ქალებს რომ ჩაგიდინათ ასეთი დაუჯერებელი რაღაცეები თომმ?!. ეს წაგავდა იმ უსიამოვნო, საძულველ მელოდიას, დაუკითხავად რომ აგეკვიატება და მთელი დღე იმას ღიღინებ, ათასჯერ შეწყვეტ ღიღინს გაბრაზებული, მაგრამ მერე ისევ წუმდერებ გუნებაში და, განრისხებულმა, აღარ იცი, რა იღონო. ასე ფიქრობდა გოგია ამ ქალებზე, იმ ვირთხაზე, გაუწვრილდებოდა გული, ჩაიქნევდა ხელს, მაინც ახსენდებოდა ის ამბავი და, კიდევ კარგი, ერთ მშვენიერ დღეს, ქუჩაში გასვლის წინ, ნაღდად გადაავიწყდა. კარგი დღე შეარჩია გოგიამ, თბილოდა; ერთხანს გაუბედავად მიაბიჯებდა, მთავარ ქუჩაზე რომ გავიდა, უფრო გათამამდა — იქ მეტი იყო გამვლელი. დაჯდა ტროლეიბუსში, პლეხანოვის პროსპექტზე ამოჰყო თავი. კინოთეატრ ამირანთან ჩამოვიდა, შეხედა აფიშას — „ფანტომასი“ გადიოდა. დიდძალი ხალხი ირეოდა სალაროსთან, კი მოუნდა ამ ფილმის ნახვა, მაგრამ გაყიდული იყო ბილეთები. რა ექნა, მერე ვნახავო, გაიფიქრა, იქვე, გვერდით, ქრონიკაში პატარა აფიშას მოჰკრა თვალი, რაღაც უცხოური გვარი თუ სახელი, ანდა სულაც ორივე ერთად ეწერა — მიქელანჯელო. მივიდა მოლარესთან, გადაიხადა ფული, აბაზი ღირდა ბილეთი, მეტი კი არა. გაუწოდა ბილეთი კონტროლიორს, როგორც წესი და ოგია, დახედა მერე ზედ—არც ოგი ეწერა, არც სკამის ნომერი, მაინც ჩაიღო ჯიბეში. კედლის საათს ახედა და გაუკვირდა—ძალიან ადრე შესულიყო, ჯერ წინა სეანსიც არ იყო დამთავრებული და პატარა, ნახერხმყრილ ოთახში მოუწია ცდამ. ვიღაც მეორე კაციც იყო იქ, წამოდგებოდა, გაივლ-გამოივლიდა, დარბაზის კართან შეჩერდებოდა, ყურს მიუგდებდა და ისევ ჯდებოდა; დარბაზიდან მოგუდული ლაპარაკი და რაღაცა უცნაური მუსიკა ისმოდა, სამეიდე კაცი შემოემატებთ. წინა სეანსი რომ დამთავრდა, როგორც იქნა, კარი გაიღეს. დარბაზი კი არა, ერთი ბეწვა ოთახი აღმოჩნდა; გოგია სულ ბოლო რიგში და-

ჯდა, იცადა, იცადა, მერე რიგები გადათვალა — სულ ათი რიგი იყო, ცხრა-ცხრა სკამიანი. ის კაცი აშკარად ღელავდა, წრიალებდა — ერთხანს არ ჯდებოდა, კედელს ძალიან არაბუნებრივად აკერო და იმ ხუთიოდე კაცს, ცალ-ცალკე რომ ისხდნენ, სათითაოდ მოავლო თვალი; მერე დაჯდა, მაგრამ მაშინვე გამოიცვალა ადგილი, სხვა სკამი აუჭიკჭუნა—ძალიან ღელავდა. კიდევ შემოვიხედენ ვიღაცეები და გოგიას სწრაფად დათვალა ისინი: თერმეტი მაყურებელი იყო სულ, გოგიაიანად—თორმეტი. სინათლე ჩაქრა და რაღაცა ისეთად უცხო წარწერები აცახცახდა ეკრანზე, ხმაც მონჯღრეულად ისმოდა, მაგრამ ჩქარა ყველაფერი გამოკეთდა და უცხო ქალაქი დაინახა გოგიამ, კრამიტით მოფენილი სახლებით. ეს ფლორენცია იყო, აფიშაზე გამოკრული კაცის მშობლიური ქალაქი.

ეს კაცი თურმე ლექსებსაც კი წერდა, მაგრამ იმაზე უკეთესი პოეტი იტალიაშიც იყო თურმე, სხვა ქვეყნებს თავი რომ გავანებო; სამაგიეროდ, ხუროთმოძღვარი ყოფილა ძალიან კარგი, მაგრამ ალბათ მასზე დიდი არქიტექტორებიც ყოფილან იტალიაში; სამაგიეროდ, იმისთანა მხატვარი შეიძლება ვერც მოგვძებნათ მსოფლიოში და მოქანდაკე? — როგორც არავინ, არასოდეს, ეს ნაღდად იგრძნობოდა დიქტორის ლაპარაკში, კი იცოდა გოგიამ იმდენი რუსული.

ჯერ, როგორც წესი და რიგია, იმისი პირველი ნამუშევრები აჩვენეს — ქვიდან გამობურცული ქალი და კიბეზე ჩამომავალი ბავშვი; და ვიღაცეების ჩხუბი; ეს ბარელიეფები თხუთმეტი-ჩვიდმეტი წლისას გაუკეთებია, მერე, შეუსწავლია ადრინდელი ქანდაკებები კარგად, გადასული საცხოვრებლად რომში და გამოუქანდაკებია სიმთვრალის ღმერთი, რომელიც ისე იდგა, თითქოს ქანაობსო და კულულების ნაცვლად ყურძნის მტევნები ეკიდა, ხელში თასი ეჭირა კოტტად; არა, მართლა გადასარევი იყო, გაუკვირდა გოგიას — ეს ქვის ძმიმე კაცი ისე მსუბუქად ტორტმანებდა თითქოს... გამხიარულდა გოგია და გაახსენდა — მთვრალი კაცი, კარ კაცი... გაუღიმა ეკრანს შორიდან, მაგრამ მერე უზომოდ ჩაფიქრებული, ამაყად თავჩაქინდრული ქალი აჩვენეს, მუხლებზე მკვდარი შვილით, პირზე შეაშრა გოგიას ღიმილი, ახლოა შეამჩნია, რაღაცა დიდი უცნაური ხმებით... მოაცილა გოგიამ სკამს ზურგი, დაძაბული იჯდა, ეკრანისაკენ გადახრილი, მაგრამ ახლა სხვა ქანდაკება აჩვენეს.....

ოსტატმა, ვის ნამუშევრებსაც ახლა ეკრანზე უჩვენებდნენ, მიუხედავად ახირებული და ღვარძლიანი ხასიათისა, ხანდახან მოსისხლე მტრების დაფასებაც იცოდა: „დიდი, შესანიშნავი ბრამანტე“, ასე ამბობდა იგი. სამაგიეროდ, უნიჭო მხატვრად მიაჩნდა რაფაელი და ზომიერად სძულდა, რადგან მასში ვერ ხედავდა ტოლფასოვან მოწინააღმდეგეს, პერუჯინოს, მაგალითად, უბრალოდ „უტვინოს“ ეძახდა, ერთი მხატვარი კი პირდაპირ აცოფებდა — რანაირი ხალხი არ ტრიალებდა მის გარშემო: ათასი უვიცი, გაიძვერა, მოშურნე, უნიჭო, ცილისწამებელი, უფლებამოსილი მოძალადეები, მაგრამ მას ყველაზე მეტად გონიერი ფერმწერი — ლეონარდო და ვინჩი სძულდა, ვისაც მისთვის არაფერი დაუშავებია. საოცრად სულმდაბლად ექცეოდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ სიძულვილმა იგი დიდი ოსტატი გახადა. მისი ნამუშევრებით აფორიაქებულმა, დროებით გვერდზე გადადო საჭრეთელი და იქამდე ჯიუტად ხატა, სანამ საკუთარ გზას, ისეთსავე დიდს, მაგრამ განსხვავებულს არ მიაგნო.

მის გარდა არავინ იცოდა და ვერც ერთი მონდომებული ხელოვნებათმცოდნეც ვერ გაიგებს, როგორი ტანჯვისა და სიხარულის ფასად ხდება ეს ოსტატი „კაშინის ბრძოლის“ ავტორი,

ბურაბ დოჩანაშვილი
ნანიჯჯი

იმ უზარმაზარი კარტონისა, რომელიც მის სიცოცხლეშივე უცნობმა პირებმა ნაჭერ-ნაჭერ დახეიხეს და გაიქრეს. მაგრამ სამე მაინც შესრულებული იყო და საჭრეთელს მოწყურებულმა ოსტატმა მარმარილოს საბადოებს მიაშურა, კარარაში. ეს იყო მისი ტანჯული სიცოცხლის საუკეთესო წუთები — ეს სწრაფმავალი რვა თვე. ზღვის პირას, მარმარილოს მთებს შესაქცეროდა ოსტატი და ყოველ უზარმაზარ, უფორმო ლოდში შეეძლო ამოეცნო „დავითი“, „მოსე“, ან „მომაკვდავი ტყვე“ და, გაავებული, საჭრეთლითა და ჩაქუჩით მიადგებოდა, მოთმინებადაკარგული იქნევდა მარჯვენას და ნედლი მარმარილოს ნაკუწები ზხეფებად ცვიოდა ირგვლივ. როგორც დაკვირვებულმა ხელოვნებათმცოდნეებმა მისი დაუმთავრებელი ნაწარმოებებიდან შენიშნეს, ოსტატს ყველასგან განსხვავებული მუშაობის მეთოდი ჰქონდა, სხვებსავით თანდათანობით კი არ ამუშავებდა ქვას — ამორჩეულ ადგილს მიადგებოდა, დამჯერი საჭრეთლით გამოღრღნდა, უპოვნიდა სხეულის რომელიმე ნაწილს, ვთქვათ, მუხლს, მერე სხვაგან გადაინაცვლებდა, გამოუჩენდა მხარს... მისი გონებისა და მზერის წყალობით, ყოველ ლოდში მზამზარეული შედევრი იჯდა, რომელსაც მხოლოდ ნაქურჩალის შემოცლა ესაჭიროებოდა, ეს კი მან მშვენივრად იცოდა. მაგრამ მარმარილოსთან ჭიდილს მონატრებულ ოსტატს იმდროინდელმა უმაღლესმა პირმა ისევ ფერწერის განგრძობა დაუკინა და დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, ოსტატი დათანხმდა სიქსტეს პლაფონის მოხატვას. რადგან საჭრეთლზე დროებით ხელი ჩაიქნია, მთელი თავისი უნარი და ოთხი წლის სიცოცხლე ამ ექვსასი კვადრატული მეტრის მოხატვას შეალია და თავი რომ დავანებოთ ისეთ წვრილმანებს, როგორიცაა კონტრაპოტის, რაკურსის, პერსპექტივის, შუქ-ჩრდილის, ხაზისა და ფერის ურთულესი ხელოვნება, აქ გაჩნდა აზრი, მანამდე არნახული, გაუგონარი, უკიდეგანო...

მაგრამ სწორედ იმხანად დიდი ტრაგიკული ამბები დატრიალდა; მშობლიურ, მარვალტანჯულ იტალიას სხვა დროს არც დასტეხია ისეთი მძიმე ხვედრი: რომელიღაც კარლოსი, მერამდენიმეღაც ლუდოვიკო, შინაური ომები; ათასი ჯურის კარიერისტი, უფლებამოსილი ხეპრე, დაქირავებული მკვლელები, ალაპლაპებული ხანჯლები და კამკამა საწამლავი, ზარბაზნების გრიალი, ეპიდემია, შიმშილობა, ხოცვა-ჟლეტა, ის კი, ოსტატი, გულადმა იწვა ხარაჩოზე და, ფუნჯმომარჯვებული, კირსა და საღებავებში ამოთხვრილი თავად წაადგადა უზარმაზარ პალიტრას. იშვიათად კი, დაბუყებული მკლავის დასვენებისას, წამოადგებდა ხელს ბატის ფრთას და, ნათესაური გრძნობებით აფორიაქებული, მამა-ძმებს ასე და ამდაგვარად არიგებდა: „როცა გავიგე, მანდ რაც ხდება, გადავწყვიტე ჩემი აზრი შეგატყობინოთ. იგი ასეთია — რადგან ქალაქი განსაცდელშია, უნდა გაიქცეთ და ქონება და ყველაფერი მიატოვოთ, რადგან სიცოცხლე ქონებასა და ყველაფერზე უფრო კარგია. ფული თუ არა გაქვთ, მიდით სანტა მარია ნოვას ჰოსპიტალში და იქ აიღეთ, ჩემს სახელზე. თქვენს ადგილას რომ ვიყო, გავიქცეოდი სადმე შორს, ვთქვათ, სიენაში, დავიქირავებდი სახლს და მშვიდად ვიცხოვრებდი. სახელმწიფო საქმეებში ნუ ჩაერევით, იმოქმედეთ ისე, როგორც შავი ჭირის გაჩენისას: იყავით პირველნი გაქცევაში... უშფოთველად იცხოვრეთ და არავისთან არ გაბაძთ არც მეგობრობანა, არც ნაცნობობანა, ღვთის გარდა. ნურავიზე იტყვით ნურც ცუდს, ნურც კარგს, რადგან კაცმა არ იცის, რითი დამთავრდება ყოველივე ეს. იჯექით თქვენთვის სახლში — და მორჩა.“ „მანდ ჩემზე ჭორები დაუყრიათო, თითქოს მედიჩებზე ცუდი რამ მეთქვას. ღმერთმანი, არაფერი დამცდენია იმის გარდა, რასაც ყველა ლაპარაკობს, ქვას რომ ენა ჩაუდგა, ისიც ჩემსავით ილაპარაკებდა. ბევრი უბედობა მოვიისმინე და მხოლოდ ისა ვთქვი, რომ თუ ნამდვი-

ლად მართალია, რომ მედიჩები ნამდვილად ცუდად იქცეოდნენ, მაშინ ისინი ცუდად მოქცეულან. ღმერთმა ქნას, ყოველივე ეს სიცოცე აღმოჩნდეს...“

ზოგიერთმა მომთხოვნმა ხელოვნებათმცოდნემ სამარცხვინო ლაქად ჩასთვალა მისი ბიოგრაფიისათვის ეს წერილები — რატომ არ აღსდგაო ხმლით ხელში მტრების წინააღმდეგო, რა გულმა გაუძლოო, სამარცხვინოა, რომ ასეთი წერილები ეკუთვნოდეს დიდი მხატვრის ბატის ფრთასო, აღნიშნავდნენ. მაგრამ ოსტატს, ჯერ ერთი, თავისი საქმე ჰქონდა და მეორეც, მაშინ ვერ გაიგებდა კაცი, ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა, ვინ იყო მართალი — ეს მხოლოდ შემდგომ გამოარკვიეს ისტორიკოსებმა. მაგრამ როცა მისი მშობლიური ქალაქი, ფლორენცია ტირანიას აუჯანყდა, ხალხსაყვარელი ოსტატიც სხვების გვერდით დგა, საომარ საჭურველში გამოწყობილი და თავდაცვით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, მერე კი, „თეორი ტერორის“ დღეებში, დიდხანს იმალებოდა რომელიღაც ეკლესიის სამრეკლოზე. ბოლოს მაინც ყველაფერი აპატიეს — ოსტატი იყო, მერე როგორი...

ბრძოლითა და დაუსრულელი იერიშებით მოქანცული უმაღლესი პირი დროდადრო შემოივლიდა ხოლმე კაპელაში და ჭერს მოუთმენლად ახედავდა: „როდის დაამთავრებ?“ „როდესაც შეეძლებ“, იყო პასუხი. ეს ორად-ორი სიტყვა პირდაპირ აცოფებდა უმაღლეს პირს, განრისხებული აყვირდებოდა, წავიდოდა მერე, ითმენდა, იომებდა, დაიღლებოდა, ჩამოვიდოდა ისევ რომში, მაშინვე სიქსტეს კაპელას მიაშურებდა და ჯერ ალერსისნად შეაქებდა ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოს, მერე ფრთხილად შეაპარებდა. „მაინც, დაახლოებით როდის დაამთავრებ?“ „როდესაც შეეძლებ...“

რამდენჯერ გვსმენია კეთილი გულით ნათქვამი: „ეეჰ, იმას პატრონი რომ ჰყოლოდა... რამდენს მიაღწევდა?!“ ეს ზოგიერთისათვის შეიძლება მართლაც კარგი ყოფილიყო, მაგრამ ისეთ ოსტატს, ვის ნამუშევრებსაც ახლა ეკრანზე აჩვენებდნენ, რად უნდოდა პატრონი? პატრა ბიჭობაში, როცა გრამატიკის რვეულების ნაცვლად ამოღლიავებული ნახატებით ბრუნდებოდა შინ, მამა-ბიძეები უმოწყალოდ სცემდნენ — იმათ სამარცხვინოდ მიაჩნდათ მხატვრის ხელობა. და განა მხოლოდ ეს უშლიდა ხელს? საერთოდ, ცხოვრებაში, დიდი უცნაური კაცი იყო: ხან — თავდავიწყებამდე გაბედული, ხან — აცახცახებული ლაჩარი, მოულოდნელად თავსდატეხილი პანიკური შიშით გონებაარეული; ხანდახან — ძუნწი და უფრო ხშირად — მეფურად ხელგაშლილი; ფული ყოველთვის თავსაყრელად ჰქონდა, მაგრამ მუშაობისას ცარიელა პუოსა და წყალზე იჯდა; შრომობდა, როგორც კატორღელი და ცხოვრობდა, როგორც უკანასკნელი გლახა. მთელი ცხოვრება უძილობა სტანჯავდა, თვეობით არ იხდიდა ჩექმებსა და სამოსს; ჩაიძინებდა თუ არა, მაშინვე ზეზე წამოაგდებდა მუშაობის სურვილი. დედა ადრე გარდაეცვალა, მამაზე უკვე მოგახსენეთ; არა ჰყოლია ცოლი და შვილები, და თუმცა თაყვანისმცემლებით იყო გარსშემორტყმული, არად მიაჩნდა ყოველვგარი ქება; მტრებიც ულევად ჰყავდა და, თავგაბეზრებული, ჩიოდა — მუშაობაში ხელს მიშლიანო; ბევრჯერ ჩავარდნილა ლოგინად, ხანდახან იმედიც კი გადაუწყვეტიათ ახლობლებს, მაგრამ ის გასაოცარი ენერგია, ოთხმოცდა ცხრა წლის მანძილზე რომ გასწვდა, ზეხზე წამოაყენებდა ხოლმე. მარტობა თავად სწყეროდა, არც მტერს ნატრობდა, არც მოყვარეს — მუშაობაში ყველანი ხელს მიშლიანო. ათასი გეგმა ჩაეფუშა, ყოველთვის სხვების გამო — თვითონ არასოდეს, არაფერში ყოფილა დამნაშავე. გული ჰქონდა გაწვრილებული ათასი ქუთდისა და მაბეზღარასაგან, მსაჯულებამდეც კი მისული საქმე; იმ ქალსაც, რომელიც უყვარდა, მარტოდმარ-

გურამ დოჩანაშვილი
ნაგიჟი

ტოს არასოდეს შეხვედრია. ერთი უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება ომიანობისას ზარბაზნად გადაადნეს; „დავითს“ ხელი მოსტეხეს; დაიკარგა პროექტი, რომელზედაც ოსტატმა ერთადერთხელ იხმარა სიტყვა „გენიალური“; და როცა სიქსტეს საკურთხევლის დიდ კედელზე საკუთარი ნება-სურვილით დახატა „განკითხვის დღე“, ზემდგომმა პირებმა სხვა მხატვრის ხელით შიშველ ფიგურებს ტანსაცმელი „ჩააცვეს“... ზოგიერთი მისი ქანდაკება მოგვიანებით სამიზნედ გამოუყენებიათ და სროლაზე ვარჯიშობდნენ; საუკეთესო ნაწარმოები დაუხერხეს, მაგრამ ოსტატი...

„ეს გასაოცრად მთლიანი ბუნების ადამიანი ყველაზე მეტად იმით გვაკვირვებს, რომ მასში გაერთიანებულია მტრული სამყაროები: მატერიალური სიტლანქე და იდეალიზმი; წარმარადული ძალითა და სილამაზით თრობა და ქრისტიანული მისტიციზმი? ფიზიკური ძალისა და ინტელექტუალური აბსტრაქციის შერწყმა; პლატონიკური სული ათლეტის სხეულში. ამ საწინააღმდეგო ძალთა ეს ურღვევი კავშირი, რომელიც ნაწილობრივ, უეჭველია, მისი ტანჯვის მიზეზიც იყო, იმავე დროს მის განსაკუთრებულ სიდიადეს ქმნის“.

„ეს უზენაესი მხატვრობა ნიმუშად უნდა იქცეს ჩვენი ხელოვნებისათვის. ღვთიერმა განგებამ ეს საჩუქარი ქვეყანას იმისთვის მოუვლინა, რომ ეჩვენებინა, რა დიდი გონებით შეუძლია მას დაჯილდოვოს ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც ქვეყნად გზავნის“.

უცნაურია, მაგრამ სიქსტეს კაპელამ მხატვრობა ჩიპკლი იტალიაში, კარგახანს აღარ გამოჩენილა ნამდვილი ფერმწერი, ვიდრე ახსოვდა თავისი საქმე — კაპელაში ისხდენ და კოპიოებს აკეთებდნენ, ოსტატის მოხატულობით გაოგებულნი. ერთმა ცნობილმა მწერალმა ისიც კი თქვა, რომ ასეთი გენია მომაკვდინებელია სხვა ხელოვანთათვის, რომ ასეთ ნამუშევრის მხოლოდ წამით უნდა გაუსწორო თვალი, თორემ თვალს მოგკრის. მაგრამ მწერალს, ეტყობა გადაავიწყდა, გონიერი ფერმწერის გენია რა უცნაურად დაეხმარა თავის დროზე ოსტატს... „ეს ზეადამიანური“... „ეს კოლოსალური“... „ეს გენიალური“... — ამბობენ მკაცრი ხელოვნებათმცოდნენი, თავად ოსტატი კი სიქსტეს პლაფონზე მუშაობისას ტიროდა თურმე — „დროს უბრალოდ ვკარგავო“... ისე, ზოგიერთმა მომთხოვნმა ხელოვნებათმცოდნემ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გაკეთა ოსტატის ნამუშევრებზე. შენიშვნა, როგორც ასეთი, რამდენიმეა — ერთი, რომ სიქსტეს პლაფონის ფიგურები რამდენადმე მომცროა, თორემ სხვაფრივ კარგია; მეორე—რომ „დავითს“ შედარებით დიდი ხელები და თავი აქვს (ისე, ოსტატი იძახდა ხოლმე, რომ დიადი საქმის შესრულება ძალუძს მხოლოდ იმ ხელებს, რომლებიც თავს ემორჩილებიან); და მესამე, უკანასკნელი, რომ წმინდა პეტრეს ჯვარცმა „ზედმეტად ვირტუოზულადაა შესრულებული“... ესაა და ეს.

თავად ოსტატი კი ხანდახან გამწარებული დაიყვირებდა: „ფერმწერი არ ვარ! არა ვარ ფერმწერი!“ და ბარათებს სახელთან ერთად აუცილებლად მიაწერდა ხოლმე — მოქანდაკე. და ახლა ეკრანისაკენ გადახრილი მაყურებელი გაოცებული მისჩერებოდა მის ქანდაკებებს — ოთხმეტრიან დავითს, მოსეს, დედას — ნაწამები შვილით მუხლებზე, გაბაწრული ტყვეს, მედიჩოა აღლამის საღამოს, დილას, ღამეს, დღეს, ბრუტუსს, რომდანინის პიეტას... მის გასაოცარ არქიტექტურულ ნამუშევრებს — სან ლორენცოს საჯარო ბიბლიოთეკას, წმინდა პეტრეს ტაძრის ეუმბათს... სიცოცხლის უკანასკნელი წლები თურმე მთლიანად არქიტექტურას შესწირა, მაგრამ საჭრეთელს მაინც არ ეშვებოდა. ღრმად მოხუცებული, ღარიბ ქალიშვილებს მზითევს უგზავნიდა, მაგრამ ცდილობდა, კეთილსმყოფელის ვინაობა არ გამოაშკარავებულიყო. ქანდაკებებზე ღამღამობით მუშაობდა. ძილგატეხილი, თავატკივებული, ხელები თავისუფალი რომ ჰქონოდა, თავზე მუყაოს ქუდს იხურავდა და სანთელს ამაგრებდა ზედ... ეს თავისთავად

შედეგრი იყო — ოთხმოცდაცხრა წლის ოსტატი, გაავებულად მომუშავე, თავზე მოღიცლიცე სინაოლით... სიკვდილამდე ექვსი დღით ადრე ცხენით მისული წმინდა პეტრეს ტაძართან... ოთხი დღით ადრე, სიცხიანი, წვიმაში დამდგარა... მერე კი, ერთგული თაყვანისმცემლების თანდასწრებით გარდაცვლილა მიქელანჯელო, ეს შესანიშნავი პოეტი, უდიდესი არქიტექტორი, გენიალური მხატვარი და... და მოქანდაკე.

„ო, საოცარო და ამაღლებულო ადამიანის დანიშნულებავ!“ — წამოუძახია ერთ ადამიანს,—ჰოი, საოცარო და ზეამაღლებულო ადამიანის დანიშნულებავ, რომელსაც ძალგიძს მიაღწიო იმას, რასაც ესწრაფვი და იყო სწორედ ისეთი, როგორც შენ გინდა“... მაგრამ თავად ოსტატს სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე უთქვამს, „ძალიან მენანება სიცოცხლესთან განშორება, რადგან ახლახან ავიდგი ფეხი ჩემს პროფესიაში“.

ეს იყო საოცარი, საზარელი სიტყვები და სინათლეც აინთო. ეკარანზე აღარაფერი ჩანდა, მაგრამ ეს სიტყვები... „ახლახან ავიდგი ფეხი“... მერე ვინ თქვა! კი მიხვდა გოგია ეუმანით ყველაფერს, გოგია გახსოვთ ალბათ, აი, სწორედ ის, პურზე რომ გზავნიდნენ, ღუმელთან რომ თბებოდა. ყელში რაღაც ამოებურცა, ცრემლები მოაწვა და უცებ, თავის პატარა სიცოცხლეში პირველად, მუშტებად შეეკრა თითები — დავითი დაუდგა თვალწინ, მარმარილოს, ოთხმეტრიანი; მაგრამ მთელი თავისი სიმძიმით დააწვა გოგიას ქვის გოლიათი, სული შეეხუთა, ჰაერზე გავიდა, ამანაც არ უშველა; ვეკრიდი რომ კინოდარბაზი იყო, იქაც დამთავრებულიყო ფილმი, გამოდიოდნენ მაყურებლები, ძლივს მიიკვლევდა გოგია გზას ზღვა ხალხში... რატომღაც მხოლოდ დავითი ედგა თვალწინ, დიდთავა, გრძელმკლავა, ნესტოებდაბერილი, ერთიანად დაძაბული... მთელი თავისი სიმძიმით დააწვა თითქოს საწყალ გოგიას, რაღაცა უნდა მოეფიქრა, რაღაცა უნდა ეღონა, ცუდად იყო საქმე... რაიმე უნდა ეღონა! მოიკუნტა გოგია, ორად მოკეცა თავსდატეხილმა სიმძიმემ, თითები გაეშალა, მობუზული მიაბიჯებდა, თვალს ქუჩას აუყვა, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯს აუჩქარა, ხელი ჰკრა კარს, დაკეტილი დახვდა, ჯიბეზე გაიკრა ხელი, გასაღები ამოაძვრინა; კარი შეაღო, ოთახში შეაბიჯა, ბნელოდა; ხელი ასწია სინათლის ასანთებად, მაგრამ გადაიფიქრა — რატომღაც სიბნელე მოუხდა. კარი მიხურა, კუნაპეტში იდგა და იცოდა, გრძნობდა, რაღაცა რომ იყო საჭირო, რაღაც აუცილებელი... რა, მაინც რა — რას მივარდნოდა, რა გაეხსენებინა ისეთი, თეატრში რომ აბონემენტით დაიარებოდა? შესასვლელი უცნაურად რომ იყო განათებული? რომელიმე კლასელი... არა, არა. ცხელი პური რომ მოჰქონდა, წვიმა რომ მოდიოდა, ღუმელთან რომ იდგა... არა, არა, რაღაცა სხვა იყო... ფიზ-მომზადების გაკვეთილები, გაზეთის კითხვა, მამა რომ მოუკვდა? დედა რომ ავად გაუხდა, ბაზარში რომ... პალტო შეიხსნა გოგიამ, ამოიღო ჯიბიდან თოთხმეტი მანეთი ფული, მაგიდაზე დაადგო, მერე კაშნე შემოიძრო და საწოლისაკენ ისროლა, პალტო არ გაუხდია, ისე იდგა, მანქანა რომ დაეჯახა, თანამშრომლები მიკროსკოპში იყურებოდნენ, არა, არც ეს, არც ეს... ვერაფერი მოიფიქრა ისეთი, არადა, რაღაცა ნაღდად იყო საჭირო, რაღაცა აუცილებელი, გამამხნევებელი, რაღაცა იყო... იყო... იყო, ნამდვილად იყო! კი, კი, ნამდვილად! — დიდი ვირთხა, უმწეოდ გაჭიმული თათებით, თვალებში ვედრებითა და სევდით... კი, კი, ნამდვილად იყო! ის ქალებიც, უცნაური ქალები, ნამდვილად იყვნენ! ეს მოხდა, მოხდა, მოხდა, იმეორებდა გოგია, ეს ხომ მართლა მოხდა? ეს მართალია, ნამდვილია... მუშტებშეკრული, მცირე ხანს ასე იდგა, აფორიაქებული, გახარებული, და უცებ თითქოს ხე-

გურამ დოჩანაშვილი
ნაბიჯი

ლიდან ნელ-ნელა გამოეცალა ყველაფერი, მოხდა, მოხდა, ისევ იძახდა, მაგრამ რატომღაც სიძლიერეს ჰკარგავდა ეს სიტყვები და უიმედოდ ებღაუჭებოდა ამ „მოხდა, მოხდას“. და უეცრად, სიბნელეში, გოგიამ საოცრად ცხადად წარმოიდგინა უზარმაზარი ვირთხა, ისეთი კი არა, მომაკვდავი და დახმარების მომლოდინე, არა, ნამდვილი—ისე აშკარად გაარჩია მისი უსიამოვნო, მოწითალო თვალები, გლუვი, ლაპლაპა, საზარელი ბეწვი; გოგია ხედავდა დაჭიმულ, გველის წიწილასავით კუდს, წაწვეტებულ ყურებს, მის ცივ, გაყინულ ცხვირსაც გრძნობდა... და იმ სიბნელეში, გასაოცარი სიჯიუტითა და ძალ-ღონის მოკრეფით, შიშით აღვსილმა, მუშტად შეკრული თითები წვალებით გაშალა და იმ საზარელ სხეულს დინჯად, აუჩქარებლად გადაუსვა; მაშინვე ყველაფერი გაქრა, გოგია გრძნობდა მხოლოდ საკუთარ ხელს, ხედავდა სიბნელეში გაფაციცებულ თითებს—ეს იყო უკანონები გონებას დამორჩილებული, ხუთი აცახცახებული თითი და გონიერი ხელი, საკუთარ მოძრაობაში დარწმუნებული და მაინც აცახცახებული, და გონიერი, აცახცახებული, როგორც უკანასკნელი სტრიქონით აფეთქებული, გაბრწყინებული ლექსი და გონიერი, როგორც ზღვასმიახლოებული მდინარის სიმშვიდით დამთავრებული პროზა...

და, თუმცა გოგიას სამიოდე დღის შემდეგ ისე ცხადად აღარ ახსოვდა ყოველივე ეს, მეხსიერების ფსკერზე მაინც სამუდამოდ დაელექა იმდღევანდელი ამბავი, როცა საკუთარ თავს შეეჭიდა, დაჯაჯგურა და წამით მოერია...

ესეც საქმე იყო.

მ ა რ ი ხ ი

აღარ არსებობს აღარც მანძილი, აღარც ჟამი და აღარც თარიღი,
შენ არ ხარ ჩემთვის მხოლოდ ვარსკვლავი,
შენ არ ხარ ჩემთვის მხოლოდ მარიხი.
შენ მოხვედ ჩემთან, ხარ მიწიერი, როგორ შრიალებს
გესმის ნეკერი,
შენ ფეხშიშველი მწყემსი გოგო ხარ, მცხეთის სერებზე
თხებს ერეკები...
მაგრამ ჩვენება წამიერია. მიჰყვება ჟამის სრბოლას და შხუილს,
გესმის? გულგრილი უსასრულობა სერზე დაჯდა და მგელივით ყმუის.
შენ გეძებს ჩემი ერთგული მზერა, მაგრამ გულგრილად
დამყურებ მაღლით,
მე არ მსურს, არ მსურს, რომ იყოს ერთი, მე გიყურებ თუ
ბუჩქები მაყვლის.
უსასრულობით თავბრუდახვეულს, თავბრუდახვეულს შენით და მცხეთით,
ამიციმციმე თვალის კანკელი, მე არაფერი არ მინდა მეტი.
მე ვარ მოკვდავი და ვარსკვლავს ხელი არ მიგიწვდება
ჩემს წუხილამდის,
შენი სინათლე სახილველია, მე კი სინათლე მაქვს უხილავი.

ა პ რ ი ლ ი

გათავდა! გუშინ მზეზე ბრწყინავდა ჩემი ქალაქის ოქროს
ტიარა,
ნაცარწაყრილმა სულმა დუმილის გრძელ და უფერულ გზებზე
იარა.
მქონდა სურვილი, მაგრამ ბუნდოვანს ყველგან მაღალი
დახვდა მესერი,
იგი ჯერ სუსტი მცენარე იყო, ჩემს სულში თრთოდა მისი
ფესვები.
მე არავისთვის არ გამიყვია, რაც სითბო მქონდა,
იმას მივეცი,
და ვამწიფებდი სურვილის ნაყოფს იანვრის თოვლში და
სიცივეში.
ის იზრდებოდა, როდესაც ვთვლემდი, ის იზრდებოდა,
როცა მათოვდა,
და თოვლი იყო სპეტაკი, როგორც ხელისგულები უსინათლოთა.
ისე ციოდა, ისე ყინავდა, რომ წკმუტუნებდნენ გარეთ
ლეკვები,
იყო გონება ისე ცივი და ისე ნათელი, ვით მზე დეკემბრის...
მაგრამ გათავდა! გადნება ჩემი თავშეკავება ამ გაზაფხულში,

ეს ლტოლვა არის და რომ მომელის, ის თრობა არის
ჩემი მარყუჟი!...
მე ვიცი, უნდა აპრილი მკერდით ჩემს ფანჯარაზე
გადმოიხაროს,
გაოგნებული ისევ კლანჭებში ჩავუვარდები ველურ სიხარულს
გაწამებული და ნაზამთრალი ვეღარ გაუძლებს წყურვილთან
ჭიდილს,
ამღვრეულ ზვირთებს დაეწაფება ღამის წყვდიადში დახრილი
ხიდი...
თავბრუდახვეულს ყოველი ლოდი მომეჩვენება ჩაჩოქილ
კრავად,
როდის დაგიხვდე კრწანისის ველზე,
მითხარ, აპრილო, მე შენი ძმა ვარ!..

ქაღალდის დედოფალი

იგი ქაღალდის დედოფალია, ის მოდის ჩუმად და
ფეხაკრეფით,
ღამის მომხიბლავ იდუმალებას უერთდებიან როცა საგნები.
აკვნესებული ღამის ხელებში, ღამის ვნებაა და განსაცდელი,
იგი იცინის თოვლის სიცილით, ქაღალდის თმა აქვს
და ტანსაცმელი...
დამორჩილებულს, ოცნების მსახურს მყავს დედოფალი
და იმ დედოფალს,
როცა ინებებს და გადმომხედავს, შეეჩივი ბედსა და უბედობას.
მე მის თვალებში ვეძებ სიხარულს არც გუშინდღიდან
და არც დღეიდან,
მან იშვიათად იცის ალერსი და მხოლოდ ზოგჯერ უკრავს
ფლეიტას.
ის პირქუშია. ყრმა მეოცნების ამაყი სული დიდხანს ომობდა,
რომ გაჰქცეოდა თეთრი ქაღალდის, თეთრი დედოფლის
ქვეშევრდომობას.
მაგრამ ამაოდ.
ვიქეცე მსახურად და არასოდეს არ ვღალატობდი,
მე კვლავ ვაშენებ ოცნების კოშკებს და მე ოცნების
ვარ კალატოზი.
მე მუდამ მაღლა ასვლა მწყუროდა და ჩამითრია ჩუმი ასკეტი,
სიყვარულია თავდაპირველი და გატაცება უკანასკნელი.
ის ღამით მოდის ჩემს მაგიდასთან ჩუმი შრიალით
და ჩვენს ჭიდილში
მე სულსწრაფობით ვმარცხდები მხოლოდ და ის იმარჯვებს
მხოლოდ სიდინჯით.
იგი დილამდე მბრძანებლობს ასე, მერე ქაღალდებს გაშლის
აფრებად
და გაიცინებს თოვლის სიცილით, როგორც მოვიდა, ისე
გაქრება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტყვიამფრქვევი

შენს ძვირფას სახელს რომ ახსენებენ, კვლავ ტყვიამფრქვევის
ისმის კაკანი
და წარმოდგენის პირობითობას ემორჩილება ყველა საგანი.
სადღაც მინდორში დგას ტყვიამფრქვევი და დავიწყების
უხილავ ჯებირს
დაძგერებული ჩემთვის კაკანებს...
ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები.
ის მიჯრით ცელავს საფლავის ქვებში დამკვიდრებული
დუმილის ბალახს,
გაოგნებული დუმილის ფოთლებს და მერე ყურთან წივის და
ფარავს
ძლევამოსილი გონების შფოთვას, ჩიტების ჟივილს, ქალების
კისკისს,
მაგრამ ეს მხოლოდ გრძელდება ერთ წამს
და ტყვიამფრქვევის იცლება დისკი...

ს ი გ ზ მ ა რ ი

არ არის ჩონჩხი. არა აქვს ცელი. მაგრამ მომდევს,
ქუჩაში მომდევს
გამოვექეცი.
ამოვირბინე დაქანცულმა ჩემი აღმართი.
და კარს ვეძგერე.
აღარ მესმის ნაბიჯების ხმა.
ჯიბეში ხელი ჩავიყავი და გასაღებს ძლივს მივაგენი.
გადავაბრუნე საკლიტურში ხელის კანკალით.
გავაღე...
მალე!
მალე!
მალე!
მინდა შიგნიდან რომ გადავკეტო.
გადავაბრუნე გასაღები ერთხელ, მეორედ...
ათჯერ. ათასჯერ. ათიათასჯერ.
არ იკეტება!
არ იკეტება!
არ იკეტება!
აკანკალებულს მესმის ფეხის ხმა.
ვიღაც აწვება უკვე კარს და მალე გააღებს.
მე კართან მესმის მისი სუნთქვა და მეღვიძება...

აკვანთან მოსულ მზეს უცინის ჩვილი ირაკლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ვ ი ნ დ ი

გაღვიძებული ბუნების მზერა ეფინებოდა დაცემულ მინდორს,
ეგ შენ იყავი, შენ იცინოდი, მე დაგინახე,
ყვითელო შვინდო!...
მიუწვდომელის მოჩვენებითი მოახლოვებით და დღის სიახლით,
უბიწოებით და წინათგრძნობით შენ დამიმშვიდე სულის
წიაღი.
შენ ვერ გაქრები, აქ უნდა იდგე და ჩანდე, როგორც
აქამდე ჩანდი,
ათრთოლებული სულის ბურუსი და სიხარულის ნათელი ლანდი.
შენ ხარ ძლიერი, თუმცა უმწეოს ქარმა ხელები გადაგიგრიხა,
მაგრამ ბუნებას ვერ უღალატე, გაღვიძებული მისი
ფიქრი ხარ!...
შენ რომ ჩემს სულში არ ფართხალებდე, არ იცინოდე,
არ დაირღვევა
დღისა და ღამის თანმიმდევრობა, მაგრამ შეწყდება
ჩემი სიმღერა.
მე შენს კოცონთან როცა მოვდივარ, თავბრუდახვეულს
მათრობ და მათბობ,
და მე ვარ წმინდა, რადგან წმინდა ხარ და თავდახრილი
ბავშვივით სათნო.
მაღლა მიიწევ და იზნიქები გაჩაღებული სულის ღადარი,
შენს აყვავებულ ბუჩქთან იმსხვრევა დღეს ურბანიზმი
და მაკადამი.
ვარ დათრგუნვილი მაგ სიამაყით, მე ვისაც ასე ვნატრობდი,
ის ხარ,
შენ გაიღვიძე და ამოხეთქა შენმა სურვილმა და შენმა
სისხლმა.
შენ ვერ მიხვდები, შენს აყვავებას როგორ ველოდი,
ყვითელო შვინდო,
და არის შენი უსიტყვო მზერა ჩემი უგნური ოცნების ჯილდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„...ვინ არის ეს სამეგრელოს თავადის ასული, რომელიც ახალგაზრდა მიერატს ცოლად გაჰყვა? იგი ხომ არაა ასული შამილის მიერ ერთ დროს ტყვედ წაყვანილი თავადის ქალისა, რომლის მიერ დაწერილი თავგადასავალი სადღაც წამიკითხავს?“

პროსპერ მერიმე, 1868 წლის 24 მაისი.

პროლოგის მაგიერ

სიყრმის მეგობარი მწერდა: — „თქვენი „ეკატერინე ჭავჭავაძე“ წავიკითხე, დავამთავრე და გული დამწყდა... მომეჩვენა, თითქოს ზოგი რამ უთქმელი დაგრჩათ... სხვა არა იყოს რა, მე ეკატერინეს შვილების ბედიც მაინტერესებდა... ეპილოგში მაინც გეთქვათ ორიოდე სიტყვა მათს შესახებ“...

ამ ბარათის პასუხი თქვენთვის არ მომიწერია, ჩემო კეთილო მეგობარო, მოკლე წერილით ვერ დავაკმაყოფილებდი თქვენს ცნობისმოყვარეობას. თან ამ წიგნზე ვმუშაობდი. ახლა, როცა ეს წიგნი დაიბეჭდა, პირველ ცალს თქვენ გიგზავნით. ეგებ ეს გამოდგეს ბარათის პასუხად...

ისე კი, გთხოვთ გამიგოთ, რომ მე ერთი კაცისა და ერთი ოჯახის ბედი არ მაინტერესებს, თუნდაც ისეთი დიდებული ადამიანისა, როგორიც ეკატერინე ჭავჭავაძე იყო. მე უფრო ის მაინტერესებს, რანი ვიყავით გუშინ, რა ინტერესით, ფიქრით და ოცნებით ცოცხლობდა ჩემი ხალხი, ქართველი ერი, რანი ვართ დღეს და როგორი უნდა ვიყოთ ხვალ...

ამის გასაგებად ერთი კაცის ბედის აღწერა, რა გინდ დიდი ადამიანიც არ უნდა იყოს იგი, არა კმარა. მე ისიც ვიცი, რომ არც ერთი და ორი წიგნი დაატევს მთელი ეპოქის ამბავს, ამიტომაც ქრონიკა დავარქვი ამ ჩემს წიგნებს. ქრონიკის ენით აღვნუსხე ის, რაც დიდებული და საინტერესო იყო გასულ საუკუნეში, რაშიაც უნდა მივბაძოთ ჩვენს წინაპრებს

და ისიც აღვწერე, რაც უღირსი და უვარგისი იყო იმ დროში, რაც უნდა უკუაგდოს და თავიდან ჩამოიბერტყოს ჩემმა ხალხმა. ასე ვფიქრობდი მაშინ, როცა „ეკატერინე ჭავჭავაძეზე“ ვმუშაობდი და ასე ვფიქრობ ახლა, როცა ეს მეორე წიგნი დავამთავრე. დიახ, ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ერთი კაცის საქმენი და ბედი მთელი ერის ბედს არ უღრის. მაგრამ დიდ ადამიანებს დიდი წვლილიც აქვთ ერის ცხოვრებაში, თავიანთი ეპოქის სულიერ ცხოვრებაში...

ჩვენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესმა ასულმა დავგაინტერესა, როგორც ქართველი პოეტების გაუხუნარმა მუსამ, რომელმაც მოხიბლა მთელი საქართველო, რუსეთის იმპერია და თვით პარიზიც განაცვიფრა. ამავე დროს მისი სახელშეფიფობრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მისი პირადი დამოკიდებულება საყოველთაოდ გამოჩნინებულ ადამიანებთან ყველაზე ტიპიურად წარმოგვიისახავს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს.

ეკატერინე ჭავჭავაძე ის ოჭროს ლურსმანი აღმოჩნდა, რომელზედაც აკიდის დარად ჩამოვკიდეთ, რაც ულამაზესი და უმშვენიერესი იყო იმ დროის საქართველოში. მაგრამ შიგ ძალღაურძნაცა გაერია, რადგან თვითონაც რთული არსება იყო და ეპოქაც გარდამავალი.

ისიც სათქმელია, რომ საქართველოს ეროვნული ფრთა კუბის პატრიოტიზმს აყოლილ ფეოდალებს ლაფში ჩადაეგდოთ და თუ ვინმე იმთაგანი მოიგონებდა ამ დროშას, ისიც საკუთარი კარმიდამოსა და პირადი სახახლის კეთილდღეობისათვის.

მაგრამ საქართველო ბედს არ გაეწირა: მის ეროვნულ დროშას მეცხრამეტე საუკუნეშივე გამოუწნდნენ ნამდვილი პატრიოტები, მამულიშვილები. მათ ჩამობერტყეს ტალახი და მტვერი, ერის სახელით ზე აზიდეს ერთიანი საქართველოს ეროვნული დროშა და ხალხს წაუმძღვარეს. ერთიანი საქართველოს ამ დროშას ეროვნული ღიზნეგების როდი აკმარეს — სოციალურიც წაუწერეს: შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი ძლეგამოსილი ამ საუკუნის...

აქ გაიყარა გზები ძველი და ახალი საქართველოსი, ძველი საქართველოს მშვენება — ეკატერინე ჭავჭავაძე ახალი საქართველოს ბელადებს ჯერ გაებუტა, მერე ჩამოსცილდა სულიერადაც და ფიზიკურადაც.

საქართველო კი კვლავ ფეხზე იდგა, როკორც წაუქცეველი ფესვმაგარი ბუსა...

ეკატერინე ჭავჭავაძე 66 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი თაობის ლამაზმანები და მისი საზოგადოების წევრებიც ნელ-ნელა ჩაიფერფლნენ. დედოფლის სიკვდილმა ყველაზე მეტად დააღონა ეკატერინეზე დიდად უფროსი გრიგოლ ორბელიანი, ძველი თაობის მეთაური და გამგებელი. გრიგოლს სიბერის ჟამს ორად ორი მეგობარი შერჩა: ყაფლანი და ეკატერინე; ყაფლანი, რომელსაც ყოველ უთენია უსმობდა ხლიმე პოეტი, მერე ერთად დადიოდნენ ქალაქში და ერთად იოკებდნენ სვედას გარდასული დღეთა მოგონებებით — 1878 წელს გამოეცალა. უფრო ადრე, 1875 წელს პლატონ იორამანიანი წავიდა ამ ქვეყნიდან. მას შემდეგ ეკატერინეზე შერჩა და ახლა ამანაც უმეუხოლა „მოწუენებულ ბეწერალს. და ის იყო ვიგბით სავსე სიტყვები აღმოხდა ეკატერინეს სიკვდილის გამო: „ბნელდება საქართველო“... ყოველივე ამით გულმოკლულ გრიგოლ ორბელიანს ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ ერთი წელიც არ უცოცხლია: 1883 წლის 21 მარტს ნაშუადღევის 4 სათსა და 35 წუთზე აღესრულა ძველი საქართველოს ბაბა გრიგოლ ორბელიანი. ამით დასრულდა კიდეც დიდგვაროვანთა საქართველოს ის ეპოქა, რომლის ეფმი და ლაზათი მიაკო და მანანა ორბელიანები, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები იყვნენ...

წავიდა ძველი თაობა, დაცარიელდა ასპარეზი. ახლა ახალმა თაობამ არა მარტო იდეურ ბრძოლაში დაამსხო ძველი, არამედ ფიზიკურადაც დაიკაკა მისი ადგილი.

ილიასა და აკაკის თაობა გახდა მეფრონე, მეთაური, წინამძღოლი მთელი საქართველოსი, გამგებელი და ბატონ-პატრონი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა. ჟურნალ-გაზეთებიც მის ხელში იყო და ქართული თეატრიც, ბანკიც და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც. ახლა მათ შესცქერიდა ქართველი ხალხი იმედით, რწმენით, სასოებით, მაგრამ გავიდა დრო და სურათი ისევ შეიცვალა. ასპარეზზე გამოჩნდა ვერონაშვი განათლებამიღებული ახალგაზრდობა, რომელმაც სოციალიზმის ქადაგება დაიწყო და შეუტია 60-იანი წლების მოღვაწეებს. ისევ დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა თაობათა შორის. ახლა ძველ თაობას, ილიასა და აკაკის თაობას უწოდებდნენ და ახალგაზრდობა ცდილობდა ის სახელი და დიდება, რომელიც შარავანდედად ადგა ილიას თაობას — დაემცირებია და თავად აეღო დრომა მეთაურობისა. ახლა ამ თაობას „ეგსამე დასი“ შეარქვეს სახელად. ფა აი, დაიწყო უფრო ძმაფრი და დაუნდობელი ბრძოლა, ვიდრე ოდესმე ყოფილა თაობათა შორის გაჩაღებული საქართველოში. „ეგსამე დასელებმა“ თავი შეაფარეს ჯერ გაზეთ „კვლოს“, შემდეგ „მოამბეს“ და შეუტიეს „ივერიასა“ და ილიას, ისევ ყველაფერი აირია, ისევ გამძაფრდა ბრძოლა, დაკეკეფება, შეხლა-შემოხლა, უთანხმოება. ასე გადაიგრგვინა საქართველოს ცაზე ურთიერთი მოკლენების გრიგალმა.

ეკატერინეს შვილების გზაც მის ტალღას მიაყვა. 90-900 წლების საქართველოს საზოგადოებრივი სულისკვეთების გამოსახატავად დიდად დაგვეხმარა ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების ამბავი და ჩვენნი სიამოვნებით ჩაკრთეთ ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ რთულ ორომტრიალში.

ჩვენც გავყვეთ მათ ნაკვალევს...

მაშ ისევ ფაქტებს მივყვეთ, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ღაღადს მივუგდოთ ყური. ისინი უფრო კარგად ეტყვიან ცხრაასიანი წლების საქართველოს სათქმელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთავრო სასახლის რღვევა ჯერ კიდევ ეკატერინეს სიცოცხლეში დაიწყო, დედოფლის ავადმყოფობის ჟამს უფრო გაღრმავდა ეს პროცესი, როგორც ეკატერინეს სიკვდილის შემდეგ კი მთლად აშკარა შეიქნა დადიანების სამთავროს ღისასრული.

დაკრძალეს დედოფალი და მეორე დღესვე აირია სასახლის კარი. ახლა ყველა გასაქცევად ემზადებოდა: ანტრო იტალიაში აშუიტებოდა, სალომე კი მარტვილიდან გორდს არც მობრუნებულა, იქვე ცივად გამოეშშვიდობა ძმებსა და რძალს და მიურატების ოჯახს მიაშურა.

ერთიდერთი, დადიანების სამთავროში, ვისაც ეკითხებოდა და ეკისრებოდა ოჯახის ბედი, ისევ ნიკო იყო. ბედმა მას ტახტი ხელიდან წაგლიჯა, მაგრამ ტუსეოს მეფემ მინგრელკის ტიტული უბოძა და ამით დინასტიაზე უფლების მაძიებლის გზაზე დატოვა. უგვირგვინო უფლისწულის მდგომარეობაში მყოფი ნიკო დადიანიც მუდამ გვირგვინზე ოცნებობდა "ნინ თუ გარეთ. ამ აუხდენელმა ოცნებამ მთლად გადარია ისედაც ნერვებაშლილი ბატონიშვილი...

დედოფლის გარდაცვალების მეორე დღესვე მიიწვია ნიკომ სასლოუხუცესი. სასლოუხუცესი სახელად შერრა არჩილ დადიანს, თორემ ახლა ისეთივე ჩვეულებრივი მოურავი იყო, როგორიც ჩიჩუებს, ფალდაგებს, ჩიქოვანებს და დგებუაძეებს ჰყავდათ.

სწორედ ეკატერინეს დასაფლავების მეორე დღეს "შედგა" ეს საუბარი:

— რა ეშველება ახლა ჩემს ოჯახს, ბატონო არჩილ, აა? სახლოუხუცესი დუმდა.

ისევ გიამორა ნიკო დადიანმა კითხვა:

— არა, მაინც რა უცაბედად დაინგრა საუკუნეობით ნაგები ჩვენი სამთავრო, უცაბედად, უსწრაფად და უთავბოლოდ, არა, სახლოუხუცესო?

სახლოუხუცესი ისევ დუმდა.

— არჩილ ჩემო, შენც კარგად მოგეხსენება და სხვებსაც, რომ არც დუდაჩემი და არც მამაჩემი ცუდად არ მოქცეფთან ჩვენს კუთხეს. რაც შეეძლოთ, სწორედ რომ თავს არ ზოგავდნენ. მერე რა, უმადურებმა არ დაგვაყენეს, არ მოგვასვენეს, დედაჩემი სამთავროს დარღს გადაპყვა, ჩემი საქმეც აიწეწა. ალექსანდრე II-ის სიკვდილის შემდეგ მეც ეძების თვალით მიყურებენ. ახლა მეფესთან აროროსის გაკარება აღარა სურთ. თვით არ ვიცი, რა მომელის ან სათ გადამაგდებენ ის ოხრები.

ამიტომაც მივეშურები ახლა პეტერბურგს.

თუ კაცი ხარ აკეკრობისა შენ იცი, შენს ანაბრად ვართ ოჯახიცა და მეც დარჩენილი, "ენი ერთგულებისა მჯარა ალ, ემერთსა ვთხოვ, ეს უკანასკნელი იმედი არ დამიკარგოს.

ეს თქვა და მოწყალების მზერა მიაპყრო დადიანმა სახლოუხუცესს.

სახლოუხუცესი იდგა და გაშტკერებული "მიწას ჩახჩერებოდა, თითქოს მას არ ეზებპო ყოველივე ის, რასაც ახლა დადიანი ამბობდა.

დადიანმა ისევ განაგრძო:

— ის ვალი, რაც ხაწყალ დედაჩემს დარჩა და ისიც, რაც დამარხვაზე დაინახეჯა თუ ამ შემოდგომამდე ვერ გავიხტუმრეთ, დავიღუპებით, ყველაფერს აგვიწერენ და წაგვართმევენ. პეტერბურგს ჩავალ თუ არა, იმპერატორს ვთხოვ დახმარებას და იქიდანაც მოგამეფეულ რამეს. ისე კი, შენ იცი ჯა შენმა გარჯამ. წელს მოსავალი კარგი პირი უნანსო, შენ თვითონ ამბობ და, რაკი ისეა, ღმერთის მთლად არ გავუწორიგარო, დანარჩენი შენზეა, ჩემი არჩილ. მამეუფის შემოსავალი თუ არ დაკკარგეთ, იმდენი მაინც იქნება, ვალი დაეფაროთ, არა?

არჩილი ისევ ფუდმა, მაგრამ ნიკოს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ღუმილი თანხმობის ნიშნად ჩაუთვალა ბატონიშვილმა და ის იყო ნამდვილ სათქმელს მიადგა.

— მე და ჩემი ცოლი დედაჩემის ორმოცს გადავიხდით თუ არა, მეორე დღესვე წავალთ პეტერბურგს, ორმოცისა და გზის ფულიც უნდა გვიმოვთ, ჩემო არჩილ.

ახლა კი ხმა გაიღო მოურავმა.

— სად, სიიდან, ბატონიშვილო, ბანკში და სალარაში რომ არაფერი ვვაქვს, კარგად იცით, მე რომ გული და მონდომება არ მაკლია თქვენი ოჯახისთვის, ეს, ალბათ, თქვენც მოგეხსენებათ, მაგრამ აბა რით, როგორ...

სანამ სიტყვებს დაამავებდა მოურავი, თვითონ მოუქრა სათქმელი დადიანმა:

— იმ დღეს შენთან ყოფილან ჩახავებისაგან მოგზავნილი კაცები. მარსიანის მიწების მიყიდვას მთხოვენ თურმე. ჰოდა, მე თანახმა ვარ.

— კი მაგრამ, ისინი ჩაღის ფასად მოითხოვენ იმ დიდებულ ჭალებსა.

— რა ვუყოთ მერე, ხომ გაგიგონია, ჩემი: აბაზის დამწუხებელს ორი აბაზი მაინც უნდა ჭკნნდესო. ჰოდა, ჩვენ ახლა გვიჭირს, არჩილ, ვგიჭირს. ეგეც არ იყოს, ნათქვამია, როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს. დიახ მიჭირს, ძალიან მიჭირს, ჩემო არჩილ, და ახლა მხოლოდ შენ შეგიძლია მიხსნა.

სახლოუხუცესმა მარჯვენა უღაბში გადაიგრიხა და აროროსოდა — ვასაგებია, ვეცდები.

ხელები ძირს დაუშვა, გაიმართა და თვალებში შეხედა დადიანს. დადიანს ცისფერი თვალები უცნაურად აუციმციმდა, მზემოკიდებული სახეს ამაყოფილების ღიმილი გადაეფინა, მხრებზე ხელი დაჭარა და... გადაწყდა. სახლოუხუცესს სერგეივთან, აბაშის პირას მდებარე ჭალები უნდა გაეყიდა.

სერგო ჟილაია

ᲣᲒᲕᲘᲚᲔᲑᲘ

გაქნილმა სასლთუხუცესმა ადვილად შეტტყო, რომ ფულს დახარბებული დადიანის ღიმილი, კმაყოფილებაც და ვნებაც უფრო ბავშვური იყო, ვიდრე უკეთმან დატრიალებული ბედი დაფიქრებული უფლისწულისა. ამის შემდეგ ულვაშებში ჩაიცინა და კიბე ჩაირბინა. ეზოში შინამოსამსახურეებს დაავალებები მისცა, იქვე შინისაკენ გასწია.

ეს ის დრო იყო, როცა მიწის ყიდვა-გაყიდვა მაღობრივ მოვლენად იქცა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დიდი მემამულეების ხელში დაგროვილ მიწას ფასიანი ხალხი მიეძალა. ფულს დახარბებული მემამულეები კი დიდი ხალისით ყიდდნენ მამაპაპეულ მიწა-მამულს. ამ საქმეში ბატონყმობისაგან იურიდიულად გათავისუფლებული ლეკსკაცობა ჩაერია. ელეში დაუღალავი შრომით კაპიკს კაპიკზე აგებდა და, როგორც კი ცოტაოდენ ფულს გადაანახავდა, მაშინვე მიწის შესაძენად ემზადებოდა. მაწა იყო ლეკების ნატვრის საგანი. მიწის ყიდვის სურვილი ძალზიაც და ცხადშიაც არ ასვენებდა, შრომითაც, გარჯითაც, სიცოცხლითაც მიწასთან იყო მიჯაჭვული. მიწა კი ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც, მემამულის კუთვნილებად დარჩა, მაგრამ ცხოვრების ახალმა წესმა სწორედ მემამულეები აიძულა ფულის საშოვნელად მიწები გაეყიდათ. ისინიც ხალისით შეუდგნენ საქმის აღსრულებას.

სამგრეელოს მიწის ყველაზე დიდი ნაწილი დადიანების ხელში იყო. დადიანებში კი ყველაზე დიდი მემამულეები მაინც ეკატერინეს შვილები იყვნენ. რაკი ერთადერთი შვილი არსებობისა და ფულის შოვნისა მამულები იყო, ნიკოშაც ამ მიწების დაგირავებასა და გაყიდვას მიაყო ხელი.

არჩილ დადიანი ბომბოთში ცხოვრობდა. ბორდოდან ბომბოთი ოციოდე ვერსით იყო დაშორებული. სასლთუხუცესის სასახლე ბომბოთის განაპირას, პატარა გორაკზე იდგა და მის პირდაპირ მდინარე აბაშის ჯიმა გორაკზე აღმართულ მარტვილის მონასტერს პირისპირ შესცქეროდა. არჩილის ორსართულიანი ქვიტკირის სახლი მეედიურად გადაკეკურებდა აბაშისპირა სოფლებს: ბომბოთს, ნალეყასს, სერგეიფს, ხოლო მეორე მხრით — ჭაბურთასა და ნახუსაოს.

არჩილი ეზოს დიდ აღმართს შეუდგა და სასახლის კარს მიადგა თუ არა, მოურავი ლაქუტიძი შეეგება და ვიდრე აივანზე ავიდოდნენ, სასახლის ამბებიც იქვე დაუფვნა, კიბესთან კი სწორედ სერგეიფელი ჩახავა შემოეგება ბატონიშვილს და თავი მძიმედ დაუკრა. არჩილმა ალტაკეცის ნინშად მხარზე ხელი დაკქარა მოულოდნელ სტუმარს და აივანზე მიიწია. თეიმურაზ ჩახავა შეძღეგული აზნაური იყო და იმდენი ფული ჰქონდა, რომ ყველაზე მეტ მიწას ის ყიდულობდა ამ მხარეში. ახლა ასეთი კაკის შეხვედრა დიახაც ესიამოვნა არჩილ დადიანს, რომელსაც ნიკომ მიწის გაყიდვა დაავალა.

თეიმურაზ ჩახავას შვილი თბილისში რკინიგზის სახელოსნოში მუშაობდა ტექნიკოსად და საკმაო ფულსაც შოულობდა. ხოლო რასაც შოულობდა, სახარჯო ფულის გარდა, მამას უგზავნიდა. მამა კი თავის მხრივ, ისედაც საკმაოდ მოზრდილ მამულებს ახალ-ახალ მიწებს უმატებდა. იქ დღესაც მამულის საყიდლად იყო მისული თეიმურაზ ჩახავა დადიანების სასლთუხუცესთან. მთელს ამ მხარეში არაფერი გაიყიდებოდა ისე, რომ საქმეში სასლთუხუცესი არ ყოფილიყო გარეული. თვით სასლთუხუცესსაც ეოტა გამორჩენა რიღი ჰქონდა. და აი, ახლა თეიმურაზ ჩახავასთან არჩილ დადიანს უკვე მოლაპარაკება ეიემართა. სასლთუხუცესმა ჩახავას ორი ადგილი შესთავაზა — აბაშისა და ისკიის პირად მდებარე ორი დიდი ჭალა. თეიმურაზი ამ მიწებს კარგად იცნობდა და ღიღი ფიქრი არ დასჭირებია, ერთბაშად აბაშისპირა ჭალა აირჩია. ეს ნაკვეთი მიწისა უფრო ნაყოფიერიც იყო და მის მამულებთანაც უფრო ახლო მდებარეობდა. დიდი ვაჭრობისა და ლაპარაკის შემდეგ ჩახავას ორას ოქროდ მიაყიდა სასლთუხუცესმა დადიანების მამული. მეორე ღილას უთენია კარს მოადგა თეიმურაზ ჩახავა და ხელის კანკალით ორასი ოქრო ჩაუთვალა. იქვე დაიწერა ვექსელი. ფული და ტექსტი ხელმოსაწერად თან წაუღო სასლთუხუცესსა ნიკო დადიანს (დოკუმენტში არსადაა აღნიშნული, თუ რამდენი ოქრო ხვდა გასაჩრდილოდ სასლთუხუცესს).

არჩილ დადიანმა ორასი ოქრო რომ ჩაუთვალა, თვალები გაუბრწყინდა ფულსდახარებულ მინგრელსკის. ხოლო როცა არჩილ დადიანი ბარჩაზიდან გავიდა, ნიკო უსიამო ფიქრებმა შეიპყრო. თითქოს ახლა მოაგონდა, თუ როგორ დაკკანკალებდა ამ მიწებს ეკატერინე და არც არაგის აძლევდა მათი გაყიდვის უფლებასს. ცხოვრების უკანასკნელ დღეებში ეკატერინე დადიანი მამულების დამტკიცებას მოუნდა. ამ საქმის გამო ბევრი უსიამოვნებაც შეხვდა ავადმყოფ ქალს. და აი, ახლა, მისი სიკვდილის შემდეგ, ნიკო დადიანი ჩალის ფასად ყიდდა და ანაოვებდა ამ მამულს. თითქოს ახლა მიხვდაო თავის შეცდომას დადიანი, შეწუხდა ფრიად.

იმ საღამოს საშინელი ფიქრები აეშალა დადიანების მემკვიდრეს — უფლისწულ ნიკოს.

●

სიჩუმე, სიჩუმე მეფობდა ირგვლივ, სიჩუმე არაჩვეულებრივი, გულის დამაღონებელი, სევდის მომგვრელი, შემზარავი სიჩუმე. ჰოი, როგორ არ ჰგავდა ყოველივე ეს იმ სიჩუმეს ღამით რომ დაიბუდება ხოლმე ეორლის ბაღში. მაშინ გულში სიცოცხლის ლამპარი ენთო და ბუნებაც აღსაყვა იყო გათენების, მხიარული დღის მოლოდინით. ახლა კი... რაც ეკატერინე მოკვდა, ამ სახლს, ამ ბაღს, ამ მიდამოს უცნაური სიჩუმე დაუფლებია, სიკვდილის სევდა და შიში....

შუადამე გადასული იყო, სასახლეში ყველას ეძინა. ნიკო აივანზე პირაღმა იწვა და უცნაური ფიქრი არ ასვენებდა. უმთვარო ღამე იყო, სასახლის წინ ფარანი ჩაეკრთო, ხოლო ეიმეკარიან ანთებული ფარნის შუქი დამეღლილარნეულ სასახლეშდე ძლიეს აღწევდა. მოსვენებადაკარაული, ძილეაბფრთხალი

ნიკო ადგა და ეზოში ჩავიდა, იქვე წყაროს ყრუ რაკრაკი ჩაესმა. დაიხარა, წყაროს ხელი შეუშვირა, სველი ხელი სახეზე მოისვა, ეამა, ახლა ორივე ხელი გაიცხო და ხარბად დაეწაფა წყალს.

ეზოში ხუთი წყარო ამოდიოდა, ყველაზე უკეთესს, ყველაზე ცივსა და წყალუხვს ეკატერინეს წყაროს ეძახდნენ. ეს წყარო სასახლის უკან იყო, ზედ კარის ეკლესიასთან. ეკატერინე შვიდლიანობის ყოველ საღამოს აქეთ გამოწვევდა ხოლმე და დიდხანს იხვევნდა წყაროსთან დადგმულ ქვის ლამაზ სკამზე. ბეგრჯერ ჩაფიქრებულ დედოფალს ზედ წადგომია მზიარული ნიკო და გაბაასებია ბრძენ დედას. ახლა ეს მოგონება ნიკოს და მისდაუნებურად იქითკენ გაუწია, მაგრამ ერთბაშად ეკლესიას შეხედა და უკედგა.

უცნაური სევდა შეეყარა, ადგილზე გაშმდა. უცბად მიხვდა, რომ ეს შინი ეკლესიიდან მოდიოდა. გაჯიქდა უფლისწული. რამდენიმე ნაბიჯი მტკაცედ გადადგა და ეკლესიასთან გაჩერდა. სასახლის კარის ეკლესიის კარები უბრალოდ იყო მიხურული, ნიკო ხელით შეეხო თუ არა, ერთბაშად გაიღო. აღსავლის კართან თაფლის სანთელი ენთო. მისი სხივები ოქროთი მოოჭვილ ხატებს ისე ეფინებოდა, ვეგონებოდათ, ოვით ხატები ანათებენ დარბაზსო. შიგ შვედი ნიკო, პირჯვარი გარდაისახა, ამ დროს რაღაცამ გაიფარფნა ეკლესიაში. რიმელი ხარო, გაარაზებული ხმით შეეხმაურა ზამსე. ნათქვამი ეხო ორმაგად ეამოცა ეკლესიათან და შერცხვა, რომ ასეთი ხმამაღალი გამოვიდა ხმადაბალ ნათქვამი. მიიხედა და კართან ზღარბი მიპანტურობდა. ნიკოს გაეღიმა და გარეთ გამოვიდა.

ეკატერინეს წყაროსთან ქვაზე ჩამოჯდა, სწორედ აქ უყვარდა დედოფალს დასვენება. ბაღის ბოლოს, კინწხის გადასახედთან, დიდი ჭადარი იდგა, ამ ჭადარზე ბუღუული გალობდა, ბულმოსკვნილი კენესოდა, ჩიოდა! დიდხანს უსმინა ბატონშვილმა ფრთხასს. შერე ის იყო ბუღუულიც დადუმდა.

ისევ დიდი სიჩუმე იდგა ირგვლივ, ნაივიც კი არ ჰქროდა გორდის ბაღში. დიდხანს იჯდა დადგიქრებული და გარინდებული ნიკო. ძილი მოეჩია დაღლილს და ჩასვენიმა. ბინდგადაკრულმა გონებამ ეკლესიასთან ვიღაც დალანდა. ღანდს დაიკვერდა და დედაკაცი შეიცნო... მიუახლოვდა ღანდს და ნიკომ ხმამაღლა შეკითხა:

— დედა, დედოფალო, რად ხართ აგრე შეშფოთებული?

ღანდმა ხმა არ გაიღო, დამდურებულივით ჩაუარა შვილს და კინწხის მოეს გადაეკვლო. უცბად გამოფიზზღდა, ღანდიც გაქრა. ფხიზლემა პირჯვარი გადაიწერა და შინისაკენ გასწია.

იმ დამეს დედა ეშმანა ნიკოს. თეთრ სამოსში მორთული დედოფალი გორდის სასახლის აივანზეგი იდგა და ეზო-კარს ეგასეკვრებდა. ნიკოც იქვე იყო, დიდი ცაცხვის ძირას. დედოფალმა გაიიხო მემკვიდრე, ხელი გადაუსვა თავზე და აღეზნებულმა მიმართა:

მე ისე წავედ თქვენგან, საწადელი ვერ ავისრულეს, წარმოფული ტახტი ვერ დავგიბრუნე. მამათქვენი გამიწყრა ამის გამო და გამიმეზაღნა, რომ ჩაგაგონოთ: ყველაფერი იღონეთ და ტახტი დაიბრუნეთ. ამისი უფლებაც გაქვს და ყველა პირობაც: განათლებაც, ჭკუაც, მხარდაჭერაც ჩვენი ხალხისა. დიახ, მიხვდა ხალხი, რომ საკუთარი მთავარი უფრო კაუკეზს, ვიდრე უცხო ბატონი. ჰოდა, შენ სამხეცფრო კაცი ხარ, აწონ-დაწონე ყოველივე და ისე იმოქმედე, შვილო. მეფის რუსეთისაკენ შემამ აგვიღი არ არის, მაგრამ რაკი სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ღმერთი არ გაგვწირავს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლაში. მოუხმე მერჩილოლეს, შეაკავშირე ერთ ძალად შენი ხალხი და შეუტიე უნამეხო მტერს. შენ მოგბიძავენ და მხარში ამოგიდგებიან ჩვენი ანდროკე და ჩვენი სალომეც, ის ჩვენი საძეც. ფრანგს იმიტომ მივეცი შვილიც და ზეიიც ჩემი, რომ გამოგადგებათ საფრანგეთი მჭარეთან ბრძოლაში. ერთად იყავით, შვილებო, სიამტკბილოზით იცხოვრეთ და იბრძოლეთ. როგორც ჩემს გულში ხართ განუყოფელი, ისე იყავით ცხოვრებაში და უთუოდ მიიღწევთ საწადელს...

ეს თქვა და გაკრა მოჩვენება. ნიკოს გამოეღვიძა და გონების თვალით აკადგინა სიზმარი თუ მოჩვენება. შეუშფდა ფრიად და ამ წუხილში ისევ ჩასულიმა. ისევ გამოეცხადა დედა-ბატონი. ახლა ცისფერი კაბა ეცვა დედოფალს და ღიმილს აფრქვევდა ირგვლივ. ისევ მოეფერა შვილს, შუძლზე ეამორა და ისევ შედადად:

— ტახტი, ტახტი დაიბრუნეთ, შვილებო. მარტო მამათქვენმა კი არა, იმ ჩემმა ნაბოლარა თამრიკომ, ინანაც ეს დამაბარა თქვენთან და სანამ არ აღასრულეთ ჩვენს თხოვნას, მანამ ვერ მოგისვენებთ იქ ვერც მამათქვენი, ვერც მე და ვერც თქვენი უმრწემესი თამარი.

გამოეღვიძა და ისევ გაკრა მოჩვენება. ნიკო ადგა, პირჯვარი გარდაისახა და იქვე ტახტზე ჩამოჯდა. იჯდა ძილგატეხილი ტახტის მემკვიდრე და ფიქრობდა — აბა, რა ქნას, რა იღონოს. მართალი რომ თქვას კაცმა, არც ჭკუა აკლია და არც განათლება, რომ განაგოს ქვეყნის ზედი, მაგრამ ვინ მიუშვებს აკამდე. დედამ, ჭკვიანმა და გამჭრიახმა დედოფალმა ეკატერინემ, ვერ შეინახა ტახტი და აბა მას როგორ შუძლია ეურჩოს რუსეთის იმპერატორს და წარმოფული ტახტი დაიბრუნოს.

— არა, ეს ძნელია, ძნელი კი არა, შეუძლებელია. დიახ, შეუძლებელი. გაავებული ალეკსანდრე მესამე ტახტს დამიბრუნებს კი არა, მთელ საქართველოს აყრით ეშუქრება. არა, საშველი არ არის. წავალ სადმე, გადავიკარგები, თორემ დედისა და მამის აჩრდილი, ჩემი დამონებული ხალხის ვედრება და მუდარა ან გამაკიეებს, ან რაიმეს გადამყრის. ვაი, რა ძნელია, როცა შენი იმედი აქვთ, შენი სწამთ და შენ კი არაფრით შეგიძლია ეს იმედი გაამართლო...

ამ ფიქრებში გართულ დადიანს ისე მოეძალა სევდა, რომ ატირებას ცოტაღა აკლდა. მისდაუნებურად

ტაბტის წინ დაიჩოქა, ხელები ზეადაპყრო და მოწყალებით შეევედრა დედის უნიკეას სულს:

— დედაჩემო, დედა ბატონო, მთლად უმწეო გავხდი მარტოდ მთენილი. შენ, შენ მოგმართავ ამ მარტოობის ჟამს, დედოფალო. შენ მიკარნახე, შენ ჩამაგონე, როგორ მოვიქცე, რითი ვუშველო ჩემსა მამულსა, ჩემსა ოჯახსა აწ განწირულსა მთლად დასაღუპად. დედაჩემო, მიჩვენე გზა ხსნისა, მასწავლე, რა გზას დავადგე, რითოლი ვუშველო შენგან მატოვებული სამოგზოს.

დიდხანს ლოცულობდა ის ძალგატეხილ ღამეს ტაბტის წინ დაჩოქილი ნიკო დადიანი. მერე პირადმა დაწვა ტახტზე, მაგრამ ძილი არ მიეკარა. უთენია ადგა, სახლთუხუცესი იხმო, მარტგილის მონასაბერს მიიპატიჟა, დედისა და მამის საფლავის მონახულება გადაწყვეტა.

შემოდგომის პირველი თვე იყო. ცა ისე კრიალა და მოწმენდილი ჩანდა, ვით ის ზაფხულის მიწურული, მარიამობისთვეს, როცა ეკატერინე მარტგილის მიწას მიაბარეს.

შუადღისას გაუდგა მარტგილის გზას დადიანი. მზე უდგამოთოდ აცხუნებდა, თუმცა ნიავი ქროდა და ალერში შემოდგომის ყვავილების კორიანტელი იდგა. შემოდგომის ფერებმა აავსეს თვალთა მზერა. გზად მიმავალს წინ ვეებერთლნენ წმეყვილეტელნი ხეები, შეშმარი, მოშრიალე სიმინდის ყანები, მეგრელ ოდებზე გადმოკიდებული ალვისის ყურძნის წვენში ამოვლებული ჩურჩხელები.... შემოდგომის ფერი ედო ველსა და მიდამოს. ცხენი ყვითლად დაფენილ ფოთლებზე მიაბიჯებდა. და აი, შეუდგა თუ არა მარტგილიის აღმართს, ყვითელი ფერი ისაფერმა შეცვალა ერთბაშად. მარტგილის მისასვლელი მთლიანად ყვავილების ფურცლებს დაეფარა. კო, ის შემოდგომის დღეს ყვავილების თოვლი მოდიოდა, ისეთივე ისაფერი, მწვანე და ხასხასა, როგორც ადრიან ზაფხულზე...

ფერდობზე მწვანედ მობიბინე სამყურას, ფუტკრის ფეხებივით ბუსუსებიანს, მოლიბრო ლურჯი ფერი დაკკრავდა. ხოლო ღერის ძირები თეთრი, რძისფერი ჰქონდა, ამიტომაც რძია-წძიას ეძახდნენ ამ ყვავილებს. ეკლესიის ყორის ძირას მარტგილელ ბერებს პატარა ბუჩქები დაერგათ, სწორედ წიფოთის თვეს ჰყვაოდნენ ეს ბუჩქები. ისაფერი იყო მათი ყვავილიც.

არა, ეს მაინც არ იყო ენძელა, მარტგილის ფერდობზე ჯერ კიდევ თოვლით დაფარული ბუჩქების ძირას ნაადრევად თავს რომ მორცხვად ამოყოფდა; არც ია იყო, თოვლგადაყრილ მონასტრის ფერდობს ისაფრად რომ აციმციმებდა. არც მინდვრის დედოფალი — თეთრი ყაყაჩო, რომელიც ამ მხარეში მხოლოდ მარტგილის მონასტრის ფერდობზე ხარობდა.

დაბალ ხეთა ბუჩქნარებს უხვად მოეცხოთ თეთრად და ცისფრად უანარად დაწინწლული ძაბრის ფორმის ხუთფოთოლა ყვავილები.

ლამაზი იყო ამ წიფობის თვეს მარტგილის ფერდობი.

ნიკო დადიანი იდგა ამ ყვავილების კორიანტელში ოთავბრუდამხვევი სურნელებით გაბრუებული და ეჩვენებოდა, რომ მარტგილის მონასტრის „გალავანნი გასწვრივ აციცებული სუროები მაყლუტს ჰგავდა, ნანგრევებზე ამოყრილი ყვავილები აბრიალებულ ნავკვრჩხლებს. ამ სურათით აღფრნებულ დადიანს აღმოხდა:

— აქ ყველაფერი სიცოცხლით ფშვინავს, აქ ყველაფერი სინაზით ცოცხლობს. საოცარი ფერებით მოუხატავს ეს ცა, ეს მთა და ბარიც ფერების შემოქმედს. ადამიანს წარმოსახვა თუ გააჯიბრება ბუნების მხატვარს? თუმცა ადამიანის ხელთქმნილი ეს მონასტერი განა ნაკლები საოცრებაა?

ახლა ამ ცეცხლის ენებად ანთებულ ყვავილებით განათებულ გზას მიაკვლევდა. ტაძართან ერთბაშად შეჩერდა. ნიკოს ისეთივე გამოუცნობი შიში დაეუფლა, როგორც წუხელ სასახლის კარის ეკლესიასთან, და საკუთარი თავისა შერცხვა. ტაძარში შეიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებსო. ჭაღებზე სანთლები ბეუტაგადნენ, მაგრამ ვერ ეროოდნენ ჩამქოფლილ სინნელეს. რუსთაველის სიტყვები მოაგონდა, შიში შეიქმნა სიყვარულსაო.

— დედაბატონის მე მემინოდა, მემინოდა და თან უზომოდ მიყვარდა იგი. მაინც ვერ ამიხსნია: როგორაა ეს შიში და სიყვარული ტკუბი ძმებივით ჩახუტებული? — დედაჩემს მე კი არა, მთელი სამთავრო ეკრძალვოდა, თვით იმპერატორიც კი. ყოველ შემოსვვაში, პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ, ეშინოდათ და უყვარდათ იგი. აწი მე ვინ გამიწევს ანგარიშს ან ვის შეეშინდება ჩემი?

ცწრულ ინ დროს დედის ხმა შემოესმა თითქოს:

— შვილო, ნუ გეშინია, ეს მე ვარ, დედაშენი, აწ სიბნელეში გარდასული. თუ არ მხედავ, ხმა ხომ გესმის ჩემი? ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს, შვილო, რომ ის სინნელისა და სინათლის საზღვარზე დგას. საკმარისია ფეხი დგიიდეს და შენს სულს ერთბაშად სიბნელე დაეუფლება. მაშინ გამკეთხავიც არავინ დარჩება. ამიტომაც მეტი გაგეფლებით უნდა შეეტანო ცხოვრებას, ვიდრე სიბნელე დაეუფლება შენს სხეულს...

ნიკო მოჯადოებულივით მიჰყვებოდა ამ ციურ ხმას და დადიოდა სიბნელიდან სინათლეში. სანთლების ლიცლიები, სანთლების წმინდა შუქი ანათებდა, სულში იმედს უღვიძებდა. ჩაიდვენთა სანთლები, მხოლოდ საკურთხევეულ სწვდებოდა მათი შუქი.

ხმა დედამისის საფლავთან შეწყდა. საფლავიც განათებული იყო და ახალდაკრეფილი ყვავილები ეწყო ზედ. უცნაურად შეიჭხა ნიკო, თითქოს სიზმრიდან გამორკვევა უნდათ. სიბნელისკენ ვერ წადგა ნაბიჯი. კვლავ საოცარი შიში, შიში თუ მოკრძალება იგრძნო, სუნთქვა შეეკრა, ყელი გაუშრა.

ამ დროს ზოსიმე ღიაკვანი მოფარფატდა. და ის იყო ხმა გაიღო დადიანმა.

— გარეთ გავიდეთ, აქ სული მეხუთება, ჰაერი არ მყოფნის...

— გავიდეთ, ბატონიშვილო, — ხელი გაუწოდა

შავოსანმა დადიანს. თან ბუტბუტებდა: — თქვენი წუხილი გასაგებია, ისეთი დედა დაკარგეთ, რომ, აბა თქვენსა და ჩვენს წუხილს რა გამოლევს, მაგრამ სწორედ ახლა გმირობები მოთმინება და სიმტკიცე.

კიდევ რაღაცას ჩიფრიფებდა დიაკვანი, მაგრამ ახლა ნიკოს აღარაფერი ესმოდა. გარეთ რომ გამოვიდნენ, დიაკვანმა თვალებში შეხედა ბატონიშვილს, შეხედა და შეეშინდა: გაფიფრებულ ტუჩებს ისიფერი დაჭ�, მხლოდ ცხენის ნესტოები მარულაში დალღილი ცხენის ნესტოებივით დაბერილი, საოცრად უცაბედაზებდა.

ეზოში ბავშვები შენიშნა. ეკლესიის კედელს აკრულნი სულგანაბულნი შესცქეროდნენ. გაასხენეა, ანალდაკერეული ყვავიელები ეწყო ფედოფილის საფლავზე.

ყოველ საღამო ჟამს, მარტგალელის მონასტერში ზოსიმე დიაკვანი მწუხრის ზარების რეკვას რომ დაიწყებდა ეკატერინე დედოფლის სულის მოსახსენიებლად, სახლიდან წუმად გამოიპარებოდა ოსიძის პატარა გოგო, აიყოლიებდა თანატოლებს. ფენდოლზე ამ დაწინწკლული ყვავიელების თაიგულს შეკრავდნენ, შემდეგ მონასტერში შეიპარებოდნენ და დედოფლის საფლავს ამკობდნენ. სანამ ზოსიმე მწუხრის ზარს მორეკავდა, გოგონები უხმოდ იდგნენ დედოფლის საფლავთან და უყურებდნენ, როგორ უცაბედ მოიწყენდნენ ეს ყვავიელები.

დადიანი ბავშვებს მიუბრუნდა:

— თქვენ მოიტანეთ ეს ყვავიელები?

მაგრამ ვიღრე გოგონები ხმას გაიღებდნენ, ზოსიმე დიაკვანმა მოახსენა:

— დიახ, ყოველ საღამოს ამათ მოაქვთ ყვავიელები...

დადიანს უნდოდა ბავშვებისთვის ეკითხა, ვინა ზართთ, მაგრამ გოგონებს უკან არ მიუხედავთ, ისე გიცვიდნენ მონასტრიდან. ისევ დიაკვანმა მოახსენა ბატონიშვილს.

— ეს ერთი, ბატონიშვილო, ჩვენი მეფდღლის, ოსიძის ქალიშვილი გახლავთ, მტკად უნდაური და ბრძანბიარე ბავშვია...

და რიგა ფიქრებში წასულმა დადიანმა არაფერი უპასუხა, ზოსიმე დიაკვანმა იფიქრა, ალბათ, ბატონიშვილს ოსიძის გვარის გაგონება არ ესიამოვნოთ.

— ყოველდღე ვეშლი, უარს ვეუბნები, მაგრამ ისინი თავისას არ იშლიან მაინც, — თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა ზეცში ორად მოხრილმა დიაკვანმა.

ამასობაში ფიქრებიდან თავდაღწეულმა დადიანმა თითქოს ვიდრეგანი მიმართა — ნუ, ნუ დაუშვიო.

დადიანმა საქმეები გაარიგა და მეორე დღესვე გორდის გზას დაადგა. კკლავ ბუნების ფერთა მოანცვლეობამ წარტაცა თვალი. ცხენი ნელი ნაბიჯით მიუშვა და თვითონ ფიქრებს მიჰყვა.

— შემოდგომაა. შემოდგომაა. ბუნებას დიდებულადა აქვს მოწყობილი ეს პარმნია — ზაფხულის შემოდგომა ცვლის, შემოდგომას — ზამთარი, ზამთარს ისევ გაზაფხული. მოვა გაზაფხული და ისევ შეიმოსება მთელი ბუნება, ისსფერს და მწვანისფერ კაბებს ჩაიცვამს, მერე ისევ გაიფოთლება ზაფხულის მზით გახარებული, გაიმეცრა და ადამიანებსაც ბუდეს გადაუშლის. მერე შემოდგომის დოვლათი დაკაშრეს მთელ სამყაროს. ისისფერებს, ლურჯ ფერებს, მწკანე ფერებს ყვითელი ფერები შეეცვლინ. ხეებს ცვივა და ცვივა ყვითელი ფური, ველს და მინდორს მოეფეკა და მიიძინებს მთელი ბუნება ზამთრის ძილით. ადამიანსაც აქვს თავისი ზაფხულიდა და გაზაფხულიდა, თავისი ხანმოკლე შემოდგომაც, მაგრამ ჰაიდა, გადაკა შემდეგ შემდგომ ზამთარში და არც არასოდეს ეღირსება ლურჯი ფერების, მწვანე ფერების, ის ფერების ხილვა. მაგრამ იქნებ მე ვაკაჩაბე, იქნებ შეილებია ჩვენი ზაფხულიც, გაზაფხულიც. ისინი ახლავენ ჩვენს მაგიერად ახლად ამოსული ალს, ენძელას, მარტგალელის ფერდობზე მოსული ყვავიელებსა და ეარდებს. ჰოდა ასეა. ადამიანებშიც იგივე ჯარმნანია, რაც ბუნებაში. ასე რომ არ იყოს, მაშინ ალბათ არც დავეძალებოდით ამ ცხოვრებას. სიცოცხლის ნატვრას, სიყვარულის წყურვილს არც ექნებოდა ადამიანს არსებაში ადგილი. ბუნებას კი ხშირად ეს ბრძოლა, ეს დაწყვეტა სიცოცხლისა, ეს ნატვრა დღეების ვახანგრძლივებისა ამოქმედებს და ამოძრავებს. ცხოვრების მუდმივი ხეე ამით ხარობს...

ამ ფიქრში იყო გართული დადიანი, როდესაც ფერდობზე ბავშვები დაალაგა, ყვავიელებს კრიფდნენ ფერდობს შესეულნი და თვითონაც ახალ გაფურჩქნილ ყვავიელებს ჰბედნენ. შეხედა და გაიღიმა დადიანს მისდაუნებურად. გაზაფხულია და ბავშვები, შემოდგომა და სიმერე, შემდეგ ზამთარი და ზამთარი...

ისევ თვალწინ გადაეშალა იისფერი, მწკანედ მოსილი მდელო და ველი, ისევ ლურჯად ლიელოვნდა მარტგალელის ფერდობი ამ ადრინან შემოდგომაზე, ისევ ყვაოდა ყვავიელები ენძელას ფერი და ისისფერი...

* * *

ნიკო დადიანს პეტერბურგს მიეჩქარებოდა, ამღა ყველა იმედს მაინც იმედრატორზე ამყარებდა. იქ ებრძოდა ზრაბმეული დიდების თუ ტახტის აღდგენას. აბა! უკუღმა დატრიალებული ბედის შემობრუნება იქვე უნდა დაწყებულიყო და ახლა ამ მოლოდინით და ოფენით ცოცხლობდა. პეტერბურგში გამგზავრებას კი ეკატერინეს ორმოცი აბრალოდება.

მერე ის იყო, სექტემბერს დიდის ამბით გადაიხადეს ეკატერინეს ორმოცი. ამ საქმეში ალოიმე და ანდროიე მონაწილეობდნენ, მაგრამ უმთავრესი მაინც ნიკო იყო და მის გაგაკარვულებას ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ეკატერინეს ორმოცი მარტგალელის მონასტრის ეზოში გამართეს დადიანებმა, ხოლო მეორე დღეს შვილები და ნათესავები გორდში ავიდნენ და უკანასკნელად იქ დაიტირეს ძვირფასი დედა...

ანდრო იმავე დღეს გაემგზავრა იტალიაში, ეკი იმყამად რუსეთის საელჩოში მუშაობდა მრჩევლად

სერგი ჭილაია
ფ ვ ი ლ ე ბ ი

და ეფრთის საჯაჭვაკო ტურნირებში მონაწილეობდა — დაკარგული ტახტის დარდი ყველაზე ნაკლებ მას აწუხებდა.

ნიკო ცოლთან ერთად პეტერბურგს გამგზავრების საშზადისს შეუდგა. სალომე რამდენიმე დღე დარჩა გორდში, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა პეტერბურგში წასვლის წინ ძმას დედისეული ოქროსა და ძვირფასი ნივთების გაყოფაზე მოლაპარაკებოდა.

— მაშ, ზეგ მიდიხარ პეტერბურგს არა, ძმაო?

— დიახ, ზეგ ეკიერები წასვლას თუ სასლთუხუცესმა არ გვიდალატა და სამგზაერო ფული მოგვიტანა.

— ჰო, გავიგე სერგიეთის მამულიც გაგიყიდია.

— მაშ რა ვქნა, ჩემი დაო, ხომ ხედავ, მეორედ მოსვლაა ჩვენს თავზე, არც ფული, არც თანამდებობა, ლამის გავგიჟდე. თუ ახლა იმპერატორმა არ გაიღო რაიმე მოწყალება, მაშინ, ალბათ, მთლად სამაოხოერად გამისდება საქმე...

— ახლა ჩვენი მდგომარეობა იკითხე, ძმაო, ჩვენ უფრო უარეს დღეში ვართ. საკმაოდ ოქროს ის ახალი სახლი დავიწყეთ ჭკალუეთში, რომ დედისეული სასლი სულ შენთვის დავგეტოვვებინა, მაგრამ არც ფუღი მაქვს და არც რაიმე იმედი, რომ... — აქ შეჩერდა სალომე, ძმას თვალებში გამომცდელად შეხედა და გაბმით დამარცხდა, — დედისეული ოქროს და განძეულის იმედითა ვართ, მაგრამ შენ ახლა ისე მიგიჩქარება პეტერბურგს, იმის გაყოფას, ალბათ, ვერ მოვასწრებთ. ჰა, როგორ ფიქრობ, ჩემი ძმაო? დედა ისე გარდაიცვალა, რომ ვერც ანდერძის დაწერა მოასწრო და ვერც ამ ქონების გაყოფა შეიღებს შორის, ჰო, ახლა ისაა ჩვენი უკანასკნელი იმედი...

ნიკო დუმდა. თითქოს მას არ ეხებოდა ის, რაც ახლა ითქვა. სალომემ იფიქრა, ალბათ ჩემი ნათქვამი ვერ გაიგოო და ისევ გაუმეორა კითხვა.

— მაინც, როგორ ფიქრობ, ძმაო, როდის უნდა გაყოფო ეს დედისეული განძი?

ახლა კი ერთბაშად მოუტრიალდა დას და პირდაპირ უთხრა:

— გასაყოფი რა გვაქვს, სალომე. დედისეული ნივთების მემკვიდრე მე ვარ და არა სხვა ვინმე, მით უმეტეს, გათხოვილი და.

ამას კი არ მოელოდა სალომე და ერთბაშად შეეება, მერე გონს მოეგო და უზომოდ გაჯავრდა:

— როგორ თუ გათხოვილი და, ეს რა თქვი, ნიკო, რა? ვანა დედის გაუყოფელ ქონებაში, მე, მის მემკვიდრეს, წილი არ მიდგეს?

— დაო ჩემო, ნუ მიწყენ ხალ და უნდა მოგგაგონო, რომ ჩემი ოჯახის წილი თქვენ მაშინ მოგეცით, როცა მიურაკს წყაკვეთი. გათხოვილი ქალის წილი მისი მზითვეგია. ეს მზითვეი დედა-ბატონმა სიცოცხლეშიეე მოგაკუთვნათ და, მე ასე მგონია, უფრო მეტიც, კიდრე გეკუთვნოდათ შენ და შენს ქმარს.

— როგორ, რა წილზე მელაპარაკები, ნიკო, რომ ვერ გამიგია.

— საღნინოსა და ზუგდიდის სასახლის ნაწილი და ოქვე მამულები, რომლებსაც ახლა თქვენ იყენებთ, ნუ თუ წილი არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჩემი ძმაო, ასეთი ნაწილი ჩვენ ყველა ჩვენ ლებს გვარეკნა მაშინ დედამ, მე ახლა იმაზე მოგაზსენებ, დედის პირადი კუთვნილება რომ იყო.

— რომელ პირად კუთვნილებაზე ლაპარაკობ, ჩემო დაო, რაც ახლა მე დედა-ბატონის დამარხვაზე და ორმოცზე დაბარჯე, ამის პასუხისმგებელი ვინაა?

— პასუხისმგებელი ყველა ვიყოთ, მაგრამ ის ქონება, რაც დედას ეკუთვნის, ხომ ასჯერ მეტია. ხომ გაგიგონია: ავრე არ უნდა თაყანი, შენ რომ მამული გაგაყო.

ამის გამგონე ნიკო დადიანი განრისხდა და, ალბათ, ეს უსიამოვნო შეპაკერება და-ძმას შორის მნეიდობინაგან არ დამთავრდებოდა, რომ ამ დროს ბერი და სახლთუხუცესი არ შემოსულიყვნენ დარბაზში.

— კარგი, თუ ქვეყანაზე სამართალი არ არის, ვნახოთ, — ეს სიტყვები დამუკრებით თქვა სალომემ და უსიამოვნოდ გასცილდა იქაურობას...

ძმაზე წაწყენი სალომე იმავე დღეს თავის მამულში დაბრუნდა, ხოლო ნიკო და მისი მეუღლე მეორე დღესვე გემეზაერნენ პეტერბურგს და ეს საქმე იმქამად არც გახმაურებულა. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენები ამოტიტეიდნენ მაშინ დადიანების გარშემო.

ნიკო დადიანი პეტერბურგში დიდი ამბით მიიღეს და დიდი დაპირებებითაც დააპირეს.

რუსეთში, დადიანს სამშობლოს სევდა, უფრო სწორად „იმპერატორის წინაშე დაბეზღებით“ წარიმეული სამთავროს სევდა მაჯრუხივით შემოეკვდა და მოსვეზებაკარეული ისევ ეძებდა უკუღმარი ბედთან შებრძოლების მიზეზს. რაინდობაზე თავს დებდა, ბედისწერას გადარჩენილ ბაგრატიონებთან საიდუმლო თათბირიც ჰქონდა ამის თათბიზე. სამხედრო საქმეებში გაწყრთნილი ბატონიშვილები ახალგაზრდა დადიანის სამდურავს გაფაციცებით ყურს უგდებდნენ და აკეზეებდნენ. გულუბრყვილო დადიანს სჯეროდა, რომ ამ ერთ მუჭა ბატონიშვილებს სხვეანი აკყვებოდნენ, მთელ საქართველოს ფეზზე დააყენებდნენ და აღსდგებოდა ბაგრატოვანთა ზვიდფეროვანნი და ზვიდფოროშვანნი საქართველო. დადიანს ისიც სჯეროდა, რომ თვით რუსეთის იმპერატორიც არ არის ამის წინააღმდეგი, ოღონდ ადგილობრივი რუსი მოხელეები ჯიჯგნინდნენ და ღუპავდნენ საქართველოს. ეს აზრი მან დედისა და ვრიეიოლ ორბელიანისაგან შეითვისა სიყრმიდან

დაარსებულ ქართულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საკარიფელოს ეროვნული გამოფენიერ-ბის საშუალებად სასავდნენ და ის იყო შეუდგნენ ერის სულიერი კულტურის ხელთნაწერების დიდი საგანძრის ერთ ადგილას, თბილისში თავმოყრას.

რუსეთის იმპერატორის კარზე მოწყალების მოგ-ლოდნენ მეფის გენერალმა ნიკო დადიანმა იმ დღეს ვასილ მაჩაბლისაგან ბარათი მიიღო. იეანე მაჩაბ-ლის ძმა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვასილ მაჩა-ბელი წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის დავალებით თხოვდა დადიანისეული ხელთნაწერები და ბიბლიოთეკა საზოგადოებას გა-დაეცნო. ნიკო დადიანს, რომელიც მამულიშვილო-ბისთვის თავს დებდა, პასუხი არ დაუყოვნებია და იმავე დღეს ეს ბარათი მისწერა ვასილ მაჩაბელს:

„ცნიაზო ვასილ, დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც კი შეეხება საკარფელოს ისტორიას, ეკონომიას, ლიტერა-ტურას, ან საზოგადოდ, რაიმე მხარეს ჩვენის სამ-შობლისას, გადამეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამაკ-რცელებელის საზოგადოებისათვის", რომელსაც, რა-საკვირველია, უფრო მომტბეული საღსარი და ღონ-ისძიება აქვს ამით საერგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ღღემდის ეს სურვილი შეუსრულე-ბელი დამრჩა. ახლა გთხოვთ, ჩემს მაგიერ გარდას-ცეთ შემოსხენებული საზოგადოების მმართველო-ბას, რომ მე მოვახდინე განკარგულება — მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, თავადმა კონსტანტინე დავითის ძე ნიკორაძემ ჩიატანის ქ. თბილისში „დროების" რედაქტორთან, სადაც საზოგადოებისაგან ამორ-ჩეულ პირთ შეუძლიანთ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინნი დაინახავენ საჭიროდ და სასარ-გებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგა-დოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობ-ლო ქვეყანასს, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.

თქვენი პატივისმცემელი თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ". 1885 წ. 28 თებერვალს.

პეტერბურგი.

1885 წლის 19 მარტს „დროებაში" დაიბეჭდა მეთაური წერილი „მარილა რომ მეფური შემოწი-რულობა". „ძნელია კაცისათვის იმის გამგებება, რაც მამაპაპითგე მის ოჯახს საუნჯესავით შეუნახავს და რაც მისთვის ძვირფასად ჩაუბარებიათ. ამგვარს საუნჯეს მეგრელის მთავრებისათვის შეადგენდა ის წიგნთსაცავი, რომელსაც აწინდელი თავადი მეგ-რელიისა უხვად წირავს წერაკითხვის საზოგაო�b... ესეთს გადაწყვეტილებას უგანათლებულესი თავადი ვერ დაადგებოდა, თუ მას აშკარად არ ეგ-რძნნ თუ რა დიდი განსხვავებაა მესა და ჩვენს შორის, კერძო შორის საზოგადოისა... ამეგარ შეხედულება მოსალოდნელიც იყო მეგრელიის თა-ვადისაგან, როგორც შეგნებულისა და განვითარებუ-ლის პირისაგან... ამ მაგალითმა იქნება ეხლა მაინც ერთნობაში მოიყვანოს ზოგიერთი პირნი, რომლეკ-ბიც თავიანთ ძვირფასად შესანახავ წიგნებს ძველ ზანდეკებში მბეგრად აქცევენ და საზოგადოებისათ-ვის კი არ ეშეტებათ. იქნებ ეხლა მაინც გიფდეინოს ძველი წიგნებისა და ნივთების ბაკრონნ სურვილი ყოველ ამ ძვირფას ნივთების ერთად თავმოყრისა და საშვილიშვილოდ შენახვისა. იქნებ მეგრელიის თავადის ქემოწირულებამ სხვა ამისთანა მრავალი შემ-თხვევა გამოიწვიოს...

...ასეთ ძვირფასი ხელნაწერების ერთად თავმოყ-რა მოითხოვს მომტბეტული სიმხნევასა და ენერგიის გამოჩენას და ზრუნვას წერაკითხვის საზოგადოე-ბის მხრივ, რომ ისე მოუარით და შეეინახოთ ეს ნივთები, რომ ამ ეროვნულ განძს ცეცხლის შიში აცდეს. ახლა წერაკითხვის საზოგადოებას მარილეს ეზრუნოს ინისათვის, რომ ქონდეს თავისი საკუთა-რი შენობა, სადაც ყოველივე ამ ეროვნულ განძეულ-ობას შესაფერისად მოუვლიან და შეინახავენ.

...,,ამ ფრიად საამო ამბავს ის უნდა დაეუმატოთ, რომ ჩვენ ვნახეთ კატალოგი ამ ბიბლიოთეკისა, რომელიც ამ რამდენნიმე წლის წინათ მეგრელიის თავადის მინდოძილობით შეუდგენია აკაკი წერე-თელს".

მთელი ორი წელი იბეჭდებოდა „დროებასა" და „ივერიის" ფურცლებზე ცნობები, წერილები, სტა-ტიები ნიკო დადიანის შეწირულობის გამო:

„დროებაში", 29 მარტი, 1885 წელი. „დღეს, პა-რასკევს სამეგრელოში გაგებულ ზაგრნენ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან დანიშნული პირნი მეგრელიის თავადისაგან შემოწირულ ბიბლიოთეკის ჩასაბარებ-ლად".

„დროებაში", 6 აპრილი, 1885 წელი. „წერა-კითხ-ვის საზოგადოების წევრნი, რომლებიც წასული იყ-ვნენ სამეგრელოში, მეგრელიის თავადისაგან შე-მოწირული ბიბლიოთეკის მისაღებად უკვე ჩამო-ვიდნენ თბილისში და თან ჩამოიტანეს მთელი ბიბ-ლიოთეკა. ეს უკანასკნელი შესდგება 179 ტომისა-გან, რომელთა შორის მრავალი ძვირფასი ხელნაწე-რია სხვათა შორის მე-10 და მე-11 საუკუნისა".

„დროებაში", 23 აპრილი, 1885 წელი. ისტორი-კოს დამიტრი ბაქრაძის სტატია: „ბიბლიოთეკა თ. ნიკოლოზ სამეგრელოისა". „სრული ანგა-რიში ამ ბიბლიოთეკისა შემდეგის „დროისთვის გა-დაგვიდვია. აქ ვსარგებლობ მხოლოდ შემთხვევით, რომ მოვეს ქართველებისა და ქართული არქეო-ლოგიის მხრივ გულითადი მადლობა უძღვნით უგა-ნათლებულეს თავად ნიკოლოზს თავისი განძის გადმოცემისათვის ჩვენის მეცნიერებისთვის დედაქა-ლაქს თბილისში, სადაც მხოლოდ ქართული ისტორიას შეუძლიან იმით სრულად ისარგებლოს"...

ეჭვი არ არის, რომ მეგრელიის მაგალითს სხვე-ბიც მიაყვებიან". ამის მაგალითი უკვე გამორჩნა. გრიგოლ დავითის ძე გურიელმა მე-11 საუკუნის ძვირფასი ხელნაწერი შემოწირა წერაკითხვის გა-მავრცელებელ საზოგადოებას.

„დროებაში“ ასეთი ქების წერილები იწერებოდა ნიკო დადიანის შეწირულების გამო, სწორედ იმ დროს კი სამეგრელოში გაადფრთვენელი კამპანია ვრძელდებოდა ქართული ენის აკრძალვის თაობაზე. ამ რუსიფიკატორული პოლიტიკის ფარული აზრი იყო ორ გუბერნიად გაყოფილი საქართველოს ერთიანობის დაშლა. ჯერ კიდევ ეკატერინე დადიანის ბაბუმეის მეუღვე, ენობილი საზოგადო მოკეაზე და მწერალი დიმიტრი ყიფიანი, რომელიც კარგად იცნობდა სამეგრელოს, შეეგრძოლა ამ ბინძურ განზრახვას: — „თოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურის ენა სამეგრელოში და იქ ყველას ესმის ეს ენა. ამგვამად იქ ახალ კულტურას ნერგავენ — მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გაგეკვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი ენები აჭარლების, ფშავ-ხევსურების, ინგილოების, მთიულების და სხვათაშორის. რად ვვეძლევიან ასე? რად თიშავენ საქართველოს?“ — კითხულობდა დიმიტრი ყიფიანი. შეძრწუნებულ საქართველოს კარგად ესმოდა, რომ ეს მტრების ინიციანა, რუსიფიკატორებს განუზრახავთ ჯერ დაშალონ საქართველოს ეროვნული ერთობა, მერე ცალ-ცალკე უფრო ადვილად გაარსონონ და ასე მოსპონ ქართული ენა და მოლად სახსენებელი მთელი საქართველოსნი.

ქართულმა ეკონომურ-გაზეთებმა განგაში ატეხეს, ყველაზე მეტად გაზეთმა „დროებამ“. განსაკუთრებით სამეგრელოს მოწინავეი ინტელიგენციია აღსდგა ამ ბაგანელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე ორჯერ ჩავიდა სამეგრელოში, სამურზაყანოსა და სოხუმსაც ესტუმრა და პატრიოტული სიტყვებით გაამხნევეს ეს მხარე. ილიას თან ახლდნენ ნონა მეუნარაგია და თეიღო სახოკია. ამ მოძრაობას პეტერბურგიდან გამოეხმაური ნიკო დადიანიც. მან კვლავ პატრიოტული სიტყვებით მიმართა ვასილო მაჩაბელს:

„ჩემო ვასო, შენი ორივე წიგნი მომიეიდა და ვეჩქარობ შემოფურო მადლობა, რომ ყოველისფერი ვკაკკეთ ისე, როგორც მე მსურდა და მიიმბოლი. შენმა უკანასკნელმა წიგნმა მეტად მსიამოვნა: ოღონდ ერთი საქმე მაწუხებს, რომ ამბობ „რადენიმე წიგნები დაკაკლდა ბიბლიოთეკასსო“. ამაზედ ასლავე ეშურები განკარგულებას და ყოველისფერი აღმოჩნდება თავის დროზედ. აკ დიდ მზადებაში ვართ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აეფანის საქმე შეიძლება გათავდეს დიდის უსიამოვნებით, იმედი გარიგებისა მაინც დაკარგული არ არის. ეს საქმე იმ ნაირი არის, რომ მთელს განათვლებულს და გუნუთალეველ ქვეყნებს შეეხება. მე წავიკითხე ის სტატიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მეგრულ ენასა და ქართულ ენას შუა მსგავსება არ არსო. ჩემი ამბავი ხომ იცი: — მე ვერაფერი გამაკვირვებს!.. მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგიები, რომელნიც სწერენ მეგრულსა და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერ ჩვენი ენა ისწავლონ და მერმე სწერონ. ნამეტანი სწავლა ზოგიერთეს დაკაბნეულ! ამის მაგალითი ბევრია ქვეყანაზე. ჩვენნაირ ენა ჩვენს ხალხს აქვს თავიანი საკუთარი, ანბანი და ორშუბენა, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საუკუნარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმაში, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც აბნებს ჩვენს წინ წაწეულს. ხალხს მაშინ გაიცინობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხს ისტორია და სურეალი უნდა შეიტყოს კაცმა და შეიმეცნიალაპარაკოს. მე სამეგრელოს, იმერეთსა და გურიას ვეუფრეგ როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შეა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოგვეფიები. ის-და ვეგაკეთა ახლა, რომ ვინმე ჩინელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ენაზედ ან ქართული ვგასწავლოს. ეგეების ამასაც მოვეს წერით. ახლა ჩვენ უნდა ვიფიქრით სახლის შუაზა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის. ამაზედ თავის დროზედ ჩემს აზრს გაეცნობეს. სირცხვილი იქნება ჩვენთვის. თუ ყველამ ერთად ვერ მოვახერხეთ ეს ადვილი საქმე. მაცნობე შენი აზრი შესახებ ფულებისა, რომელიც დაგვჭირდება სახლის საყიდლად ქალაქ თბილისს...

იმედი მაქვს, რომ არ დამივიწყებ და მომწერ მანდაურ ამბებს. შენი მეგობარი ნიკო“.

17 აპრილს 1885 წ. პეტერბურგი.

1886 წლის 1 ივლისს „ივერიაში“ დაიბეჭდა მეოდეკი ბ. კარბელოვის წერილი „მე-19 საუკუნის ტკაცუნე ნაწერი საგალობელნი (გუალანი)“. „წარსულ 1885 წ. სექტემბერში თბილისში შესდგა კომისია ბ. დ. ზ. ბაკრაძის თავმჯდომარეობით, ბ. ნ. მთავრელიშვილისა და ბ. თ. ყორდანისა-გან — შესადგენად კატალოგისა ამ ზეგნებისა, რომელნიც უგანათლებულესს სამეგრელოს მთავრის შვილმა შემოსწირა წერა-კითხვის გამამგრცელებელ საზოგადოების ზეგნთსაცავს. ამ შემოწირულ ზეგნებში ითვლება ზემოთ მოხსენებული ზეგნიც, რომლის გარჩევა და თვალის გადაკლება მე მქონდა მინდობილი ხსენებული კომისიისაგან. ეს ხელნაწერი ისრეთი შესანიშნავი განძია ქართველი ერის სიტყვიერებისათვის საზოგადოდ და კერძოთ საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის, რომ მის მსგავსს ქართველი ბევრს ვერ ნახავს ძაკვის სამშობლოში. ბედნიერ შემთხვევას უნდა ვუმადლოდეთ მის შენახვისათვის და მარტო ამ ხელნაწერის შეწირვით და ჩვენი საზოგადოებისათვის დასაკუთრებით უგანათლებულესის ზეგმიმწირველის სამეგრელოს მთავრის შვილის სახელი განსაკუთრებული იქნება ჩვენს ქვეყანაში“.

ეს ხელნაწერი განსაკუთრებით ძვირფასია ორი გარემოებისა გამო: 1. ისტორიული და ბიბლიოგრაფიული წარწერანი, სულ 21,2. საგალობლის ნიშნები (ნოტი), რომლებითაც მთელი ხელნაწერის საგალობელნი აღნიშნულნი არიან.

მართალია, ხელნაწერი ნაკლულია, თითქმის

წასვლარა შემოსახული, მაგრამ ამითაც უძვირფასესი განძია იგი.

სხვა წერილებიც დაიბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში, რომელშიც დადიანისეული ხელნაწერები და წიგნები იყო აღწერილი. რუსთაველის პორტრეტის გამო „დროება“ წერდა: ჩვენ ენახეთ „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შემოწირული სურათი შოთა რუსთაველისა, რომელიც ძალიან ცხოვალად არის დახატული და სიდიდითაც ყველა რუსთაველის ცნობილ სურათაზე მეტია. სურათს ძალიან უხდება ძველფასი შავი რამკა“.

და ასე ყოველ დღე... ამ გარემოებამ ერთბაშად პოპულარული გახადა ნიკო დადიანის სახელი.

„დროება“ 2 ივნისი, 1885 წელი, „წერა-კითხვის საზოგადოების საზოგადო კრებამ ერთხმად ამორჩია სპპატონ წვენრად თ. ნიკოლოზ მეგრელიისა და შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა პეტერბურგში. „საზოგადო კრება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ერთხმად მოგიძღვნით თქვენ განუსაზღვრელ მადლობას შემოწირულებისათვის ძვირფას ბიბლიოთეკისა და გთხოვთ პატივი სცეთ მას და მიიღოთ წოდება ამ საზოგადოების საპატიო წევრისა“.

ეი პასუხი ტელეგრამისა, რომელიც მოუვიდა საზოგადოების თავმჯდომარეს.

„ყოველთვის ჩემი წადიერი იყო მენასა ქართველ ხალხში წერისა და კითხვის გავრცელება. რაკი ვნახავ, როგორის ენერგიით ასრულებს საზოგადოება ამ წმინდა დანიშნულებას, მე მეგდინერად ვთვლი ჩემთვის დღეიდან ვეკუთვნოდე მას და ვეცდილობდე დახმარებას ჩემის ძალღონის შესაფერისად. გთხოვთ თქვენ, მრავალად პატივცემულო თავადო, გადასცეთ საზოგადოებას ჩემი უფლითადესი მადლობა იმ მაღალი პატივისათვის, რომელიც მაკუთვნეთ მე.

თავადი მეგრელიისა“.

„დროება“ 11 აგვისტო, 1885 წელი. „მოკლე ხანში უწმინდესის სინოდის ობერპროკურორ პობედონოსცევთან წარსდგება ამიერ კავკასიის ეპეპტაპია (აკადემიკოსი დ. ი. ბუბნაშვილი თ. ნ.დ. სამეგრელოისა და თ. ი. ა. ნაკაშიძე), რომელთაც მინდობილი აქვთ ქართულ-კახეთ-იმერეთის აზნაურობისაგან იშუამდგომლოს, რომ ივერიის (ათონის) მონასტერი კვლავ დაუბრუნდეს ქართველებს“.

1885 წელს „ივერიის“ დეკემბრის ნომერში ეპიმეტეველნდა დადიანისაგან წერა-კითხვის საზოგადოების სასეფრ შემოწირული ხელნაწერების და წიგნების სრული ნუსხა და ილიას მეთაურობით სამეგრელოში ამის თაობაზე გაგზავნილი კომისიის ანგარიში...

ყველაზე მეტი მიღელვარებით ამ განძთა შემოწირულებას ილია ჭავჭავაძე განიცდიდა. ილია თავითან იყო წამიმწყვები ამ მართლაცდა ისტორიული თაოსნობის, თბილისში ძველი ხელნაწერების მოგროვებისა. დადიანების სასახლეში კი ძველ ხელნაწერთა აურაცხელი სიმდიდრე იყო. იციდა ეს ილიამ და ამიტომაც თავად ორჯერ იმოგზაურა სამეგრელოში. არც ჯანმრთელობას მოერიდა და არც წნაალმდეგობას, რომელსაც ამ საქმეში წააწყდა. ბოლოდბოლოს მოხერხდა ამ ხელნაწერების მიღება და თბილისში ჩამოტანა. აკაც სხვას არ ანდო ეს საქმე და თავად ეკიმეზაერა სამეგრელოში: სათითაოდ შეამოწმა და გასინჯა ყოველი ხელნაწერი, სათითაოდ ჩაიწყო ყუთებში და ისე გამოუზავნა თბილისს. და რიცა ყოველივე ეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჩაუბარა, მოისკენა ერის მეთაურმა, ოღონდ ახლა საჭირო იყო ხელთნაწერების ამ დიდებული ფონდის მოვლა და პატრონობა. ისე შენახვა, რომ რამე სტიქიურ უბედურებას არ ჩაენთქა ეს დიდი საგანძური ერის სულიერი კულტურისა. ილია შეუუდგა შენობისა ლა საჭირო სახსრების გამოძებნას. ისევ წერა-კითხვის საზოგადოებასა და ბანკს უნდა ეთავა ეს საქმე, ილია ხომ ორივე ამ დაწესებულების მეთაური იყო და თუ არა მას, ვის უნდა ეკისრა ეს ახალი წამოწყება.

●

სამთაროს მამულების მოვლა-პატრონობა ძლიერ გაუჭირდა ნიკოს, მამულების შემოსავალმაც იკლო. ახლა იგი აღრენილი იყო ყველაზე და ყველაფერზე. თუმცა რუსეთის მეფის კარზე კარგად მიღებული, სახელითაც და პატივისცემითაც სარგებლობდა, მაგრამ ერთნობა, რომ ყოველივე ამის მიზანი იყო ტახტის მაძიებელი ნიკო დაემტკიცებინათ, ბედის უკუღმართობასთან შეერიგებიათ. მისი აზრით, ამისათვის იყო გაანგარიშებული ის კამპანიაც, რომლითაც ნიკოს ბულგარეთის ჩრეკოგად აყენებდნენ. მეფის რუსეთის ყველაზე რეაქციულმა გაზეთებმაც კი ნიკო დადიანის პორტრეტები და ბიოგრაფია დაბეჭდეს, ქებით თავბრე დასხვიეს მტრებსა და მოყვარეს...

ერთხანად ნიკოსაც დაიჯერა ყოველივე და იმედი მიეკა. ამას ისიც ემატებოდა რომ დადიანის სიმამრი მეფის კარზე პირველ კაცად იყო მიღებული და ისიც სწორედ ამასვე უდასტურებდა: ბულგარეთის ტახტს დღეს თუ ხვალ ჩაგაბარებენ“ და შენ იცი, შენი ჭკვიანი პოლიტიკით როგორ ვეკასხეკეთ. არ დაგავიწყდეს, თურქეთს ისევ ოვალი უჭირავს ბულგარეთზე. ორასი წელი ბატონობდა ბულგარეთზე და ახლა რუსეთმა შავი ზღვის იქით გადარეკვა. ამას აღვილად არ ურიგდება თურქეული და ყოველ დროს ეძებს ისევ დაიბრწნოს თავისი კოლონია.

— თურქეთს კარგად ვიცნობ, ჩემო სიმამრო, იგი ჩემი სამშობლოს მტერია არის და არც არასოდეს დავივიწყებ მის ვერაგობას. მამაჩემსა და დედაჩემს

სერგო ჭილაია
ᲕᲐᲛᲘᲚᲔᲑᲘ

სიცოცხლე გაუშვარეს ინ ოხრებმა და მე ვაღლეტეული ვარ ჩემი სამშობლოს მგიერაც ვიძინო შური. ოღონდ საშუალება მომეცეს და, შურისძიება ჩემსკე იყოს. ბულგარეთსა და საქართველოს, ასევე სომხებსაც მაგათ გაუშრეს სისხლი და ჩემზე მეტი მტერი არც უნდა თურქეთს...

ამ საუბარში იყენენ სიძე-სიმამრი, როცა იმპერატორ ალექსანდრე მესამისაგან გამოგზავნილმა კაცმა მოახსენა დადიანს, იმპერატორი გიბარებსო.

დადიანი დიდის ამბით მიიღო იმპერატორმა, ხელი ჩამოართვა, მხარზე ხელი დაკკრა და უთხრა: „დიდ ნდობას გიცხადებთ, დიდ ნდობას — ბულგარეთს გაბარებთ და მე მჯერა, გაამართლებთ ჩემს ნდობას და იმედს“. რიხიანად წარმოსთქვა იმპერატორმა და რომ თურო განემზკიციებია თავიისი სიტყვები, ახლა მეორე მხარზე დაკკრა ხელი.

ნიკომ თავი დასარა, ახლოს მივიდა და ხელზე ეიმბორა იმპერატორს უსიტყვოდ. კმაყოფილმა იმპერატორმა მეორე დარბაზში შეიყვანა დადიანი. იქ დიპლომატიური კორპუსის სამპატივცემულოდ სადილი იყო გამართული.

იმპერატორმა ოფიციალურად წარუდგინა დარბაზს დადიანი, როგორც კანდიდატი ბულგარეთის პრეკოგობისა:

— ბატონებო, აი ის კაცი, ვისაც რუსეთი აყენებს ბულგარეთის პრეკოგად, კაცი საქართველოს მეფეგების შთამომავალი, განათლებული და პატიეცემული, მამაჩემის კარზე აღზრდილი...

იმპერატორის ამ სიტყვებს დარბაზი ტაშით და ვაშათი გამოეპასუხა. მერე ყველა სათითაოდ მიდიოდა, შამპანურით სავსე ჭიქებს უკადუნებდნენ და ულოცავდნენ დადიანს ტახტს...

სასახლის კარზე მიმხდარი ეს ამბავი მთელ იმპერიაში ვახმაურდა.

ისევ საზოგადოების ყურადღების ცენტრში დადგა ნიკო დადიანი. რუსეთმა და უცხოურმა პრესამ ამ საკითხს მრავალი სტატია, წერილი, ცნობა უძღვნა. ამ ხმების ექოს საქართველომდეც მოაღწია. ნოემბრიდანვე გამოჩნდა გაზეთი „ივერიაში“ ცნობა იმის შესახებ, რომ „რუსეთს ნამდვილად გადაწყვეტილი აქვს მეგრელიის თავადის ნიკოლოზის ბულგარეთის მთავრად ამორჩევა“. და ამის შემდეგ ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ინგლისის, ავსტრიის, უნგრეთის, თურქეთის და ევროპის სხვა სახელმწიფოების ზარი ამის თაობაზე. „ის ამბავი, რომ თავადი ნიკოლოზი“ ბულგარეთის სამთავრო ტახტის კანდიდატად არის დანიშნული, ყველას ესიამოვნაო. თავადი ნიკოლოზი სიძეა ადლეგრბერგისა, რუსეთის მინისტრისა, შთამომავალი სახელოვანის ქველის - გვარეულობისა. სწორედ ისეთი კაცი, რომელიც რუსეთის თავმოყვარეობასა და ინტერესს შეესაბამებაო“. ამის შემდეგ „ივერია“ კითხულობდა, დაეთანხმება თუ არა დადიანი რუსეთის მეფის ამ წინადადებასო. ბულგარეთის საქმე იმეამად ძალზე აწუწული იყო. ბევრი გარეშე მტერი და მოშურნე ჰყავდა მას. არც სახელმწიფოს შიგნით სუფევდა მშვიდობა. ამიტომ პრინცები, რომელთაგან ბულგარეთის ტახტის მფლობელობას თავაზობდნენ, ილაჯ ვერ თანხმდებოდნენ და იყო ამის თაობაზე დიდი დავა მთელს მსოფლიო პრესაში. 16 ნოემბერს „ივერია“ იტყობინებოდა, ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან „სამეგრელოს თავადს ნიკოლოზს უთქვამს, რომ თანამბა ვარ ბულგარეთის მთავრობა ვიკისროვო“, ხოლო 18 ნოემბერს აღწერილი იყო ფლიგელ ადიუტანტის, სამეგრელოს თავადის მოგზაურობა: გუშინ მოვიდა მოსკოვის დიღის მატარებლით კეკკასიიდან პეტერბურგში სამეგრელოს თავადი. სანანსავად იყო თავის სიმამრთან, მინისტრად ნამყოფ გრაფ ა. ვ. ადლეგრბერგთან და მერე გატჩინაში წავიდა.

ამავე გაზეთში დაბეჭდა ვენაში გამოქვეყნებული ბარონ სუტნერის წერილი. სუტნერი ისხენებს იმ დროს, როცა სამეგრელოში იყო, დადიანების ოჯახის მეგობრად ითვლებოდა და ძალიან დაახლოებულ იყო თავად ნიკოლოზთან... „თუ რუსეთს გადაწყვეტება, რომ ბულგარეთის თავრის ეგორეკვინი სამეგრელოს თავადს ნიკოლოზ დადიანს დაადგან თავზე, ეს გადაწყვეტილება მარტო რუსეთის პოლიტიკურის მოსაზრებით არ აიხსნება, აიხსნება აგრეთვე იმითაც, რომ რუსეთს უნდა თავისი პატიოსანემა დაუმტკიცოს ბრწყინვალეე თავადის ოჯახსო“... მერე ეროკოდ არის გადმოცემული ეკატერინე ჭავჭავაძის, დავით დადიანის და მათი შვილების თავგადასავალი, ვანსაკუთრებით ვრცლად სუტნერი ნიკოს ახასიათებს. იგი გულკეთილი, ნიჭით აღსავსე, ფრიად განათლებული კაციაო — ამტკიცებს სუტნერი, — განსაკუთრა პეტერბურგსა და პარიზში აქვს მიღებული და ძლიერ შემცდარია ყველა ის, ვისაც თავადი ნიკოლოზი „ადმოსავლეთის პრინცი გონიათ“.

ევროპის პრესა დადებითად აფასებდა დადიანის ბულგარეთის ტახტზე კურთხევას. იქვე გამოჩნდა სხვა, საწინააღმდეგო აზრებიც. ევროპაში განსაკუთრებით ავსტრია და უნგრეთი მოითხოვდნენ ჯერ აღმოსავლეთი რუმანეთი და ბულგარეთი შეერთდეს და მთავარი მერე დაინიშნოსო. იმაზეც იყო საუბარი, რომ ამ თანამდებობაზე რუსეთის მეფეს მხოლოდ დადიანი არ წარუდგენია. მეფემ ჯერ რუსეთის ელჩს ბერლინში გრაფ შუვალოვს მიმართა, მაგრამ მან უარი შეუთვალაო, არც სხვები თანხმდებიანო. რადგან აწუწულ-დაწუწულიაო ბულგარეთის საქმე. 22 ნოემბერს „ივერია“ იტყობინებოდა — „ბერლინის გაზეთი დარწმუნებით ამბობს, რომ რუსეთმა სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი ბულგარეთის სამეფო ტახტის მთავრად ოფიციალურად დასასახელაო“.

25 ნოემბერს „ივერიამ“ მოწონავე წერილი უძღვნა ამ საკითხს: — გაგვიგ აგიაანერეკენ საკითხს ბულგარეთის პრინცის ამორჩევისას, ავსტრია-უნგრეთი და ინგლისიო, რომ პირველს ავსტრია-უნგრეთს სურს ჯერ რუმინეთისა და ბულგარეთის შერეთების საკითხი მოგვარდეს, ხოლო მეორე—ინგლისი სა-

ერთო განწყობილებას და თურქეთს ყურს უგდებსო". შემდეგ ისევ და ისევ უცხოეთში ნიკო დადიანმე გამოქვეყნებული წერილები. ამ ცნობებში ადწერილია, თუ როგორ იღნდებოდა რუსეთსა და ევროპაში დიდი ბეგარის შთამომავალი ნიკო დადიანი, როგორ სწავლობდა ფრანგულს, ინგლისურს... კერძოდ ბერნანუეთ ენას ამიდელებრეში, როგორ ცხოვრობდა დედასთან ერთად ჯამბურგსა და ვიისბადენსა, როგორი კეთილშოფაური, ჭკვიანი და განათლებული კაცია და ყოველნაირად შესაფერი ბუღალტერის ტატანსა...

1886 წლის 17 დეკემბრის „ივერიაში" მოწინავე წერილად დაისტამბა ილია ჭავჭავაძის სტატია. „სამგრერლის მთავრის კანდიდატობა ბუღალტერთაში". ილია დაწვრილებით განიხილავს ბუღალტერთაშ შექმნილ მდგომარეობას, ბუღალტერთის ტატტის კანდიდატად ნიკოოლზ დადიანის დასახელებით გამოწვეულ ჩვენს ინტერესებს და შემდეგ ვრცელეს განმარტებას იძლევა შექმნილი მდგომარეობის კამო. „ბუღალტერის მთავრად დღეს ორი კანდიდატია, ერთი თავადი ნიკოოლზ მეგრელიისა, მეორე პრინცი კომბერეი — გოთისა... დღეს ყველასათვის ცხადია, რომ თავადი მეგრელიის კანდიდატობას ხმას აძლევენ რუსეთი, ბერმანია და ისმაღეთი. ამავე დროს ავსტრია-უნგრთმა წამოაყენა თავისი კანდიდატენა პრინც კომბერეისა". ილია ჭავჭავაძე პრინც კომბერეს ახასიათებს და სხვათა შორის ამბობს, რომ ის სარწმუნოებით კათოლიკეა და თუ სურს ბუღალტერის ტატტის მემკვიდრე გახდეს, ჯერ მაროლმადიდებლობა უნდა მიიღოსო, სოლო რაც შეეხება დადიანს, იგი მართლმადიდებელია და ეს დიდ უპირატესობას აძლევს მას ამ თანამდებობაზეო.

ასე იყო დანტგრესებული მთელი საზოგადოებრობა და მათ შორის ილია ჭავჭავაძე დადიანის გარშემო ატეხილი ამბით. „ივერია" ამ საკითხებზე წერილებსა და სტატიებს განუწყვეტლივ აკვანებდა. 31 დეკემბერს 1886 წელს „ივერიაში" გამოქვეყნდა ვრცელი სტატია. პეტერბურგელის ფსევდონიმით ახალგაზრდა ქართველი კაცი წერდა: მეორე-მესამე დღეს, რაც აქ მოვედი, საცა არ მივედ ქალაქ გავოცდი, რომ ყველგან სალაპარაკოდ ჩვენი საქართველოს ორი შვილი გაუხდიათ. ერთი მთაგანნი სამეგრელოს თავადი ნიკოლოზ დადეთის ძე, რომელიც რუსეთის მთავრობას ამოუჭრეია თავის კანდიდატად ბუღალტერთის სამთავროს ტატტისათვის, ახლა მთელი პეტერბურგი ამაზე ლაპარაკობს; მეორე არის ჩვენი მამულიშვილი, რომელსაც ასევე მთელი პეტერბურგი იხსენებს, პროფესორი ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი, რომლის ლექციებსა მოხიბლა პეტერბურგელები და ტაშს უკრავენ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერსო..

ხოლო თვითონ ნიკო 1887 წლის 11 იანვარს გიორგი თეიმურაზის ძე აგიაშვილს წერდა:

„ჩემ საყვარელო გიორგ!

დიდათ გმადლობთ ხსოვნისათვის, რაიცა მოგიგია წერა ვსცანი. რაც მე აქ მოვედ ერთი წამი თავაოსუფლება არა მაქვს, დიღიდან საღამომდის მახვევია ხალხი და სულ საქმეში ვარ. შესახებ ჩემისა საქმისა რასაცა მწერ, ჩვენში იქნება. დიდი ლაპარაკია შესახებ ბოღგარიის საქმეზედ, ეხლა ომმ მოელს ქვეყანაზე ეს საქმე აქვთ სალაპარაკოდ. და რომ კიდეკე ასრულდეს ეს საქმე, მაინცა და მაინც ეს დიდად არა შსრს ვიკისრო ესრეთი დიდი მოვალეობა; მაგრამ მოლად ჩემს სურვილზედაც არ არის, დამოკიდებული. და თუ წასვლა შემხვდა, იმ შემთხვევაშიც მარჯვედ ვიქნები, რადგანაც რუსეთმა ასეთი პატივი მეა და ერთის ხმით ამომირჩია. უეჭველია, ერთი შეცდომაც არ მომივიდ. მე ალვასრულებ ყოველს სურვილს ხელმწეფისას; ეხეე არის, რომ რუსეთი ისეთი ძლიერი იმპერია არის, რომ მისს გამორჩეულს პირთან ხურთობა არ იეაორგებს. ეგების ამ მოკლე დროში დამტკიცდეს ჩემი სიტყვები: ჩვენ ყოველთვის ვადგებით სწორსა და ხაადრისს ბუზზედ, და ვინც მოინდომებს რუსეთის დაბრკოლებსა, იმას უეცრად ბანღური მოხვდება.—კაკეასიაშიც ბეგრს გიუკვირდება ჩემი კანდიდატობა; მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენში ხალხი მამასახლისადაც არ ამომირჩევდა. რუსეთს კი სხვა აზრი ჰქონია ჩემზე. და ამისთვის, მე მთელს სიცოცხლეში უნდა ვიყო მათი მოჯრილი, მოსამსახურე და ალმასურულებელი მათის სურვილისა; ვისაც თავში არ უკრის, ის გაიგეს რა არის სელმწეფისაგან ვრცელი რწმუნების მიცემა კერძო პირისადეი... ეს საქმე შერარულების თუ არა, მაინც ისეთი ჯიღოდო არის, რომ მეტი არ შეიძლება რა ამ ცისქვეშეთში... მადლობას გწერ, მე ისრე მოყვარხარ შენ, როგორც მამაჩემს უყვარდა მამა შენი; და კიდეკე უმეტეს მით, რომ ჩემმა დამ, ნატალიამ დაკვიმტკიცა სიყვარული, და პატივისცემა მე და ჩემს მშობელ დედას, რაისათვისაც მოვალე ვარ ეასიიამოვნოთ და დარწმუნებეული უნდა ვიყოთ, რომ შენთვის და შენის ოჯახისათვის, მე ყოველთვის მზათა ვარ რაც კი, ოღონდ კაცისაგან, შესაძლებელი არის, მამის ჩემისაგან შენთან მოწერილ ბარათს უკანვე გიგზავნი, იყოს შენს ოჯახში სახსოვრად; ნატალიას და ელისაბედს ჯულიოთადი მოკითხვა, ნახვამდის, ანუ ბოლ, ანუ ვარნას: —

დავშთები შენი პატივისმცემელი და მოყვარული თავადი სამეგრელოისა ნიკოოლზ.

1887-ს წ. 11 იანვარს

პეტერბურგი".

ეს დიდი ხმაური უფრო ზედა წერეში იყო. მეორემეტ ხალხში კი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მის ბიწყინვალეობას პატივისცემა ეკარგებოდა. დადიანი ახალი ცხოვრების ძალით ქვეიდადებოდა

სერგი ჟილაია
შვილები

ეკონომიურად. ეს მინგრელსკის უფრო აბორტებდა, შურს იძიებდა ყველა ხელქვეითსა და დამონებულზეც. მინგრელსკის დაკარგავენი ვეშეილი და მამულის მომვლელები შეესივნენ სამგრელოს გლეხაცოცას. საქმე იმას ეხებოდა, რომ უმაღლესი ბრძანების ძალით, დარჩა საკუთარ უფლებაში თ. მინგრელსკის ის ადგილები და უძრავი მამულები, რომელნიც მის წინაპრთა ხელში იყო არა მთავრულის უფლებით, არამედ კერძო პირის საკუთრებად, და დაედო ამ მამულებს მაიორათი. ამ დღიდან თ. მინგრელსკი შეიქმნა კანონის წინაშე კერძო მემამულედ, ადგილ-მამული რომ დაეცვა, მინგრელსკიმ აიყვანა რამდენიმე ვეშეილი, რომელთაც დიდ ჯამაგირს აძლევდა, წელიწადში 8ᲘᲘ თუმანს. ასეთი ერთი ვეშეილთაგანი იყო ისაკ ტერ-სტეფანოვი, კაცი აბაჯრებიანი, მეტად გაიძვერა და საშინელი მტერი გლეხაცობისა. ეს აი, ამ ტერ-სტეფანოვმა საკითხი აღძრა მთიან სამგრელოში ქვიბილის მთის გამო. ქვიბილის მთა გრიგოოლ დადიანს გეგეელებისთვის უბოძებია იმ სამსახურისათვის, რაც მათ თურქეთს წინააღმდეგ ომში გაუწიეს. და სათანადო დოკუმენტითაც დაუმტკიცებია ეს მთა მათთვის. ტერ-სტეფანოვმა და ამ მიდამოების მამულების მომვლელმა თომა ახლელიანმა „ოქვი მიიტანეს!“ გეგელებს ნაჭონ დოკუმენტზე და ისეთნაირად განმარტეს იგი, თითქოს გრიგოლ დადიანს ქვიბილის მთა გეგელებისათვის კი არ უბოძებია, არამედ ღრუბნი სარგებლობისათვის გადაუცია. ახლა ეს მთა მეშვეიდრეს ნიკო დადიანს უნდა დაუბრუნდესო. და როცა გეგელები ნებით არ დაემორჩილნენ თომა ახლელიანსა და ტერ-სტეფანოვს, მათ ჩაფრები მოიშველიეს და ისე გამდგენნეს გეგელიები ქვიბილის მთიდან. საჩივარი ქუთაისის სასამართლოში გადაიტანეს. დოკუმენტები ვეშეილებმა ქართულიდან რუსულად ისე თარგმნეს, როგორც ხელს აძლევდათ და ასე თვითნებური დამოკიდებულება დოკუმენტებისადმი სასამართლოში მთა სასარგებლოდ წყვეტდა კიდეც საკითხს, მაგრამ გეგელეებმა დიმიტრი თუმანიშვილს მიმართეს. თუმანიშვილი ძველი ქართული ენის მცოდნე და დოკუმენტების კარგი წამკითხველი, მაშინვე მიხვდა საქმის შინაარსს და ვეშეილ ტერ-სტეფანოვის წინააღმდეგ საკითხი აღძრა დოკუმენტების დამნიხეგბის თაობაზე. თუმანიშვილმა საქმეში ჩარია თავკაცები — რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, მოსე ჯანაშვილი და თხოვა ამ დოკუმენტის რუსული თარგმანის შესატყვისობის განმარტება. „დროებაში“ ზედიზედ დაიბეჭდა წერილები მოსე ჯანაშვილისა, იაკობ გოგებაშვილისა და უფრო მოგვიანებით რაფიელ ერისთავის, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ დოკუმენტის მიხედვით ქვიბილის მთა ნამდვილად გეგელებისთვის ბოძებულია. მაშინ გაქნილება ვეშეილმა ტერ-სტეფანოვმა და თომა ახლელიანმა მოაბარხეს ჩაეგდოთ დოკუმენტის დედანი და დაკარგულად გამოაცხადეს იგი, ამის თაობაზე დიმიტრი თუმანიშვილმა ბარათით მიმართა მთავრულის და დაადასტურებინა, დოკუმენტი ნამდვილად ტერ-სტეფანოვთან ინახებოდა. დიმიტრი ბაკრაძეს ამ საკითხზე ვრცელი წერილი მოათავსა „ცოცხალში“ სათაურით „კიდევ რამდენიმე სიტყვა მეცნიერის ეს ერეტ ზე“ და წერილი რედაქციის მიმართ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“. ყველფერი ეს ისე გახმაურდა, რომ საქმე თბილისის სასამართლო პალატაში გადაიტანეს. ამის თაობაზე „დროებაში“ წერდა: „დღეს 1 ნოემბერს თბილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია ფრიად საინტერესო საქმე თ. მინგრელსკისა ანსაუ გეგელებთან შესახებ ქვიბილის მთისა, რომელზედაც ამ დღეებში ვრცლად იყო ოთაპარაკი ჩვენს გაზეთში“. ეს საქმე წაადო მინგრელკ

იმ და მისმა ამალამ. მაგრამ ამით მაინც უკან არ დაიხეს ამ გაჭნილმა ვეშეილებმა და მინგრელკიის მამულები თავიანთი პირადი შემოსავლისა და გამდალრების საქმეთ გაიხადეს.

მინგრელკის საქმე კი თანდათან უკან და უკან მიდიოდა. ჯერ კიდეე 1876 წელს დადიანები იძულებული იყვნენ თავიანთი მამულის დიდი ნაწილი იჯარით გაეცათ. 1876 წლის „დროებაში“ ასეთი ცნობა გამოქვეყნდა „ჩვენ ვეთაზრეს, რომ თ. მინგრელკი ნახეგარ თავის მამულს 36 წლის არენდოდ აძლევს ფოთის ნავსაყიდველს აღმწენებელს ვ. უფლოკენგნის და ბახმეტიეს. იჯარით ამოეღო ხსენებულ თავადს წელიწადში ათი ათასი თუმანი უნდა აძლიონ“.

ეს ფული მაინც არ ყოფნიდათ ხელგაშლილ თავადშვილებს და ისევ და ისევ ცდილობდნენ ვამოეძალთან ელეფეგებისათვის დამატებითი სახსრები. ეს ყოველ დღე „დროებასა“, „შრომასა“ და „ივერიაში“ ამის გამო იბეჭდებოდა ქრონიკებში, შენიშვნები, სტატიები. გაზეთ „შრომაში“ 1883 წელს დაბეჭდილ წერილში გლეხი ჩიოდა, რომ მინგრელსკის სახსვა-სათესი ადგილები სოფელ ქოლოგანში იჯარით აკიღეთ და ახლაც ვიღაცეები გვედავებიან, დამატებით ფულს გვთხოვენო. ბატონი დადიანი კი ახლო არ გვიკარებსო. ეს ამბავი ისე გახმაურდა, რომ მინგრელსკი იძულებული გახდა ასეთი განცხადება გამოქვეყნებინა გაზეთში. „ბ-ნო რედაქტორო, სადღაც უთქამთ, თითქოს მე მთხოვნელებს არ ვიკარებ. ჩემი სახლკარი ყოველთვის ღიაა. მთა შეუძლიათ წერილები მომწერონ მე. თქვენნი კეთილის მსურველი თავადი მინგრელიანი, 27 მაისი, ᲰᲐᲢᲔᲠᲘᲜᲒᲠᲐᲜ“.

ნიკო დადიანი საადგილმამულო ბანკის პროექტზე ხელისმომწერთა რიცხვში იყო და ამ ბანკის ერთ-ერთ დამაარსებლად ითვლებოდა. ამიტომ ხადგილმამულო ბანკის ყველა სიკეთით სარგებლობდა, მაგრამ ეს სიკეთე მაინც ეკოტაკვებოდა. და იყო დაუსრულებელი საჩივრები, უთანხმოებანი დიდ მემამულე დადიანსა და უსახლკარო გლეხთას შორის. მერე საქმე იქამდე მივიდა, რომ თ. მინგრელსკიმ დიმიტრი ყიფიანისაც, მისი მამულების ყოფილ მეურ-

ვეს, სასამართლოში უწიეს. ამის თაობაზე „დროებაში“ ასეთი განცხადება გამოქვეყნდა: „აპრილის 9 თბილისის ოლქის სასამართლომ განიხილა შესაწინმნდი საქმე, რომელიც ატყდა თ. ნ. მინგრელსკის (ყოფილი სამეგრელოს მთავრის დადიანის) თხოვნით. თ. ნ. მინგრელსკიმ თავის ვექილის უფ. პოლტრარაცკის პირით შესჩივარა თბილისის ოლქის სასამართლოს, რომ უფ. დიმ. ყიფიანმს გადაახდევინონ თორმეტი ათას ორას ოთხმოცდა ექვსი თუმანი, შვიდი მანეთი და 14 კაპეიკი, რომელიც იმას აპეკუნთა ყოფნის დროს შერჩენიაო“. სასამართლოში საქმე წაადო მინგრელსკიმ, დიმიტრი ყიფიანმმ დამაჯერებელი ლოკუმენტები წარადგინა და მოიგო საქმე, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა. ყოფილი მთავარი ეახლა ყველას — შინაურსა და შორეულსაც, უჩოდა და ასე ეძებდა სახსრებს და საშუალებებს, რომ ოროორმე შეეწირჩუნებინა თავისი მდგომარეობა, თავი ეხსნა გაპარტახებისაგან. მაგრამ ამაოდ, ისტორიის კანონი დადუპვით ემუქრებოდა ყოფილ მთავარს.

ასეთ ვითარებაში დადიანისათვის დიდი იმედი იყო რუსეთის იმპერატორი, რომელიც ბულგარეთის ტახტს ჰპირდებოდა.

ეს დიდი აყიოტაჟი თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა. ბოლოს მოხდა ისე, რომ ბულგარეთის მთავრად აირჩიეს ავსტრიის პრინცი კომბერგი, რომლის კანდიდატურას ინგლისმა დაუჭირა მხარი. ინგლისს ბალკანეთში რუსეთის გაბატონება ხელს არ აძლევდა, არე თურქეთსა და არც ევროპის სხვა ქვეყნებს უნდოდათ ეს.

ეს იმედიც გაუცრუდა და ახლა მთლად გაბორტდა ნიკო დადიანი. პეტერბურგიდან საქართველოში გამომგზავრების წინ მას მეკი ფაღავა ესტუმრა. ნიკო და მეკი ძველი მეგობრები იყვნენ. იმ საღამოს, მეკი შინ მიიწვია დადიანმა, ხოლო მეორე საღამოს, იმპერატორის სასახლეში მეჯოლისწე წაიყვანა მეგობარი. ნიკოს ღვინო მოეკიდა და მთლად გაბორტდა ამ ბრწყინვალე სასახლის პატრონისა და ქვეყნის პატრონის იმპერატორის მიმართ. დადიანი ფაღავას მეჯოლისის დროს არ იშორებდა და სასახლის ბალის სტუმრებს აცნობდა. მეკი ყველაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, გაბორტებული დადიანი კი აღელვებული უხსნიდა:

— აი ის, მარჯვნივ რომ დგას, იმპერატორის მარჯვენა ხელია, ფესტპატი, კაცის მკვლელი, საქართველოს დაუძინებელი მტერი, ჩემი მტერი... სწორედ მან ჩამიშალა საქმე, თორემ აქ ინგლისი და ავსტრია არაფერ შუაშია... მარცხნივ რომ დედოფალს უდგას, ისიც დიდი ვინმე გაიძვერაა, დიაცთა მოყვარული და ღოთი, მეფის მრჩეველი და ბორტ საქმეთა ზაზგრნეული. ამ კაცის ხელშია ჩვენი ბედი. მეფის ასულს რომ ეეცვეთნა, ის ყველაზე საზიზღარი ტიპია.

ახლა მეორე მხარეს მიახედა ფაღავა დადიანმა.

— აი, იქ, კუთხეში, სამნი რომ დგანან — ერთი ჭორფლიანი, მეორე თავგადაპარსული, მესამე დიდულეაშა, აი ისინი ლუბავენ ქვეყანასა და საქართველოს. აი, ვინ ახვევია თავს იმპერატორს. აი, ვინ წყვეტს ჩვენს ბედს. ეს მეჭრთამეები, ეს კაცის მკვლელები, ეს გარყვნილები, სასახლის ინტრიგის ბალეს ქსოვენ ყოველ დღე. ჩემი მეკი, ამ ბადეში მეც გამხვიეს და აბა, რა მერგო წილად — გამასხარავება, გამასხარავება და მეტი არაფერი. საქართველოში რომ ჩაველ, ყველა ჩემკენ მოაშვერს ხელებს და იტყვის — თუ კაი კაცი იყო, ბუღგარეთის ტახტზე რაგომ არ აირჩიესო. რა იცით, რომ ბუღგარეთს კი არ უნდა ავერჩიე, არამედ ილ ამ ბორტაკებს, აქ რომ მეფეს გარს ახვევიან. ესენი წყვეტენ ჩემს ბედს. ამაო კი ავსტრიას მიეცოდს ჩემი თავიცა და მეფის იმპერიაც. მათთვის სულერთია, ოღონდ ფული ჰქონდეთ, დიდება და სახელი. ფულისთვის საკუთარ შვილსაც გაყიდნან. არა, ფავიდეთ, ჩემო მეკი, აქედან, გავეცალოთ აქაურობას, მეზიზღებიან ყველანი ერთად აღებული და თვითეული ცალკე. მეზიზღებიან...

მეკი ფაღავას ხელი მოხვია ნიკო დადიანმა და ორივემ დასტოვა იმპერატორის ბალი.

გარეთ რომ გამოვიდა, თითქოს თავისუფლად ამოისუნთქო დადიანმა და ახლა უკვე ნაღელიანმა, გონს მოსულმა ასე მიმართა ფაღავას:

—არა, მაინც კარგი ვქენი, რომ წამოვედით, იქ რაღაც სული მეხუთებოდა, მაინც მთლად შემეზიზღენ ისინი. აქ, გარეთ, არაუშავს, მოდი ცოტახანს კიდევ ვიაროთ სასახლის ბაღში.

უსიტყვოდ მიაყვა მეკი ფაღავა ტახტის მაძიებელ ნიკო დადიანს.

●

იმედგაცრუებული, დაღონებული და სევდიანი დაბრუნდა ნიკო დადიანი სამეგრელოში. ერთხანს არაავის იღებდა, საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებას არ იჩენდა. მაგრამ ცხოვრება თავისას თხოულობდა, ათასი რამ იყო მოსაგვარებელი. და ჩვენს პრესაში კვლავ გამოჩნდებოდა ხოლმე ნიკო დადიანის სახელი, რაც ხან რაიმე დავასთან იყო დაკავშირებული, ხან საქვედმოქმედო საქმიანობასთან.

...ნიკო დადიანს ქალაქ ზუგდიდის ტერიტორია თავის საკუთრებად ჰქონდა გამოცხადებული და შიგ არავის უშვებდა. სასახლე და მისი ბაღი ^ას ქვეყანდეს ფართობით თავისთვის ჰქონდა შემორაგული, მაგრამ• ქალაქის დანარჩენ ნაწილშიც არავის უშვებდა. ზუგდიდი თანდათანობით ჩაკვდა. ქალაქები არ იზრდებოდა. სწორედ ამ დროს ვაჭრებმა აღძრეს სასამართლოში საქმე, რათა უფასოდ თუ არა, ფულით მაინც მიეყიდა დიანტერესებულ პირთათვის ქალაქში მიწის ნაკვეთები. მეორე ის იყო, 1883 წელს ნიკო დადიანმა მიეიღა ქალაქის ტერიტორია ცალ-ცალკე და ნაგურ-ნაგურ ვაჭრებს, დიდაანი ფულიც აიღო. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეშველა ზუგდიდსაც. ხელი გაშალეს ვაჭრებმა და სიცოცხლე დაგრიალდა ქალაქში...

ლერგი ბილანია
შ ვ ი ლ ე ბ ი

ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ ძმებსა და დას შორის ერთბამად ჩამოვარდნილ უთანხმოებას ბოლო არ უჩანდა. სალომე მიურატისა თავის უფროს ძმასა სნი დადიანს ემდუროდა და საყვედურებით აფსებდა ახლობლებსა და ნათესავებს, მამისეული და დედისეული ქონება მთლად მან მისაკუთრა და ჩვენ არაფერს გვაძლევსო. მერე ის იყო წერილიც მისწერა ანდრო დადიანს და მასთანაც დაამეზობლა უფროსი ძმა:

— არა, ეს რას ბრეგს, — წერდა სალომე ანდროს, — რაც კი გაგვაჩნია უძრავი-მოძრავი ქონება ზუგდიდსა, გორდსა, სალხინოსა და აბასთუმანში, ყველფერი თვითონ მიიკუთვნა, მოურავები შემოგვისია და შიგ ცხეირსაც არ გვაყოფენებენ. შეუძლებელია ყოველივე ამის მოთმენა? ჩამოდი, ჩემო ძმაო, თავი დანაბეგ ამ ჭადრაკის ეშმაკს, ის გირჩევნია შენს ქონებას მიხედო. ხომ ხედავ, სულს გვარამეკს. ჩამოდი და მომეშველე, თუ არა სამეველი არ დაადგება ჩვენს საქმეს. ნიკოს თავისი ცოლის — მერის შთაგონებით ის უნდა, რომ მთლად გაგვაძარცვოს. აგრე ამბობს, იმპერატორსა და დედამაც ყველაფერი მე დამიმიტაკიცესო. თქვენ ისიც გეყოფათ, რომ მაშინ რვაას-რვაასი თუმანი ჩაგიჯიბეთო. ამით კიდეკაც გაგიხტუმრეთ და რას მედავებითო? არა, ხედავ, რომ მთლად გაირეცხა სინდისისაგან ეს ჩვენი ძმა. მაგრამ იცოდე, ყველფერ ამას ის წყეული ჩვენი რძალი აწყობს, ის აგონებს ჩვენს ძმას ასე უბეულოდ მოგვეკაროს, თორემ თავად ამას როგორ იკადრებდა. მე ახლა წერილი მივწერე ორივეს, სალანძადოთ წერილი, არ დამიზოგავს არცერთი. ჯერ პასუხი არა ჩანს, მაგრამ ვიცი, რომ არაფერი გამოგა, მოდი, მომეშველე. თუ ნებით არ გვაძლევს, კანონი ის სამართალი ხომაა ამ ქვეყანაზე. მოდი, შენი ჭირიმე, ამიმყარე ჯარი ინ ჩემი რძლისა, თორემ ლამის ვული გამისკდეს"...

ასეთი წერილებით ხშირად მიმართავდა სალომე უმცროს ძმას. ამავე დროს ლანძღვასა და გინებას არ აკლებდა ნიკოსა და მის ცოლს, მაგრამ საქმეს გამოსწორება არ ეტყობოდა. სალომე ნათესავებს ხან წინანდლაში, ხან თბილისში, ხან კიდეკ ვინ იცის, სად, ისევ და ისევ შესჩიოდა, მაგრამ ვერც ბუზღუნსა, ვერც მუქარამ ვერა და ვერ გასჭრა. რძალი ისევე ეშუქრებოდა სალომეს, ძმა კი ხმას არ იღებდა. ძმის წყარუნით სარგებლობდა მერი და ახლა მუქარაზე ბგაასული აქეთ ბგიეებდა სალომეს. თანდათან საქმე ისე გახმაურდა, რომ ახლობლები იძულებული გახდნენ ჩარეულიყვნენ. არა ამან უშველა. ბოლოს ისე გაზეიადდა ეს დავა, რომ 1889 წლის 5 ენკენისთვეს „ივერიაში" პირველ გვერდზე ახალ ამბებში დაიბეჭდა შემდეგი ცნობა: „ქართულ საზოგადოებას ეხსომება, რომ ეს შეიდიოდე წელიწადია უძველეს და უმდიდრეს ქართველ სახლობის წევრთა შორის, სახელდობრ სამეგრელოს თავად ნიკოლოზსა და იმის დის პრინცესა სალომე მიურატის შორის დიდი და არა სასიამოვნო დავა წარმობიჯა. საქმე ის იყო, რომ გასხვენებულმა სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე ალექსანდრის ასულმა ფარეანისამ, რომელიც გარდაიცვალა 1882 წელს, დასტოვა დიდი ძალი ქონება — უძრავი და მაძრავი. მარტო მოძრავი ქონება თვალ-მარგალიტი, ოქრო, თუ ვერცხლი და აგეკი, თუ სხვა ნივთი პრინცესა მიურატის დაფსაბეთი ფასობს არა ნაკლებ 600 ათას მანეთს. აი სწორედ ამ მოძრავი ქონების შესახებ ტაკვა ლეღერი დავა დასა და ძმას შორის და ამ შვიდი წლის განმავლობაში ბოლო ვერას ეზრიან ვერ მოუღეს. როგორც ყოველ საგვარეულო დავას, ამ დავასაც ბევრი უსიამოვნება და შფოთი მოჰყვა. და ვინ იცის საქმე რით დამთავრდებოდა, რომ მათ შორის მორიგება არ ჩამოვარდნილიყო. ამ ბოლო ხანებში თავადმა სამეგრელოსამ საქმე მიანდო ნაფიც ვექილს თ. ვ. მაჩაბელს, რომელმაც საქმე მორიგებით გათავა. ამ მორიგების ძალით თ. ნიკოლოზმა თავის დას, პრინცესა მიურატს დაუთმო სალიპარტიანთა და ზუგდიდის მამული, ხოლო დანარჩენი მამული და მოძრავი ქონება თვით თავადს დარჩა. ეს მორიგება ამ დღეებში დამტკიცებულ იქნა სანტკარიული წესით"...

ამ მორიგების თანახმად ანდროს თითქმის არაფერი მისცეს. იგი ეგროპაში დახეტიალობდა, თავს ჭადრაკის თამაშით ირთობდა და და-ძმის ჩხუბში არ ეწოდა, როცა გაიგო, მე არაფერი შემახვედრესო ეწყინა, წერილი მიწერა დასაც და ძმასაც, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს თავი არ შეუწუხებიათო, პასუხი მაინც გაეკეთ უმცროსი ძმისთვის.

„...1890 წლის 13 მაისს დამის 12 საათზე ცეცხლი გაუჩნდა გორდის სასოფლო სასწავლებელს. დილით, ბავშვები რომ მოვიდნენ სკოლაში, ფერფლად იყო ყველაფერი ქეცული. აბრიგებული ბავშვები და მასწავლებელები შინ დაბრუნდნენ. ხოლო მეორე დღეს მინგრელსკის ეპატერმრა მასწავლებელთა დელეგაცია. ნიკო დადიანსა მოუსმინა მათ და დახმარება აღუთქვა. ამის გამო გორდის სასოფლო სასწავლებლის მასწავლებელი გობეჩია 1890 წლის 22 ივნისს „ივერიაში" წერდა: „მისმა უგანათლებულესობამ მეიზეკარა ჩვენი ვედრება თავისი ნარკვი დაიერაგა შენობა სასწავლებლისათვის, საღაც ბავშვები ამემადა კეკოა ვანაკრძალნენ სწავლას. ამის გარდა კირი დაგვითმო უფასოდ, სამერმისოდ ქვის შენობის ასაგებად სასწავლებლისათვის. დიდს გულითადს მადლობას უძღვნით მეცა და ჩვენ მოწაფენენ ასეთის უზვის წყალობისათვის თავადს სამეგრელოისას და ღმერთსა ვთხოვთ მის ხანგრძლივ სიცოცხლეს დაზარალებულთა და ღარიბთა სანუგეშოთ".

1890 წლის 15 აპრილს „ივერია" წერდა „სხვა მრავალ სიკეთესთან მისმა უგანათლებულესობამ გორდელებს ის სიკეთე მოუტანა: რომ მან თავის სასახლეში გამართა შინაური აფთიაქი და წამალს უფასოდ აძლევს ავადმყოფს. ეს დიდი შეშფოთებაა მცხოვრებლებისათვის მით უმეტეს, რომ წერეთლს ავადმყოფობა აქ ძალიან გახშირდა".

„ეკალი" 1891 წელს იტყობინებოდა: „ამბობენ,

რომ მათ უგანლოებულესობას თავადს ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკიც განუზრახავს ჩითის ამერიკული საქსოვი ქარხნის გამართვა სამეგრელოში. მართლაც რომ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი მრეწველობისათვის ამ საქმეს, თუ რომ თავადმა მინგრელსკიმ დაამბოლოოს იგი... თუ ევროპაში ახლა მუშები მ საათს მუშაობენ, ჩვენშია, ალბათ, ამავე წესით იქნებიო... რაიც შეეხება მოთხოვნილებას, არამც თუ ჩითის ამერიკული ქარხნები ისეიროენ ჩვენში, არამედ თვით ქალაღდის საკეთებელ ქარხანაც დიდი მოგება ექნება, რომ ვინმე გამოჩნდებოდეს კიდევ და სხვა ჩვენი მემამულეთაგანი ქალაღდის ქარხანას გამართავდესო".

ნიკო დადიანს ზშირად მიმართავდნენ ასეთი ინოონით:

„უგანლოებულესო თავადო, ნიკოლოზ დავითის ძეო!

დიდ ბოდიშს ვითხოვ, რომ ვთამაშობ და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მაგრამ დიდად დაიმეგდეული ვარ, ეკეთილნებებთან გარემოების შეტყობას და მით ვეძინლოობთ; ეს ერთი წელია, რაც ტფილისში დარჩდა პატარა არა ოფიციალური წრე, რომელსაც მიზნად აქვს ქართული საკეკლუნო გალობა ნოტაზედ გადაიღოს და დამეგდოს. წრე არსებობს და მოეშველოს: გიგზავნილია გურიაში ფილიმონ ქორიძე, რომელიც სწერს შესანიშნავი მგალობლის ანტონ ლუშბაძის გალობას, მაგრამ საშუალების უქონლობა ერთობ უცარაგს ხელს ეა აბრკოლებს ამ კეთილ საქმეს. მოვიღბეკით თქვენდამი, უგანლოებულესო თავადო! მოგვეგმარეთ, შეგვეწიეთ, რომ თქვენის მეოხებით ეკეთესას შეეტანოს ის გალობა, რომლითაც უგალობდნენ ქართველი წინაპარნი თავის შემოქმედს.

...ჩვენ დიდი ხანია ვხედავთ თქვენს მოღვაწეობას: თქვენგან შემოწირული ქართული ბიბლიოთეკა და ლექციი შემწეობა სენაკის სკოლისადმი დიდი მსმენელია ქვეყნისათვის, რომელიც არაო	ს ამას არ დაივიწყებს. მხოლოდ ამ თქვენგან აგებული ტაძარში მლოცველნი მოკლეებულნი არიან გალობას და ზეაღოლოებს. ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი, უგანლოებულესო თავადო, უმორჩილესად ვსთხოოთ თქვენს გულუსხვრიბას. პატივი სცეთ ამ საქმეს ქვეყნის სასარგებლოდ და თქვენის სახელის სასიქადულოდ!

მოგვიარეშეგია გაზეთის „ივერიის" ნომერი, რომელშიც მოსსენებულია ორიოდე სიტყვა ჩვენის ქართულს გალობის შესახებ. შეწირულება, ვიმედოვნებთ, უბრძანებთ ვისადაც ჯერ არს — გარდასცეს ექიმს პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილს, რომელიც მოგარომგეს ამ წერილს — გარდმოსაგზავნად ტფილისში.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე
არისტოფენ ეასილის ძე ქუთათელაძე
10 ივლისი, 1894 წ."

1895 წლის 1 ივლისის „დროებაში" დაიბეჭდა ზუგდიდის საზოგადოების წერილი, რომელშიც თხოვდნენ მინგრელიის თავადს ეუფუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ ზუგდიდი და ფოთი შეეერთებინა ბიათ რკინიგზზით. ამ საქმისათვის ხარკის ნაწილს წ�ვკისრულობთ და ფულის შეგროვებას ეკმე შეეუდექითო — იტყობინებოდნენ ზუგდიდელები.

ამას მოჰყვა ცნობა გაზეთ „ივერიაში" „უგან. თავადს ნ. დ. მინგრელეკის ამბამად მოლაპარაკება აქვთ თურმე რუსეთის ზოგიერთ სოდადგრეთან იმის შესახებ, რომ მთა თავისი ხარჯით იკისრონ ზუგდიდისა და ფოთის შუა რკინიგზის ტოტის გაკეთება; აერეფთვე ამოაშრონ და გააასუფთონ ტბა-ჭაობები".

ვაზ. „კეკლუს" პირველ გვერდზე (აპრილი 1896 წელი). დაბეჭდილია სამეფორო ფორმაში ვამოწყობილი ნიკო დადიანის სურათი. ქვემოთ წარწერა აქვს. თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზ დავითის ძე.

გვერდით სტატია სათაურით: თავადი სამეგრელოსი ნიკოლოზ დავითის ძე:

„ნიკოლოზ დავითის ძე, თავადი სამეგრელოისა დაიბადა 4 იანვარს 1847 წ. ბაინალთა ხელმწიფის სახელით თბილისში და ხელმწიფისაგან ერწმენა ეს მაშინდელ მთავარმართებელს ერნაფ ვორონცოვს. ლამაზებისთანავე მიიღო პარეზიეობა ლეონ-ყაზნიის პოლკში, 1853 წ. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ბარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრე, თავადი ნიკოლოზი დამტკიცდა მთავრად და მიიღო მთავრობის ღრამბოლა ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოზ პირველიდან. 1856 წ. დაინიშნა ვორონცოვის ღროს ფლიგელადიუტანტად.

1867 წ. დასთმო მთავრობა.

1877 წ. ოსმანის ღროს ხელმწიფე იმპერატორს ასღოდა დუნაზეგ ვასვლის ღროს. შემდეგ დაინიშნა ჯარში, რომელიც ბალკანის მთებზე გადავიდა. ვაეკაცობისა და სიმხნეეგისათვის მიიღო ჯილდო ოქროს ხმალი და ვლადიმირი მაზეიანი. პრინც ბატენბერგის გადაყენების შემდეგ თავადი სამეგრელოსა ხელმწიფე იმპერატორისაგან გამოცსადებულ იქნა კანდიდატად ბოლგარიის ტახტისა. ამგანად სამშობლოში დაბრუნებული ცხოვრობს თავის მამულში და ვითარება მეცენატი, მეერნეობს, ვანათლება საფრანგეთში აქვს მიღებული. ცხოვრებისათვის საკმარისად მიუზადებული და ბუნებისაგან უნდათ დაჯილდოებული ინ რჩეულთაგანს ეკუთვნის, რომელსაც შეუძლია თვალსაზრინ კვალი დასტოვოს ცხოვრებაში, თუ მოინდომებს. ეროი უკეთესი ქველმომეტედ თავადია ჩვენში, მაგრამ ვამიჭალენება კი არ უყვარს. საშუნაროდ მისი გულუხვობა და გულკეთილობა ეფერი ეეჩქმოთითია, თუმცა საზოგადოთაც ეზად არის ყოველთვის შემწეობა აღმოუჩენის. ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას შესძინა მისი საოჯახო ქართული ბიბლიოთეკა. სენაკის სათავადაზნაურო სკოლის

სერგი ფილიპა
ეგ ი ლ ე ბ ი

განყოფილებაც მისი მეოხებით არსებობს და სხვ. ერთი სიტყვით ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ან კერძოთ, ან საზოგადოთ მისთვის ვინმეს მიემართოს და ურიგოთ გაწმენდილულიყოს. მისი საკუთარი ანდაზაც ეს არის: „კეთილი საქმე უნდა საიდუმლოების ბოხჩაში გამოპკრას“.

ამგვარ ცნობას ის პერიოდის ქართულ პრესაში ბევრს კითხულობდა ქართველი კაცი, მაგრამ ამათ ბევრითი ისიც იმეტდებოდა, დადიანი გლეხებს უსაზღვროდ ავიწროებსო. ხშირად სასამართლოში უჩივის და ხალხის უმაყოფილებას ანგარიშს არ უწევსო, ასეთი წინააღმდეგობრივი ცნობებით უმასპინძლდებოდნენ ჟურნალ-გაზეთები მკითხველებს. და ეს გასაკვირიცაა, ნიკო ფადიანი, უპირველესად ყოვლისა, ტახტის მაძიებელი დიდი მემამული იყო, ხოლო მის ერთგვარ ქეკლმოქმედებას და ღიბერალიზმს მეტნაწილად ისევ და ისევ პირადი ბედნიერება და ჯანდიდების სურვილი ამოძრავებდა...

●

ნიკო დადიანი უცნაურად გაორებული ადამიანი იყო: ერთი მხრით განათლებული, მწიგნობარი, ფხიზელი მეთვალყურე იმპერიის რთული ცხოვრების ზიგზაგებისა, ქართველი პატრიოტი, რომელიც მამულის კეთილდღეობისათვის მსხვერპლსაც არ ერიდებოდა, მეორე მხრით, ტახტზე გაგიჟებული მეოცნებე, დიდკაცობის მოყვარული, წარუმატებლობით გაბრაზებული, სევდით შეპყრობილი, გულჩახსნილი, ცხოვრების ორომტრიალისაგან დაღლილი და უნებისყოფო. პეტერბურგზე გაულაყრილი და იმპერატორებზე გაჯავრებული ნიკო საქართველოს მიაშურებდა ხოლმე და მის საკვარელ გორდში მოიკალათებდა მთელი ამალით და ახლოგებები. წარსულის მოგონებითა და ყოველდღიური ცხოვრების ეწილ-ბიწილოთი კლაკვა დროს. ორ რამეში იჩენდა დიდ სიყვარულს: თურჩუს ტყეში დათვებზე და ახლო-მახლო ქალებზე ნადირობაში. დაუხარჯავ ნიჭსა და ენერგიას, დაუოკებელ ენებათა ღელვას ამ ორ საქმეს ანდომებდა.

დათვებზე ნადირობა მთელი კვირა მზადდებოდა. დადიანებს ათამდე მწვანარი და ამდენივე მეძებარი, ჯიშიანი ძალი ჰყავდათ. პეტერბურგსა თუ თბილისს, პარიზსა და ლონდონს, ან კიდევ სხვაგან საღმე თუ გამოჩნდებოდა ჯიშიანი ძაღლი, უეჭველად მისი ნაშიერი ხელთ უნდა ეგდო ნიკოს. ხუთიოდე კაცი ჰყავდა მიჩენილი ამ ძაღლების მოვლისა და წვრთნისთვის. და აი, გაიგეზენენ თუ არა სასახლეში ნიკო ჩამოდისო, ყველაზე მეტი ცოცხლეული ძაღლებისა და ცხენების მომვლელთ შეუდგებოდათ.

ჰო, ცხენები, ცხენებიც შერჩეული და ჯიშიანი ჰყავდათ დადიანებს, ნიკოს ცხენები სანაქებო იყო მთელს ამ კუთხეში. მერე როგორ მზადდებოდა ეს ნადირობა: მეჯინიბეებს მთელი კვირა ცხენები საკანებეში მოეკლათ და წვრთნაზე გადაპყადათ. ასევე იქცევდნენ კურსალეკიც. მთელი კვირა ძაღლთა, ყეფას და ცხენთა ჭიხვინს ყურთასმენა მიაქონდა. და აი, დანიშნულებდა ნადირობის დღე. უთენია საყვირი მთელ სასახლეს ფეხზე დაგეგზავნა. იაო გაუთავებელი ფაცა-ფუცი, შეძახილები და ღრიანცელი. როცა ყველაფერს გააწყობდნენ, ნიკო გამობრძანდებოდა, სასახლის კიბეთაშ მიუფაფაზნენ. მის საყვარელ ყარაბაღელ ბედაურს; ორი კაცი ბატანებთან აკავებდა ცხენს, ორიც უზანგებს უსწორებდა. გამობრძანდებოდა დიდი ბატონი თუ არა, ერთმანეთ შესახვედნენ „სიტო�teq და გამარჯვება ჩვენს დიდ ბატონს“ სამხედრო აღლუმს ანკედა ეს ცერემონიალი. შეჯდებოდა ნიკო ბედაურზე და ოცამდე შეიარაღებული კაცი გაყვებოდა ბატონიშვილს.. მერე ძაღლ-მეძებრები მიაკადეთ, სულ წინ კი სამთაგროს დროშაა გაყოლიებდა სასლლუნუხეცეს, და ასე შეეყოფოდნენ თურჩუს ტყეს. ტყე ილვიძებდა მათ ხმაურით და დამფრთხალი დათვები ბუნაგებიდან ბურდღუნით გამოდიოდნენ მგრის შეესხვედრად...

საღამოს კი სიმღერითა და დიდი ნანადირვითი ბრუნდებოდნენ დადიანნი და მისი მხლეზოები. ამას მთელი კვირა გადაბმული ქეიფი მოსდევდა. ქეიფს ქალებზე ნადირობას გადაბამდა ნიკო მინგრელსკი — აქ კი მს მხოლოდ ერთი მესაიფეზე ჰკავდა, თვითონ წუწკი სასლეუხუეცესი. ყოველ ნადიმსა და ქელეცხზე ნიკო ვიღაცის თვალს დაადგამდა, თავის ლუკმად აირჩევდა და მერე საქმეს სასლეუხუეცესი ჩარხავდა. კაცმა რომ თქვას, ამ საქმეში არც არასოდეს გასჭირვებია დიდად ამ კეთხის თვალს, ნიკო ბატონიშვილს..

თავდებოდა ეს ნადირობაც, მაგრამ ნიკო ისევ უკმაყოფილო და მოუსვენარი იყო.

დადიანების სისხლი ტახტისაკენ ეძახდა და მოსვენებადაკარგულ, ხელმოცარულ ნიკოს დღედაღამ ტახტი აბოდებდა. დაღლილი სისხლი და მოთენილი ენება უფრო და უფრო აღიზიანებდა მისსულს და მთელს იმპერიაში ადგილს ვერ პოულობდა ეს ენებაშლილი კაცი. პეტერბურგში იყო და გორდი ენაგრეზოდა, ბორდის იდილიას შეაფრეზდა თავს. ერთი კვირა, ერთი თვე თითქოს ეაერთობოდა, მაგრამ ისევ მოიყირჭებდა დათვებზე ნადირობას, დროსტარეას და ახლა უკვე პეტერბურგი და პარიზი ენატრებოდა. ასე მთელი იმპერია ხეიბაღილი მოლია, მაგრამ ტახტით გაგიჟებულმა ბატონიშვილმა სიმშვიდე სულისა ვერსად ჰპოვა...

ამასობაში შეუღლე დაავადმყოფდა. მერი თავის დროზე ულამაზესი ასული იყო, მთელს პეტერბურგში რომ გამოიჩეოდა, მაგრამ არა ნაკუღა ლამაზი და ახოვანი იყო ჩვენი ნიკო. მარილაც დიდებული წყვილი იყო თავის დროზე ნიკო და მერი...

მერე შეიღები ეყოლა მერის, თანდათანობით ჭირვეულობაც დაჩემდა, ნიკოს ქალებში გართობამ, დარდიმანდობამაც აუშალა ნერვები. ბოლოს გულით დაავადებული ქალი ისე ეასოდა, რომ ექვე სიარულიც უჭირდა, ბევრი უმკურნალეს, მაგრამ ვერას ეახდენენ. მერე თითქოს ბეჯს შეუჩიგდა მერი და, დავრდომილი და დაავრდნილი, უკვე ალარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცეცდა ყურადღებას ქმარზე გაგონილ ჭორებს. ნიკოც უფრად სარგებლობდა შექმნილი მდგომარეობით, იმ წელს კი...

კვირა დღე იყო. ნიკო სასლთუსუცესის თანსლებით მარტგილის ტაძარს ეესტრნა. ზორგა-ლოცვა რომ დამთავრდა, ნიკოს ეახლა მღვდელი ოსიძე და დიდი პატივითი შინ მიიპატიჟა. ოსიძე გაოცაენის კართან სახლობდა. მშეენიერი ოდა სახლი ედგა. პატარა ეზოს ჭიშკარი შეაღეს თუ არა, დადიანს, სასლთუსუცესს და მამა ოსიძეს, ასე 18-19 წლის, გოგონა შემოეგებათ. ქალიშვილმა შინ შეიპატიჟა სასურველი სტუმრები.

— ჰო, ეს რა დიდუული ქალიშვილი ჰყოლია ჩვენს მასპინძელს, — უსურჩუა სასლთუსუცესს ნიკომ.

სასლთუსუცესი ერთბაშად შედრკა და სასე მოეღრუნა. ეს უმაღ შენიშნა პატონიშვილმა.

— რა, შენ ეეწყინა თუ რა მოხდა ისეთი, — თითქოს მწყრალად უთხრა ნიკომ სახედაღრეჯილ სასლთუსუცესს.

— არა, ჩემი ბატონო, ოღონდ ისე, ჩემი ნათლეული ეახლავი და უკეე დანშნულია.

— მითი უკეთესი, მითი უკეთესი, — ჩაიჭიქენა ბატონიშვილმა.

სწორედ ამ დროს დიასახლისიც შეეგება სტუმრებს ფარფოდ გაღებეულ კარებთან და მოწიწებით ხელი ჩამოართვა ბატონიშვილსა და სასლთუსუცესს.

ნიკო ხელზე ეამპრარა ლამაზ დიასახლისს, რა ქათინაურებით არ შეამკო. მთლად თაფლად იქცა, ეოტა არ იყოს, გაწითლდა დიასახლისი, მაგრამ გამოცდილ ქალს ისიე არ გამოპარეია, რომ ნიკო თვალს არ აცილებდა დედას ამოფარებულ ქალიშვილს.

დედამ მიიხედა და დამფრთხალმა ქალიშვილმა ორი ნაწნავი ზურგზე გადაიგდო, ყელმოღერებული შველიეით მეორე ოთახში შეეგარდა...

სტუმრები გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. პატარა დიასახლისი ფეხზე იდგა და სტუმრებს ეშასურებოდა. თამადად თვითონ ნიკო დადგა. ბატონიშვილი ქეიფის ეშმში რომ შეეიდა, მოითხოვა: ეს პატარა დიასახლისიც დაჯდესო. უარზე იყო დედა, სუფრასთან რა უნდა, დიდების სუფრასთან ჯერ არასდეეს დამჯდარაო, მაგრამ ნიკო არ მოეშვა დიასახლისს და მაგიდასთან დასვეს ოსიძის ქალიშვილი. რაღაცნაირად უფრსულად იჯდა, ადგილი ვერ ეპოვა, რადგან დაკონებით უშზერდა ნიკო. ქალიშვილი ვერსად გაექცა კაცის ეენებიან მზერას და წარამარა ეოილდებოდა, ის იყო, ადგომა დაიპირა, მაგრამ სწორედ მაშინ ნიკომაც პატარა დიასახლისის საღღეგრძელო შესთავაზა სუფრას...

რა საქებარი სიტყვებით არ შეამკო თამადამ ოსიძის ქალიშვილი, თან ისე ენებაამლიერი ამბობდა ყოველივე ამას, რომ დიდმა დიასახლისმა ადგილად შენიშნა მოარშიეე კაცის თავშეუკავებელი საქციელი და გაათავა თამადამ თუ არა თავისი გაკიანურებული სიტყვა, შეიღს ანიშნა — აკაურობას გაეკეადეო. პატარა დიასახლისმა ცარიელ ბოთლებს დაავლო ხელი და მეორე ოთახში გავარდა. ისევ მოენება შემოსულიყო და სუფრას მოსჯდომოდა და ესმინა დადიანის საქებარი სიტყვები, მაგრამ ვერ გაეგება დარბაზში შესალა ფედ-მამის ზიზით. დადიანი კი წარამარა კითხულობდა, პატარა დიასახლისი სად არისო, უიმისოდ მოწყენილობაო ჩვენს სუფრაზე, ის ბეგამშვენებდა და აბა ეს რასა ბეგავსო. ჭირეკეულობდა თამადა, მეორე ოთახში ვერ ისეენებდა პატარა დიასახლისი და გული სუფრისკენ ეესდა.

ოსიძის ქალიშვილი ბუნების უმანკო შვილი იყო. მას პირველად ესმოდა მამაკაცისგან საგრეიანო სიტყვები და ვამიუენობი ინტერესი იქეი ეუნოდა, თან მოკრძალება არ აძლევდა ნებას ბოლომდე ესმინა ეს სასურველი სიტყვები.

სწორედ ამ დროს აპორიალდა უკეე მთვრალი ბატონიშვილი და მეორე ოთახში შეეიდა. ხელი ადაელო და სუფრასთან მიიყვანა. ეს უკეე აღარ ესიამოვნათ ოსიძეებს, მაგრამ ვერაფერი კაღრეს ბატონიშვილს.

ღვინოს ეძალებოდა ბატონიშვილი, მაგრამ უღვინოდაც პატარა დიასახლისის ეშმით მთვრალი იყო და ისე უდიერად ექცეოდა ოსიძეების ქალიშვილს, რომ სასლთუსუცესი იძულებული გახდა საკმეში ჩარეულიყო.

მაშინ, როდესაც დადიანი მორიგ საღღეგრძელოს ამბობდა, სასლთუსუცესი ადგა. პატარა დიასახლისთან მივიდა, მამაშვილურად ხელი მოხვია და მეორე ოთახში გაიყვანა, მერე მობრუნდა და ბატონიშვილს შესთავაზა, — ახლა კი დრო, ჩემი ნიკო, ბუსს გადუდგეთო, თორემ გორდამდე დღისით ვეღარ მივალ-წვეთო.

გაჯიქდა ბატონიშვილი, პატარა დიასახლისი ახლავე აქ მომეგვარეთო, იყვირა. მერე როცა ეს თხოვნა არ შეუსრულეს, თვითონ გავარდა მეორე ოთახში და გადაეხვია ქალიშვილს. ქალი ჯერ მუკერივით გაიენაბა, გაბერეწა, მაგრამ როცა აღარ მოეშვა საზღვარს გადასული დადიანი, ყვირილი მორთო. მეღვდელი ოსიძე შეეარდა პირველ ოთახში, დადიანს ხელი სტაცა და ოთახიდან გაიყარა. ახლა სასლთუსუცესი მივარდა ნიკოს და ძალით ჩასვეა ეტლში. გაგულსდა დადიანი, მაგრამ ვერაფერს ეაზლა ეგადებული ოსიძისა და სასლთუსუცესის წინააღმდეგ. მერე ეტლიე დაიძრა და ოსიძეებმა შეებნენ ამოინუნთქეეს.

მეორე დღეს გამოფხიზლეეულმა დადიანმა ოანძიღვა-ვინეზით აიკლო სასლთუსუცესი: — ეს რა შეურაცხყოფა მომაყენეთ, მე ვიღაც ოსიძის ქალიშვილს თავი გავუყადრეო და თქვენ შეურაცხყოფად მიიღეთო. ახლავე აქ მომგვარეთ ოსიძე და მისი ქალიშვილი, რომ პასუხი მოვთხოვო შეურაცხყოფისათვის...

იცოდა სასლთუსუცესმა,ეს საქმე კარაგად არ გამთავდებოდა...

იმ საღამოს მარტგილში სასლეგანაქმულ კოდი-

მეზე საიდუმლოს უმსეღლდა ქალ-ვაჟი ერთმანეთს — გეგეჭკორი და ოსიიე. ვაჟი ის ყმაწვილი იყო, რომელსაც მიხა მეტუკეშ უტუ მიქავას ნაკონი დრომა ჩაპაარა. სოლო ქალიშვილი კი ის გოლონა, რომელსაც ყოველ დღე ყვავილებს თაიფული მიაქონდა ეკატერინე დადიანის საფლაზეზე, და რომელიც ასე დაადარეთხი ენებაამლილმა დადიანმა.

გივი გეგეჭკორი თბილისის სასულიერო სემინარიაში მცხეთელმა ბიძამ, სასულიანლმუფლმა მოოჯარადე-ვაჭარმა დიდის წვალებით მოაწყო. ამ მეცხეკეთელ ვაჟს გეგეჭკორის თბილის-ფოთის რკინიგზის საფფურზე ყველა იცნობდა, სოლო მისი ხელმძღვანელობით გამოიცხადარ საკაბარეა და მცხეთარ ფეფეზელს ყველა აკეფდა, ვისაც კი ერთხელ ბეკელო მცხეთის გზაზე. ეს კ გეგეჭკორი პატრონობდა თავის ახლობლებს და ნაცნობებს, ცარიზმისაგან დევნილ რევოლუციონერებსა მფარველობდა და თავშესაფარს აძლევდა. გივი გეგეჭკორი ჩინებულად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა. ბოლოს რევოლუციონერი ახალგაზრდობის ზრაშიც აღმონნდა. ეს ის ახალგაზრდა მარქსისტთა წრის პირველი ჩანასახი იყო, რომლის ზეკრთა რევოლუციურმა მოღვაწეობამ მოელს მეფის იმპერიის თავზარი დასცა. გივი გეგეჭკორი იმ წელს რევოლუციურად განწყობილი სხვა ახალგაზრდებთან ერთად სემინარიიდან გარიცხეს. გამორიცხულმა სემინარიელმა თავი სოფელ მარტყეოს შეაფარა. ის ზაფხლი სოფელში გაატარა. აკ ისევ დაუახლოდა ბაგმეობის მეგობარს — ოსიიის ქალიშვილს. პრიტეხანტი სემინარიელი ღამით ვარსკელაკეს ანდობდა გულის საიდუმლოს, სოლო დაბინდებისას ეშეკარეზული ქალ-ვაჟი კოდიმეზე სეინონობდნენ და მიჯნურობის საიდუმლოს მთავრის უმხელდნენ. იმ დღესაც ერთმანეთს შეხვდნენ ოსიიის ქალიშვილი და სემინარიელი გეგეჭკორი. ოსიიის ქალიშვილმა წვრილად მოუთხრო მიჯნურს, რაც მას ნიკო დადიანთან შეემთხვა. უსმენდა გეგეჭკორი ოსიიის ქალის გაუბედავ მონათხრობას და გული მრავზით ევსებოდა.

— არა, არ გამოუვა ეს დადიანს, მთლად უნდათ ამოწყვეტონ ჩემი ოჯახი. ეყოფათ — ბრაზობდა გეგეჭკორი. — ჯერ იყო და მამამისმა მამაჩემი იმსგეგეჭკორი. — ჯერ იყო და მამამისმა მამაჩემი ციმბირეში, უდანაშაულო მამაჩემი. მამაჩემის სისხლი მართეზი დადიანეზეს. ჯერ ეს ზღინ და დანაჩრეზეზეზ მერე მოვილაპარაკოთ...

ამას ისეთი პასუხით ამბობდა გეგეჭკორი, თითქოს მის წინ დადიანი იდგა და ამას ედავებამ. ქალიშვილი აშშეიდეზდა გახეკილებულ მიჯნურს. მერე ის იყო შეკვარეზულეზსა გადაწყვეტილს იმ კვირას გაპარულიყვნენ და ჯვარი დაეწერათ.

იმ კვირას, დღისით, მზისით ერთმანეთს ისევ კოდიმეზე შეხვდნენ შეკვარეზულეზნი, საღაღუფხოგზით კოდიმეზედ დაეშვნენ, აბაშის ჭალა გაღიეს, ფეხსაცმელი გაიხადეს, ფონი მოძრნეს, მდინარე აბაშა გატოპეს. ვაღმა ისეე ფეხთ ჩაიცვეს, ბომბოთის ეკლსაიან მიაშურეს. იქ გეგეჭკორის ნათესავმა მღვდელმა საიდუმლოდ ჯვარი დაწერა...

ნიკო დადიანს ყოველთვის ვინმე უყვარდა, ბატის მაძიებელ სეფეწყლს რაკი ბედი არ წყალობდა, ამ უფერულ ცხოვრებას გამოგონილი რომანებით აფერადებდა. ეს დაუსრულებელი სიკვარულებისს თამამი ბაგიმყოფერ ჭინანიანს უფრო ჭკვიდა, ვიდრე რომანტიკულ გატაცებას. თანაც ამ ახოვნი და დარდიმანდი ბატონიშვილის მოტრფიალე ქალთა რიცხვი დაუელველი იყო. იმფამად ნიკოს მორიგი რომანი დადიანების ყოფილი მოურავის ოჯახში დაიწყო. ეკა ჩიჩუას პირმშვენიერი ასული კიდეკე გადაყვა ამ ტრაგიკულ რომანს...

დავით ჩიქოვანისა და ეკა ჩიჩუას ქალიშვილი ძაბული სილამაზისი მთელს სამეგრელოში განთქმული იყო. ძაბულის ხელის მთხოვნელები ცოტანი როდი იყვნენ, მაგრამ ქერი ეკა ადვილად არავის იკარებდა, დიდებულ გვარიშვილს და ვაჭაკაცობით განთქმულ სასიძოს ეძებდა...

იმ ზაფხულს ნიკო და მისი მეუღლე საგანგებოდ დაპატიჟა ჭვეულებაზე, სადაც ოტია დადიანიც იყო მიპატიჟებული. ოტიას იმ წელს დამთავრებინა პეტერბურგის უნივერსიტეტი, სამმოლოლი ახალდაბრუნებულს მარეზლები დაესიენენ, თვითონ კი თვალი ბატიანზეზე ეეჭირა. ეს ამბავი ეკამ შეიტყო და დღევანდელი ჭვეულებაც ამიტომ მოუწყო დადიანს. ჭვეულებაზე ეკას ისე ეჭირა თავი, თითქოს კეკლუ სამთავროს სახლეთუხუცესის ცოლი ყოფილიყოს, სოლო ნიკო დადიანი ძველებურად მთავარი. ამპარტავნად ელაპარაკებოდა ყველას, ძველებურ სიკეკლუცე ისევ ამშვენებდა მის ბატონკაცურ ქედმაღლობას...

თამადად ნიკო აირჩიეს. რამდენიმე საღღეგრძელო დალიეს და დადიანი ეშუნე მოვიდა. ძაბულის ჩუმად უთვალთვალებდა და თამადობის ყველა ზეს ისე იყენებდა, რომ მისი ყურადღება დაეშსხურებინა. ვანგებ ერთად აღღეგრძელა ძაბული და ოტია დადიანი, გაბმულად ლაპარაკობდა, ოტიას მამეფილიშვილობას უქებდა, ძაბულის ქართველ ქალობას. მერე ადგა, ოტიას აკოცა და ძაბულის ხელზე ეამბორა. ძაბული ისე ზამოზოილდა, თითქოს დანამუოლში დაიჭირესო. ეს ნიკო დადიანს არ გამოპარვია.

საღღეგრძელოები ისევ გრძელდებოდა. მოლხენამ ფრთები ეაშალა, ამსობამში ნიკო დადიანმა ისე მოიშინაურა საპატარძლო, რომ ბევრდით ვადმოსვა და ვნებიანი ლაპარაკი ვაუბა. ეკას არ გამოპარვია ეს და ეწყინა, არ მოელოდა, ნიკო თუ ასეთ რამეს ვაუბედავდა მის ოჯახს.

ნიკო კი აინუზმიაც არ აგდებდა არავის. ძაბულის ისე უყურებდა, ვითარცა დიდი ბატონი და თავის ხელქვეითთაგ, თავის საკუთრებად მიაჩნდა. ნიკო თანეფიანაზონი ვთამამმდა. საპატარძლოს ისევ ეფეერებოდა, ძაბულიც იფერებდა ქალთანურებს და ტკბილ სიტყვას, მაგრამ როცა დამთვარალი ნიკო ხელებს ფათურზზ ვადავიდა, ვანზე ბეიწია საბატარძლოზმ. ამას თვალი მოკრა ეკამ, თამადასთან მივიდა და ჩუმად უთხრა:

— არა, ბატონო ნიკო, ნურას უკაცრავად, ჩემი ქალიშვილი სხვა არ ეეგონოთ. იმას მაინც მოერი-

დეთ, რომ სახიფათო კაცი აქვე ზის. არ იკარგებს, მაგრამ, არ იკარგება ასე. მე ვთხოვთ და თუ ჩემმა თხოვნამ არ გაგრა, მაშინ... — ისე აუმაღლა ხმას ეკამ, ყველას ყურადღება მიიპყრო.

ნიკო დაიბნა. ამას კი არ მოელოდა, მაგრამ სიტყვის შებრუნება არ იკადრა, ნაწყენმა იმავ წუთს დატოვა იქაურობა. ღა ის იყო სუფრაც აიშალა.

სასლისაკენ მიმავალ ნიკოს გზაზე ცოლიც აუხირდა:

— რას ბკავს ეს? რას იფექრებს ხალხი? ნუთუ არ შეგიძლია ამ სნის კაცს, უფრო სერიოზულად ეგეჩიოს თავი?

ნიკოს ავადმყოფი ცოლის ბუზღუნისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ახლა უფრო ის აპრაზებდა, როგორ ვამბობდა სიტყვის შებრუნება ჩიჩუას ქალმა, ჩემი ხელქვეითის, სასლოსუუცესის ქვრივმა. ბრაზობდა და თან გულიდან ვერ იღებდა გულში ჩაგარდნილ ჩიქოვანის მშვენიერ ასულს.

გავიდა დრო. ახლა ღის სასლში, მიურატის ამაო სასასლეში შუსგნენან ძაბუელი და ნიკო ერთმანეთს. კუ თავეშეყრილ ლამპზმანთა შორის ყველაზე რჩეული მთინე ძაბუელი იყო. ნიკომ მთლად დაკარგა მოსვენება, მაგრამ თავი ისე მოჰკონდა, თითქმის არც არაფრად აგდებდა ეკა ჩიჩუასა და მის ასულს. საღოიმეაც ისე წარეფდინა ძმას ისინი, რომ ძვალი ნაწყენნინა დავიწყებოდა.

მერე ეკამ მოიმდოინა დადიანის წინაშე, იმ ღღეს ცუდად გამომეიღალო და ისევ ყველაფერი კალაპოტში ჩაღვა. ისე მოიცხინა დადიანმა უზომოდ, ისევ არ აკიღებდა მზერას ჩიჩუას ულამაზეს ასულს.

გავიდა დრო და ძაბუელი ოტია დადიანწე გაათხოვეს.

ძაბუელის ქმარი სამხედრო პირი იყო. ცოლი ითხოვა თუ არა, იმ თუფეკეს თურქეთის ფრონტზე გაიწვიეს. ძაბუელი ორსულად იყო, ქმარი რომ დაუბრუს ფრონტზე. დაბრილ ქმრის მთელი სამი თვე არ მოეკუეთია, ამსოთაში ავად გახდა და მუეკელი მოეშალა. ასოა ეს იღარდა ძაბუელმ. ქმარი გადაუწრა სიკედილს, მაგრამ დაავადებული, ნერვეშმოშლილი, აუტანელი გახდა. ფრო მიდიოდა, ძაბუელი უფრო და უფრო გრძნობდა მარტოობას და სიკეიეეს. დადარდიანებულს მარტო ის აწუხებდა, რომ შეიღი არ უნნდებოდა. ქმარზე ხელჩაჭნეული დედობას ნატრობდა, მაგრამ არც ეს ბედნიერება ერგო წილად. სიცოცხლით სავსე ჩიქოვანის ასული ისე უფურებდა ცხოვრებას, როგორც ღედინაცვალს. ღმერთმა იგი გაანუბიერა, გააუბილა ყოველმხრივ და დარდმა შეიპყრო ახალგაზრდა ქალი... ოტია დადიანმა ზურგი შეაქცია დასვედიანებულ ცოლს. ამაყი ჩიქოვანის ასული ჩაიკეტა თავის ოთახში.

ღღეები გადიოდა და ძაბუელის სულიერი ღეპრესია, თანდათანობით იზრეკენდა. ამავე ღროს ქმარიც ჭკარგადა წინასწორობას და ავადმყოფობით გამოწვეულ სვეფსასაც და ოჯახში დატრიალებულ ტრაგედიასაც ღვინოში ახრჩობდა.

ასლა იგი ღიღიდანვეე არყით გამოთვრებოდა და მთელი ღღე ეკლეშილი ეღოლბუეცებოდა ვაშვლეულსა და გამიმეელს. ცოლისთვის აღარ იცლიდა. ყოველეგვარ ინტიმს მოკლეული ძაბუელი საღარდებელში ჩაეარდა. ჯერ იტირა, იღარდა, მერე, ტირილითა და ვიშით გული რომ მოიოხა, გაღვა ეკა. მოვიდა, ტოლეშნი გაერია, გული გადაისანსნა, დაინასა, რომ სხვეზეა არიან მის მეგობარეობაში, უკუეყარა გულის ღარდი და ისევ ძველებური კისკისა ეასდა. მამაითეს, რომელიც აკამდე აუუვეშებდა და ამშეიდებდა ძაბუელის, ახლა რაღლის სითამამე არ მოსწონდა. ვერც ვერაფრით აუსნა მისი ასეთი ეოქმედება. სწორედ ამ ღროს ერთ წეეუოეებაზე ისევ შეხვდა ძაბუელი ნიკოს. და იმ ჭრაზონამ, რომელიც გაუდვიეებულად გულში ჰქონდა ჩამარხული, ერთბაშად იფეთქა. ახლა ძაბუელი ისე იქცეოდა, ყველას უკვირდა. ღადიანი აპა რისი ღადიანი იყო, თუ ამ მოვეხტა ხელიდან გაუშეებდა. და ეი მოიშოოა სამიფნური ბაღე. შიგ ფარფხაოეებდა ძაბუელი, არა შინაით, არამედ სიყვარულით ფრთეშეესმეეთ. ერთბაშად ვაიხარა, ვაიფურჩქნა, ვალამაზდა ისეთაც ლამაზი ძაბუ. ყოველღიღეე ნიკოსაკენ მოუშეედა გული, შინ ვერ ისვენებდა, შეოთავეა. ეა უკვე ისე აშკარა იყო, რომ შინაურებსა და მეზობლებს სალაპარაკო გაუჩნდათ. ახლა კი მტკიეეედ ბალაუდა მამამთილი რძალს. უნეერო ქმრის ხელში აღვირაწეედეული ოჯახი ოთახი მფარეეეობს ქვეშ ეიღიდან მოქეეია. ჯერ ბალუაეერდა, მერე დაუყვავა, ოჯახის პატრონსებასა და ნამუსზე ჩამოუგდო საუბარი. ძაბეული ბრაზმარეეეული უსმენდა მამამთილის ქადაგებას. და თან ყველაფერს ქმარს აპრალეედა. ბრაზი ახრჩობდა. მერე ერთბაშად აბერდა. ტირილს სულმოუთქმელად, ტიროდა თავის ბედს, გაუხარებელ სიყვარულს და ვინ იცის, კიდეკ რას.

ასეთი სეეენა ხშირად მეორდებოდა. მერე უფრო გაღრპალდა უფსკრეული ქმარსა და ცოლს შორის და ერთ მშვეიერ ღღეს სასლოდან წავიდა ძაბუ. მამამთილი შინ მიუვარდა ჩიჩუასს და უკანეე ეამოიყვანა რძალი.

ოჯახსე გულაცრუებული ძაბუ თითქმის ყოველ საღამოს ხეღებოდა თავის სატრფოს მდინარე ჩხოუშის პირას. მთვარიანი ღამე იყო მოწმე მათი აღფრთოვანებული სიყვარულისა და ბედნიერებისა.

ამ შეხვედრების იმედით ცხოვრობდა ძაბუელი, ამ ტკბილი მოლოდინით სულდგმულობდა. ყველაფერს გაუძლებდა, ყველაფერს გადაიტანდა — დამცირებას, შეურაცხყოფას, დაცინვას, სიმწარეს — საღამოს ნიკოს აღტაცებული მზერა და ტკბილი ღიმილი დაჩვეულრნა და ოღნიდ.

მერე კი ნაცნობი ბზარი გაჩნდა ნიკოსა და ძაბულის შორის. სულ უფრო ხშირად კამათობდნენ, ერთმანეთს გულს ტკენდნენ მწარე სიტყვებით. ასე იყო იმ ღღესაც.

— მე ვარქნობ, მამაკაცის ინტუიციით ვარქნობ, რომ შენ არა ხარ ბედნიერი ოტიას ხელშ. არც ოტიას უყვარხარ, არც შენ გიყვარს ის. ასე მეარნი, არც მაშინ გიყვარდათ ერთმანეთი, როცა ცოლქმრობის პირობა დადეთ. ახლა მე ჩავდეკი თქვენ შუა. არ

ვიცი, ღმერთმანი, ჩემი დანაშაულია ეს თუ გარე-მოგბან. თავი ვიმარილოო, მეც არ ვიცი ვის წინაშე. ეგება არც მე ვარ დამნაშავე და არც შენ. ეგება ბედმა ეს გვარგანა ჩვენ. იმიტომ კი არ მოვედი შენთან, რომ თავი ვიმარილოო. მე თვითონ შეგხვდი, ჩემო ძაბუ, ჩემი სურეიღით და ჩემი ნებით. მაგრამ მსურდა გაურკვეველი გამომეკვანა და მე, ვით აღსარება ისე მითქვამს. სიყვარული სიყვარულის წილ, არ მიმურება შენთვის. ეგები არ მოყვეს ამას ნა, რასაც ჩვენ ორივე ცალ-ცალკე, მაგრამ ერთნაირად და ერთად ვეძებთ. მაგრამ მეგონა, სიყვარულმოწყურებულს სიყვარულს დაგიბრუნებდი, შენი მეგობარი ვიქნებოდი, ერთიანი მეგობარი, ეითა ეს მიანნოს შეუძლია და შენი გაცივებული გული სიყვარულისთვის მინდოდა კვლავ გამეთბო.

ძაბუი გაწითლდა. თავი ვერ მოუყარა სათქმელს და უხერხულობა რომ გამოესწორებია, ადგა, კაბა გაისწორა. დადიანსი ეეიმა ვაწყინინეო ალბათ ამ სიტყვებით და მიდისო. ხელით შეაჩერა:

— არა, საწყენად არ გეუბნები, ეგებ არა ვარ მართალი. მე მზადა ვარ ჩემი სიტყვები უკანვე წავიღო, თუკიდე ბოდიშიც მოვიხადო. მე ბაბეგს ვეემ ოტიას, თქვენს ოჯახს. სხვა არა იყოს რა, ბიძაშვილად მერგება ოტია. არ მინდა გაესდე, მიზეზი ვინმეს უმეღერებინოს...

ახლა ძაბუი გაოცებული შესცქეროდა დადიანს და თვითონ ვერ მიმხვდარიყო, რად დასხმირდა ნიკოს ამ სიტყვების წარმოთქმა. უხერხულობა რომ გამოესწორებია, თავისთვის წაიღაპარაკა ძაბუმ:

— არა, მე ისე ავდექი, არც არსად ვაბირებ წასვლას.

ახლა კი გათამამდა დადიანი.

—ჰოდა, იმას მოკახსენებდით. მე მგონია, ქალიანთვის მთავარია სითმო და სიყვარული. ამ ოხერ ქვეყანაზე მეორედ არავინ მოვდივარო. და რაკი ერთხელა ვართ ამქვეყნაზე, არე არაფერი დავიკლოთ ჩვენი წილი, რაც ღმერთს დაუმტკიცებია ჩვენთვის, ადამიანებისთვის. არა, ჩემო ძაბუ? ჩვენ რაღ უნდა ვეურჩოთ ბუნების ანაწერს? — ესა თქვა დადიანმა და ხელი მოხვია ქალს.

ძაბუი მიხვდა, რას ნიშნავდა დადიანის ეს გადაკრული სიტყვები, გაწითლდა, მაგრამ მაინც არა უთქვამს რა. დადიანმა ამით ისარგებლა და ისევ გააგრძელა:

— მე რომ მკითხოს კაცმა, ოჯახი მეტად რთული საქმეა, ხოლო ყველაზე რთული ცოლ-ქმრობის საკითხი. ამქვეყნად ორი ქალიკა არ მეგულება, რომ ქმაყოფილი იყოს თავისი ხვედრისა.

ახლა კი გაეღიმა, ძაბუის და შეესიტყვა სასურველ მიჯნურს:

—მერედა რა შენ გხვდებიან ყველა ეს უკმაყოფილონი. არა, არა ხარ, ნიკო, მართალი. მე ცოტას როდი ვიცნობ ცოლ-ქმარს, რომლებიც დიდად ბედნიერი არიან თავიანთი ხვედრითა და დიას, ქმაყოფილიც, უყვართ ერთმანეთი და თავსაც არ დაზოგავენ ერთმანეთისათვის. სიყვარული ისეთი რამ არის, ჩემო ნიკო, რომ ის თუ ეწვია კაცს, ვერც ვერაფრით მოიშორებს თავიდან. აი, შენ თუ იცნობდი ჩემს ბიძაშვილს ირინეს. გაგიკვირდებ? ეგ ვარდათ ერთმანეთი ირინეს და ზალეს და ეს ეგ ზალეა თურქებთან ომის დროს ფრონტზე-დაჭრილი ირინეს მის დანაწმუნოდან გამოიცხადა თავი, დაჭრილს ერთი დღე არ მოშორებია და უყვიდა. როგა გარდაიცვალა უბედური ზალეა, სანამ მკვდარს გაასვენებდნენ, ხმაგაკმენდილი გლოვიობდა ირინე სატრფოს, ხოლო იმავე საღამოს ენგურის წყალს მიაცა თავი, უიმისოდ სიცოცხლე აღარ მოისურვა...

— არა, ეს რაღაც გამონაკლისია. უფრო მეტს გეტყვი, ირინეს რომ თვითონ არ მოესმა თავისთავის სამუალება, გაიკლიდა დრო და ისევ შეიყვარებდა სხვას, ისევ დაიბრუნებდა ცხოვრებასთან მისსაკელელ ეზსა. უთუოდ გამონახადდა სხვას. მაგრამ ერთბაშად აჰყვა სევდასა და დარეს და ფიას, თავისთავს მუსსთ სამუალება კვლავ დამტკბარიყო სიყვარულის ნეტარით. როგორც ერთი ფრანგი მწერალი ამბობს, შეყვარებულები და ლოთები ერთნი არიან, ვისაც ერთხელ დაუღვია, მეორედაც დაღვეს, ვისაც ერთხელ ყვარებია, მეორედაც შეიყვარებს, მესამედაც, მეოთხედაც. და ადამიანები არც უნდა ეეჩრნონ ბუნების ამ წესსა და კანონს.

ესა თქვა და ახლა უფრო შეეტია თავის მსხეერპლს დადიანმა. ხელი მოხვია, მოეფერა. ძაბუი ისევ დაპყვა, ისევ ბედნიერად წარმოიდგინა თავი, მაგრამ უეცრ რაღაც მოაგონდა და ხელი გაამეკრინა დადიანს.

ახლა ისევ ქადაგად იქცა დადიანი:

— არა, ძაბუ, თუ ქალი გულწრფელი იქნება, არა მგონია ქმაყოფილი იყოს ოჯახის არტახებისა. რაც გინდა კაი ქმარი ჰყავდეს ქალს, ოჯახი მაინც ოჯახია და მძიმე უღელი. უფრო მეტს გეტყვი, ქმაყოფილება და თაფლის თვე ორ თვეში თუ არა, ორ წელში მაინც თავდება და მერე ოჯაღი ათასი წვრილმანი ოჯახის საჭიროებისა, ჩაკმა-დაბურვისა, ბავშვების მოვლისა, მისეულისა და ათასი დავიდარაბა. მოელი ეს პროზაული ცხოვრება სულს აცლის იმ რომანტიკასა და სიხმოს, რაც შეუღლებას მოჰყვება. მერე იწყება ნერვების აშლა, უკმაყოფილება და ბუზღუნი. ცივდება გული, მერე დედამთილისა და მამამთილის ჩარევა, დეიდებისა და მამიდების, ბიძაშვილებისა და ახლობლების და ასე ყველაფერი მოსაბეზრებელი ხდება. ხომ ასეა, ძაბუი, ა?

ნიკომ დაინახა, რომ ძაბუი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ისარგებლა ამით და ახლოს მიიწია, მერე ხელი მოუთათუნა მხრებზე. ძაბუი შინაგანმა ლუღვამ შეიპყრო და მთელი სხეულით ცახცახებდა. ნიკომ მაგრად მოხვია ხელი ქალს, ძაბუი ამას არ მოეკოდა, მიჯნურს ერთბაშად ხელი ჩკრა და გაიქცა. ვაიქეა უკანმუხეედაედად.

ორი დღე გარეთ არ გამოსულა ძაბუი, არც ქმარი შესულა მასთან. მესამე დღეს ისევ მამამთილმა მოიკითხა:

—რა მოხდა, ქალო, ისეთი, სულ მარტო ზიხარ ამ ოთახში და გარეთ არ გვეჩვენები. რით ხარ, შვილო, უკმაყოფილო, ვერ იტყვი? — ძაბუი ხმას არ იღებდა.

ოტია ისევ ვერ იტანდა ცოლს. გაეცალა დღეები. ძაბუები ერთ წუელოსაში ისევ შეხედა ნიკოს. ნიკო ისე მიესალმა, თითქოს არაფერი ყოფილიყოს მათ შორის. მოიკითხა. ძაბულიმაც შეიმშვენა ყოველივე ეს და თავის მხრივაც გაუღიმა სასურველს.

და აი ისევ შეხედნენ ჩხოუშიის პირას, ღიღი ცაცხვის ძირას.

— რა იყო, ძაბუები, რომ გაიქეცი და ასე უსიტყვოდ მიმატოვე? შენ უნდა იფიოდე, მე იმას გეუბნები, რასაც გული მიკარნახებს და თუ არ მოგწონს ჩემი ნათქვამი, ნება შენია, ძალა აღმართსა ხნავს. თუ გადაუდგები ჩემს სურვილს, მე აბა სხვა ღონე და ძალა რაღა მაქვს, გარდა სიტყვისა. სიტყვით კი ისევ გეტყვი: ცოლ-ქმრობა მე მაინც მოვალეობა მგონია, ხოლო ნამდვილი სიყვარული და მოწონება კიდევ სხვაა. ჯოღა, რაც ოჯახში მოაკლდება ადამიანს, აი იმ სითბოს, რასაც დაკარგულად ვფლობ, სადღაც იპოვის ხოლმე. აი, იმ სითბოსა და იმ სიყვარულს დარაჯებად უნდა დავუდგეთ, უნდა ვეძიოთ, ვეძიოთ ყველანაგ და თუ ვიპოვეთ, კი არ უნდა ვეურჩოთ, არამედ დავემორჩილოთ და გავაკეთო გულის კანონსს. თუ გულწრფელი იქნები, შენც დამეთანხმები, რომ ყველანი ვეძებთ ამ სითბოს, ვეძებთ ბედნიერებას, სიყვარულს, ვეძებთ შინ და გარეთ და სანამ შინ არის იგი, სახლიდან არ გამოფდიგართ. და რიგა შინ ვკარგავთ, მაშინ გარეთ ვეძებთ, ვეძებთ დაუსრულებლივ. ამას იტყვის ყოველი კაცი, და ქალი, ვინც გულწრფელი იქნება თავისი თავის წინაშე.

ძაბუიის შინ ის სითბო, რომლის ქეშას ახლა დადიანი ამბობდა, არც არასდროს უგრძვნია. ახლა ბარეთი იპოვა რაღაც ამის მსგავსი, ამ ვამფუნების ძალის წინაშე იდგა და არ იცოდა, რას არგუნებდა და ბეღი. ბედნიერებას, ბედისაგან დამწაარს, თუ უბედურებას. იმასაც ფიქრობდა ძაბუები, ეგეც ისე მოსდგა, რომ წინადადება მომცეს დადიანმა, ოტიას დაეტოვებ და ცოლად გაყვებიო. და აი, მაშინ ვიქნები ბედნიერი. ამას ფიქრობდა ძაბუები, მაგრამ მალე სულ სხვა რაზე გამოიარეა.

—არ დაგიმალავ ეა გეტყვი, ძაბუ, ბედნიერი არც მე ვარ. ოჯახური სითბო და სიყვარული დიდიხანია მოაკლდა ჩემს სულს. მე მაშინ შევცდი, როცა უცხოელი შემოფიეავნე სახლში. უცხოელი მაინც უცხოელია, ჩვენებური მაინც სულ სხვაა. და მე მაშინ დავკარგე სითბო სიყვარულისა, როცა ეს ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ ბეღს მაინც არ ვემდუროდი. მდგომარეობა მეკონდა, სახელიც მქონდა და ეს თითქოს აფსებდა ამ სიცარიელეს, რომელიც ჩემს გულში შეფობდა. ახლა ეს მდგომარეობაც ეგარ და ჩემი სულიც გაიცდა და გულიც. გარეთ დავიძაბ დაკარგულ სიყვარულს. ხან ეპოლუოს კიდეც და ხან არა. და მაინც კარ მაქეს გაგნზრახული ცოლი გავფშვა და სხვა ვითხოო. არ მინდა შვილები გავაუბედურო, ღიდის სითბო მოგაკლო მათ. მე ეს პირობა დამიფიცა და არასოდეს გადაეუხვევ მას. მაგრამ, ასე მგონია, ეს შინაური საქმეა, ხოლო ნამდვილი და გულწრფელი გრძნობა შენკენ მომიწოდებს და შეკასიმ. მე შენით მინდა ვპოვო ბედნიერება და სითბო და ჩემს სულს კვლავ დაეუბრენო წყეულიელი სიცოცხლისა. მე ვიცი, ვგრძნობ, არც შენა ხარ კმაყოფილი ოჯახური მდგომარეობით, მაგრამ ვგრძნობ, იმას გეტყვი, დაცილდი-მეთქი ქმარს. რაც ფარულია გრძნობა სიყვარულისა, ირსაგან ტკბილია იგი. მე შენთან ყოფნა სიამოვნებას მგვრის და შენც თუ რამე სიამოვნებას მოგანიჭებს იგი, ვიყოთ მეგობრები. დიახ, მეგობრები, სიყვარულით დაკავშირებული.

ძაბუები ახლა მოეგო გონს, თითქოს ბურანიდან გამოიეადა, თითქოს სიზმარში გადასულს გამოეფვიძა.

— რას ნიშნავს, მეგობრები? ესე იგი, მე შენი ხასა ვიყო? — ეს გულდამწყრომა ისე თქვა ძაბუიემ, რომ თავი ვერ შეიკავა და ქვეითნი აუვარდა.

— მაოცებს შენი სიტყვები, ძაბუ. რას ნიშნავს ხასა? მე გითხარი, მეგობრები-მეთქი. ასეთი მეგობრობა აუცილებელია, ცხოვრება ამას მოიითხოვს.

ძაბუები ისევ ცაცხაეიშეა მთელი სხეულით და ერთი და ოგიეეს იმეორებდა:

— არა, მე არ ვიცი, რას ეძახით თქვენ მეგობრობას. მეგობრობა სწორედ ცოლ-ქმრობა უნდა იყოს, სწორედ მეგობრები არიან ბედნიერი ცოლი და ქმარი.

— არა, ძაბუები, ცოლი ცოლია, მეგობარი კიდევ სხვა. ეს სულ სხვა ყრანრნაა. მე გეტყვი გულწრფელად, ცოლ-ქმარნაც არიან მეგობრები, ოღონდ ამ მეგობრობას ანგარიში, ოჯახის შენახვის ანგარიში უდგეს საფუძველად. სიყვარულის ალი, რომელიც სულს ანათებს, სულ მალე ქრება ოჯახში.

— მე არ მესმის თქვენი სიტყვების აზრი. თუ ეს სიყვარულის ალი ასე წარამარა ქრება, მაშინ ის, ალბათ, შენ რომ მეგობარს ეძახი, და მე კი ხასეს, იმაო გულშიაც გაქრება. იმაო სულში, ვინც ქალს, როგორც სავაჭრო საგანს, როგორც ბაზარში გასაყიდად გამოტანილ ნივთს, ისე უყურებს, ოღონდ დაეუფლოს ამ ნივთს, ხელთ იგდოს იგი, დაიკმაყოფილოს თავისი ენნი თუ წადილი და ამას სიყვარულს ეძახის, სიყვარულს. არა, ჩემო ნიკო, მე მეზიზღებიან ასეთი ადამიანები. არა მგონია, ამას სიყვარული დაერქვას. ამას ავადმყოფობას დაავრქმევდი — გარყვნილებას, სიბილწეს, ყველაფერს, გარდა სიყვარულისა. ადამიანები არც "არასოდეს მოიხურეგენენ ასეთი ავადმყოფური ცხოვრებით "ცხოვრათ. ამიტომაც სულ მალე ქრება ის სიყვარული, რომელიც ეს ხასობაში ვინდა დაინახო. მე მმეულს, მმეულს ასეთი სიყვარული. მე თუ მოვეედი შენთან არა ამიტომ, რომ ხასა გავხდე შენი. არა, მე ვინდა ოჯახი, მე მინდა ქმარი მყავდეს, ქმარი კანონერი, შვილები და ვიყო დედა. და არა მალუღად და ჩუმად ვეძალეოდე ფნებათა ღელვას, რომ მნოლოდ ხორცმა გაიხაროს და ინებივროს. მე ასეთ ბედნერებას უბედურებად ჩაეთვლიდი და ნურც ნურასოდეს მოელი ჩემგან ამგვარ თანაგრძნობას. — ესა თქვა, ადგა და ეულდარდიანი ეაეცალა იქაურობას.

შინ ვერ ისვენებდა ძაბული, ბოღმა ახრჩობდა, წარასრა იმეორებდა:

— მაშ, ხასად ვუნდივარ დადიანს, არა? კარგი საქმეა, შენ არ მომიკვდე. ყველას თითის საჩვენებელი ვიყო და სალაპარაკო...

სარკეში ჩაიხედა. სახე ნახევრად შემლილი ჰქონდა. ესიამოვნა, შეურაცხყოფას რომ ახე დაეტანჯა. კმაყოფილებით მიმართა თავისავე სახეს სარკეში „ძაბულო, ნიკო დადიანის ხასაო, აბა შენ იცი, როგორ ასიამოვნებ შენს საყვარელს?“... ესა თქვა და სარკასტული სიცილი აუკარდა. მერე თვალებიდან ლაპლუპით ჩამოუცვივდა ცრემლები და ერთბაშად დამშვიდდა. იქვე ლოგინზე მიეგდო და მკვდარივით ჩაეძინა.

მეორე დილას ადრე ადგა, მაგრამ გარეთ არ გამოსულა, ოთახში წრიალებდა, თითქოს დღესა და მზეს ემალებოდა.

გავიდა ღრო. ძაბული წყვლიდა იმ დღეებს, რომლებიც ნიკო დადიანთან აკავშირებდა, მაგრამ ვერც შინ იცდიდა, ისევ გულს უსიებდა კანონიერი ქმრის საქციელი და მამამთილის ბუზღუნი, ისევ სენდას, წუხილს და ვაებას შეეპყრო მისი სული.

ინგალიდი ქმარიც კარგად გრძნობდა, რომ რაღაც დანაშაულს ჩადიოდა ძაბულის მიმართ, მაგრამ გული მაინც ვერ დაემორჩილებია, თუმცა არ იზიდავდა, არ ითხოვდა თავისკენ ძაბული. ციცი, ციცი იყო ძაბულის გული და თვითონაც ვერ აეხსნა, საიდან მოდიოდა სიძივე. გრძნობდა, რომ არ უყვარდა ცოლს, მაგრამ რატომ ვერ აეხსნა, ვერ მიმხვდარიყო ნამდვილს და იტანჯებოდა. მერე უფრო მოუხშირა ღვინის სმას, გაღოთდა, საშინლად გაღოთდა.

ახლა კი მთლად აირია ოჯახი. მთლად დაკარგა მოსვენება ძაბულიმ. ისევ გამოუცნობი გრძნობა ეძახდა, ეს გამოუცნობი გრძნობა ნიკო დადიანის სიყვარული ეგონა. მაგრამ რა, სიყვარულის ნაცვლად ხელთ შერჩა ავადმყოფური ენება კაცისა და მთლად შეეზიზღა თავისი თავი ძაბუს. ვერა და ვერა, ვერ მონახა ადგილი, ვერ იპოვა თავისთვის კუთხე, სადაც მოისვენებდა მისი ტანჯული სული. ეძებდა, ეძებდა გამოსაგალს. ეძებდა, ეძახდა რაღაც გამოუცნობი ხმა და ვერ მიეგნო ამ საიდუმლო ხმისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲚᲯᲒᲚᲝ ᲙᲐᲪᲘ

სახეზე ჟანგისფერი დაჰკრავდა. გაწვრილებულ კისერზე შავი ჯაგრით დაფარული თავი წამოსკუპებულიყო. დიდი, ნესტოებდაბერილი კეხიანი ცხვირი ჰქონდა. სიფრიფანა ტუჩები ერთთავად ჩალურჯებოდა. ოდნავ წინ წახრილი დადიოდა. მუხლები შიგნით მიჰბრეცვოდა, ნაბიჯის გადადგმის დროს მუხლისთავები ერთმანეთს ეხახუნებოდა, რის გამოც შარვალი უფრო მალე უცვდებოდა და ამიტომ საკერებებით აჭრელებული დადიოდა. ხმაც, რაღაცნაირად ჩახრინწული ჰქონდა. ასეთი იყო სკოლის დარაჯი ხვახა.

როცა არ უნდა შეხვედროდი ხვახას, იფიქრებდი ნამძინარევიაო. ენა რაღაცნაირად ეჩლიქებოდა. ბევრ სიტყვას სწორად ვერ ამბობდა, რამაც ბავშვობისას ბევრი უსიამოვნება არგუნა: თანატოლები მოიხელთებდნენ უდედმამო ბავშვს, შუაში მოიმწყვდევდნენ, ან თამაშობის დროს წაქცევდნენ და ზევიდან სიცილით დაჰყვიროდნენ: „ვიდრე სწორად არ იტყვი, არ გაგიშვებ!“ და თან დამარცვლით უბრძანებდნენ: „აბა, თქვი, ხახვი!“ ისიც სიცილითვე სწრაფად უპასუხებდა: „ხვახი...“ „არა, ხვახი კი არა, ხახვი!..“ და ასე გრძელდებოდა დიდხანს, ვიდრე რომელიმე ღვთისნიერი არ გამოივლიდა და არ უბრძანებდა: „თავისი უბედურება ეყოფა, მოეშვი!“

რაკი ვერ იქნა და ათი-თორმეტი წლის ბიჭს სწორად ვერ ათქმევინეს „ხახვი“, ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი ნათლობის სახელი დათება დაევიწყებიათ და ხვახა“ დაერქმიათ და ახლაც, ოცდაშვიდი წლისა, ხახვს ხვახს ეძახდა.

დედ-მამა არ ახსოვდა, სამადლოდ მეზობელმა შეიფარა და გაზარდა. ახლა თავისთვის ლუკმა პურს შოულობდა და ლოდნიდა.

ხვახას სკოლის დარაჯი ერქვა, მაგრამ ამ თანამდებობის გარდა სხვა მოვალეობაც ჰქონდა — შეკრეიცა და სამნეო ნაწილის გამგეც იყო. ერთი სიტყვით, სკოლის მთელი მეურნეობა ებარა.

სკოლის დირექტორი—ლაზრო მკაცრი მასწავლებელი იყო. ყველას ეშინო-

და, ამიტომ მოსწავლეებსაც და მათ მშობლებსაც დირექტორის მორიდება, ხათრი ჰქონდათ და უყვარდათ კიდეც.

ხვახა ლაზროს თვალი და ყური იყო, სკოლის დიდი მეურნეობის გაძღოლის საქმეში.

ის მოვალე იყო ლაზროსათვის ეცნობებინა მოელი დღის ავ-კარგიანობა (თუ ონავარი მოსწავლის საქციელი სკოლის ხეხილის ბაღს ხელჰყოფდა), ამიტომ ყველა (განსაკუთრებით კი მოუსვენარი ბიჭები) ხვახასთან მოკრძალებული უნდა ყოფილიყო, რომ მისი „ვაქაცობა“ დირექტორის ყურამდე არ მისულიყო.

სკოლის უცოლო დარაჯს ერთი სუსტი მხარე ჰქონდა. ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებდა მოსწავლე გოგონებს, როცა ისინი ცარცსა, გლობუსსა, იატაკის მჭრებისა და სხვა ამგვარი წვრილმანისათვის მასთან მიდიოდნენ.

სიტყვაძვირ, კრიჭაშეკრულ ხვახას უფროსი კლასის ბიჭებთან ესიამოვნებოდა ხოლმე ამ საგანზე ლაპარაკი.

სოფლის სკოლის ცხოვრებაში ეს ის ხანა იყო, როცა პირველ კლასში ცამეტ-თოთხმეტი წლის ბავშვებსაც ღებულობდნენ და, რაღა თქმა უნდა, მეექვსე-მეშვიდე კლასის მოსწავლე უკვე თვრამეტი-ცხრამეტი წლის ქალიშვილი იყო და ხვახასაც ბევრი ლამაზი გოგო ჰყავდა შეთვალთვალებული, მაგრამ ბუნებით მორცხვი, თავის ზრახვებს და ოცნებებს გულში ინახავდა და ოშვიათად თუ გაიგონებდით, რომ მას გული გადაეხსნას და ეთქვას ეს სანუკვარი საიდუმლო ვისმესთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხუმრობით რომელიმე უფროსი კლასის ბიჭთან რაღაცას იტყოდა და გაიცინებდა, გულს გაახარებდა და მოიფხანდა.

ხვახას სამსახურის გარდა სახლ-კარიც ჰქონდა და ვენახიც. სახლის წინ პატარა ეზოში სამი ლეღვი ედგა, ერთი ხართუთა, ერთიც ჭერამი, ორი ალუბალი, ერთი ძირი ვაშლი კი შარშან ძირში მოჭრა გაბრაზებულმა — ბაღლები ყვავილობიდანვე ემტერებიან და კრამიტებს მიმტვრევენ ქვითაო.

ხის სახლი ათიპაპისხნისა იყო. უკანა დირე ლპებოდა და აქა-იქ ხის სოფოფებიც შესეოდა. ეკლული ფიცრებსშეა სინათლე გადიოდა. ხვახას შიგნიდან ქაღალდი გაეკრა, მაგრამ დროთი და მზე-წვიმით დაძაბუნებული, ეს ქაღალდიც დახეულიყო და იდგა დაცხრილული ხვახას ქოხი უხვალიოდ; თუ იმასაც დავუმატებთ, რომ კვეის გატეხვის შიშით პატრონს სახურავზე ასვლა ვერ გაებედა კრამიტის გასასწორებელად, ნათელი გახდება, რომ წვიმის დროს არც თუ დიდი ბანსხვავება იყო ხვახას ძველ ნაბადში გახვეულს, გარეთ ეძინა თუ ჭერქვეშ, ტახტზე.

იმხანად წერა-კითხვას ასწავლიდნენ დიდსაც და პატარასაც. ხვახა იმ დიდების სათვალავში იყო, მაგრამ ცოდნამ მის გონებაში ბორჯი მაგრე რიგად ვერ გაიდგა! თუ ხელისმოწერა იყო საჭირო, ხვახა აუცილებლად უნდა დამჯდარიყო, ხელისმოსაწერი ქაღალდი მყარ საყრდენზე დაედო და გულდამშიდებით, მოწიწებით, ოლიმპიური სიმშვიდით შესდგომოდა ამ საქმეს. მას ხელის კანკალით გამოჰყავდა თითო ასო, თან წერის დროს ტუჩებს აცმაცუნებდა და რასაც სწერდა, ასო-ასო იმეორებდა. დაწერდა, ვთქვათ, თავისი სახელის ნაწილს „დათ“ და აუცილებლად წაიკითხავდა „დათ“, მიუმატებდა „ე“-ს და ისევ თავიდან წაიკითხავდა „დათე“, და სულ ასე ბოლომდე, ვიდრე მთლიანად არ დაწერდა თავის სახელს და საკმაოდ გრძელ გვარს: ნაწერი ასოებიდან კარგად ჩანდა, რომ ავტორს წერის დროს ხელი უკანკალებდა, რის გამოც ყველა ასოს ეტყობოდა ხელის მოძრაობის ყველა წვრილმანიც, ზოგი მარცხნივ გადაღუნულიყო, ზოგი მარჯვნივ, ზოგი უშნოდ თავჩაქინდრული იდგა, ზოგი გასიებულიყო, ზოგიც პირიქით, გამხდარიყო—თუ ვინმე ამ ნაკლზე მიუთითებდა, ხვახა უკმაყოფილოდ თავს გააქნევდა, ხელნაწერს გაასწორებდა.

ზაფხულში, როცა სკოლის დირექტორი რაიმე მიზეზით თავისი ცოლ-შვილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლას ტოვებდა, დიდი ეზოს და ბაღის ბატონ-პატრონი ხვახა ხდებოდა.

სკოლა ოდესღაც მდიდრის საცხოვრებელი სახლი იყო, მას ჰქონია საგანგებოდ მოწყობილი სახლ-კარი, სანაქებო ხეხილის ბაღით, ეზოში მიწისქვეშა სარდაფებით, სადაც ახლაც კი ბევრ რამეს ინახავდა ხოლმე ლაზრო ზაფხულში.

სკოლის მთავარი შენობა მაღლობზე იდგა, საიდანაც, ალაზნის ველი ხელისგულივით მოჩანდა.

შენობის მთავარი ხედი ჩრდილო-აღმოსავლთისაკენ იყო მიქცეული და კავკასიონის ქედს გადაჰყურებდა. ამ მხარეს სკოლის აივნის წინა ეზო ვიწრო იყო—სულ ათი-თოთხმეტი მეტრი სიგანე ჰქონდა. ვიწრო ეზოს შემდეგ ციცაბო დაღმართი ოდესღაც შენობის ოვებისათვის მოთხრილი და გადაყრილი მიწით იყო ამოვსებული. ამ ციცაბოს ძირში, სულ დაბლა, სახლები მიყუჟულიყვნენ, ერთთვალიანი, ხის მოციცქნილი სახლები. დაღმართი ხეხილის ბაღს დაეფარა, იქ იზრდებოდა ნუში, ლეღვი, ქლიავი, ისასმნები და ეს იყო მოსწავლეთა ნადირობის მუდმივი საგანი. აივნის წინ, ვაკე ეზოში, კიბარისები იყო ჩარგებული. აქვე იდგა უცნაური მოყვანილობის შავი თუთა, თეთრი ისასმნები. შენობას აღმოსავლეთის მხარეს დახვეულ-კიბიანი შესასვლელი ჰქონდა, ალბათ ეს იყო მდიდარი მეპატრონის მთავარი შესასვლელი. ფასადის გრძელი აივანი ხუთი მეტრი სიმაღლისა იყო. სამხრეთის აივანი კი ერთი მეტრიც არ იქნებოდა.

ეზო სამხრეთის მხრიდანაც ხეხილით იყო სავსე.

სკოლის ეზოს სოფლის კლუბი ემიჯნებოდა. სოფლის ახალგაზრდობისა და სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით კლუბში ხშირად იმართებოდა საღამოები და სპექტაკლები. ამის გამო, შესაძლებელია, კლუბის სტუმარი სკოლის ბაღის სტუმარიც გამხდარიყო. სკოლის დიდი ეზო მოსწავლეთა ხელით ეკლიანი მავთულით შემოეღობათ. მავთულს ისე ჰქონდა ჩაწნული ფიჩხი, რომ მეზობლის წიწილასაც კი გაუძნელდებოდა გადაძრომა.

მართალია, ეზო შემოღობილი გახლდათ, მაგრამ ალაყაფის კარი მუდმივად ღია იყო, საიდანაც თავისუფლად შედიოდა ადამიანიც და შინაური პირუტყვიც.

ლაზროს დავალებით, ხვახა ბარავდა ეზოს, ლობიოს, კარტოფილს, კიტრის მოსაყვანად და შემოსავლიდან ხშირად ღარიბ მოსწავლეებს ეხმარებოდნენ.

სკოლის მთავარ შენობაზე პატარა ოთახი იყო მიშენებული. რა არ ეყარა იქ: ცელი, ოიხი, ბარი, ბირდაბირი, დამტვრეული სკამები, ძველი მერხები, გლობუსი, დაკეცილი, ძველი რუკების დასტები, დაფები, ცარცი... კუთხეში იდგა მონჯღრეული ტახტი—ხვახას საწოლი. ზედ ზვინად ახარავებული და მაზარაგადაფარებული ლოგინის მსგავსი ძველმანი ელაგა, ეს ხვახას სათადარიგო ლოგინი გახლდათ და აქ იმ შემთხვევაში იძინებდა, როცა რაიმე მიზეზის გამო შინ წასვლის დრო აღარ ჰქონდა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ „შინ“, თავის სახლში, მას დოშაქები ეგულებოდა, არა, ეს საწოლი და ლოგინი იმის გამეორება იყო, იმ განსხვავებით, რომ შინ ყველგან აწვიმდა, აქ კი აქა-იქ ჩამოდიოდა.

ხვახამ იცოდა, რომ ლაზროს არ უყვარდა, როცა მოსწავლეები უდროო დროს კლუბის შენობასთან დახეტიალობდნენ.

საღამოს ცხრა საათი შესრულდებოდა თუ არა, დირექტორი სკოლის ეზოს და კლუბს შემოუვლიდა. რომელ მოსწავლესაც დალანდავდა, მისი გვარის გასწვრივ ბლოკნოტში საიდუმლო ნიშანს დასვამდა, მეორე დღეს სწორედ იმას გაიძახებდა, თუ კარგად უპასუხებდა, ხომ კარგი, მაგრამ თუ ვერ უპასუხებდა, მთელი კლასის წინაშე ისე შეარცცხვენდა, გაამასხარავებდა, გააბიაბურებდა, რომ თუ ცოტაოდენი თავმოყვა-

დიმიტრი მიქიანაშვილი
ეროლლო კაკი

რეობა ჰქონდა, ის მოსწავლე აღარასადეს აღარ გაივლიდა კლუბის და სკოლის ეზოში უსაქმოდ.

ხვახამ ეს იცოდა და ხშირად უთქვამს კიდეც, გუშინ ესა და ეს მოსწავლეები ღამის თორმეტ საათზე აქ იყვნენო... თუ ლაზრო ხედავდა „მოხსენებიდან", რომ ეს მოსწავლეები სკოლის ბაღს ხელჰყოფდნენ—ვაი, ხესა და ქვასა. მაგრამ თუ ეს „მოხსენება" შეეხებოდა მხოლოდ მოსწავლეების ხეტიალს კლუბთან, მოკლედ მოუშრიდა — რა შენი საქმეა, რაც შენ არ გეხება, ნუ ჩაერევიო! და ერთხელ გამოცაცავებული ხვახა თითქოს ხვდებოდა, რომ მისი საქმე არ იყო კლუბთან მოსიარულე მოსწავლეების ბედი.

ამას იმიტომაც მოგახსენებთ, რომ ხვახა მეხსიერებით მაინცდამაინც ვერ დაიქადნიდა. წყლის ნაყვა იყო ერთ წასვლაზე გზადაგზა ორი ან სამი დავალება მოგეცათ. ვთქვათ, ფქვილის მოსატანად გაგზავნიდნენ წისქვილში, იქიდან კი ბაზარში უნდა გამოეცალა, ეყიდა ორი საზამთრო, პამიდორი და ერთი ნესვი. კარგად გაიგებდა ერთ რომელიმეს. დანარჩენი—ვითომ არც კი ვეთქვას... მეორე საქმეზე, მეორედ უნდა გაეგზავნათ. როცა ლაზრო ემუნათებოდა, რატომ არ შეასრულე დავალების ყველა პუნქტი, ხვახა გულუბრყვილოდ გაიღიმებდა; დაანახვებდა ჩაკანგებულ კბილებს, ამით ეტყოდა, დამავიწყდაო. გასაკვირი ის იყო, რომ ეულმავიწყობაშიც ყოველთვის თანმიმდევრული არ გახლდათ. როცა თავის ვენახში ხვახას რამის ამოსატანად სახედარი მიჰყავდა, ხელს ამოაყოლებდა ხოლმე კიტრით, ატმით, ქლიავით, ჭერმით და სხვა ხილით გატენილ ხურჯინს. გასაკვირია, როგორ ახერხებდა ლაზროს დარწმუნებას, რომ ნამდვილად ყეყეჩი იყო, მაშინ, როცა ეს სიყეყეჩე ყოველთვის ხვახას სასარგებლოდ მთავრდებოდა!

სკოლა შვიდწლიანი იყო. იმ დროს ბევრი მოსწავლე სწავლის დასრულებისას ებმებოდა ცხოვრების ფერხულში. იყო ხოლმე შემთხვევები, როცა თხოვდებოდა მეოთხეკლასელი, მაგრამ... ოცი წლის ქალი.

ერთხელ, შვიდწლედს კარგი გამოვლინების და ჩაცმისმოყვარული [illegible] კის მასწავლებელი ფირანა ეწვია. ფირანამ სულ რამდენიმე თვეში დაატყვევა მეექვსე და მეშვიდეკლასელი ლამაზი ცხრამეტი-ოცი წლის მოსწავლეთა გულები. ბევრმა დაიწყო ოხვრა და ვაი-ვაში ფირანას მისამართით. ფირანას ერთხანს თავი კარგად ეჭირა და აინუნშიაც არ აგდებდა ლამაზს, გასათხოვრადაც შეღერებულ მეშვიდეკლასელთა შემოტევას, მაგრამ ისიც ხომ კაცი იყო და, იმასაც ხომ გული ჰქონდა! არც ერთი ლამაზი გოგონა არ იყო წინააღმდეგი, ფირანას ცოლად გაჰყოლოდა და თავისი ბედი მის ბედთან დაეკავშირებინა.

და აი, როგორც ჩანს, ფირანამ ვეღარ გაუძლო ცთუნებას. როგორც კი სასწავლო წელი დასრულდა, სკოლაში ხმა დაირხა, ფირანა საიდუმლოდ ხვდებოდა თურმე მეშვიდეკლასელ თინასო, თინაზე ბევრ ახალგაზრდას ეჭირა თვალი. ხმაურმა და მითქმა-მოთქმამ არ დაყოვნა. აგვისტოში თინა ფირანას ცოლად გაჰყვა და ფირანა მასწავლებელიც გაქრა სოფლიდან, სულ წვავდა. მთელი სოფელი ყაყანებდა, ეს რა მოხდა, რომ მასწავლებელმა თავისი მოსწავლე ცოლად შეირთო, ეს რა გამოვიდაო.

სწორედ ეს ხანაა და თავის საქმეზე განმარტოებულ ხვახას გულაბ, გემრიელ მსხალზე მეშვიდეკლასელი ენაკვიმატი ფიდო და ვახო აეპარა. ფიდო ზედ ასულა, მშვიდად შეექცევა მწიფე მსხალს და დაბლაც უყრის კუნწულებს თავის თანატოლ ვახოს. სად იყო სად არა და... ხვახა წამოადგა თავს... გაავებულ დარაჯს ქუდის ჩაჩზე აბლაბუდას უხვი ქსელი მოსდებოდა, ღორის ტყავის ქალამნებს ზემოდან ლობიოს ფოთლები და ბირკიანი ძოწეა მიჰკვროდა, ქუსლებთან დავლეჯილი თეთრი წინდების ყელზე და შავ ხალათზე შაბიამნის ხსნარის ლაქები ეტყობოდა. ჩანდა ხვახა ვენახში ყოფილიყო. ხვახას შარვლის ერთი ტოტი წინდაში ჰქონდა ჩატანებული; მეორე კი ამოჩაჩოდა, ალბათ იმიტომ, რომ წინდის სახვევი მოსწყვეტოდა და ის ნაწყვეტიც

მიწაზე მისთრევდა. ვახო ილუკმებოდა. ჯიბეები სავსე ჰქონდა მსხლითა და არ ფიქრობდა თავის დაძვრენას, ვოქვათ, გაქცევას, იმიტომ, რომ უბედურება თვალწინ ედგა — ხვახამ მსხალზე მიატანა, მორჩა და ბათავდა.

— ამის ყოფა ვატირე... რა უბედურებაა, თქვენს მეტი აღარავინ არის ქვეყანაზე!.. მაშ ეგრე დაბრიყვება შეიძლება!.. ყვირდა თავის ხრიწწიანი ხმით ხვახა. ფიდო აუჩქარებლად ჩამოვიდა მსხლიდან და ხვახასთან ახლოს მივიდა.

— რა გაყვირებს, შე კაი კაცო, — უთხრა ფიდომ.—ისე ყვირი, თითქოს უცხოები ვიყვნეთ...

— ბიჭო, არა გრცხვენია, ბიძაშვილები მაინც არ ვიყვნეთ, — გაესაყვედურა ვახო.

— არა, დირექტორი ჩამოვა და აუცილებლად ვეტყვი, იმასთან იმართლეთ თავი! — ცხარობდა ხვახა და ვერ სჯრიდა ვერც ბიძაშვილობა და ვერც ახლობლობა. და თუ ლაზრომდე მივიდა ეს საქმე, მშვიდობით, მთელ სოფელში თავი ჰქონდათ მოჭრილი.

— შენ რა აზრისა ხარ, რომ ეს მშვენიერი თინა ფირანას გაჰყვა. შენ აი, ეს მითხარი. — უცებ ჰკითხა ვახომ. ხვახა მთლად შეიცვალა, თითქოს „ქურდებთან“ კი აღარ ჰქონდა საქმე, არამედ მეგობრებთან... სახე გაუბრწყინდა, იმიტომ მხოლოდ, რომ ლამაზი თინა ახსენეს, რომელსაც ხვახა ყოველდღე ხედავდა აქ, სკოლაში და ისიც იცოდა, რომ ის ფირანას გაჰყვა. ხვახას ყველა გასათხოვარი გოგო მოსწონდა, რომელსაც სკოლის ეზოში ხვდებოდა და ხედავდა ხოლმე, იმიტომ თინას ხსენებამ ერთბაშად გამოცვალა, სახე გაუნათა.

— რა მესაქმება... — უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, რაღაც გაიფიქრა, რაღაც გაახსენდა და მთლად სახეშეცვლილმა განაგრძო: — მართლა, ახლახან თინა ვნახე. როგორი გამხდარა, ერთი ეგ!... ოჰ, შენი ჯირიმე! — ამბობდა ტუჩებგამშრალი ხვახა.

— ოღონდ ლაზრო მასწავლებელს არ უთხრა და გოგოს გაგირიგებ ისეთს, რომ... თინაზე უკეთესს, — უცებ შესძახა ვახო ფიდომ.

ხვახამ ოდნავი უნდობლობით შეხედა ფიდოს.

— ჰო, რა, ასაკი არა გაქვს თუ მდგომარეობა! — ჩაერია ვახო ისეთი ღიმილით, რომლითაც ხვახა დაარწმუნა, რომ ისიც არაკისაზე ნაკლები არ იყო.

— არა, მართლა? — გაიკვირვა ხვახამ. — მაიტა აბა... თუ კი მაგ სიკეთეს...

— არ დასარულებინეს ხვახას.

— მართლა, მაშ, რა, გატყუებთ თუ... —დაუდასტურა ფიდომ და გემრიელი მსხალი ჩაკბიჩა, ერთიც ხვახას გაუწოდა. გოგოებზე ლაპარაკმა ხვახა გამოცვალა, მისმა სახემ გამოიღარა, გაუქარწყლდა წყენაც. ფიდოს გამოართვა შეთავაზებული მსხალი და თვითონაც ჩაკბიჩა.

—რა ვიცი, ეს ვერანა, ზოგს ბედი და იღბალი არა აქვს ცხოვრებაში! — ამბობდა ხვახა. მას კიდევ რაღაც სურდა ეთქვა, მაგრამ ფიდომ სიტყვა პირიდან გამოაცალა.

— დაადე ხელი, რომელიც გინდა, ის გაგირიგოთ! — ისეთი უშუალობით და დამაჯერებლობით ეუბნებოდა ფიდო, თითქოს ხვახას ერთდროულად ათი ერთმანეთზე უკეთესი ქალი ეძლეოდა.

— მართლა?! — სიხარულისაგან სახეგაბადრული ამბობდა ხვახა.

ახლა ისინი დიდი ფიქვის ქვეშ გრძელ სკამზე ისხდნენ და მეგობრულად საუბრობდნენ.

— აბა, ყველანი ხომ კარგები არიან, მაგრამ ის მაინც სხვა არის. — ამბობდა თვალებგაბარწყინებული ხვახა და ჩაყვითლებულ კბილებს ვეღარ მალავდა სიხარულისაგან.

— რომელი?—გაიწყვეტინა ვახომ.

— აი, ფიდოს მეზობელი...

— რომელზე ამბობს! — შეხედა ცუღლუტური ღიმილით ვახომ მეგო-

დმიტრი მირიანაშვილი
უიდგლო კაცი

ბარს. — მამაძალი, ან სახელი არა აქვს, ან გვარი?!..

— ჰოო, ტურიაანთ მანანაზე ამბობ?!

— ეგ ყველაზე ძალიან მიყვარს,— ამბობდა ხვახა გულუბრყვილოდ, ალალი გულით და ვერ აეჩხვევდა, რომ ბიჭები მას დასცინოდნენ, ან შეიძლება, ხვდებოდა კიდეც, მაგრამ მაინც რატომღაც პირს იტკბარუნებდა ამ თემაზე საუბრით, ასე მოტყუებულიც კი.

— ოო, ეგ ცოტა ძნელი საქმეა... — ვითომ გაანძელა ფიდომ ისე, თითქოს რასაც აქამდე ამბობდა, ყველაფერს ნიშეურხევლად აუსრულებდა ხვახას, — ხომ იცი, მამა მკაცრი ჰყავს, მაგრამ მე შეეეცდები... არა, დასაწუნი რა აქვს!— დააბოლოვა და შეაშტერდა ხვახას.

— რა ვიცი, ეს ვერანა, ზოგს ბედი არა აქვს... გოგოებიც სულელები არიან და... ფირანას ჯამაგირის მეტი ხომ არაფერი არა ჰქონდა და ყველას ის უნდოდა, მე კი შარშან სამი გოდორი ყურძენი დამიდგა, ხუთი ნიტრა ლობიო, ორი გალა ხახვი, ერთი გალა ნიორი, თერთმეტი ქათამი მყავს და ერთი კრუხი ჩვიდმეტ-წიწილიანი...

— ჩამობუურული ლეღვები... — დაუმატა ვახომ.

— და ორიც შინელი. — ჩაიღიმა ფიდომ. სამივე იცინოდა, ერთი —ალალი გულით, ორი კი ამ სიცილს ხვახას სიპატარავეს და გულუბრყვილობას უქირქილებდა.

— ჰო, იმას მარტო ჯამაგირი აქვს და მე ჯამაგირიცა მაქვს და... ეს ქონება არ არის, კაცო? ყველაფერი ხომ მისათვლელია!?

— კიდევ ეტყვი დირექტორს?—ხარხარით ეკითხებოდა ფიდო.

— რას ამბობ! თუ გინდათ, კიდევ ადით!

გაიარა რამდენიმე დღემ. ხვახა სულმოუთქმელად ელოდა ფიდოს ნახვას. მას სჯეროდა, სჯეროდა თუ... სჯეროდა, რომ ბიჭები ატყუებდნენ, მაგრამ თვით ამაზე ლაპარაკიც კი გამოუთქმელ სიამოვნებას რომ ჰგვრიდა, ესეც ჰყოფნიდა მის დაჩაგრულ, ობლობაში გამოვლილ გულს... მაგრამ მას უფრო სჯეროდა, ნაცდილად სჯეროდა, კი, კი!

მიამიტობა იყო მისი ბედნიერების და უბედურობის წყაროც.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს. თავის ნაჯუჯში გამმარტოებული ხვახა ხშირად ნატრულობდა მანანას საკუთარ სახლში... ფიდომ მის უნუგეშო, უხალისო დღეებს რაღაც შემატა, მის გულს ისეთი რამ მიუმატა, რამაც ოცნებასთან მიაახლოვა დაუჯერებელი რამ... ხვახა როგორღაც უფრო იმედიანი გახდა. ხომ გაეგონა, კაცი კაცით ხდება კაციო. თუ ფიდო გააგებინებს, როგორც საჭიროა ეტყვის მის მამას, ძმას, დედას... მეზობლები არიან და შეუძლია უთხრას, არა და... ეეჰ, კარგი კი იქნებოდა... ფიქრობდა ვენახში დიდი კაკლის ჩრდილში გულაღმა წამოწოლილი ხვახა და სულ მანანა აგონდებოდა. ხვახას გაახსენდა ამ ერთი თვის წინანდელი ამბავი.

ლაზრო სხვაგან იყო. თვითონ იყო ბატონ-პატრონი სკოლის ბაღისა და... მთელი სკოლისა. ივლისის დღე იყო. ნეტავ სად იქნებოდნენ მანანა, ელენე, ბაბულა, მარო! ის ვინღა იყო, წითელკაბიანი! ჰო, ჰო, ილაანთ გოგო, უჰ, ეგეც კარგია, მაგრამ ის ქალაქელია და ალბათ იმას ჰყავს საქმრო. მაშინ დიდ აივანზე ფართო მაგიდა რომ იდგა, იმაზე გულაღმა წამოწოლილიყო. ცხელოდა. ხვახამ ლაპარაკი გაიგონა. შიშველ მაგიდაზე წოლით ძვლები ეტკინა და ისეც უნდა ადგარიყო, მაგრამ მათმა ლაპარაკმა უფრო დააჩქარა ადგომა. ადგა, გადმოიხედა აივნიდან და რას ხედავს: მანანა თავისი მეგობრებით! თეთრი კაბით... ოჰ, რა ლამაზი იყო! კაბაც ახალი ეცვა, თვითონ კი დაკერებული შარვალი და ხაკისფერი, ჯიბეებიანი ხალათი, აქა-იქ ჭუჭყის ლაქებით აჭრელებული. „რა ვუყოთ, ზოგს აქვს, ზოგს არა, საქმე ტანსაცმელი ხომ არ არის, საქმე კაცობაა, საქმე ადამიანობაა. საქმე ის არის, რა გაქვს ამ დახეული და სიძველისაგან ფერშეცვ-

ლილი ხალათის ქვეშ!..“ მანანასაგან დაფრქვეული ნათელი შუქი იმდენად ძლიერი იყო, რომ თავის ჭუჭყისაგან ფერშეცვლილ ხალათს ვეღარ ხედავდა. ფიდოს სიტყვებმა იმედი უფრო გაუმაგრეს გულში და აქამდე ენაჩაყლაპული, ახლა უფრო გულადად ელაპარაკებოდა ხოლმე მანანასაც და მის ამხანაგებსაც. ხუთი გოგო იყო. მართლა, მაშინ რატომ არ ჰკითხა სად იყვნენ? — ფიქრობდა გულალმა წამოწოლილი ხვახა და ისე ნათლად ხედავდა ახლა, აგვისტოში ერთი თვის წინათ ნანახ გოგოებს, თითქოს ახლაც თვალწინ ედგნენ ისინი.

ჯერ ელენემ მოჰკრა თვალი და ხმამაღლა გადაიხარხარა. ხვახამ ვერ გაიგო, რატომ გადაიხარხარა ელენემ.

— რაზე მსხალზე ავიდოდით! — გადაულაპარაკა მანანას. — აბა, მაღლა აიხედეთ ვინ გადმომდგარა აივანზე თავად ფორაქიშვილივით!

ყველამ ელენეს ხარხარს მიბაძა:

— რა გაცინებთ? — გაეძრახა აივნიდან გადმომდგარი ხვახა. — აქ რას აკეთებთ?

— ჩამოდი, ხვახა და ცოტა მსხალი გვაჭამე, — სიცილით უთხრა ელენემ.

— ლაზროს რა პასუხი გავცე?

— ლაზროს ჩვენ ვეტყვით, რომ...— წაეშველა ელენეს მანანა.

ეს საკმარისი აღმოჩნდა ხვახასათვის. ის მორჩილად აივნიდან ჩამოვიდა, მივიდა მოღიმარ ყოფილ მოსწავლეებთან და ჰკითხა:

— რომელი მსხალი გინდათ?

გოგონებმა ყურებს არ დაუჯერეს.

— მართლა, ხვახა, მართლა გვიმასპინძლდები?! — გაოცებული ეკითხებოდნენ და უკვირდათ, რომ ხვახა მართლა დაყაბულდა მსხლით გამასპინძლებოდა, თან ეკითხებოდა კიდეც, რომელი მსხალი გინდათ — თიბათვისა თუ გულაბიო.

ხვახამ მანანას მიმართა:

— რომელსაც შენ იტყვი, იმ მსხალზე ავალ!

გოგოებმა გაიცინეს და მანანას ღიმილით შეხედეს.

— შენ სიტყვასა, ხედავ რა ფასი აქვს?

— ხვახას წინ გადაუფაჯა ბაბუული და ეკის ხალათის სახელოს ეკაჩებოდა.

— მე რომ გითხრა მაშ...—ერთი სიტყვით, ყველა, ხუთივე ერთდროულად ლაპარაკობდა, იცინოდა რაღაც უხაროდათ, ალბათ მისი გულუხვობა თუ ახარებდათ. ის პირველად ნახეს ასეთი გამტეტებული, გულუხვი. ხვახა გოგოებს წინ გაუძღვა და რომელზეც მანანას უჩვენა, სწორედ იმ ხეზე ავიდა, დიდი კალათი აავსო და... მანანამ ისეთი მაღლობა უთხრა, ესეც ეყოფა მთელ წელიწადს, მაგრამ ფიდომ რომ ყურში ჩააწვეთა, სწორედ ეს იყო იმ იმედის ნაპერწკალი, რომელმაც გაუნათა მომავალი ხვახას. ეს ერთი თვის წინ იყო, მაგრამ ახლაც თვალწინ ედგა მანანას ღიმილი... ღმერთო, რა ღიმილი აქვს, რა ფეხები აქვს, რა მკლავები, რა ღვთაებრივი სახე... ანგელოზია... თუ ფიდო მოიწადინებს, იქნება გამოვიდეს ეს საქმე, მაგრამ მოიწადინებს? რომ შემპირდა?!

ამ პირობის შემდეგ ფიდო რამდენჯერმე შეხედა ხვახას და ისევე ისე ეუბნებოდა: ვატყობ, მანანა შენს მხარეზეაო, მართალია, ჯერ ძია გიოსათვის არ მითქვამს, მაგრამ, მე მგონია, ისიც დამეთანხმება, თუ მანანა შენს მხარეზე იქნებაო. — ეუბნებოდა ფიდო, — მაშინ გიო ძიაც შენს მხარეზე გადმოიხრებაო, მაგრამ რატომ არ უთხრა გიო ძიას ან მანანას ძმას?! (თუმცა, მანანას ძმა ქალაქშია და ალბათ არც ესაქმება მანანას ბედთან). ერთი სიტყვით, კაცი კაცით კეთდება და ფუჭდება კიდეც. — ფიქრობდა კაკლის ქვეშ მჯდომი ხვახა და იმედი მაინც ჰქონდა. იმ იმედს ათასნაირი ფიქრებით იმაგრებდა გულში და სულ იმაზე დარდობდა, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მანანას იმ ძველ ოთახში, მის მამა-პაპისეულ დამპალ ფიცრებისაგან გაკეთებულ სახლში, წყალი თქრიალით რომ ჩამოდიოდა.

როგორც კი მოსავალს მიიღებს, უნდა

დიმიტრი მირიანაშვილი
უილგლო კაცი

გაყიდოს და ახალი კაცი იყიდოს, კრამტსაც გამოცვლა უნდა, ამ ძაღლის ლეკკვებისაგან დამტვრეულია!... ან უფრო უკეთესი იქნება, მორი იყიდოს და დაახერხინოს, ნეტავ რამდენი მორი დასჭირდება?! არა, ეს უფრო ძნელია, სად არის სახერხი? არა, სადღაც შორს უნდა წაიღოს დასახერხად ან გურჯაანში, ან წნორში. არა, უფრო ძვირი დაჯდება, ეს უფრო ძნელია. უკეთესია, პირდაპირ იყიდოს კვი, მაგრამ ვის ექნება?!.. ყრუ კოლამ სახლი რომ დაშალა, იმის კვიც ძველია... ჩალათაანთ ბიჭს ეტყვის, მაგრამ ის ძალიან ძვირი კაცია, მამასისხლად დაუფასებს, რას იზამს, უნდა აიტანოს, უნდა იყიდოს, მაგრამ ჩალათაანთ ბიჭი ახლა უფულოდ რომ არ მისცემს? ახალი მოსავალი კი ორი თვის შემდეგ იქნება... კოჭებიც გამოსაცვლელი აქვს, დამშალია, მაგრამ იმის მოცდა შეიძლება... ეზოს ღობესაც გაახლება უნდა, ვიღაცას მარგილები მოუპარავს, ძეძვიც დამშალა, ახალი უნდა, წესიერად უნდა იყოს შემოღობილი, იქნება ძია გიომ გამოიაროს! მართალია, აქეთ გეზი არა აქვს, მაგრამ ერთიც ვნახოთ, გამოიარა! ვინ აუკრძალავს!

ლოგინიც არა აქვს. აბა, ის რა ლოგინია! თვითონაც არა წვება შიგ. თუმცა, ეგ არაფერია, ქალს თვითონ მოაქვს ხოლმე თავისი ლოგინი, ეგ მოგვარდება!.. ნეტავ წელს კარგი მოსავალი მაინც მიიღოს... აბა, ჯამაგირი რა სათქმელია—ოცდახუთი მანეთი... არა, ესეც ხომ ფულია, მართლა! შეიძლება მოაგროვოს და ჩალათაანთ ბიჭს ნახმარ კავში მისცეს, ნეტავ, რამდენი დასჭირდება... უნდა დათვლა, არა, გადადება აღარ შეიძლება, ხვალვე დათვლის! ჯერ წინიდან და მერე უკანიდან, თუმცა, უკანიდან დათვლა რაღა საჭიროა, რამდენიც წინიდან იქნება, იმდენივე იქნება უკანიდანაც, მორჩა და გათავდა. მგონი ორმოცდაათზე მეტი არ დასჭირდება...

ფიდო კიდევ უნდა ნახოს. ვახოც ხომ შეპირდა, ის მოგვარე კაცია, აბა, როგორ არ უნდა ენდოს! არა, ენდობა! კაცი — კაციათაო, თვითონ ფიდომ უთხრა: კაცი კაცს ძმურად დაეხმარება, ოღონდ სიტყვას შეაწევს — მანანა მისი კლასის ამხანაგია, ვახოც მისი ამხანაგია, ერთად დაამთავრეს, მანანა სწავლას აღარ აპირებს, ალბათ თხოვდება... მერე გაიხსენა მანანას თეთრი, ქათქათა მკლავები და ანგელოზური სინაზის სახე, ცარცისთვის ხვახასთან მისული, რაღაცანირად ხმას რომ გამოიცვლიდა ხოლმე და სიცილით ცარცს სთხოვდა... ოო, დნებოდა ხვახა ამ გახსენებით და გულს ინუგეშებდა, რომ მის მხარეზე მანანას ორი მეგობარი იყო... იქნება ტყუიან? არა, ეს არ შეიძლება! თუ მოტყუებაზე მიდგა საქმე, ისიც მოატყუებს. მან ხომ ბევრი საიდუმლო იცოდა ფიდოს და ვახოს საქმიანობიდან. ლაზროს არ ვეტყვიო, ხომ შეპირდა, ადგება და ისიც ეტყვის, მაგრამ სიტყვა ხომ ტყვაა!—კაცი ხარ და კაცური სიტყვა უნდა გქონდეს... ხვახას ხომ არავინ მოუტყუებია?! მაშ ის რად უნდა მოატყუოს?! კაცი ხარ, პირდაპირ უთხარი სიმართლე, ტყუილი რა საკადრისია!.. არა, კაცს ენდობა, ნდობა რომ არ იყოს, ქვეყანაც არ იარსებებდა. შენ მე მენდობი, მე შენ გენდობი! — ფიქრობდა ხვახა, აქაც, ვენახშიც, როცა სიცხისგულს მესამედ სათხნიდა ამღვრეულმარცვლებიან ვენახს და სახლშიც, როცა დაეგდებოდა ხოლმე თავის ძველმანებში გახვეული. ძილისწინ და სიზმარშიც მანანა ეჩვენებოდა, მას ხედავდა, მას ეღიმოდა და იმედი ჰქონდა, რომ ცოდან, ამ სიშორიდან ვარსკვლავს მოსწყვეტდა. მას ეჩვენებოდა, რომ მანანას შეწევდებოდა, თუ ხელს გაიშვერდა, იმიტომ, რომ ქვეყნად კაცი ფასობს, არა, ხვახას რა აქვს დასაწუნი! თუ ვინმე ითქმება—ისიც ითქმება, თუ ვინმე კაცია და თავზე ქუდი ხურავს, ხვახასაც ხურავს... არა, ან მანანა, ან არავინ, მორჩა და გათავდა!.. ღამეებს თეთრად ათენებდა ხვახა მანანაზე ფიქრში.

მანანა იყო მისი სიცხადეც და სიზმარიც.

მანანამ დაამთავრა შვიდწლედი და სოფლის ბიჭებმა დაუწყეს თვალიერება. რას დაუწუნებდნენ. გარეგნობას თუ!

ქალი იყო სანაქებო, ყველასგან გამორჩეული. ახლა მთავარი ის იყო, თუ ვის დაადებდა ხელს თვითონ მანანა.

ხვახა? ხვახას რაღას ეუბნებოდა!

არაფერს! მანანა ინუნშიაც არ იყო, საწყალ ხვახას რა ცეცხლი სწვავდა. ხვახა უთქმელი იყო და თავისი გულის ფადილი ერთხელ ძლივძლივობით ფიდოს და ვახოს გაანდო. ეგ იყო და ეგ! იმათ იცოდნენ მისი საიდუმლო. ხვახას ეგონა, რომ ესეც საკმარისი იყო და დათქმულიც ისე ჰქონდათ—ფიდო ეტყოდა მანანას, მერე ხვახას, რომ ამის შემდეგ თვითონ სანეფოს ეთქვა მანანასათვის ოროოდე სიტყვა და... აი, ასე ფიქრობდა ხვახა და ფიქრით დამძიმებული რომ დადიოდა, ეგონა, მთელმა ქვეყანამ იცის, რასაც მანანას თაობაზე ფიქრობდა. ამის გამო ხმასაც არ იღებდა.

რამდენჯერ მივიდა ფიდოსთან სახლში და კიდეც ჰკითხა, როგორ არის შეპირებული საქმეო. ფიდომ უპასუხა სიტყვა ეუბნეოთ, თან ახალი არაყი გადაახუხა, პურმარილზე შეიპატიჟა, კაცად ჩააგდო.

გვიანი შემოდგომა იყო.

ხვახა ლაზრომ გაღმა მხარეში სკოლის შუშის დამზადებაზე გაგზავნა. იქიდან რომ დაბრუნდა, ვითომ საქმემ მოიტანო, როგორც წინათ, ახლაც იმ გზაზე ამოიარა, სადაც ტერიაანთ გიო ცხოვრობდა. ნოემბერი იწურებოდა. ციოდა. გიოს მოწიწებით სალამი მისცა. ეზოში ბევრი სკამი და მაგიდა ელაგა. სასიმამრომ ხვახას უთხრა:

— მოდი, ერთი ჭიქა დამილიე, ხვახავ!

— გმადლობთ, ძია გიო. — მიუგო დარცხვენით ხვახამ და გუნებაში გაიფიქრა: „რა ძალიან ვიხევ უკან, გაბედე, გულო, შე ვერანავ!“ — და წავიდა. — „თან მანანას შეეხედავ ახლოდან!“ — გაიფიქრა.

გიომ ჩაის ჭიქა აუვსო, თვითონაც აიღო და ხვახას უთხრა:

— ქალიშვილი გავაბედნიერე, ალბათ გაიგებდი და დამილოცე.

ხვახამ პირველად შეხედა გიოს თვალებში, ეგონა, შემომესმო, და შეშინებულმა ჰკითხა:

— ვერ გავიგე, გიო ძიაე, რა მითხარი?!

ხელში სავსე ჭიქა უკანკალებდა და უხვად დასხმული წარაფების ქარვისფერი ყურძნის წვენი იატაკზე ფიცრებს ლაქებად ასდებებოდა.

— მანანა გავათხოვე და დამილოცე-მეთქი.

ხვახას პირკატა ეცა. სავსე ჭიქიდან ღვინო თქარათქურით წამოვიდა. მან ცივად დადგა მაგიდაზე უხვად შემოთავაზებული დიდი ოლილი ჭიქა და გამშრალმა და სახეშეშლილმა უკან-უკან დაიხია. ზურგშეუქცევლად უკან-უკან იხევდა ელდანაცემი ბიჭი და მზერას არ აშორებდა გიოს გაღიმებულ სახეს. გიო კი ერთ ალაგას გაქვავებულივით იდგა და გაშტერებული ხვახას შეშლილ თვალებს შეჰყურებდა. წელში მოხრილმა ხვახამ ხელში ჩაბღუჯული თუშური ქუდი თავზე მოიგდო, ზურგი აქცია მასპინძელს, თვალებზე ხელი აიფარა და აღრიალდა, აბღავლდა ამხელა კაცი...

გიო ძიას ეგონა, გაგიჟდა, ისედაც ცოტა გამორეკილი ხვახაო, ბუტბუტით რაღაც დაადევნა ხვახას ცრემლიან კვალს, მერე მიბრუნდა და ცოლს უთხრა, ამ უცნაურ ამბავზე ორივენი შეფიქრიანდნენ — რა შუაში იყო მანანას ქორწილი ხვახას ცრემლებთანო.

შინ მისული, მაზარიანი ხვახა დაეშხიატაკზე და ტიროდა. თავში ორივე ხელს იშენდა, ღრიალებდა, ყმოდა გვიანობამდე. ხვახას ქვეყანა აყირავებული ეგონა და დაქცეული. აქამდე ყველგან მანანა უნათებდა ბნელ ბილიკსაც და გზასაც ის უჩვენებდა, ანათა თუმმე გაათხოვეს და მისთვის აღარავინ აღარ არსებობდა. სკოლაც დანგრეულა, სულაც დამწვარა, უფსკრულშიც გადაჩეხილა ლაზრო...

ოთახში ბნელოდა. მაზარიანი ხვახა გულაღმა იწვა სახეშეშლილი და ფიქ-

---

დიმიტრი მირიანაშვილი
უიდგლო კაცი

რობდა თუ როგორღა ეცხოვრა ქვეყანაზე თუ მანანაზე ფიქრის უფლებაც აღარ ექნებოდა.

— არა, აღარ ღირს, უნდა გაცილდეს აქაურობას, მაგრამ საით წავიდეს, ვის გაექცეს, სად გაექცეს თავს? როგორ მოიცილოს ეს ცარიელი ფიქრი უმანანოდ! ვის რა უთხრას, რომ თქვას კიდეც, ვინ რაღას უშველის! არა, აღარ ღირს, უნდა რაღაცა მოიფიქროს... თმაგაბურძგვნილი, ნამტირალევი, დაცრემლილი ღაწვებით შეშლილს ჰგავდა ხვახა. სურს რაიმე იფიქროს და ვერ უფიქრია, ისევ მანანას სახე უდგას თვალწინ და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ის გაათხოვეს, რომ მას აღარ ექნება უფლება, იმედით იფიქროს. თუ იფიქრა, ეს ფიქრი იქნება უმანანაოდ... უიმედოდ...

შუადამე გადასული იყო.

სოფელს ეძინა. ხვახა თავის პატარა ქოხში რაღაცას ფუსფუსებდა, რაღაცას საქმიანობდა.

ქვეყანაზე ალალი იყო და ალალ ლუკმას ჭამდა. არავინ მოუტყუებია. კაცი— კაცით იყო ქვეყანაზე, ეგონა ხვახას. ის კი მოატყუეს, იმედი გაუცრუეს, ქვეყანაზე იმედი წაართვეს... იატაკიდან წამოდგა. მაზარის ღილები შეიკრა, კუნჭულში მიდგმული, ჩაჟანგული, ახლახან ნაყიდი ნავთით სავსე ბიდონს საცობი მოხსნა, გაჭკრა ასანთს და მკრთალ შუქზე ოთახი მოათვალიერა. ლოგინად ნახმარი, აკეცილი ძველმანი კედლისკენ მიაცურა და ნავთი დაასხა, მთელი ოთახი მორწყა, შეასხა კედლებს, იატაკსაც ისე, რომ ჩაშავებული ფიცრები ნავთში ცურავდა. ასანთი აანთო და ლოგინს მოუდო და სწრაფად გარეთ გამოვიდა. გამოიკეტა კლიტით, გასაღები შორს ისროლა, ხელში თოკი ჩაბღუჯა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

მაღლა, სოფლის დიდ გზაზე ამოსულმა ცეცხლის ალად და კვამლაფქეული თავისი სახლი დაინახა. ის მიდიოდა გაბედული ნაბიჯით და ეშინოდა ვინმე ნაცნობი არ შეხვედროდა... კიდევ კარგი, მთელ სოფელს ეძინა და უკაცრიელი იყო ეზო-ყურე. ფიდოს სახლთან გაჩერდა. ღამის სიჩუმეს მოუსმინა. ჭიშკარი ფრთხილად გააღო და ისევ გაირინდა. სამარისებური სიწყნარე იყო. ფიდოს სახლის წინ ტოტებგაბარდულ დიდ ხართუთასთან მივიდა, თოკი ჩამოშალა, თითებით ერთი წვერი იპოვა, აკეცი, აიმუჭა და მოზრდილი, ბურთადფქეული თოკის ბღუჯა გადაღუნულ ტოტს ესროლა. თოკი ძირს გაშლილად დაეცა. ბნელოდა, მაგრამ ადვილად იპოვა ტოტზე გადაკიდებული წვერი. გაიარა. ხის ჯირკვი ეგდო მოშორებით, ადვილად მოათრია. თოკის ჩამოსწვრივ დაადგა. ორკეც თოკს ბოლოში ყულფი გაუკეთა და ჯირკზე ავიდა.

სისხამდილით ამდგარი ფიდო თავის თვალუბს არ უჯერდა — მისი აივნის წინ, ხართუთაზე კაცი ეკიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐᲙᲐ ᲯᲝᲮᲐᲫᲔ

ᲒᲣᲠᲐᲛ-ᲒᲣᲠᲐᲛ

— მასპინძელო, გაგვიღებ კარს?

— მობრძანდი, შენი ჭირიმე.

— რად არ გვეკითხები ვინ ხარ-თქო, მასპინძელო?

— რად უნდა კითხვა, რომ შემოხვალთ მერეც გავიგებ.

ეზოს კარი ჭრიალით გააღეს უცნობმა ბიჭებმა.

ახმახი მოხუცი გამოეგებათ. მთვარის შუქზე გახედა ბიჭებს. „კარგები არიან“, გაიფიქრა თავისთვის და პალატში შეუძღვა სტუმრებს.

— ძალიან დაგვიღამდა, ბიძია, და სოფელში გადავწყვიტეთ დარჩენა.

— მერე რას ბოდიშობ, შე კაცო, რა...

ცოტახანს უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჭიქა მოხვდა თეფშს. დიასახლისს თქმა არ სჯერდება. თვითონაც იცის — „დაღლილები იქნებიან. მერე კიდევ ეშიებათ. რა კარგები არიან. ის ხუჭუჭა მაინც სულ ჩვენებს ჩამოჰგავს...“

— მოდი და, ჩემო თენგიზ, ამ კარგ ოჯახს გაუმარჯოს. შენ გგონია დიდი რამეა კაცმა ღამით კარი გაგიღოს და სახლში შეგიშვას? არა, არაფერი არაა ეს. ამას ყველა იზამს, მაგრამ... მე ამათ მცირარ სახეებს ვენაცვალე, მე ამათ ბავშვებს ვენაცვალე. თქვენ გაგიმარჯოთ, ჩემო დეიდა მელიკ, ღმერთმა. თქვენმა კვირიკემ გაგიმარჯოთ თქვენ. ამ პატარა გოგონებს გაუმარჯოს ღმერთმა, ბატკნებივით რომ არიან ეგერ კუთხეში მიწყობილები და დიდი თვალებით რომ გვიყურებენ ჩვენ... არა, მაინც რამდენი არიან, ჰა, თენგიზ?...

ჩემო გრიშა ბიძია, ახლა თქვენს ბიჭს გაუმარჯოს, თბილისში რომაა წასული. აი, ის რომ იქ ჩავიდა და ჩვენ რომ აქ ამოვედით, ამას გაუმარჯოს, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს ღმერთმა...

— აი იცოცხლე, გურამ-გურამ. გაუმრავლდეს შენისთანა ბიჭები ჩვენს კუთხეს. მიხარია, ქალაქელი ბიჭი ხარ და ასე გიყვარს მთა, ასე მოგწონს ჩვენი ხალხი. ყველაზე მეტად კი მაინც ის მიხარია, იქაური რომ ხარ და ასე გწამს ღმერთი...

გურამმა კეთილად გაიღიმა. თენგიზს გადახედა.

— თენგიზი ძალიან დათვრა, მეც დათვვარი...

— აბა დაისვენებთ აწი? — მიუხვდათ მოხუცი.

გურამმა ხათრით და სიყვარულით დაუქნია თავი. არაფრით არ შვებოდა— ქვევით მირჩევნიაო. მაინც ზედა სართულზე მოასვენეს გურამი და თენგიზი.

მალე ჩაეძინათ მთაში ამოსულ დაქანცულ ბიჭებს. „გურამ-გურამ ხოჩა ჭყინტ... გურამ-გურამ....“*

ქვედა სართულზე სინათლე ჩააქრეს.

●

— რამ აგაყენა ასე ადრე, გურამ?

— ასე ვარ დაჩვეული, გრიშა ბიძია.

— ოო... ისე კარგია მაგი. წყალი აგერ ჩამოდის, გურამ, დაიბანე თუ გინდა.

გურამი ქვევით ჩავიდა. პირს რომ იბანდა, ეჟვნების ყელარუნი შემოესმა. ჭრელ ძროხებს მიდენიდნენ სვანის ქალები. ლალმ სუფთა პირსახოცი გამოურბენინა. გურამი ისევ იქით იყურებოდა.

— გაიზარდე, ჩემო ლალი, დიდი გოგო.

— რას უყურებ, გურამ-გურამ, იმ ქალებს?

გურამმა ლალის შეხედა, მერე გაუცინა და უთხრა:

— მე ახლა მაგათ სურათს გადავუღებ.

— რათ გინდა მერე?!

— როგორ თუ რად... ნახე რა ლამაზად ადიან?

გახედა ქალებს გოგომ და მერე გურამს შეხედა სახეში.

— ლამაზად არა ის...

გურამმა ფოტო-აპარატი გამოიტანა და ქალებს დაედევნა. „რა კაი სირბილი იცის“ — ფიქრობდა ბიძია გრიშა. გურამი დაეწია ქალებს და მერე სულ უცებ გადაუღო.

აწრიალდნენ სვანის ქალები, იწყინეს. ასე რომ გვცოდნოდა, კარგად ჩავიცვამდითო, აბა ასე რას ვგვავრთო, რატომ ადრე არ გაგვაფრთხილეო. დაიფერთხეს კაბები და თავსაფრები შეისწორეს სვანის ქალებმა.

„რატომ ადრე არ გაგვაფრთხილეო“...

— სიცილით კვდება გურამი.

— ტყუილა იპრანეშებით, აწი მაგი არ გადაგვიღებს, — თქვა ბოხი ხმით ერთმა გოგომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამმა იმ გოგოს შეხედა „რა ლამაზია, რა სწორი ფეხები და თმები აქვს...“ ქალები გატრიალდნენ და სიცილით გარეკეს საქონელი.

გურამმა ითმინა, მერე ვეღარ მოითმინა და იმ გოგოს გასძახა:

— რა გქვია, გოგონა, შენ?

ყველანი ერთად მოტრიალდნენ. მერე იმ სწორთმიან გოგოს თვალებს შეეფეთა გურამი. ეშმაკურად შეხედა გოგომ ბიჭს. მერე ისე უთხრა, თითქოს დაამადლაო თავისი სახელი:

— მალულა.

— მალულა... მე გურამი...

— კაი აბა, მეცოდინება, გურამ-გურამ — მიუსიყვარულა და ოდნავ დასცინა გოგომ. სიცილი წასკდათ დანარჩენ ქალებს.

„მალულა, მალულა...“

ჯგროდ დადგნენ ხარძიანის ეზოსთან ბავშვები.

უღო და უღო ჩუჩყიან და ლამაზ ბიჭებს გურამმა სურათები.

●

შებინდებისას ხბო დაკლეს ბიძია გრიშას ოჯახში. ჭიშდუარები დააცხვეს, კუმდარები გააკეთეს ქალებმა. ქორფა, სველი ტარხუნა მოეწყვეს ცხელ-ცხელ პურებსა და ქათქათა სულგუნებს. მეზობლის კაცები დაპატიჟეს ბიძია გრიშასთან. ცეკვა-თამაში გაახურეს გოგო-ბიჭებმა.

— გურამ, აბა, ხვალ მიდიხარ?

— მივდივარ, გრიშა ბიძია.

— ნუ წახვალ, გურამ, რაღ გინდა.. დედისერთა ბიჭი ხარ...

— არა, გრიშა ბიძია, მოვკვდები რომ არ ავიდე...

დედაჩემმა არ იცის... მოვატყუე, მესტიის მუზეუმში სურათები მაქვს გადასაღებითქო. ბევრს ვატყუებ დედაჩემს, რა ვქნა აბა...

—გურამ, გურამ, მოდი იცეკვე!

გურამი ცეკვავს. ისე კარგად ცეკ-

* გურამ-გურამ ხოჩა ჭყინტ — გურამ-გურამ კარგი ბიჭი.

ვავს, უხარიათ მოხუც სვანებს. უხარიათ და ეს ამბობენ: „ვენაცვალეთ მაგის გამჩენს, სულ ჩვენი ბიჭებისნაირია“.

გოგო-ბიჭები ტაშს უკრავენ, ხმამაღლა მღერიან...

გურამი ცეკვავს. მალულა ცეკვავს. ერთად ცეკვავენ გურამი და მალულა.

— მალულა!

— ბატონო.

— რატომ გქვია მალულა?

— რა, არ მოგწონს?

— როგორ არ მომწონხარ, მალულა! გათმა და გაწითლდა გოგო.

— მიყვარხარ, მალულა...

ხმამაღლა უკრავენ და მღერიან გოგო-ბიჭები.

— მალულა!

— ბატონო.

— მე, იცი, შვილი მყავს..

ჩუმადაა მალულა.

— ცოლიც მყავს მალულა.

ისევ ჩუმადაა გოგო. თვალებში უყურებს გურამს.

— ძალიან მიყვარს ჩემი შვილი, მალულა.

უფრო ხმამაღლა უკრავენ გოგო-ბიჭები.

— დათვერი შენ, გურამ-გურამ.

— ჰო, მთვრალია შენი გურამი...

— ჩემი არ ხარ შენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიყვარხარ, მალულა. გუშინ მოგეწონე, დღეს უკვე ძალიან მიყვარხარ.

— სულელი ხარ, გურამ-გურამ...

გოგო-ბიჭები არ ცხრებიან. ერთი, ყველაზე კარგი და ტანადი შუაში უხტება გურამს და მალულას...

გურამმა სულ არ იწყინა, დანებდა ბიჭს და წრეს შეუერთდა. მერე წრიდანაც გავიდა. თამბაქოს კვამლში ჭიანურს უკრავენ მოხუცი სვანები. ჭიანურის მუცლისხელა მთვარე დადის ცაზე.

— ნუ წახვალ, გურამ, საშიშია...

— უნდა წავიდე, გრიშა ბიძია. რომ არ ავიდე შხარაზე, მოვკვდები ნამდვილად.

სულ წითელი აქვს მალულას ლოყები და თვალებში უყურებს იმ მაღალ სვანს.

●

— მასპინძელო, გაგვიღებ კარს?

— მობრძანდი, შენი ჭირიმე.

მთვარის შუქზე გახედა ახმახმა კაცმა ბიჭებს.

„....დაღლილები იქნებიან, ეშიებათ კიდეც“... დიასახლისმა სუფრა გაშალა.

„გაისადაც ნანახვთო; ვეღარ აგვისრულა გურამ-გურამმა დანაპირები...“

გოჩა არჩვაძე

ზამთარი

ციოდა.

ბუხარში უსიამოდ ბოლავდა უშველებელი კუნძი. ბუხრის გვერდით რუხი ფერის დაბალი კარადა იდგა. კუთხეში, ხის საწოლზე, საზურგეს მიყრდნობილი მოხუცი ქალი იჯდა და ფანჯარას მისჩერებოდა.

თოვდა.

ჩიტები ბეოლის ტოტზე შემოსხდნენ, თოვლი ჩამოყარეს და მერე ტოტთან ერთად დაიწყეს რწევა.

ფანჯრიდან უზარმაზარი დათოვლილი ვერხვი მოჩანდა. ვერხვის ძირას ჭა იყო. ჭის გახსენებაზე ფეხისგულები აეწვა. მოაგონდა, როგორ ამოიტანა პატარაობისას, შუა ზამთარში წყალი ფეხშიშ-

ველამ. რა დრო იყო! ფეზზე ჩასაცმელი კი არა, ცივი ჭადი ენატრებოდათ. თოვლი მაშინ უფრო დიდი იყო. ფეხები მამლის ბიბილოსავით ჰქონდა დაწოლებული. დაპაღუბით მოსდიოდა ცრემლი, მაინც იცინოდა.

ვერხვს იქით სასაფლაო იყო. ვეებერთელა ბელტებივით ამობურცულ საფლავებს თოვლი დასდებოდა. დიდი ხანია ჩამოთოვა. დიდი ხანია აბოლდნენ ბუხრები. სასაფლაოზე თოვლი არ იყო გაკვალული.

ალითნზე ეღვიძებოდა. ფანჯრებში სიბნელე იყო ჩამდგარი. ოთახშიც ბნელოდა. მოუთმენლად ელოდა გათენებას. შუადღისას უკვე მობეზრებული ჰქონდა თოვლი, თვალებს ტკენდა სითეთრე და ამდენი თოვლის დანახვა აღიზიანებდა. ბოლო დროს დასჩემდა — ეშინოდა და რისი, თვითონაც არ იცოდა. ახლაც იყურებოდა ფანჯარაში და თოვლის სითეთრე ჰზარავდა. „ნეტავ პირველად ვისთვის გაიკვალა?“ — ფიქრობდა მოხუცი და ამობურცულ საფლავებს დაეხინებით უყურებდა.

ციოდა.

აუტანელი სიჩუმე იდგა სახლში. „ი, ძაღლი მაინც სად წაეთრა?“ მოხუცი ქალი უკმაყოფილოდ პუტუნებდა და ცდილობდა, მარცხენა ხელით მოხერხებულად შეეკეცა საბანი.

ადრე არასდროს ჩაფიქრებია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შვილები დატოვებდნენ მშობლიურ სახლს. ასეა, როცა ბუდეში აღარ ეტევიან წამოზრდილი ბარტყები. მაგრამ ამ სახლში ყველასთვის იყო სამყოფი ადგილი. დაიჩიტნენ, წამოიზარდნენ და ყველამ მიაგნო თავის ბილიკს. ნელ-ნელა შემოეცალნენ ხელში. ერთ ზამთარს სრულიად მარტო დარჩა და პირველად მაშინ დაწყდა გული შვილებზე. პირველად მაშინ იტირა ჩუმად, მეზობლებისაგან მალულად. გარეგნულად არაფერი შეიმჩნია, მტერი არ გააცინა. გული ისევ მხნე ჰქონდა, მხოლოდ თვალებში ჩაუდგა უდედო ხბოსავით ღრმა ნაღველი. არასდროს ჰყვარებია ბევრი და ხმამაღალი სიცილი —ამ ზამთარს ღიმილიც არ მიიკარა სახეზე. მერე გაზაფხული მოვიდა, საქმემ იმატა. აღარ რჩებოდა ფიქრისთვის დრო. ზაფხულში მონაგარი ესტუმრა, გაეხსნა შუბლი, თვალებში მაინც მოუშორებელი ნაღველი ედგა... ჩამოთოვა და აუტანელი სიჩუმით აივსო სახლი. მერე იცვა შეიფოთლა ხეები და ისევ დაზამთრდა. ბოლოს ის დასაქცევი დღე — დილით. წამოდგომისას მარჯვენა ხელ-ფეხი აღარ დაემორჩილა. ყველა სიკეთესთან ერთად, ფეხზე დგომაც ვერ შეძლო. „უნდა იწვე, თუ გინდა რომ გაგიაროს“, — უთხრა ექიმმა და მაგიდაზე ქაღალდის ნაგლეჯი დატოვა.

მას შემდეგ მესამედ ჩამოთოვა.

ბუხარში კუნძი ისევ ხრჩოლავდა.

აუტანლად შესაცივდა მთელ ტანზე, განსაკუთრებით ფეხის თითებზე. ის ზამთარი გაახსენდა, ფეხშიშველამ რომ ამოარბენინა ჭიდან წყალი და უაზროდ გაეღიმა. მერე მუხლები მოხარა და ხელებში ფეხის გალიგვგებულ თითებს მოუყარა თავი. აამოძრავა, დაზილა — ვერ გათბონ. იჯდა მოკუნტული, საოცრად დაჩიავებული და ფანჯარაში იყურებოდა. ორღობეში წითელთავშლიანი ქალი გარბოდა... თვითონაც მოუნდა გაქცევა, შეეცადა წარმოედგინა, როგორ წაჩლაზუნდებოდა, ჩაემხობოდა თოვლში და ისევ მწარედ გაეღიმა. „ეჰ, ფეხზე გამარონიე და თუ მეტი ბოხოვო, შენი გლახა მამყოფე, ღმერთო“, — მოხუცი სასაფლაოს თეთრ ბორცვებს უყურებდა და გუმანით ხვდებოდა — სად იყო დასაფლავებული მისი ქმარი.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ამ ზამთარს მაინც გამაწვეიე, ნუ მომკლავ გაზაფხულამდის, აქ ვკვდები სიცივით და იქ რა მეშველება, — გააკრქოლა, შეეცადა სხვა რამეზე ეფიქრა და აბოლებულ ჯირკს მიხედა.

თოვდა.

ფანჯარაში დათოვლილი ვერხვი მოჩანდა.

მე და ბებია

ოთახში თოვლიდან ასხლტილი სინათლე შემოძღვა. აფორიაქებული, მოცახცახე სიცოცხლე შემოვაღოდ ბნელ კედლებში. ძაღლი კუდის ქიცინით შემომყვა.

— მოხვედი?

თავი დავუქნიე.

— დაანთე ცეცხლი, შენ გახარებას, შეხედე, როგორ ხრჩოლავს, დამწვა თვალები ამ უბატრონომ.

რადიო ჩავრთე. ნაქურჩალას ხმელი შეშა მივაყარე და შევუბერე. ნაცარი ავარდა და თავსა და მხრებზე ქერტლივით დამაცვივდა. შავი, კუდაპრეხილი კატა ამეტმასნა და აკრუტუნდა. ძაღლმა ერთი კი შეუღრინა, მერე ისევ კუდისქიცინს მოჰყვა.

ალი უცბად ავარდა. ცოტა ხანს კიდევ ვიყავი ჩაცუცქული. ცეცხლი სახეში მაცხუნებდა. თითებგაფარჩხულ ხელისგულებს ცეცხლს ვუფიცხებდი და მოკრტუტუნე კატას ვუყურებდი.

დილაობით ძალიან მიყვარდა ყურება, რა მონდომებით იბანდა ხელ-პირს ბებია. ფანელის ხალათს იდაყვებამდე აიკაპიწებდა, თავსაფრის ბოლოებს კეფაზე შეიკეცავდა, მარცხენა ხელში ჩაისხამდა წყალს, სახესთან მიიტანდა, შეუბერავდა, თითქოს წყალი ცხელიაო და მერე ორივე ხელს დიდხანს, ბეჯითად ისვამდა სახეზე, ყელზე, კისერზე... გადაისვამდა სოველ ხელებს გთეთრებულ საფეთქლებზე, ჩამოშლილ თმას ყურსუკან გადაიწევდა და მერე ისევ იგუბებდა პეშვში წყალს. ყველაფერს ძალიან დინჯად, უხმოდ აკეთებდა, მხოლოდ წყლის ჩხრიალი და სულის შებერვა ისმოდა, ამ დროს განსაკუთრებით საყვარელი იყო ბებია, ჩუმი, დინჯი, საქმით დაკავებული.

— დიდედა, მოგიტან რამეს, — ვუთხარი და წამოვდექი.

— ერთი მა რადიო გამორთე, თუ კაცი ხარ, შემიწუხა გული.

— საქმელი არ გინდა?

არა, ნამეტანი გლახა გუნებაზე ვარ.

ოთახში ბუხრიდან გამოვარდნილი ცეცხლის შუქი დარბოდა.

„ეჰ, შვილო, — ჩამომიჯდებოდა ხოლმე ბებია ძილის წინ, — ჩვენი სისხლის სათავე რიონივით მთებშია, ანკარა რუსავით სუფთა და სამების ეკლესიაში ნაკურთხი წყალივით წმინდაა ჩვენი სისხლი, ნუ აიმღვრევ, ბებია გენაცვალოს, იყავი ყოველთვის ადამიანი... ჯვარი შენ გეწეროს და, თლა მამაშენის გასახიერება ხარ... უბედური! ამხელა რომ დაენახე, ხომ გადაირეოდა სიხარულითო?! დაიღუპა იმ ომის მომგონი, ეყურებია იმასაც ამ მზისათვის, რა იქნებოდა?“

მოხუცი მოყვებოდა თავის ქნევას და ხშირ-ხშირად ამოისვამდა ხოლმე თავსაფრის ბოლოს აცრემლებულ თვალებში.

„რო ეცოცხლა, შვილო, შენზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე, მარა...“

რამდენი უთქმელი სიტყვა იმალებოდა ამ „მარას“ შემდეგ, რამდენი გულისტკივილი, იმედის გაცრუება, სიკვდილის ზიზღი... ამოიხვნეშებდა, ამოაყოლებდა მთელ გულისტკივილს და მერე ისევ რჩებოდა მხნე, გულკეთილი, მკაცრი, მაგრამ მეტისმეტად მოსიყვარულე. ამ დროს ძალიან, ძალიან მიყვარდა ბებია და მინდოდა, რაც შეიძლება ბევრი ელაპარაკა... გუსმენდი და უშველებელი სიკეთით მევსებოდა გული.

უგუნებოდ დავბორიალობდი ოთახში.

ფეხი სკამს წამოვკარი, ცოტათი ვიტკინე და ავბუზღუნდი. ბუხართან ჯდომა ყველაფერს ჯობდა, მაგრამ ამდენი საქმე იყო გასაკეთებელი და ხელის-წამკვრელი არავინ იყო. ბებიაც ასე იწვა მთელი დღე ლოგინში შეფუთული. ქალაქიდან არაფერი ისმოდა. გზები ჩაიკეტა. ყოველღამ გრუხუნებდა ზავები, თითქოს გზა გაჰყავდათ და დინამიტს აფეთქებდნენ.

ავგისტოს მიწურულში, არდადეგების ბოლოს, ქალაქში ვბრუნდებოდი. გუ-

ლი მწყდებოდა, არც ბებია იყო კარგ ხასიათზე, ეძნელებოდა მთელი ათი თვით ჩემთან გაწმორება... გვიან ღამემდე ფუსფუსებდა თონესთან. ლობიანსა და ხმელი პურებს აცხობდა, თხილის ტოტზე წამოგებულ ქთამს ხშირად უცვლიდა გვერდს, ნაკვერცხალს ჩხრეკდა, ლობიან პურებს სულს უბერავდა და მერე ქონის ნაჭერს უსვამდა. თონის სიმხურვალისაგან აწითლებული, დაღონებული ჩანდა. იქვე ვიჯექი და მის ყოველ მოძრაობას ვაკვირდებოდი. უნებური სევდა ღამის სიბნელესავით მავსებდა, მეძნელებოდა მოხუცის დატოვება. მერე ბებია ახალგამომცხვარ, თბილ ლობიან პურს მომიტეხავდა, ჭამე. ხომ გიყვარსო, მაძალებდა და თვითონაც ძალად ღეჭავდა ცხელ ლუკმას. არ მინდოდა საჭმელი, მაგრამ ბებიის ხათრით უნიათოდ ვილოღნებოდი. მერე ვიწექი მთელი ღამე თვალებდაჭყეტილი და აგვიტოს ჯერ კიდევ თბილი ღამის სუნთქვას ვუგდებდი ყურს. დილას სამანქანო გზამდის ჩამაცილებდა. სახლიდან გასვლისას ყოველთვის მახსენებდა, საძირკველს პირველად მარჯვენა ფეხი გადაადგიო, თვითონ წინ წავიდოდა და ჭიშკართან დამხვდებოდა. მერე მივდიოდით დილის სიგრილეში. გზა მტვრიანი იყო და ორივენი რბილად მივაბიჯებდით. ველოდით მანქანას და რჩებოდა ბებია ამტვერებულ გზაზე. კარგა ხანს ვუქნევდი ხელს, მერე ვჩერდებოდი და მოწყენილი ვჯდებოდი მანქანის ძარაზე გარდიგარდმო გადებულ ფიცარზე.

კალათიდან პეშვით ამოვიღე ლობიო. კარადალა ნახევრამდე მოვყარე წყლით, ჯაჭვზე ჩამოვკიდე, გარჩეული ლობიო ხრიალით ჩავყარე შიგ და ცეცხლს შევუკეთე...

ზოგჯერ საკუთარ თავში ეჭვი მეპარებოდა, იქნებ ცხოვრებისა მეშინოდა?! ჩემი ყველა წინაპარი ცარიელ ადგილზე იწყებდა ცხოვრებას და არ ეშინოდა. შეიძლება ეშინოდა, მაგრამ არ ამხელდა, ხმამაღლა არ ამბობდა, თავს არ უტყდებოდა...

რა მინდოდა სოფელში? მთელი ზამთარი უსაქმოდ ვიყავი, არაფერს ვაკეთებელი. თავს ვატყუებდი, ვითომ მხოლოდ ბებიის სიყვარული მაკავებდა. სხვაც ჰყავდა პატრონი, მე თუ არა, სხვა დარჩებოდა, სხვა მოუვლიდა ჩემზე ათჯერ კარგად. არ მინდოდა საკუთარი სისუსტე დამენახა. ახლა იმაზე ფიქრიც მაბრაზებდა, რომ პირველმა სერიოზულმა მარცხმა დამაბნია, შემაშინა კიდეც... ყველაფერს გამომარიდა, გამომაქცია. „საცოდავიც კია ადამიანი, რომელსაც ნებისყოფა, ხასიათის სიმტკიცე, არ გააჩნია“. ნებისყოფა! ადვილი სათქმელია ხასიათის სიმტკიცე, როცა საყვარელი ადამიანი ხელის ერთი მოსმით სპობს ყველაფერს, რაც თქვენს შორის იყო... ადვილი სათქმელია „ნებისყოფა“...

წინა დღეს კარადაში მამაჩემის ნაქონი თეთრი, უკვე ფერნაცვალი, ჩრჩილისაგან შეჭმული პერანგი ვიპოვე. გადავიცვი, კარგად მომივდა და მერე მთელი კვირა არ გამიხდია. თითქოს სიძლიერეს მმატებდა მამაჩემის სახელის გაფიქრებაც კი. მიყურებდა ბებია და ხელს მკერდზე იბრაგუნებდა, დაეფსო იმ სიკვდილს თვალება, ეცოცხლა იმასაც რა იქნებოდაო. ის ღამეები სულ თეთრპერანგიანი უცხო კაცი მესიზმრებოდა. მივდევდი და მთელი ხმით ვუძახდი სიტყვას, რომელიც ცხადში ჯერ არავისთვის დამეძახა. კაცი სახეს მარიდებდა და მერე საერთოდ მეკარგებოდა... ბებიის ძახილი მაღვიძებდა, რა იყო, ბიჭო, რა გესიზმრება ამისთანა, მთელი ხმით რო ღრიალებო. გატრუნული ვიწექი. მერე ბებია დაიძინებდა და მე მთელი ღამე ვფიქრობდი კაცზე, რომელსაც ჩემი მამა ერქვა. ვფიქრობდი რა უბედურები ეიყავით ორთავე — კაცი, რომელიც შვილისგან „მამის“ დაძახებას ვერ მოესწრო და შვილი, რომელსაც საერთოდ არ ახსოვდა მამა...

ოთახში დათბა.

წამოვდექი. ვეებერთელა ჩრდილი ამყვა და კედელს უშველებელი ურ-

ჩხულივით შეაბობდა. სოველ შეშას თანდათან ეკიდებოდა და უზარმაზარი ჩრდილი მსუბუქად დახტუნავდა გაყვითლებულ კედლებსა და ჭერზე. ახლა მაღლიდან დავყურებდი ცეცხლს. საამო სითბო ჟრუანტელივით მივლიდა მთელ სხეულში. აუტანლად მომეწყინა ზაფხული. ბუხარს მხრებით ვწვდებოდი. რა უცაბად გაფრინდა წლები. ვერც მოვიგონე, რამდენი წლის წინ იყო, ვნატრობდი — ბუხარს თავს როდის შევწვდებოდი თავისუფლად. ახლა სულ ერთი იყო წინანდელი, ბავშვობისდროინდელი ოცნება. აღარაფრად ვაგდებდი, რომ ამხელა „ვირგლა“ (ბებიაჩემის თქმისა არ იყოს) გავიზარდე. ნელა მოვშორდი ბუხარს და ეზოში გავედი.

პატარაობისას არც მიფიქრია, რომ მამაც უნდა მყოლოდა. მერე ჩემდაუნებურად ვაკვირდებოდი ყველას, უმტესობას მაინც ჰყავდა მამა... ახლა არც მახსოვს, როდის განვიცადე პირველად უმამობა, როდის დაწყდა გული, როდის მივხვდი რას ნიშნავდა სიტყვა „ობოლი“.

ალბათ მაშინ, მეზობლის ბიჭი რომ გავლახე...

დიდხანს ვიჯექი მტვრიან ქუჩაში, აქაჩული ყური მეწყოდა და მელანდებოდა უშველებელი ხელი, შესაშინებლად დაქნეული საჩვენებელი თითი...

ოდნავდა თოვდა.

წვრილი ფიფქები მოწყვეტით ცვიოდა. თოვლი ძალიან თეთრი იყო, თვალებს მტკენდა. სადღაც თოფი გავარდა და ძაღლის ყეფა აიყოლია.

სწრაფად შეგბრუნდი. ცეცხლი გუზგუზებდა, ოთახში დამწვარი ლობიოს სუნი იდგა. თვალი საწოლისკენ გავაპარე — ბებია ფანჯარაში იხედებოდა. ჩამშრალ ლობიოს წყალი ჩავუმატე. გავბრაზდი. აუტანლად ძნელი იყო ასეთი გულისგამაწვრილებელი საქმე. ძლივს ვიკავებდი თავს, არ მეყვირა, არ გავვარდნილიყავი გარეთ და დაქანცვამდე არ მერბინა თოვლში.

— დამწვარი ლობიო უნდა მაუკამო, ბიჭო?

ბებიას ეღიმებოდა, ეღიმებოდა და თითქოს რაღაცაზე წყდებოდა გული. შემეცოდა მოხუცი — ასეთი უძლურია: უსუსურია, გულით მაინც ეხნე, მაგრამ უკვე საბოლოოდ მოტეხილი. იმ დღეს მაინც საშინლად დაბეჩავებული ჩანდა მოხუცი.

— გაიხედე, ბიჭო, გონია ვიღაცა იძახის.

კარებში ლადიკო შემოისვეტა.

— ხომ არ დაყურეადით, ერთი საათია ვიძახი... როგორა ხარ, მოხუცო, ხომ ხარ მაგრად. — ლადიკო საწოლზე ჩამოუჯდა და ლოყაზე აკოცა.

— ეჰ, ასე იქნა შენი მტერი და მოძულარი, შვილო, რავა როგორ ვარ, ცოცხლებს აქ გაწუხებთ და იქ მკვდრებს ვაკლიკარ.

— რა დროს სიკვდილია, შექალო, გონია მე და შენ მოგვიწიოს მთვარეზე გაფრენამ.

— შენ კი, შვილო, ყველაფერ კარგს მოესწრები, მე უკვე მოვჭამე ჩემი წუთისოფელი... მარა, რო აგვიანებს ის მამაცხონებული მაქელ-გაბრიელი?

— ნუ გეჩქარება, ყველა იქ ჩავალთ, არავინ გაკერკებულა ამ ქვეყანაზე.

ფხიზელს მარწუხით თუ ამოგლეჯდი სიტყვას, ახლა ლაპარაკის იშტაზე იყო მოსული. ზოგიერთივით არ ივიწყებოდა მაინც, კაი სიმთვრალე იცოდა. პატარა მაგდა ბებიის საწოლთან დავდგი. წინადღის გამომცხვარი მჭადი და ერთი წველა ყველის გარდა, ვერაფერი მივიტანე სუფრაზე. დავჯექი. ვერდით ფუჩეჩიანი დოქი მოვიდგი. თამადად ლადიკო დადგა, სულ თვითონ ლაპარაკობდა, ვინღა დაგაცალა ხმის ამოღება.

— ნურავინ დაიქადნის ანგელოზობას, ტყუილია! ყველას საკმაოზე მეტი გვაქვს შური და ღვარძლი. ერთ სოფელს ეყოფა ყოველი ადამიანის ცუდკაცობა, — მე შემომხედა, — ასე კი ნუ მიყურებ, ნახევარი ევრობა ფეხით მაქვს შემოვლილი, აბა... გაჩუმდი,

სიტყვით ყველას დიდი გული გვაქვს, საქმით, ერთი საქმით გაკეთე რამე... ბოდიში, მოხუცო, შენი სადღეგრძელო იყო და, ცოტა გადავუხვიე, გაგიმარჯოს!..

ლადიკო არც ისე მაღალი იყო. განიერ, მრგვალ მხრებზე გრძელი, კუნთმაგარი მკლავები ეკიდა. ყოველთვის უზარმაზარი ჩექმები ეცვა და ოდნავ წინგადახრილი, ღერძგაღუნული მანქანასავით გვერდულად დადიოდა. მარცხენა თვალზე შავი სახვევი ეკეთა. „ნემეცის ნაჩუქარიაო“, — ნაღვლიანად გაიხუმრებდა და სინანულით აქნევდა ხოლმე თავს.

ბოლოს დათვრა, იჯდა თავჩაღუნული და ვეებერთელა შავი ხელები მოტეხილი ლერწივით ეკიდა მუხლებზე.

თოვას უმატებდა.

ფანჯრიდან სოფლის სასაფლაო მოჩანდა, გაუკვალავი, თეთრ სუდარაში გახვეული.

მთვრალი კაცი, კაი კაცი

ჩუმად, ყრუდ დაიბუბუნა, ვეებერთელა ხევში გამომწყვდეულ მდინარესავით მოგუდულად აგორდა... ჯერ ერთი აიყოლია, მერე სხვები და მეხივით გავარდნილი სიმღერა დუქნის კედლებსა და ჭერს ეტაკა. გაიტიკნა ყოველი კუნჭული, ყოველი ბზარი და მერე ღია კარიდან გაუხედნავი კვიცების ჯგროსავით გავარდა.

მედუქნემ თავი ანება პურის დაჭრას. დაღლთან ჩამომჯდარი ჩვენკენ შემოტრიალდა და ჭიქა ხელში გაუშვშდა. კართან მსხდომნი მაგიდას ჩააშტერდნენ.

სიმღერა სანთლის მოლიცლიცე ენებივით დაირხა, აალდა, დაიგრუხუნა, დაიქუხა და დუქნის ჭერი ნაცარტუტად აქცია... მერე გაიბნა, გაგანივრდა, როგორც ვიწრო ხეობიდან გაწოლილ ტრამაღზე გამოვარდნილი ქარი და შორს, ძალიან შორს, უზარმაზარი ხეებისაკენ-ში გაიგუდა.

— აი თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — იყვირა მედუქნემ და სამი ბოთლი ღვინო დახლზე შემოდგა, — ეს ჩემგან, ბიჭებო, ეგრე, თქვენი ჭირიმე!

— პლატონ, დაგვლოცე თუ კაცი ხარ, — გასძახა თამადამ და წამოდგა.

— იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც თავის სახლში ჩვენზე კარგს იტყვის...

პატარა სანთლის ალი მოჭრილი სხეულივით მოძრაობდა, ირხეოდა, ხან დიდდებოდა, ხან ისევ პატარავდებოდა.

ბნელ დუქანში ელექტრონი არ იყო გაყვანილი და კედელზე რკინის უზარმაზარ, მახინჯ შანდლებში ძირამდე დასული სანთლები ბეჟუტავდნენ. მჭვარტლისაგან გაზინთლული ჭერი შავად პრიალებდა. თეთრხალათიანი მომტანი იდაყვით დახლს ჩამოყრდნობოდა და უაზრად იყურებოდა. ტევა არ იყო ჩვენ მაგიდაზე. თეფშები და ბოთლები უთავბოლოდ არეული ეყარა, თამადა ლაპარაკობდა, ზოგჯერ თანამეინახეთ თვალს მოავლებდა, ისინიც დასტურის ნიშნად თავს უქნევდნენ... მაგიდის ‘შუაგულიდან სიგარეტის თხელი კვამლი ამოდიოდა, იკლკნენებოდა და ჭერს სიფრიფანა ნისლივით ეკვროდა. გვერდით მაგიდასთან ორნი ისხდნენ და რაღაცაზე გულმოდგინედ საუბრობდნენ. ორი სავსე ბოთლი მაგიდის კუთხეში დაედგათ და დავიწყებოდათ.

გარეთ სიჩუმე იდგა, რაღაც ავისმომასწავებლად ჩასაფრებული. სიბნელე სულ ახლოს მოსულიყო და ფანჯრებში უშველებელი, შავი თვალებით დაურიდებლად იხედებოდა.

სუფრაზე მხოლოდ ორს ვიცნობდი — გიორგის, ჩემ ნათესავსა და თამადას. უმეტესობა შოფრები იყო, ხე-

ლები ჩაშვებოდათ, წვერი მოეშვათ, ერთმანეთში მოურიდებლად ლაპარაკობდნენ. უკბილო ხუმრობაზეც კი სიცილით კვდებოდნენ, მუხლებზე ხელებს იტყაპნენებდნენ და ხრინწიანად ახველებდნენ. მერე თამადა აწევდა ხელს და მეფური მოძრაობით სიჩუმეს მოითხოვდა. მიუმატებდა მორიგ სადღეგრძელოს თავის უკვე მოზრდილ კოლექციას, ჭიქას ცერა თითის ფრჩხილზე დაირეკავდა და მოადგილეს ანიშნებდა, აბა შენ იცი, არ შემარცხვინოო.

დაბორიალობდა გალეშილი ბახუსი მაგიდებს შორის და სუფრებიდან ღვინოს იპარავდა...

ბებია გამახსენდა, ისე უცბად — გამიკვირდა. შემეცოდა მოხუცი. მოუთმენლად მელის ალბათ. „კი არ მეშინია, ბიჭო, ხმის გამეცემ მინდა ვინმე, თუ არა, გავგიჟდები ნამდვილად. ხანდახან ჩემთვის ვლაპარაკობ, ვინმემ რო გაიგონოს, სულელი ვეგონება... მეცინება, მერე მართლა მეშინია, არ გავგიჟდეთქვა“...

საწყალი ბებია!

სანთლის ალი შეირხა. ღია კარიდან ცივმა ნიავმა დაუბერა. კარებში ხმელი, დიდულვაშა კაცი შემოვიდა.

— ბატონ დიმიტრის სიცოცხლე!

— ერთი ჭიქა, დიმიტრის ვენაცვალე!

დიმიტრიმ ჭიქა მაღლა ასწია. ფეხზე წამოდგარი თამადა დინჯად უსმენდა. ყველანი დიმიტრის შევყურებდით. მან ნახევრამდე მოსვა ღვინო, მარცხენათი პურს ყუა წაატეხა, მარჯვენა ხელი მკერდზე დაიდო, გულითადი მადლობა გადიხადა და სასწრაფოდ გავიდა დუქნიდან.

— მარიფათში გენაცვალე!

— რა ჭიმავს ამ შობელმაღლს, გასვრეტილი შაურიანი არ უგდია ჯიბეში და ჩვენი ფერმის გამგესავით გაბერილი კი დაიარება.

— მაგის ნაყიდი ღვინო დამელია და მერე თუ გინდა მოვეკალი მამაზეციერს, არ ვჩივი...

— არა, ხო?—ხორხოცობდნენ შოფერები.

გიორგიმაც წამოსწია თავი, სავსე ჭიქას ზემოდან ჩააჩერდა, რაღაცა ჩაილაპარაკა, ღვინო მოსვა, დაიჭუანა, მერე თავი გააქნია და უცბად დაიწყო:

ხაიამ, სვი და მედამ ლალის ღვინით იხარე,
შშვენიერ ქალთან ლაღობით და ღვინით
იხარე...

ყველა გაოცებული შეაჩერდა. გიორგი იღიმებოდა და დამძიმებული, რულმოკიდებული თვალებით გვათვალიერებდა.

— კიდევ თქვი რა, გიო, — სთხოვა ვიღაცამ.

— კიდევა ვთქვა? ვიტყვი, რატომაც არა, — ცოტა ხანს გაჩერდა და მერე განაგრძო:

როცა ფესვები სიცოცხლისა დამიდუნდება
და ზედ სიკვდილი...

გაჩერდა, თავი გააქნია და ისევ დაიწყო:

ღვინის ჭურჭელი გააკეთეთ ჩემი მოწისგან,
აავსეთ ღვინით და სიცოცხლე
დამიბრუნდება.

— შენი ჭირიმე, „აავსეთ ღვინით და“... მერე როგორაა?.. ხო, ხო, „და სიცოცხლე დამიბრუნდება“...

გამოცოცხლდნენ, აწრიალდნენ სკამებზე. ვიღაცამ ბოთლს ხელი წამოუსვა და ჭიქები შეავსო. ცოტა ყოფნის ადამიანს! მერე ერთმა ჰკითხა გიორგის, ვისი ლექსიაო.

— რა ვიცი, ჩვენთან ერთი იმერელი შოფერი მუშაობდა, რო დაიწყებდა სადღეგრძელოებს — სულ ლექსებით ლაპარაკობდა... ერთხელ მთვრალი იყო და გამიტყდა, მე თვითონ ვიგონებო.

გამეღიმა.

ისევ დაიწყეს სიმღერა, ვერ მოაბეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი. აუწიეს, ყვირილზე გადავიდნენ, მერე დაუდაბლეს და გაჩუმდნენ.

დუქნის კარი ხმაურით გაიღო და ვიღაც თოვლში ამოგანგალული შემობანდალდა.

— თოვს, კაკო?

მთვრალი ჩვენკენ შემობრუნდა და ხელის აწევით მოგვესალმა. თამადამ ჭიქა მიაწოდა. მთვრალმა დაიღოცა, აპურდღუნდა, რაღაცა კი თქვა და მერე ჭიქა გამოამშრალა.

— თოვს, ა?

ახალმოსულმა თავი დაიქნია და გაგვეცალა.

იმ ზამთარსაც დიდი თოვლი იდო. სახურავებს ყოველ კვირაში თოვლავდნენ. ის დღეები ლამაზად მონათხრობი ზღაპარივით მახსოვს. შინ მე, ბებია და ბიძია ვიყავით. ერთ დღეს ბიძიამ ჩიტები დამიჭირა. ვიდექით ფანჯარასთან და ტელისფანცქალით ვუცქიდი, როდის მოვიდოდა ბეღურა საკენკთან. მერე ერთბაშად გამოვკრავდით თოკს. აღარ ეტეოდნენ გალიაში ჩიტები. „დედაშვილობამ ნუ მოკლავთ. ცოდოა. თავისი გაჭირვება ეყოფა. ნუ მოკლავთ და საღამოს ქათამს დაგიკლავთ“, — ბებია ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ უცნაური გული ჰქონდა. მე გავჭირვეულდი და ტირილი დავიწყე. ბებიამ ეზოში გაიტანა გალია და თავისი ხელით გაუღო ჩიტებს კარი...

ჩვენს გარდა სასადილოში აღარავინ იყო. ჩემს პირდაპირ მჯდომმა ღვინო დაისხა და ადგა.

— მოიცა, ბიჭო, ერთს კიდო ვიტყვი და მერე ყველა წავალთ.

— ერთს მე ვიტყვი, ხომ შეიძლება!

—კი, შენი ჭირიმე, ორი თქვი.

უშველებელ მუჭში ჭიქა აღარ ჩანდა, და მომეჩვენა, ცოტა რომ მოეჭირა ხელში ღამფის შუშასავით ჩაემსხვრეოდა.

— რაღაც კარგად მინდა ვთქვა და არ გამომდის.

— მიდი, ბიჭო, აგერ არა ვართ! — გაამხნევეს შოფრებმა ამხანაგი და აყაყანდნენ.

დაიბნა, მაინც იღიმებოდა

— იცი, რა მინდა ვთქვა?

— ე ბიჭო, ნუ გადაგვაყოლე.

აღარავისთვის შეუხედავს, ხმადაბლა, აღელვებული ალაპარაკდა. სადღეგრძელოს არ ამბობდა, უბრალოდ გვიყვებოდა, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა ამ კაცს.

— კაია სოფელი, ხანდახან ისე მომენატრება ბუხარი და კეცში გამომცხვარი მჭადი, სული მიმდის. არ არის ჩემი საქმე შოფრობა და მაინც ვერ ვეშვები, მარა, მარტო მიწას მტერმა უყოროს. ცოლ-შვილი მყავს, მტერ-მოყვარე, — სული მოიოქვა, ცოტა ჩაფიქრდა, — მიყვარს მიწა, გაზაფხულზე მაინც რომ გაბიკვინდება, გაიბერება ნაწვიმარი კვირტივით, მერე ამოიხვნეშებს, თითქოს სუნთქავსო... მე კი ეზიავარ რკინის ვირზე და დავრბივარ აღმადაღმა.

ისევ გაჩერდა, ჭიქიანი მარჯვენა უკანკალებდა.

— ან შემოდგომის ტყეს რა სჯობია... მოფცინილი, მოფარდაგებული როა ამდენი ფოთოლი. მიდიხარ, აბიჯებ ფეხს და თითქოს რაღაცას გასაყვედურობენ, შენ კი არა, ვიღაცას, და მათი საყვედური მიწას ვერ სცილდება... ისევ ფოთლები, გაყვითლებული, მჩუტე კაკლებივით ტოტებზე აქა-იქ შემორჩენილი. რა სჯობია ამ დროს სოფელს?! ან კიდევ გაზაფხულზე მშრალი მიწის სუნი თავს რომ ავატკივებს...

უნებურად მის ფრჩხილებაჩაშავებულ ხელებს შევხედე. თითქოს ფიქრს მიმიხვდა.

— აღარც ხელები მექნება ასეთი ჭუჭყიანი.

გაჩუმებული ვუსმენდით. მხოლოდ გიორგის ჩაეკიდა თავი და უხერხულად ქსუტუნებდა. კახამ ბოლომდე დალია, ნიკაპზე ჩამოკიდებული წვეთი ფართე ხელისგულით მოიწმინდა და უხმოდ დაჯდა. არავინ აპირებდა სიჩუმის დარღვევას. ბოლოს თამადამ ამოიხვნეშა და ხმისამოუღებლად დაცალა ჭიქა. გიორგიმ საერთოდ ვერ გაიგო სადღეგრძე-

ლო და „საყვარელი მშობლების ჯანმრთელობისა“ შესვა.

დავიღალე ჯდომისაგან. ძილი მერეოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაახსენდათ ადგომა. მაგრამ აღარ დაადგათ საშველი, გაუსკდათ საყვარულის გუდა, მათ ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანდა, მერე თამადამ დაიჭიმა, გინდა თუ არა „ბუბა, ბუბა, ქაქუჩელა“ ვიმღეროთო. თვითონ დაიწყო, სხვები აყვნენ და სიჩუმეში მართლა კარგად გამოუვიდათ.

მინდოდა სწორად გამეგლო, მაგრამ ღვინო ნაავდმყოფარივით მეფარფატებდა. „მთვრალი კაცი, კაი კაცი“.

და მივდიოდი... ბორძიკით მივაბიჯებდი. თოვლი მოეყინა და ფეხქვეშ ხრიალებდა. გზა თითქმის არ ჩანდა. სიმღერა წამოვიწყე, ხმას ავუწიე, მერე ისევ ღიღინზე გადავედი. ეუყურებდი გაუკვალავ თოვლს და უცნაური შრიალი მოსვენებას არ მაძლევდა. წამოვკრავდი თოვლს ფეხს და ჩემივე ფეხის ხმა მოჩვენებასავით მომდევდა. სიბნელე კვამლივით მწვავდა თვალებს. მინდოდა თოვლისა და სიბნელის გარდა რამე დამენახა. არ ვიღებდი ხმას, ვიდექი ოდნავ პირდაღებული, ნაბუღზე შემართული ძაღლივით დაჭიმული...

ისევ განვაგრძე გზა. მაინც მომეჩვენა, თითქოს კვალში ვიდაცა მომყვებოდა. უსიამოდ გამაჟრიალა. გავჩუმდი, სუფთქვა შევიკავე, სმენად გადავიქეცი და უცბად მოვტრიალდი... ფეხებთან თოვლიანი გზა გაწოლილიყო.

გამეღიმა. მერე ხმამაღლა გავიცინე და ნაბიჯს აეუჩქარე. დაძენძილი ღრუბელი ვაწყდა. მოვარემ ნავთგამოლეული ჭრაქივით დაიწყო ბჟუტვა. ჰაერზე გამოსვლის მერე უფრო მომეკიდა ღვინო. მინდოდა სწორად გამეგლო, მაგრამ ღვინოს თავიანი გაჰქონდა და გაჭიმულ ბაგირზე გამავალი ჯამბაზივით ვიქნევდი ხელებს. ნელი ნაბიჯით მიეყვებოდი ძვალივით გამაგრებულ თოვლს. აღარ მეშინოდა.

ფრთხილად მივდიოდი, თითქოს თოვლიანი ღამის სიჩუმე მინდოდა გამეგონა, მეგრძნო სიჩუმის ძახილი.

გულგატეხილობა და სიმარტოვე ვიგრძენი. ახლა კიდევ უფრო შემეცოდა ბებია „ხმის გამცემი მინდა, ბიჭო, თუ არა...“

ზოგჯერ უკვე გაფრენილი მეჩვენებოდა ცხოვრება. წამით სულ ერთი ხდებოდა ჩემთვის — ვიცოცხლებდი თუ არა. მეჩვენებოდა, ცხოვრება რაიმე შეჯიბრივით რამოდენიმე ცდაა, და მეორე, ან მესამე ცდაზე, ან რომელიღაცაზე მაინც გამიმარჯლებდა. ზოგჯერ წარმოვიდგენდი, რომ არავისთვის, სრულიად აღარავისთვის საჭირო არ ვიყავი და ერთი ბეწო რამეზე ისე გამიტყდებოდა გული, მომინდებოდა ხმამაღლა, ბავშვივით მეტირა, როგორც ბავშვობისას... მერე მეცინებოდა და მრცხვენოდა. ზოგჯერ ვული მომიბრუნდებოდა და მინდოდა ყველასთან კარგი ვყოფილიყავი... მერე აღარავინ მინდოდა, არ მაინტერესებდა, მხოლოდ მინდოდა მეფიქრა და სხვა არაფერი... მეჩვენებოდა, თითქოს მართლა შემეძლო რაღაც კარგის გაკეთება და სიხარულისაგან სასიამოვნოდ მაჟრიალებდა ტანში.

მაინც გამახსენდა ის, ვის დავიწყებასაც ამდენი ხნის განმავლობაში ასე გულმოდგინედ, მაგრამ უშედეგოდ ვცდილობდი. ვგრძნობდი, ვიცოდი, რომ დიდი წერტილი უნდა დამესვა, მაგრამ უსაშველოდ ძნელი იყო იმ ლამაზი დღის დავიწყება.

•

უმწეოდ მივლასლასებდი. მხოლოდ ახლა, მთვარით განთებულ თოვლიან ღამეში ვგრძნობდი, რა ძნელი იყო მარტო დარჩენა. მივდიოდი გაყინულ გზაზე ყველასაგან მივიწყებული და რაღაცით მაინც ვიყავი ბედნიერი.

სოველი წამწამები უამრავ ციცინათლებად ელავდნენ თვალწინ. აღარ მახსოვდა, რომ ზამთარი იყო, რომ ციოდა, რომ ვიღაც მიყვარდა უნუგეშოდ...

ᲔᲐᲨᲜᲘᲫᲘ

ჩუმი შრიალი თანდათან ძლიერდებოდა. ყურებში ნაცნობ, მაგრამ შორეულ ხმად ჩამესმოდა. სხეული ჭინების სურვილისაგან ათრთოლებული ცხენივით მიძაგძაგებდა...

მორბოდა ჩემს შესახვევრად გზა და თეთრი, მთვარით ოდნავ განათებული თოვლი. ჩრდილი უხერხული ბორძიკით მომდევდა.

მთელი ძალით დავეხეთქე, ცოტა ხანს სუნთქვაშეგუბებული ვიწექი, მერე გამეტებით მოვუჭირე ხელი თოვლს და...

სოფელს ეძინა

პირველ დღეებში აუტანლად ვიტანჯებოდი. ზოგჯერ ისე ახლოს იყო ჩემთან — მინდოდა დავლაპარაკებოდი, თითქოს თმის სუნსაც ვგრძნობდი, მისი ცხელი სუნთქვაც მესმოდა... ველოდი ნაცნობი და საყვარელი ხმის გაგონებას, ველოდი კაკუნს კარზე, ოდნავ ფრთხილს, გაუბედავს, რომელსაც ყოველთვის შეუცდომლად ვცნობდი...

წამოვდექი. თითქოს მომეშვა გულზე, აღარ მიმძიმდა იმის გაფიქრება, რომ ვიღაც მიყვარდა უნუგეშოდ. რომ ჩემთვის ჯერ კიდევ ძვირფასი ადამიანი შეიძლება სხვასაც კოცნიდა. — კოცნის გაფიქრებამ მაინც შემაკრთო. წარმოუდგენლად მეჩვენა, რომ მას სხვისთვისაც შეეძლო ეკოცნა, რომ მისი თმის სუნი სხვისთვისაც ყოფილიყო სასიამოვნო, უფრო მეტიც — საყვარელი.

ნელა ამოიფარა მთვარე ღრუბელს. სიბნელე ბებერი ძაღლივით მიწვა ღობის ძირას. სოფელს ეძინა, მხოლოდ მოჩვენებებით დაფეთებული ძაღლები ყეფდნენ გაშმაგებით. ახლა გაუკვალავ თოვლში მივაბიჯებდი. ყინავდა. თოვლი მაინც ტყდებოდა და სიარული ჭირდა. ორღობეში ციცინათელასავით მილიცლიცებდა ჭრაქის მბჟუტავი ალი, რომელიღაც დაგვიანებული მგზავრი შინისკენ მიიჩქაროდა. თოვლი ისევ ხრიალებდა ფეხქვეშ. ზვინები მოჩვენებებივით მეფეთებოდნენ. გავჩერდი. თოვლი ჩამოვიბერტყე და სოველი თიბვა ხელში ნერვიულად მოვბღიჯე. სინედლის სუნი კიდევ შერჩენოდა...

დილიდან წვიმდა. არ ციოდა, მაგრამ მაინც მჭიდროდ ვისხდიდი. ნერვიული თრთოლვა მიტანდა, მისი თმის შეხებას რომ ვიგრძნობდი ლოყაზე. მეჩვენებოდა, რამდენიმე წელი ვიჯექით ასე და აღარასოდეს გამოიდარებდა. ხანდახან უაზროდ ვუყურებდით ერთმანეთს თვალებში და ჩემი გაუბედობა მაცოფებდა... თივა თბილი იყო. მთელი მკერდით ვისუნთქავდი მძაფრ, ოდნავ მოტკბო სუნს. რაღაც მაწუხებდა გამოუცნობი, დაუნახავი, გაუგონარი — სურვილი მთვრალი კაციკით დაბორიალებდა მთელ სხეულში...

მთვარე მთის კიდეს დაყრდნობოდა, მხოლოდ პატარა ბიძგი იყო საჭირო, რომ დაგორებულიყო და ხევში ყინულის ვეებერთელა ბურთივით ჩამსხვრეულიყო.

თოვლიც თეთრი იყო.

„იცი რატომ მიყვარს უფრო ყაყაჩო?.. ან შემოდგომის ტყეს რა სჯობია?! მშრალი მიწის სუნი რო თავს აგატკივებს... კი არ მეშინია, ბიჭო, ხმის გამცემი მინდა ვიწმე... დამწყვარი ლობიო უნდა მაჭამო, ბიჭო?...“

გარკვევით ვხედავდი უშველებელ, ყაყაჩოებით სავსე ველს... კახას ჭიქანი მარჯვენა უკანკალებდა, მხნედ ლაპარაკობდა, ხმადაბლა, აღელვებული. მერე დალია და ნიკაპზე ჩამოკიდებული ღვინის წვეთი ფართო ხელისგულით მოიმშრალა... ბებია პირს იბანდა, თმას ისწორებდა, იმშრალებდა ხელებს და ვეებერთელა ჭადს და ყველის პატარა ნატეხს მიწვდიდა...

აღარაფერზე მინდოდა მეფიქრა, მაინც მაკონდებოდა, რა გულმოდგი-

ნედ ვუცდიდი რაღაცას, როგორ მჯერიოდა სასწაულის.

ოთახში სინათლე ენთო. ფანჯრიდან შევიხედე. საწოლი ცარიელი იყო. ეჭვმა გამკრა და კარი შევაღე... ჩამქრალ, გამონელებულ ბუხართან მიცუცქული მოხუცი კედელს მხრით მიყრდნობოდა და თვალები დაეხუჭა. დავიბენი, ვერ მოვისაზრე, რა გამეკეთებინა. მერე ხელი ვტაცე მოხუცს და ლოგინში ჩავაწვინე, საბანი კარგად ამოვუტნე გვერდებში, ზემოდან კიდეე დავახურე მეორე და ბუხარს ვეცი.

უცბად ავარდნილი ალი ოთახის კედლებს ეტაკა და აცეკცდა. ჯაჭვზე წყალი ჩამოვკიდე და გარეთ გავვარდი. დაბნეული, ოდნავ შეშინებული ვაკეთებდი ყველაფერს.

— თამარა!..

არავინ გამომეპასუხა. ისევ შევბრუნდი ოთახში, ცოტა ხანს ვიბოდიალე და მერე თოვლიან გზას სირბილით გავყევი. გაყინულ თოვლს ქლოშინით მივარღვევდი. ძაღლი ყეფით გამოქანდა, დავუძახე და წკმუტუნით ამეტატა.

— თამარა!..

გზადაგზა ყველაფერს მოვუყევი. თამარი ჩუმად ტიროდა და ძლივს მეწყოდა. ბებია ბოდავდა. ვიღაცას უძახდა, ხელებს ჭერისაკენ იშვერდა და გაურკვევლად ჩიფრიფებდა. უხმოდ ვტიროდი. თამარი დაბნეული დადიოდა ოთახში, არც იმან იცოდა, რა გაეკეთებინა. მერე არაყი მომატანინა და მაგრა დაუზილა სხეული მოხუცს. თავზე ქვილი შალი შემოახვია და საწოლზე ჩამოუჯდა. არ იჩერებდა მოხუცი ტანზე საბნებს და თამარი ყოველწუთს უსწორებდა.

— დიდედა, მომიხედე, მე ვარ, თამარი, ვერ მიცანი?

მოხუცი წუთით წყნარდებოდა, უაზროდ შეხედავდა თამარს და მერე ისევ უძახდა ვიღაცას.

— სიცხე აქვს?

— მე მგონი...

ბუხარში სოველი შეშა შიშინებდა და ტკაცანებდა.

— წერაა ყველაფერი, წერა. რომ ყოფილიყავი სახლში, ხომ არ მოუვიდოდა ეს. მარა, ხომ გეუბნები, წერაა ყველაფერი, — თამარმა თავი გააქნია და შემომხედა, — გაციება ეჭირვებოდა ამ საწყალს?

— ფეხები რომ ჩავუწყოთ ცხელ წყალში? — თამარის მივაჩერდი, თითქოს მას, მხოლოდ მას შეეძლო ეშველა ჩემთვის და მოხუცისათვის.

— არ ვიცი, უარესი რო უქნას.

მოხუცი თითქოს დაწყნარდა. აღარ იწვდიდა ხელებს ჭერისაკენ. ავდექი, ფეხებთან საბანი გავუსწორე, მინდოდა რაღაც მეთქვა, ენა არ მომიბრუნდა, მერე რაღაც მომაწვა ყელში და ისევ დავჯექი. ბუხარი გუგუნებდა. თამარს ეძინებოდა. დამთქნარებდა, აიფარებდა პირზე ხელს, მერე ცრემლებს იწმენდდა და გულმოსული ამბობდა, ღმერთო, დაღუპე ამ მთქნარების მომგონი.

თამარი წამოდგა. მეც ავყევი.

— ახლა წავალ, თუ ცუდად გახდეს, რა დროც არ უნდა იყოს, დამიძახე, არ მომერიდო!

მეწყინა, მეტი რა ცუდად უნდა გამხდარიყო. უხმოდ დავუქნიე თავი და გარეთ გავყევი.

—არ მინდა გაცილება, მიხედე ბებიაშენს.

აღარაფერი მითქვამს, დავემშვიდობე და ოთახში შევბრუნდი.

კარგა ხანს ვიჯექი ბუხართან, ვუყურებდი ცეცხლს და ბებია დამავიწყდა კიდეც. ოთახში თბილოდა. დამძიმებული ქუთუთოები რბილი, სასიამოვნო ხილვებისკენ ექაჩებოდა მთელ სხეულს.

სურათიდან მზემოკიდებული, ყურებამდე პირგახეული ვიღაც მიცინოდა. ვიღაც, იმიტომ, რომ ამ საოცრად გამხდარ კნაჭა ბიჭს, რომელიც დაუქანცავად დარბოდა სოფლის მტვრიან ორღობეებში, არაფერი ჰქონდა საერთო ჩემთან...

მაშინ პატარა ვიყავი. ხელში ანწლის

ტოტები მეჭირა და მთელი დღე პეპლებს დავდევდი. ვხოცავდი უმოწყალოდ და ჩემი ბავშვური ბუნება საოცარ კმაყოფილებას განიცდიდა. ესეც ვიღაცისაგან მქონდა ნასწავლი, როგორც ყველაფერი — ცუდიც და კარგიც. მაშინ არ მქონდა ამდენი გაგების უნარი, მაგრამ ახლა, როცა გაზაფხულზე მოფარფატე პეპელას დავინახავ, ანწლის უსიამოვნო სუნი მეცემა ხოლმე ცხვირში.

ზოგჯერ ძალიან გარკვევით ვხედავ ჭასთან სოველ მიწაზე ანწლის მძიმე ფოთლებით დახოცილ ლამაზ, ლამაზ პეპლებს...

მოხუცის საწოლისკენ გავაპარე თვალი. ბებია გაუნძრევლად იწვა, აღარ ასავსავებდა ხელებს, აღარ უხმობდა სულებს.

ძილი მთელ სხეულზე მოცოცავდა...

დაფეთებული წამოვვარდი. კედელს ავეკარი და უცნაურად ამიძაგძაგდა მთელი სხეული. ბუხარი გამონელებულიყო. მოხუცის ღია თვალებიდან სიცივე იღვრებოდა ოთახში. მონუსხულივით ვერ ვაშორებდი თვალს და ისევ მაჟრჟოლებდა. მერე, როგორც იქნა, გარეთ გავედი და მთელი ხმით, ბოღმიანად, საკუთარ თავზე უზომოდ გაბრაზებული ავბღავლდი:

— თამარა!..

ვერხვის იქით სასაფლაოა

დილით ყველამ იცოდა სოფელში მოხუცის სიკვდილი. მძიმე ნაბიჯით მოდიოდნენ მამაკაცები, ხმადაბლა საუბრობდნენ, თავს იქნევდნენ, ეზოში შემოსვლისას ქუდს იხდიდნენ, უხმო ხელებით ისწორებდნენ შეთხელებულ თმას და მამაშვილურად მკოცნიდნენ ლოყაზე... ქალები მუხლებზე ხელს იტყაპუნებდნენ, ღმერთო, ეს რა დაემართა ამ ქალს, რავა საწყლად მოკვდა, პუტუნებდნენ და ხელს მართმევდნენ, მანუგეშებდნენ, რა ვქნათ, ყველა სიკვდილის შვილები ვართო.

მდუმარედ ვიდექი ოთახის კართან და მიცვალებულისკენ მიხედვა მეძნელებოდა.

მზე არ ჩანდა, არც თოვას აპირებდა.

ღობესთან პატარა ბავშვები იდგნენ, ვერა ბედავდნენ ეზოში შემოსვლას. ღობეს ამოფარებულნი ხმისამოუღებლად იმყოფებოდნენ. უკვირდათ ამდენი ხალხის თავმოყრა და არაფრით ჯეროდათ, რომ ვიღაც მოკვდა. რომ ეს ადამიანი ვეღარ შეძლებდა ფეხზე გაღვსა, წყლის დალევას... შიში, ინსტინქტური შიში ამუნჯებდა ამ პატარა ადამიანებს, რომლებსაც ჯერ არც სიძულვილისა და არც სიყვარულის, არც სიცოცხლისა და არც სიკვდილის არა გაეგებოდათ რა და უცნაური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ თოვლით დაფარულ ეზოს.

ვერხვი კიდევ უფრო გაეთეთრებინა თოვლს. ვერხვის იქით სასაფლაო მოჩანდა. ვიღაცამ ხელი ჩამომართვა და ოთახში შევიდა...

პატარაობისას ძალიან მეშინოდა სასაფლაოსკენ გახედვისაც კი. იმდენს მიყვებოდა ბებია ამ სულებზე, კუდიანებზე, საოცარ ურჩხულებზე, უნებური შიში ღრმად გამჯდომოდა სულში. მფრთხალი არ ვიყავი, მაგრამ სასაფლაოს მაინც ვვერდს ვუვლიდი.

ოთახი სავსე იყო. მამაკაცები კედელთან ატუზულიყვნენ. შავკაბიანი ქალები სკამებზე ისხდნენ. საუბრობდნენ, ყურს უგდებდნენ ერთმანეთს, მხოლოდ ერთი მოსთქვამდა ისევ.

შუადღისას ლადიკო მოვიდა. მისამძიმრებისას ხელი ისე მძლავრად მომი-

ჭირა, კინაღამ დავიკვნესე, მჭედელი იყო და მოზომვა არ იცოდა. თავის დღე და მოსწრება რკინებს ეჭიდავებოდა და არც გაემტყუნება! ეტყობა, მართლა ცალან დაწყდა გული — ცოტა ხანს ბავშვივით ზლუქუნებდა, ცრემლებს შავი, ბალნიანი თითებით იწმენდდა და რაღაცას გაურკვეველად ბურდღუნებდა. მერე ხელი მომკიდა და განზე გამიყვანა.

— რას შვები, არ ატყობინებ თქვენებს?

— რეზო წავიდა დაბაში, დეპეშას გააგზავნის.

— კავშირი რომ არაა?

— რა მოუვიდა?

— დაწყვეტილი ყოფილა მავთულები.

— აბა რა ვქნა?

— ქუთაისში რომ ჩავიდე? — ცოტა ხნის ფიქრის მერე მკითხა ლადიკომ და ისე შეემზადა, თითქოს ამ წუთას აპირებდა წასვლას.

— რა აზრი აქვს, ქუთაისში რომ ჩამოვიდნენ, მერე რითი მოგყავს, გზები დამეწყვრილია, ხომ უყურებ, რა დასაქცევი ამინდია.

ეზოში ქალები დაცუხცუხებდნენ.

საღამოსკენ მოიღრუბლა და წამოთოვა.

— ამ უბედურს არაფერში ჰქონია ბედი.

— აბა, ამ ზამთარს რომ გაეწია, კაი ხანს იცოცხლებდა კიდო.

— ეჰ, გაჩერდი, შენი ჭირიმე, წერაა ყველაფერი, წერა!

დილით ისევ ციოდა. სასაფლაოზე ჯიბილო და ჟორა გავგზავნეთ. ერთ კაცს გაუჭირდებოდა საფლავის გათხრა. ძნელი იყო ამ სიმაღლე თოვლისა და გაყინული მიწის გაჭრა. სასაფლაომდე დიდი გზა იყო და კარგა ხანს მოჩანდნენ მხარზე ბარგგადებული ჟორა და ჯიბილო.

ციოდა.

ბეჟოლის ტოტზე ფეხებით ჩამოკიდებულ ცხვარს ატყავებდნენ. სამფეხზე უშველებელი მშვარტლიანი ქვაბი იდგა და ორთქლი ასდიოდა. ყველა რაღაცას ეკითხებოდა ლადიკოს. დარბოდა აქეთ-იქით გასავათებული, ხან შუშას ჩეხავდა, ხან ხორცის აქნაში ეხმარებოდა მზარეულს. უთავბოლოდ დავბორიალობდი. ყველას ხელს ვუშლიდი. ბოლოს ისევ ოთახის კართან შევჩერდი.

ადარ თოვდა.

ნაშუადღევს სასაფლაოზე ყვირილი ატყდა. პირველად არ მივაქციეთ ყურადღება. მერე კიდევ უფრო აყვირდნენ. ლადიკომ საჩქაროდ მოიძრო წინსაფარი და ბანდალით გავარდა.

ღობის ძირას ცხვრის შიგნეული ეყარა. ძაღლები სულმოუთქმელად თქვლეფდნენ და ერთმანეთს ეკრენდნენ.

ხალხი მოდიოდა და მოდიოდა.

ისევ წამოვიდა ციდან ფერფლივით მსუბუქი და მშრალი ფიფქები.

სასაფლაოზე ისევ ყვიროდნენ.

ლადიკო ბორძიკით გარბოდა.

„დიდი ჭადი მოკბიჩე და პატარა ყველი, გაიგე?“ — მარიგებდა ბებია და კარგა მოზრდილ, გაციებულ ჭადსა და ერთი ბეწო ყველს მაჩეჩებდა ხელში. ყველი ძალიან მიყვარდა და უცბად შემომეკბიბოდა. ძაღლი კუდისქიცინით ტრიალებდა ჩემს გარშემო. წავატეხავდი და ძაღლს ავუგდებდი. კარგად მყავდა გავარჯიშებული, მიწაზე დაცემას არ აცლიდა, პირდაპირ ჰაერში იჭერდა ლუკმას. ზოგჯერ ვატყუებდი და ძაღლი სასაცილოდ აყოლებდა ხოლმე თავს ჩემი ხელის მოძრაობას. ხმამაღლა ვიცინოდი, ძაღლი არ მაქცევდა ყურადღებას, მხოლოდ ჭადიან ხელს უყურებდა ყურებდაცქვეტილი. ჩემს მტერს, ბებია თუ დამინახავდა! აი, შენ კი მოუკვდი შენ პატრონს, სადაა მაგის საჭმელი ჭადიო, მომაწყვეტილიდ და თხილის წკნელს წამოუსვამდა ხელს. კისრისტეხით გავრბოდი ორღობეში. ჩემზე მეტად დაფეთებული ძაღლი ძუნძულით მომდევდა გვერდით. მერე დიდხანს მეცინებოდა უმიზეზოდ... ა, ცუგა,

კინალამ სახრე არ გვითავაზეს, ძმაკაცივით ველაპარაკებოდი, თავზე ხელს ვუსვამდი. ძაღლი მიყურებდა, თითქოს რამე ესმისო და მშრალ ხელისგულებს მილოკავდა...

თოვდა.

ყველა ხედავდა, რომ თოვდა და ყურადღებას არავინ აქცევდა. თოვლს მთელი ზამთარი უყურებდნენ და ყელში ჰქონდა ამოსული. მხოლოდ ერთი მოხუცი, უძრავად გაშოტილი მოხუცი ველარაფერს ხედავდა, ვერ გრძნობდა სიცივეს, მთელი ზამთრის განმავლობაში რომ აწუხებდა...

ჩემს წინ სახეები იცვლებოდნენ, მხოლოდ ტანსაცმელი ეცვა ამ ხალხს ერთი ფერისა... თოვლი კი თეთრი იყო, გასაოცრად თეთრი და მეცოდებოდა ბებია, რომელსაც აღარ შეეძლო დაენახა თოვლი, თეთრი თოვლი.

მხარზე ვიღაც შემეხო.

— რა აყვირებდათ? — ვკითხე ლადიკოს უგულოდ.

— დილას რომ დოქი გავატანე, დაუცლიათ, დამთვრალან, ჩაუგდია ჯიბილოს ჟორა ამოთხრილ საფლავში, ცოცხლად უნდა დაგმარხოო. რა ჭკუა უნდა მოკითხო?! ამხელა კაცები არიან და არ იციან, როდის და სად იმასხრონ.

საშინლად მეტკინა გული. ლადიკო ისევ ლაპარაკობდა. ბოლმა ხმელ ლუკმასავით მაწვებოდა ყელში.

ღობესთან რამდენიმე კაცი იდგა, საუბრობდნენ და გულიანად იცინოდნენ.

ქალები ცეცხლთან ფუსფუსებდნენ და იცინოდნენ.

თოვას მოუმატა. ახლა გულიანად ბარდნიდა.

გაზაფხულია ბიჭო, გაზაფხული

წუხელ დიდხანს ელავდა და გრუხუნებდა. უნებურად პირს ვარიდებდი ელვას. მერე წვიმა წამოვიდა, მთელი ღამე წვიმდა, დილასაც წვიმდა გადაუღებლივ. საწვეთელში ერთი ამბავი ყოფილა ქონდა სახურავიდან დაცურებული წვეთებს. ხანდახან ქარი წამოუბერავდა და წვიმას უფრო უმატებდა. როცა ასე გულიანად წვიმდა, ბებია ყოველთვის უდგამდა ტაშტებს საწვეთელში. ძალიან უყვარდა წვიმის წყლით თავის დაბანა... ახლა აღარავის ჭირდებოდა წვიმის წყალი და არავინ იწუხებდა თავს.

იწვა ბებია ახლა და არ აშფოთებდა არც წვიმა, არც ელვა, რომლის დროსაც წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა და არც გაზაფხულის წვიმების შემდეგ დამძიმებული სოველი მიწა. იწვა და აღარ აწუხებდა მიწის სიცივე.

ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ ეს წელში მოხრილი მოხუცი, მკაცრი, მგრამ მეტისმეტად მოსიყვარულე, ვეღარასოდეს დაინახავდა გაზაფხულის სიმწვანესა და ყვავილების სილამაზეს, რომ აღარასოდეს შეაკრთობდა ელვა და ქუხილი.

არ ვჩქარობდი სოფლიდან წასვლას.

თოვლი დიდი ხანია დადნა. ტყის პირას მრავლად იყო ფურისულა, ხარისძირა, თიკნიყურა...

მერე ისევ წვიმდა მთელი კვირა. გაქღენთილი მიწა კიდევ უფრო დალბა. აქა-იქ შვინდიც აყვავდა •და ახოებში ყვითელი ყვავილების კორიანტელი დააყენა. ატმის დაბერილი კვირტები სიცოცხლის შეგრძნებისგან ათრთოლდნენ.

ყველაფერი მოძრაობდა. ყოველისშემძლე სიცოცხლე ძაგძაგებდა, ჟრიალებდა და ზმორებით იღვიძებდა.

მიწა რბილი იყო, მხოლოდ ზედაპირის შეშრობა მოესწრო მზეს. გაღმა ფერდობზე კიდევ იდო ჭუჭყიანი, გამხმარი პურის ყუასავით მაგარი თოვლი. ღობის იქით ნახნავები მოჩანდა. ჯე-

ჯილს უკვე წამოეყო თავი, მაგრამ ისევ ფუსფური იყო, შეგეცოდებოდა. მზე იკბინებოდა, გაზაფხულის მზე — ცხელი და მხურვალე. ჰაერი ძლივსგასაგონი ფრთხილი ხმაურით ივსებოდა.

— გამარჯობა!..

შევკრთი და ძლივს მოვახერხე სიტყვის ამოღება.

— რა მობუზული მოდიხარ, რა მოგივიდა? გაშალე მხრები, გაზაფხულია, ბიჭო, გაზაფხული!

გიორგი ხმამაღლა, სწრაფად, საოცრად აფორიაქებული, თითქოს ნერვიულადაც ლაპარაკობდა. ჩემი მარჯვენა ისევ თავის უხეშ, მიწისაგან გახეშეშებულ მუჭში ეკავა. ხელებსა და სახეზე მზე მოკიდებოდა, ჯანსაღი ფერი ედო, ტანსაცმელზე გამშრალი მიწისა და ბალახის სუნი ასდიოდა.

შორს გახუნებული, თითქოსდა აბოლებული ტყე მოჩანდა. მთელი მკერდით ვისუნთქავდი მიწისა და მზის ჯანსაღ სუნს.

ცა ლურჯი იყო, გაზაფხულის მოცახცახე ცა. ტყე ბოლავდა...

არ ვჩქარობდი სოფლიდან წასვლას.

სოფლის სასაფლაოს მწვანე ბალახმა გადაუარა, მხოლოდ ერთ საფლავს ჰქონდა ახალი მიწა მიყრილი.

წინათ უამრავი ყაყაჩო იცოდა აქ. შორიდან ვერაფრით მოიწამებდა კაცი, რომ ამ ადგილს სასაფლაო იყო.

წელს არც ერთი ყაყაჩო არ ამოსულა, მხოლოდ მწვანე ბალახი და უფერული ყვავილები ირხეოდნენ ქარიან ამინდში სოფლის სასაფლაოზე.

მეია სიმონიშვილი

თეთრი ცა

თბილისიდან საგარეჯომდე ერთი საათის სავალი გზაა მანქანით. მანქანაში ცხრანი ვართ, ძლივს ვეტევით. დათო სიმღერას იწყებს, დათოს ჯემალი ჰყვება, მერე ყველანი ვმღერით. სოფლის გზაზე ჩერდებიან და ღიმილით აყოლებენ თვალს მანქანას. მხოლოდ უჩა არ მღერის, თვლემს. თუმცა ეპატიება, ექიმია და ხშირად უწევს ღამის თევა. ახლაც პირდაპირ მორიგეობიდან მოდის. მთელი ღამე საოპერაციო მაგიდასთან გაატარა და დაიღალა.

წინა შაბათს გადავწყვიტეთ, ახალ წელს საგარეჯოში შევხვედროდით. სახლი ორსართულიანია. პირველ სართულზე სამზარეულო, მარანი და საბილიარდოა, მეორეზე — სასადილო, საწოლი ოთახი და ვერანდა. ამ სახლში გელასა და თამაზის წინაპრები ცხოვრობდნენ. ბაბუა ადრე გარდაეცვალათ, ბებია — შარშან. ზამთრობით აქ არავინ ცხოვრობს; ცივა. ადამიანის სითბოსა და სიახლოვეს ითხოვენ კედლები, უსიცოცხლო თვალით იყურება ბუხარი.

საღამამდე ყველაფერი უნდა მოვასწროთ. ბიჭებს შეშის დაპობა და ღუმელის დანთება ევალებათ. გოგონებმა წინასაფრები მოვძებნეთ და საქმეს შევუდექით. დიდ ქვაბში ბეჭი იხარშება, მომცროში — მხალი, ტაფაზე ხაჭაპური და ჭადი ცხვება, ღუმელში გოჭი და ქათმები იწვება. ბიჭებს ცალი თვალი სამზარეულოსკენ უჭირავთ. გემრიელი სუნი ნამზადავრსა და მშივრებს, კიდევ უფრო უღვიძებს ჭამის მადას.

უჩა და ჯემალი ბილიარდს თამაშო-

ბენ. დროგამოშვებით მთელ სახლში უჩას მხიარული როხროხი ისმის, ეს იმას ნიშნავს, რომ უჩამ მოიგო.

ომარი ცდილობს გელას როგორმე მაგიდის ჩოგბურთში მოუგოს, ვერ ახერხებს, მაგრამ ფარ-ხმალს მაინც არ ყრის. დათო გიტარაზე უკრავს, სადღაც, სივრცეში იყურება და ჩუმად მღერის:

ალარაფერი არ მაგონდება,
ოდეს შენთან ვარ, ოდეს შენ გიცქერ.

თამაზი მარანშია. ღვინოებს დეგუსტაციას უწევს და თავი ალბათ ისევ სამსახურში ჰგონია. საახალწლო სუფრას ხომ ყველაზე კარგი ღვინო შეეფერება.

სასადილო ოთახში ნანა გრძელ საახალწლო სუფრას აწყობს. სუფრის ირგვლივ ცამეტი სკამია. წითლად ღვივის თვალებგაბრწყინებული ბუხარი, თბილად იღიმებიან კედლები. ბუხრის წინ, იატაკზე, დიდი ძველებური ხალიჩა არის დაგებული, ხალიჩაზე ბალიშები ყრია. და აი, ახალი წელი ახლოვდება. წელი, რომელმაც ბევრი ახალი უნდა მოგვიტანოს, კიდევ უფრო დიდი ნაბიჯი გადაგვაგდებინოს ცხოვრებაში. წელი, რომელსაც მომავალი ჰქვია.

თორმეტი საათი სრულდება. ვერანდაზე გავდივართ, გელა ხელადით ღვინოს ასხამს ფიალებში. წუთით ყველა ჩუმდება. ყველა ელის რაღაცას, ელის იმას, რაზედაც ფიქრობს და ოცნებობს. ამ სიჩუმით ითხოვს თავის წილ ბედნიერებას, რომელიც ახალმა წელმა უნდა მოუტანოს. სიჩუმეს თოფის ხმა არღვევს, ექოსავით ეხმაურება მეორე, მესამე და მერე ახალ წელს ჩვენც სროლით ვხვდებით, ვლოცავთ ერთმანეთს, ვაკოცთ კეთილი სურვილებით, ვცლით ფიალებს, ჰაერს „მრავალჟამიერი“ ავობს, მას „შენ ხარ ვენახი“ ცვლის. სოფელი ღამშია გახვეული. ღამეა თბილი და მთვარიანი. შორს ელნათურები სანთლებივით კრთიან, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გუმბათივით დაგვმხობია და ისევ უზარმაზარ ტაძარში მგონია. მერე სკამები ხმაურობს, წკარუნობს დანა-ჩანგალი, იგსება ღვინით ბროლის ჭიქები და თამაზს თამადობას ვულოცავთ. ვსვამთ სამშობლოსა და მშობლების სადღეგრძელოს. გელა სიყვარულს ადღეგრძელებს. თითქოს სხვა ვერავინ იტყოდა რაიმეს უფრო ლამაზად სიყვარულზე. თითქოს მხოლოდ გელას უნდა ეთქვა ეს სადღეგრძელო. ყველანი ვიღუნთ სასმისს, ჭიქები უახლოვდება ერთმანეთს და ვადღეგრძელებთ იმას, ვინც:

გვიყვარდა...
გვიყვარს...
გვეყვარება...

მერე სუფრა თანდათან იშლება. თია და უჩა შაირობენ. ემზარი ბუხრის წინ სავარძელში მოკალთებულა. დათო და ჯემალი ხალიჩაზე სხედან, დათო გიტარაზე უკრავს და ჩუმად მღერიან.

ზურას ჩემს მხარზე აქვს თავი ჩამოდებული და უსმენს. გელა მაგიდასთან ზის, ხელში დაცლილ ჭიქას ატრიალებს, ალბათ იმ გოგონაზე ფიქრობს, ჩრდილოეთში რომ ელოდება. თამაზი დოდოს რაღაცას უხსნის. ნანა ომარს ეჩურჩულება. მერე ლილი პიანინოსთან ჯდება და უკრავს რაღაც ჰანგს. ძალიან ნელს. ვიღაცა ოთახში სინათლეს აქრობს და ბუხრის შუქზე ვცეკვავთ.

ზურა მაღალია, მკერდამდე ძლივს ვწვდები ვხუჭავ თვალებს, მკერდზე თავს ვადებ და ასე შემიძლია მთელი საღამო ვიცეკვო. თია და ომარი ერთად ცეკვავენ, ოთახში თიას თავშეუკავებელი სიცილი ისმის.

ზურა ხელს მკიდებს და სამზარეულოში ჩავდივართ. აქ დიდი ღუმელი ანთია; უფრო თბილა და ისევ ტრიალებს საჭმლის სუნი. პატარა სკამს ვპოულობ და ღუმელთან ვჯდები. ჩემს უკან ზის ზურა და ზურგით ვეყრდნობი. თმებზე მის ტუჩებს ვგრძნობ, მხრებზე მის ხელებს. ოთახში ალბათ ისევ ცეკვავენ. აქ მუსიკის ხმა არ ჩამოდის, სიჩუმეს ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი არღვევს. გვიანაა. მალე ალბათ გათენდება.

— რაღაცა მოხდა! — ვამბობ და ხმა

მებზარება, რადგან დავიწყე უკან დახევა აღარ შეიძლება. ძალას ვიკრებ და განვაგრძობ, — ჰო, მოხდა რაღაც და შენ შეიცვალე. თურმე მთელი კვირა თბილისში ყოფილხარ, მხოლოდ გუშინ მნახე. არ მოგენატრე მაინც? მე დღეებს თითებზე ვითვლი, როდის მოვა შაბათი, რომ გნახო, შენ კი... თხუთმეტი წუთიც ვერ გამონახე ჩემთვის. ადრე არ იყო ასე. ადრე სულ ჩემთან იყავი, ახლა სხვები მეუბნებიან შენს აქ ყოფნა-არ-ყოფნას. უნდა აღსდგეს ყველაფერი ან... — პასუხის მოლოდინში ვჩერდები. სიჩუმეა — ზურა — ვტრიალდები მისკენ. ზურას სკამის ზურგზე აქვს თავი ჩაჰოდებული და სძინავს. ოთახში მხოლოდ მისი სუნთქვა ისმის. მე კი მთელი ღამე ცეკვას ვაპირებდი მის მკერდზე თავმიდებული. ვუყურებ ზურას და თითქოს პირველად ვხედავ, იმდენად შორეული მეჩვენება ის. ღმერთო ჩემო, ნუთუ მიყვარს? ნუთუ ამ ადამიანზე ეფიქრობდი ამდენ ხანს? იქნება გვქონდა რაიმე საერთო და ვუგებდით ერთმანეთს? კი, მაგრამ რა მოხდა? და მერე თითქოს საიდანღაც მომესმა:

— რაღაც მოხდა!

— მაინც რა? — ვკითხულობ ხმამაღლა და ჩემივე ხმა მაშინებს.

—?! —

ყელში რაღაცა მაწვება და რაღაცის მეშინია. შიშის დასამსხვრევად ღუმელის კარებს ვაღებ, ცეცხლი ჩამქრალა და შიშთან ერთად საოცარ სიცივეს ვგრძნობ. ზურას სძინავს.

— ზურა... — ვყვირი და თვალები ცრემლებით მევსება. ზურა იღვიძებს და მე ზევით ასვლას ვფიქრობ.

ბიჭები ბუხრის წინ ხალიჩაზე სხედან და კამათობენ. ერთმანეთს საუბარს არ აცლიან, გოგონები საწოლ ოთახში ძილმორეული ხმით საუბრობენ. მალე ყველა იძინებს. სიჩუმეა, ოთახში თანაბარი, მშვიდი სუნთქვა ისმის. ჩემს გვერდით თიას თბილი სხეულია და მე აღარ მეშინია ამ სიჩუმის...

●

გზა არის ძალიან ვიწრო. ირგვლივ ბნელა და ისეთი სიჩუმეა, როგორც სასაფლაოზე. ვცდილობ ვიარო ფრთხილად, რომ არ დავეცე და ხელით ვეყრდნობი კედელს. ძალიან მიკვირს, რომ ამ გზაზე სახლებს არც კარი აქვს და არც ფანჯარა.

— რა გინდა აქ? — მეკითხება ვიღაც.

— ვინ კითხულობს? — მიხარია, ადამიანის ხმა რომ გავიგონე და ირგვლივ ვიხედები. არავინ სჩანს.

— რა გინდა აქ? — ისევ ჯიუტად მეკითხება ვიღაც.

— ვეძებ, — ვპასუხობ და ისევ ირგვლივ ვიხედები.

— რას ეძებ? — არ მეშვება უჩინარი.

— ბედნიერებას, — ვამბობ და გზას ვაგრძელებ.

უცებ ჩემს წინ სახლის კარი იღება და ვიღაცა მაწვდის ქისას. მე ვერ ვხედავ მის სახეს, ვხედავ მხოლოდ მის ხელს. „თურმე კარი ჰქონია აქ სახლებს“. — ვფიქრობ.

— რა არის? — ვკითხულობ და ვცდილობ ოთახში შევიხედო.

— ბედნიერება. ახლა კი წადი. — მპასუხობს და კარი სწრაფად იხურება. ვგრძნობ, ეს დედაჩემის ხმაა.

— დედა! — ვეძახი და ვცდილობ კარი გავაღო. ღმერთო ჩემო, რამდენი ხანია არ მინახავს, მენატრება, ძალიან მენატრება! ნუთუ მას არ. ვენატრები? ალბათ ვენატრები? რატომ არ მიდგებს კარს? იქნებ არ იცის, რომ მე ვარ? მაგრამ ქისა?..

— დედა, დედა! ეს მე ვარ, — ისევ ვეჭიდები კარს, მაგრამ ამაოდ, ირგვლივ ბნელა, ისეთი სიჩუმეა, როგორც სასაფლაოზე. უკანასკნელად ვეჭიდები კარს და წელმოწყვეტილივით ვბრუნდები უკან.

მერე თეთრი კაბა მაცვია და თეთრი გვირგვინი მადგას თავზე. ჩემს ირგვლივ ყველაფერი თეთრია. თეთრია ცა,

ხეები, ხახლები, ყვავილები, მიწა. არა, მიწა კი არა, თეთრი ღრუბლებია, ჩემკენ გამოწვდილია ათასი, ათი ათასი ხელი. მე მიჭირავს პატარა ქისა, იქიდან ბედნიერების ნატეხებს ვიღებ და ვურიგებ ყველას. ყველას, ვინც კი ბედნიერებას ითხოვს. ვეძებ ზურას, ისიც აქვეა. ვუახლოვდები მას, ვაწვდი ბედნიერებას, არ მართმევს, უარზეა. კიდევ უფრო ახლოს მივდივარ მასთან და ვთხოვ ინტეროს რამე, რომ შეეუსრულო, უარს ამბობს და მშორდება. ვთხოვ დაბრუნდეს. არ ესმის ჩემი ძახილი. ხელებს მისკენ ვიწვდი; ქისა, რომელშიც იყო ბედნიერება, ძირს მივარდება.

ნანას და თიას ჩურჩული მაღვიძებს. წასასვლელად ემზადებიან. ბიჭებს სძინავთ, ჯერ კიდევ ადრეა, ვცდილობ დავეძინო და ვერ ვიძინებ. თვალდახუჭული ვფიქრობ რადაცაზე და თვალის გახელა მიჭირს. მერე ნელ-ნელა ვფხიზლდები. ბიჭები უკვე ამდგარან. ზურა მთელი კვირა რაიონში მუშაობდა და ახლა თბილისში ეჩქარება.

— მოდიხარ? — მეკითხება და ვგრძნობ, ამას მისთვის უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა.

— არა, აქ მირჩევნია დარჩენა.

— ჰო, მე საქმე მაქვს და უნდა წავიდე, — მოძღვნა მიზეზი.

—ვიცი, — ვპასუხობ გულგრილად.

— შაბათს ვნახავ. — რა საჭიროა ამდენი სიყალბე? ნუთუ არ შეიძლება უამისოდ?

მე და გელა ბუხრის წინ ვზიგართ და ვსაუბრობთ. ბუხარი დაუზარებლად ყვება რაღაცას. გარეთ თოვს.

— კარგი იყო, — ვამბობ მე.

— კარგი იყო, — მეთანხმება გელა.

— კარგი იყო, — მხიარულად გუგუნებს ბუხარი.

ოთახში არეულობაა. მე და ლილი სუფრას ვალაგებთ. თამაზი ვვეხმარება. ომარი და უჩა ბილიარდს თამაშობენ, დროგამოშვებით უჩას მხიარული როხროხი ისმის, ეს იმას ნიშნავს, რომ უჩამ მოიგო. ჯემალი ცდილობს, გელას როგორმე მაგიდის ჩოგბურთში მოუგოს, ვერ ახერხებს, მაგრამ ფარხმალს მაინც არ ყრის.

საღამოს თბილისისკენ მოვემგზავრებით. ირგვლივ ისეთი სითეთრეა, როგორიც ტილოზე, რომელზედაც მხატვარს ჯერ არ დაუწყია ხატვა. ნეტავი პირველად რომელი ფერი გაჩნდა? ალბათ თეთრი. სამყაროო ალბათ ზამთარში გაჩნდა, მერე ცისფერი საღებავი მიემატა და ცა მოიხატა. მერე რუხი, მერე ალბათ — მწვანე, ან ვარდისფერი.

თეთრია ცა, მიწა მთები, ხეები, სახლები, გზა. მანქანა მიიწევს წინ და ითვლის თეთრ სოფლებს.

თოვს...

ბაღრი ჭოხონელიძე

დამალობანა

როდესაც ფანჯრიდან ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ, ორნაირი გრძნობა მეუფლება: ერთი სიხარულისა, რომ ამ ბავშვებში ჩემი კახაც ურევია. მეორე გრძნობა სევდა გახლავთ: ჩემი უფროსი ძმა მაგონდება.

ბავშვობაში, დილიდან საღამომდე რომ მეთამაშა, არ ვიღლებოდი. ერთ ხანს ბებია მეძახდა, ამი, ამოო. მერე ბებია დედით მაშინებდა, მოვიდა უკვე სამსახურიდანო.

დრო გავიდა...

ახლა დედაჩემი მეძახდა. მერე, თავისი რომ არ გადიოდა, მამით მაშინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავისიც არ მეშინოდა...

მაგრამ თქმა იმისა, კახა გეძახისო, საკმარისი იყო. გიჟივით ავრბოდი კიბეზე.

— ბევრი ითამაშე? — მეკითხებოდა კახა.

— ისე რა...

კახა ჩემზე სამი წლით უფროსი იყო. მოსიარულე არ მახსოვს, სულ იწვა ეს გაჩხინკული, გათეთრებული ბიჭი.

— გინდა, კახა, რამე? — ყოველ წუთს ხან დედა ეკითხებოდა, ხან მამა.

ბებია რომ ცოცხალი იყო, კახასთან იჯდა ხოლმე და ძველ ამბებს უყვებოდა.

— რეზო! — მეძახის დედა.

— რა იყო? — ავიხედე ჩვენი ფანჯრისკენ.

— ამოდი!

— ცოტაც, რა...

— კახამ, ამოვიდესო.

კიბეზე ავრბივარ... კახას საწოლს ვუახლოვდები.

— გაოფლიანებულხარ, — მიღიმის კახა.

— ვითამაშე და...

— ბევრნი იყავით?

— ისე, რა.

— მეთამაშე რამე.

— გინდა დამალობანა?

კახა თავს მიქნევს. მერე იღებს ფურცელსა და ფანქარს. რაღაცას წერს და ფურცელს კეცავს. დაიწყეო, თვალით მანიშნებს.

— წიგნების კარადის უკან, — ვიწყებ მარჩიელობას.

— არა, — ეღიმება კახას,

— რიიალის ქვეშ...

— ერთიც დაგრჩა, — მაფრთხილებს კახა.

— სასადილო მაგიდის ქვეშ.

— დაინახე, არაა? — ფითრდება კახა.

— არა, შენს თავს ვფიცავ...

— ტყუილზე მიფიცებ?.. არ გიყვარვარ ხომ? — კახას ხმა უკანკალებს.

ამ დროს ვიღაცამ ეზოდან დამიძახა. ფანჯრიდან გადავიხედე.

— ჩამო რა...

ეზოში ერთი ამბავი იყო. ბავშვები დარბოდნენ, ერთმანეთს წუწავდნენ და...

მერე კახას შევხედე.

ეშინოდა, ნამდვილად ეშინოდა, არ ჩავსულიყავი ეზოში.

— ვერ ჩამოვალ, — თავს ვაქნევ.

— კაი რა, ჩამო...

ფანჯარას ვხურავ და კახასთან მივდივარ.

— დაწერე თავიდან, კახა.

— დაინახე, არაა? ხომ გითხარი! — უხარია კახას და გამხდარი, ავადმყოფური ხელით ფურცელზე ასოები გამოჰყავს.

ასეთ დროს დედა მკოცნიდა.

●

დიდი დრო გავიდა ამ ამბის შემდეგ.

ახლაც ფანჯარასთან ვდგავარ და ეზოში მოთამაშე ბავშვებს ვუყურებ.

— რეზო, კახუნას დაუძახე, — მეუბნება ნანა.

— კახა, ამოდი!

— ცოტა ხანი, რა მამიკო! — ქვემოდან სასაცილოდ მეჯღანება კახა, — თამუნამ გაიღვიძა?

მეღიმება.

— უთხარი, ამოვიდეს, —აღარ ისვენებს ნანა.

— თავი დაანებე, ითამაშოს! — ხმას ვუწევ მე.

ჩემი პატარა თამუნა კი ოთახში დაბაჯბაჯებს და რაღაცას ჭყლოპინობს.

— ვის უყვირი? — გაბრაზებული მიყურებს ნანა.

— კაი რა... ვუბოდიშებ მე.

თამუნა კი დადის და ბუზღუნებს რაღაცაზე.

ბუზღუნებს დედამისიც:

— რა გაყვირებდა, რა?

მიდი და აუხსენი.

— თამუნა, მოდი მამიკოსთან, მოდი, ჩემი პატალა გოგო.. მოდი, შენი ჭირიმე..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი პოეტები

უილიამ უორდსუორთი (1770-1850) ეკუთვნის ინგლისური რომანტიზმის პირველ თაობას, ეგრეთწოდებულ, ტბის სკოლას, რომლის დამაარსებელიც თვითონ არის, რომანტიზმის შემდგომი პერიოდის წარმომადგენელია ჯონ კიტსი (1795-1821), შელისა და ბაირონის თანამედროვე, მარადიული გრძნობებისა და მშვენიერების მომფერალი. თომას ჰარდი (1840-1928) საბოლოთქმელი ინგლისელი მწერალი და ნობელის პრემიის ლაურეატია. აღსანიშნავია, რომ ლექსებს მხოლოდ ცხოვრების ბოლო წლებში მოჰკიდა ხელი. ეტყობა უორთსუორთის გავლენა. ახასიათებს პესიმიზმი. ოსკარ უაილდი (1856-1900) ინგლისური ესთეტიზმის მამამთავარია. ალეტსი (1865-1939) წარმოშობით ირლანდიელია, ინგლისური სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ნობელის პრემიის ლაურეატია. ჰაუსმანი, ოლდინგტონი და რიკეორდი უახლესი ინგლისური პოეზიის წარმომადგენლები არიან.

უილიამ უორდსუორთი

„მე ახლაც მხიბლავს"...

მე ახლაც მხიბლავს ეგ შნო და ეშხი,
მაგრამ შენ მაინც ნაწყენი რჩები,
რომ მე ოდესღაც, ძვირფასო, შენში
მხოლოდ ოცნება მიყვარდა ჩემი.
მაგრამ არ უნდა გამიგო ცუდად
და უნდა გწამდეს სიმართლე სოფლის, —
რომ ყველა ჩემებრ უსაქმურს მუდამ
ოცნებისათვის მცირედიც ყოფნის.
გსიამოვნებდეს, რომ ასე მკაცრად
შენ ერთგულება მასწავლე მაშინ,
რასაც ბუნება ნივთთა და კაცთა
ჰმორჩილებს ცაში, ხმელსა და წყალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის დროები

ოთხ დროს შეიცავს წელიწადი. კაცთა ბუნებაც
დასაბამითგან დროის ამა წესრიგს გულისხმობს:
წმინდა სიზმრებში სილამაზე დაუსრულებლად
როცა შემოდის — არის ჟამი გაზაფხულისა.
ხოლო ზაფხული მოვა, როგორც უცხო ალერსი,
ვით უცნაური ნეტარება ბავშვურ ფიქრებთან,
და ამ იდუმალ ზმანებაში უზენაესი
იგრძნობა ზეცა. მერე ისე როგორ იქნება,
შემოდგომით რომ არ შთავიდეს სული იმისი
მშვიდ მღვიმეებში, სადაც უქმად და უნებურად
იგი სჭვრეტს ნისლებს, და შეკრული რაღაც თილისმით,
ვეღარ განიცდის სილამაზეს საგანთ ბუნების.
ბოლოს ზამთარსაც თუ გაუძლო ცივსა და მრუმეს,
მაშინ ის თავის მოკვდაობას სცილდება თურმე.

ქ ი ლ ი

ო, ყველა ღამის საკმეველო და გაყუჩებავ!
მსასოებელი და მზრუნველი თითები შენი
ღამით ავსებულ თვალებს ფრთხილად დაგვისუჭავენ
და დავიწყებაც გვევლინება ბურანში შთენილთ.
ო, ტკბილო ძილო, თუკი შენი იქნება ნება,
ამ სტრიქონებსაც განარიდე ჩემი თვალები,
ან დამაცდიდე, ვიდრე შენი ქალური ენება
თეთრ სარეცელზე ქარიტივით მომეპარება.
მიხსენი, თორემ სასთუმალზე ხელახალ წყებად
იღვიძებს მთელი დღის ტკივილი და მწუხარება;
შენ განმარიდე სინიდისს და ყოველგვარ ცოდნას,
ღამით რომ ტვინში მეწვეთება პირქვე დამხობილს,
მაშორე ჭრაქი, ბინდი კიდევ დაუში ოდნავ
და მდუმარებით დამიბეჭდე სულის სამყოფი.

თომას ჰარდი

გზა რომისაკენ

გზა რომისაკენ
ლარივით სწორი,
როგორც გამყოფი ხაზი თმებს შორის,
ტრამალებს ჰყოფს და ფიქრების ამყოლთ

აწვალებთ რომის აწმყო და ნამყო,
ყველა მართალი და ყველა ჭორი.
და ზმანებებში ხედავენ შორით
ლეგიონერებს ჩაჩქნით და თორით.
მე კი ეს შარა
ფართო და სწორი
რომს ვერ მაგონებს... ბინდიდან თრთოლვით
ამოდის დედის სახება მყისვე
და ბავშვს ფეხდაფეხ მომყვება ისე,
ვით ერთ დროს განვლეთ გრძელი და შორი
გზა რომისაკენ.

ნოემბრის ღამე

მთლად შეიცვალა ამინდი მაშინ,
თითქოს მეძინა და არც მეძინა,
ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდათ ქარში,
ქარი მოთქვამდა, ვით მუეძინი.

აავსეს სახლი უცბათ ფოთლებმა
და მზისფერად თეთრი ლოგინი მორთეს,
ძილში მესმოდა ხეთა გოდება,
რომ მისტროდნენ დაკარგულ ფოთლებს.

ერთი ფოთოლი შემეხო მკლავზე,
მე კი მეგონა შენ შემოხვედი
და, ვით ყოველთვის, დადექი განზე
და ის სთქვი, რასაც ამბობ ყოველთვის.

ოსკარ უაილდი

სილუეტები

ზღვა დაიტვიფრა რუხი ზოლებით,
გადაიღალა ბორიო ღელვით
და მთვარე როგორც ფოთოლი ხმელი,
მიექანება ზღვის გაყოლებით.
როგორც ნაპირთან ზვირთების მიჯრა,
ნავიც ზვირთივით გდია სილაში,
პირზე ღიმი და ხელით სიმლაშე
ამოიტანა გემბანზე ბიჭმა.
ჭოტის კივილით ცა იკვეთება,
ბრგე მთიბავებმა იქვე მახლობლად
გადმოიარეს მწვანე მაღლობი,
როგორც ზეცაში სილუეტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალფრედ ედუარდ ჰაუსმანი

ჩემს სულში სიო...

ჩემს სულში სიო უცნაურ გზნებით
ებრძვის შორეულ ქვეყნის გრიგალებს:
რა არის ნეტავ ის ლურჯი მთები,
რა კოშკებია ნისლში მიმქრალი?

ეს-ქვეყანაა განცდილი შვების
მზეები იყო შიგ ნაბუდრები,
მე განვვლე მისი მაღალი გზები
და ახლა უკან ვეღარ ვბრუნდები.

ჩემი მეგობრები

გამოუთქმელი სევდა მაწუხებს,
როცა მათ წმინდა ხატებს ვეხები,
ვარდის ტუჩები ჰქონდათ ქალწულებს,
ვაჟებს მძლავრი და მარდი ფეხები.

წვანან ვაჟები მდინარის პირად,
ვერ გადმომხტარან, ჩანს, ფეხმარდები,
ხოლო ქალწულებს მინდორში სძინავთ,
სად უღმრთოდ ჭკნება თურმე ვარდები.

უილიამ ბეჯლერ იეიგსი

სევდა სიყვარულისა

საწვიმარ მილში ბედურების უბადლო ომმა,
პირსავსე მთვარემ, ვარსკვლავების უსიტყვო მესამ
და ფოთლების და ბალახების ნიადაგ კრთომამ
ჩაყლაპა, შთანთქა დედამიწის მარადი კვნესა.
და შენც გამოჩნდი ბაგეებზე სევდის ბეჭედით
და გაიღვიძა დედამიწის მდუღარე ცრემლმა,
და დაქანცული ხომალდების ძალვამ მეჩეჩში,
და მირიადი საუკუნის ჭმუნვამ და გვემამ.
და სახურავზე ბედურების ჩხუბი და წყრომა,
რძისფერი მთვარე და მოთეთრო ვარსკვლავთა მესა
და ფოთლების და ბალახების უწყვეტი კრთომა
შეაბარბაცა დედამიწის მარადმა კვნესამ.

რიჩარდ ოლდინგტონი

ა ლ ვ ი ს ხ ე

აქ რატომ დგახარ და ნიადაგ რატომ ცახცახებ,
მარტო, გზის პირად, აქაფებულ მდინარის თავზე?
გვერდს ჩაგივლიან მანქანები, ურმების რიგი
და გამტვერებენ შუადამემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფურგუნეებს ეგებები გამთენიისას
და მოსეირნე წყვილებს ხვდები შეღამებულზე.
მოსცილდი ფესვებს, წადგი ფეხი და გაიარე,
შენ ყველა მთაზე ლამაზი ხომ ხარ!
მე ვიცი, როგორ უყვარხარ ნიავს,
გკოცნის და გკოცნის, გიფრიალებს ზურმუხტის კაბას —
პერანგი გიჩანს ფიფქივით თეთრი.
ცა იძენძება შენს ფოთლებში, ვით ლურჯი წვიმა,
გეხვევა წვიმა და იღლიებში
გიყოფს წვრილ თითებს.
მე დამინახავს ვერცხლის მონეტა,
როგორ ჩაგიგდო მთვარემ უბეში,
როცა კულულებს ივარცხნიდი.
გეტმასნებოდა რძისფერი ნისლი
და კრძალვით მუხლზე გეხვეოდა.
მე ხომ შენ გიცნობ, ო, ალვის ხეო,
მე ათი წლისამ პირველად განახე.
ეჰ, ჭეშმარიტი სიყვარულის ალი რომ გწვავდეს
და რომ მცირედი ძალაც შეგწევდეს,
მიატოვებდი ამ უზრუნველ შეყვარებულებს,
დაეშვებოდი კირისფერ გზაზე
და გაჰყვებოდი უკან დაღლილ მეფურგუნეებს.
ულამაზესი არყებია
იმ მთების იქით.
ნუთუ სულ ასე უნდა იდგე და ცახცახებდე?

ეჯელ რიკეორლი

ინტიმურობა

როცა მე ვნახე დამარხული სიმდიდრე შენი,
შენი თმების ტყე, უსიერი მძინარე ტევრი,
მკრთალი ბაფთები, როგორც მწუხრზე ფოთლების ფრთონა,
მსუბუქად, ამოდ ირწეოდა თოვლისფერ მკერდზე.
და როცა წინდა ჩაიკარგა, ვით აფრა ზღვაში,
ვიხილე შავი ნიავი და ტერფებზე ალი,
და ატლასებში კიდურები მეგონა დები —
ზღვის ფერიები ჩაძირულნი საკუთარ თმებში.
მას შემდეგ თითქოს განვერიდე ყოველგვარ ტრაპეზს
და ღვინოს ისე ვუყურებდი, ვითარცა ჭის წყალს.
ქვაფენილები ცეცხლად იქცა, ბალახი ალად,
და ყველა ქალი დაემსგავსა დახატულ ყვავილთ,
ან ფერად მწერებს, ასე უხმოდ რომ ფარფატებენ
იმ ავადმყოფი ნარგავების ფოთლების ქსელში,
რომლებიც უქმად იზრდებიან თვალების მიღმა.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კალენდარი

შესრულდა 200 წელი დიდი რუსი იგავთმწერლის ივანე ანდრიას ძე კრილოვის დაბადებიდან. თითქმის ორი საუკუნეა, მისი ელვარე სიბრძნე სანთელივით ანთია და შუქი არ აკლდება. იგი ისევე ისე ამათრახებს შურსა და ბოროტებას; გაუმაძღრობასა და მლიქვნელობას, სიზარმაცესა და ლაჩრობას, უმეცრებასა და გულგრილობას, ძალმომრეობასა და სიბრიყვეს...

პოეტის შეუდარებელმა იგავებმა მის სიცოცხლეშივე გაიკვლიეს გზა მსოფლიოს ხალხთა გულებისაკენ. ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ეზიარა კრილოვის უმკაცრეს შემოქმედებას დიდი აკაკის ბრწყინვალე თარგმანების წყალობით.

მგელი და კრავი

ერთხელ პატარა ბეკეკას
დასცხა და წყალი მოსწყურდა,
მდინარის პირას მიადგა,
წყურვილის მოკვლა რომ ჰსურდა.

თურმე იმავ დროს მახლობლად,
საჭირ-ბოროტოდ კრავისა,
დაძუნძულებდა პირღია
მგელი, მსურველი ავისა.

უეცრად სუნი რამ ეცა,
რადგანც ჩიჩია უყვარდა,
გამოიგონა შარები
და საცოდავ კრავს მივარდა.

შემოუძახა: „შე, ბრიყვო!
აქ როგორა სვამ წყალსაო,
რომ აღარ დასდევ კანონებს
და აღარც სამართალსაო?

„ჩაგიდგამს წინა ფეხები,
შიგ ჰყოფ ტუჩს უწმინდურსაო,
წყალს მიმღვრევ, აღარად მაგდებ,
აღარც კი იბერტყ ყურსაო!“

— „რა ბრძანებაა, ბატონო,
რას მერჩით მე საწყალსაო?
თქვენ ზეითა ხართ — მე ქვეით,
როგორ აგიმღვრევთ წყალსაო?

— „მაშ, მე ვსტყუიო? გაჩუმდი!
ნუ წაგიგდია ენაო!
შარშანწინდელიც კი მახსოვს
შენგან ბრიყული წყენაო!“

— „ჯერ ერთის წლისაც არა ვარ,
შარშანწინ როგორ მნახეო?“
— „მაშ, ძმა ყოფილა ის შენი,
მიტომ მიგიგავს სახეო!“

— „არც ძმა მყავს, ჩემო ხელმწიფევ,
ტყვილა რადა მდებთ ბრალსაო?“
— „შენი მოგვარე ხომ იყო?
გადახდა უნდა ვალსაო!“

„მომწყინდა შენი ბღავილი,
ხმა ჩაიკმიდე ჩქარაო!
შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს,
მიზეზად ისიც კმარაო!“

უთხრა და ზურგზედ მოიდვა,
ტყეში წაიღო საწყალი.
დიდ კაცთან პატარა კაცსა
როდის გასვლია მართალი?

თარგმანი აკაკი წერეთლისა.



ერვინ შტრიბმაიერი

შულცენჰოფის კალენდარი

ერვინ შტრიტმატერი დემოკრატიული გერმანიის ერთ-ერთი ცნობილი მწერალია. მუშაობდა მეპურეად, კელნერად, პირუტყვის მომვლელად, შოფრად და ხელის მუშად. მეორე მსოფლიო ომის ბოლო წელს არმიიდან იდეზერტირა. ისევ მეპურეობა დაიწყო, თან გაზეთში თანამშრომლობს და პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. 1947 წელს ერთ-ერთი რაიონული გაზეთის რედაქტორია, 1959 წელს კი გერმანიის მწერალთა კავშირის პირველი მდივანი.

წერა ე. შტრიტმატერმა ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირში ყოფნის დროს, მეორე მსოფლიო ომამდე. მისი პირველი სერიოზული ნაწარმოები „ხარების მეხრე“ (1950 წ.) ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. იგი ავტორია რამდენიმე გახმიანებული რომანისა და პიესისა („ჯადოქარი“, „კაცგრაბენი“, „ოლე ბინკობი“), რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. მისი ნაწარმოებები უპირატესად ასახავენ სოციალისტური გარდაქმნებისას წარმოქმნილ პიროვნულ და საზოგადოებრივ კონფლიქტებს ომისშემდგომ გერმანიაში.

ე. შტრიტმატერს ორჯერ მიანიჭეს გდრ-ს ეროვნული პრემია, ერთხელ — ფონტანეს პრემია. ამავამად იგი არის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის სამპატიო თავმჯდომარის ანა ზეგერსის მოადგილე.

ე. შტრიტმატერმა ორჯერ მოინახულა საქართველო. მოხიბლული დარჩა ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობით, გულწრფელი გრძნობებით, უშუალობით. ყვარლიდან წაიღო რამდენიმე თუშური ქუდი, რომელსაც ძვირფას რელიკვიად ინახავს და საქართველოსადმი პატივისცემის ნიშნად ოჯახის საზეიმო დღეებში ხმარობს, ანდა მხოლოდ სპატივსაცემო სტუმარს ახურავს. ე. შრიტმატერს განზრახული აქვს კვლავ გვესტუმროს და წიგნი დაწეროს ჩვენს სამშობლოზე, თუმცა მის შინაარსს ჯერ არ ამჟღავნებს.

ქვემოთ დაბეჭდილი რამდენიმე პატარა მოთხრობა, როგორც მათ ავტორი უწოდებს, ამოღებულია მისი წიგნიდან „შულცენჰოფის კალენდარი“. ესენი უფრო ლირიკული ჩანახატებია, რომელიც ე. შტრიტმატერს ყოველდღიურად უკეთებია.

ეს ჩანახატები ზოგჯერ დაუბრუნებენან ბავშვობის შთაბეჭდილებებია, ზოგჯერ ფაქიზი ჰუმორით გამსჭვალული მოგონებები, ხანაც მთხიბელელი იდილიური სურათი ან სევდანარევი გახსენება წარსული ამბისა.

ორი ჩანახატი ამ წიგნიდან ჩვენს თანამემამულეებს ეძღვნება. ვფიქრობთ, ქართველი მეთხელისათვის უინტერესო არ იქნება მათი გაცნობა.

კალენდრის ვარსკვლავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲣᲓᲜᲐ ᲛᲐᲛᲐᲡ

როცა მინდერებსა და სოფელს ნისლი ჩამოსაწვეროდა ხოლმე, პაპაჩემი კალენდარში ჯვარს დასვამდა. „ესი დღის შემდეგ ნისლი წვიმას მოგვიტანს“, ამტკიცებდა იგი. დილის, საღამოს ან მთელი დღის ნისლს პაპა ამინდის გამოსაცნობად იყენებდა.

ზოგჯერ ჯვარდასმულ დღეს მართლაც წვიმა გამოვრეოდა, ზოგჯერ — არა. ასეთ დროს პაპაჩემი თავის მართლებას მოაკვეპოდა: „რაიონულ ქალაქს ქარიშხალმა გადაუარა, ანდა წვიმა იმიტომ ვერ მოვიდა, მთელი დედამიწა გადაგვალულიაო.

პაპაჩემის უნარი, — ისეთი ამინდი მოეცვანა როგორც თვითონ სურდა, — ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენდა და მოსაენებას არ მაძლევდა, სანამ წლების შემდეგ თვითონაც არ ვისწავლე ეს: მზიან დღეებს კალენდარში ვარსკვლავებით ვნიშნავდი. მზიანი დღეები მხიარული დღეებია. სიხარული კი, როგორც გამეგონა, სიხარულს ბადებს, მაშ მზიანი დღიდან ასი დღის შემდეგ რატომ არ უნდა მწვეოდა სიხარული?

ამიხდა კიდეც. აღმოჩნდა, რომ მემკვიდრეობით გადმომცემოდა ამინდის გამოცნობის პაპაჩემისეული ნიჭი. როცა ვარსკვლავით აღნიშნულ დღეს სიხარული არ მეწვეოდა, უმალ წარსულს გადავჩხრეკდი, ანდა მომავალს ჩაეუყურადღი თვალს.

ბოლოს ათპუნიგიან რვეულში ჩავინიშნე ის სიხარული, რაც ცხოვრებაში წილად ვიჩგუნე, და აი ახლა ამ წიგნშია თავმოყრილი, როგორც მოთხრობები ან მათი მსგავსი რამ.

პატარა ᲒᲘᲛᲔᲑᲘ

ჩემმა ვაჟიშვილმა მათვსმა ორი პატარა ხომალდი მისახსოვრა. ორივე სტანიოლის ქაღალდისაა და ერთი თვისებით გამოირჩევა: ვერავინ გაიგებს, რომ გემია. უფრო დაბეჭვული ქაღალდებია. მეც მათესისაგან რომ არ გამეგო, არ მეცოდინებოდა, რომ გემებია.

„რად გილაგია ეს მოოქროვილი ქაღალდის ნაგლეჯები წიგნის თაროზე?“ მეკითხებიან მე.

„დაე ელაგოს, ესენი ხომ გემებია!“

გემები თაროზე ანსამ დარჩება, სანამ მათესი გაიზრდება და მათ მაგიერ იქ სხვა რამეს შემოსდებს.

მახსენდება ჩემი პირველი ლექსი. ეს იყო ხაზებით მოფენილი ქაღალდის ნაგლეჯი და არავის სურდა იგი ლექსად მიეწნია.

პაპაᲩᲔᲛᲘᲡ სამᲧᲐᲠᲝ

პაპაჩემი ოთხმოცდაათი წლისა გახდა და არასოდეს არ მინახავს სასოწარკვეთილი ან ძალადაშრეტილი. სიკვდილის სარეცელზე იწვა, გვარიანად რომ გაჯოხა ერთი ყმაწვილი, რომელმაც დროზე აღრე მოინდომა მისგან საათის მემკვიდრეობად მიღება. საათი და კალენდარი ცხოვრებაში პაპაჩემის სანაკვიცეო ხელსაწყოები გახლდათ.

როცა პაპაფსულზე თავიანი სალათი წამოიზრდებოდა და ნიავი მის ფაქიზ მწვანე ფოთლებს გაეთამაშებოდა, პაპა იტყოდა: დრო წინ მიდის, სალათი უკვე ყურებს აქნევსო!

ცხოველებს მისთვის გასაგები ენა ჰქონდა და მათ ნათქვამს შემდეგ ჩვენ გვითარგმნიდა:

ბეღლის კარებთან მდგარმა ხვადმა კატამ სათიავეზე შემხტარ ძუკნას ასძახა: „კატერინა, ჩამო ჩემთან, ჩამო ჩემთან!“ ულაყმა ფამატს ახარა: „აპა, აი, მეც აქ ვარ, აქ!“

ხოლო წიწკანა წიწკინებდა: კარგა ვზივარ, კარგა ვზივარ!“

ყვავები ზამთარში ერთმანეთს აიმდგებენ: „პატარა ავალია, პატარა ძალია! ვაწმინდე, ვაწმინდე!“ ხოლო ზაფხულობით სასლის ფრონტონზე მერცხალი ჭიკჭიკებდა: „რა ვაკერო, რა ვაკერო? ძაფი არაა, ძაფი არაა!“.

მწვანე კოდალა, პაპაჩემის აზრით, გაზაფხულზე გაიძახოდა: „ქალო, ქალო, ქალო!“ შეშოდგომით კი: შრიკ, შრიკ, შრიკ!“

მტრედი ღუღუნებდა: „აკეცე კაბა, აკეცე კაბა!“ ხოლო არაფის კენწეროზე შემოსდგარი ყანნის ჩიტი გალობდა: „რა რიგ მიყვარხარ, რა რიგ მიყვარხარ!“.

ასე მგონია ზოგჯერ, პოეტი იყო-მეთქი პაპაჩემი, ოღონდ ეს კია, მკაცრმა ცხოვრებამ არ დააცალა აღეწერა თავის თვალით დანახული სამყარო.

მᲣᲨᲢᲠᲘᲡ ᲐᲦᲬᲠᲓᲐ

ბერლინელი მწერლები პირველად აწყობდნენ ამჟამად უკვე ტრადიციადქცეულ წიგნის ბაზრობას. მე ბრეკტი უნდა დამეყაბულებინა, რომ ბაზრობაში მონაწილეობა მიეღო. მევრი შთაგონება არ დამჭირვებია, ისიც შემოგვიერთდა.

მწერლები ჯგუფებად დაიყვნენ. ყოველ ჯგუფს

თითო სატვირთო ავტომანქანა გამოვიყვეს. ბრეტტს მძღოლის კაბინაში დაჯდომა შესთავაზეს. მან უარი გამოაცხადა, თუმცაღა კომფორტით მუზაფრობა უყვარდა, ახლა კი იმედად გვერდით ამხანაგის ყოლა უნდოდა. მარტყოფისას თავს ისე უსუსურად გრძნობდა, როგორც ბავშვი უცხოთა შორის.

შემოვიარეთ ის ადგილები, სადაც სახალხო სეირნობა იმართებოდა. გადმოვიღებდით წყნეთს და გასაყიდად სასელადსელო კიოსკს ვაწყობდით. ხალხი თვალებდაჭყეტილი შემოგვცქეროდა. ძნელი იყო მათი დარწმუნება, რომ საქანელებს შორის, არწანის ტყეებინნი წყნეთით ვაჭრობა მოდა იყო. ისმა, ვინც წყნეთს შეიძენდა, ჩვენი მოპატიჟე ზასახალისებელ ჯილდოდ წყნეთ მწერალთა ავტოგრაფებს ჰპირდებოდა.

ბოლოს სასეირნოდ გამოსულთაგან რამდენიმემ, უფრო თანაგრძნობის გამო, მიიპოვება გადაწყვეტა. ზოგს, რომლებიც ბრეტტს გაზეთში დაბეჭდილი სურათიდან იცნობდა, ეგონა გასაოცრთობი ოინი მოუგონიათ და ახლა სპეკულანტის ქუდსა და დასრესილ პალტოში გამოწყობილი ვიღაც კაცი, რომელსაც წყარიც სუფთად არ მოეპარსა, ბრეტტის მაგიერად სუფთ შეგეაკუთობინო. შემდგომ ავტოგრაფებიც უფრო ამ ამბის გასაგებად მოითხოვეს.

მე ბრეტტის გვერდით ვიდექი, რომ საეროიზისას დაგხმარებოდი. არაგინ მიეწიობდა, ახალგაზდ მწერალი ბალდღინი ან სულ ცოტა ხნის წინ გამოვეცი პირველი რომანი უსიიამოვნო სათაურით: „ხარების მეცრე". ბრეტტ კი სურდა, თავისი კოლეგა ჩვენი სახით ხალხისთვის გაეცნო და როცა ვინმე ავტოგრაფს სთხოვდა, იტყოდა ხოლმე: ნება მომეცით, ჯერ მე თვითონ ვიყიდო წყნეთი.

ხალხს, რასაკვირველია, აინტერესებდა, რა წყნეს ყიდულობდა ეს არც თუ მთლად ნამდვილი ბრეტტი და მის ბრეტტობაში უფრო მეტად ეჭვდებოდნენ, როცა იგი ხარების მეხრის წყნეს ყიდულობდა. ნაყიდ წყნეში წარწერა უნდა გამეკეთებინა და მეც ვუწერდი: „ჯ უ ლ ი ო ა ნ ი მ ა ლ ო ნ ბ ი ს ბ რ ძ ნ ო ბ ი თ „, მაგრამ ჩემს წყნეს მაინც არაგინ არ ყიდულობდა.

თუ გგონიათ, ბრეტტმა ფარ-ხმალი დაპყარა? სულაც არა! ჩვენ სხვა ადგილას გადავინაცვლეთ და ისევ გადმოვცალეთ წყნეები, ბრეტტი ისევ ყიდულობდა ჩემგან წყნეს, ხოლო მე კვლავ ვუკეთებდი წარწერას: „ჯ უ ლ ი ო ა ნ ი მ ა ლ ო ნ ბ ი ს ბ რ ძ ნ ო ბ ი თ", მაგრამ ჩემს წყნეს მუშტარი მაინც არ გამოუჩნდა. ბრეტტი გულს არ იტეხდა. მაისის ამ დღეს ჩემგან ექვსი თუ შვიდი წყნეი იყიდა. ამას იგი „ბუშტრის აღწერას" უწოდებდა და ამ საქმეს არანაკლები მონდომებით ეპარობდა, ვიდრე თავის თეატრში მაყურებელთა აღწერას.

ბოლოს ერთმანეთს ისე გავფიდნეთ, თვეზაობისას ხელმოცარულმა ბავშვებმა რომ იციან ხოლმე.

როცა ახლა სამაისო ბაზრობისას წყნეებზე წარწერებს ეაკეთებ, მახსენდება ბრეტტი და პირველი ბაზრობა. ეკრკვევით ასლაც არ ვიცი, თუ რამ მოიტანა შედეგი: ბრეტტის მიერ „ბუშტრის აღწერამ" თუ იმან, რომ იგი კარგა ხნის მანძილზე თავად მე მწერიდა.

სიტყვის ძალა

ყოველ წელიწადს პაპაჩემი კომპოსტში საუკეთესო ბოგრას თესავდა და საზაამთროდ კარგა მოზრდილ ყვითელ კვასებს იმარაგებდა. კომპოსტის ბოგრა მინდორში იყო. მინდერად ხანდახან პატიოსანი ხალხი დაიარებოდა, რომელიც, თუ ბიზეიოს დაკუჯერებთ, არ თესავდა, მაგრამ იმკიდა კი. ამის გამო, როგორც კი ბოგრა სიმწიფეში შესვლას იწყებდა, პაპა მინდორში ვადიიოდა ღამის სათვვალ. ნაკვეთის მიჯნაზე გაიმეღიდა თავის ლურჯ წინსაფარს, დაფვებოდა და ისეთ ხმრინვას ამოუშვებდა, რომ ქურდებს შორიდანვე აფრთხილებდა.

ერთი ხანობა საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ დიდედაჩემი მასზე კვლავ ეჭვიანობდა. არ უნდოდა ასეთი ქმარი, ღამით ბოშასავით რომ დახეტიალობდა ვარეთ.

— გაიეე, რომ ზამთარი კარზე მოვვდგომია, რეგმატიზმებიც ნუ დაგაგიწყდა. თუ კიდევ აგიტყდა, შენი დაზეკის თავი ადარ მაქვს. ბალიშზე რომ გორავ, ეურეიკი ხომ არა ხარ!

პაპამ წინსაფარს ხელი დაავლო და დიდედას ოთახისკენ გაეშართა, მაგრამ სანამ მინდორს მიაღწევდა, ჯაჯვა გაშალა და კვასებს კანზე ამოაჭრა: „ეოვპარე კუჯას". ქურდები კომპოსტის ბოგოას ეგერეს უელიდნენ და კვასებს ხელს არ ახლებდნენ. პაპაჩემის წარწერა მათზე ჯადოქრულად მოქმედებდა.

გეშონეკი და მე

ეშმაკმა იცის, რატომ ვერევინ ხალხს მე და გეშონეკი ერთმანეთში! ერთ ხანს ვიფიქრე, ალბათ ჩვენი წვერების გამო-მეთქი. მაგრამ როცა მან წვერი მოიპარსა, ნამდვილ გეშონეკად მაშინ ვიქეცი.

რამდენიც გინდა წიგნები ვწერო, ვწერო რომანები, ლექსები, მოთხრობები და პიესები, სულ ერთია, მაინც გეშონეკად ვრჩები. როგორც კი პატარა ქალაქის ქუჩაში გამოვჩნდები, ხალხი ჩერდება, ჩერდებიან

ველოსიპედები და ავტომანქანებიც. „ეს თქვენა ხართ, თუ არა?“.

მე მაშინვე ვპასუხობ, რომ ეს მე ვარ.

„ძალზე სასიამოვნოა, რომ თქვენი მობრძანებით ჩვენი ქალაქი გააბედნიერეთ!“

„მე ვნახე, რომ თქვენს ქალაქში კარგი კომბოსტოს მწნილი სცოდნიან“.

„თქვენ მშვენივრად შეასრულეთ პატერსპაგენის როლი“.

მე კი ვუშატებ: „ბრეჰტს „პუნტილაში“ მოჯამაგირე მაგის როლი ცუდი გამოვიდა? შტრიტმატერის „კაცცრაბენში“ ბობოლა გლეხის როლი როგორიაა?“.

ხალხი მხრებს იჩეჩავს: ეს უკვე დიდი ხნის ამბავია.

დედაქალაქის მტკროს სადგურებსა და რესტორნებში ავტოგრაფებს მოხოვენ. მეც სიამოვნებით და დაუნანებლად ვურიგებ: ერვინ გეშონეგს.

ამის თაობაზე გეშონეგს ვესაუბრე.

— რატომ სჩადიხარ ამას? — მკითხა მან.

— არ შემიძლია, ხალხს იმედი გავუტეხო, — მივუგე მე.

— მერე და ვის ხმაზეთის გაყალბებაა?

— სანახევროდ, მეც ხომ ერვინი მქვია.

— ბიტერფელდის ახლოს, ცორბიგში ერთი ღონისძიება ტარდებოდა — ხელოვნების მუშაკები მშობლელებს უნდა შეხვედროდნენ. ამ ღონისძიებაში მეც ვიღებდი მონაწილეობას. მეორე განყოფილებაში ცეკვები იყო გათვალისწინებული. გეშონეკი ბარის დახლთან იჯდა. სამწუხაროდ, მე არ ვიჯექი. ხან ვინ მაცეკვებდა, ხან ვინ. ვიღაც ქალბატონმა გამიწვია და მე მაშინვე მივხედი, რომ ისევ გეშონეკი ვიყავი და თავდაკეკი ვცადე:

— მე ხომ ძალზე ცუდად ვცეკვავ.

— ნურაფერს მტაცყვით, ბატონო გეშონეკ, ფილმში გნახეთ, რომ ცეკვავდით, — მიპასუხა ქალმა.

— ფილმში სულ სხვა პირობებია, — მივუგე მე. — იქ პარკეტს ხმიერი საპონი ესვა.

ქალბატონმა გაიაცინა, რადგან მე გეშონეკი ვიყავი, და თანაც აკეთი სიტყვამაზეიანი. მან მალე იგრძნო, რომ ვერ ვეცეკვავდი, მაგრამ ეს ამბავი აინუნშიაც არ ჩაუგდია, მისთვის სასიამოვნოც კი იყო, რომ მშვენიერ მოღერ ფეხსაცმლის ჭვინტზე ფეხს ვაბიჯებდი.

ერთხანს ვიფიქრე, კინოში გადადგება დამეწყო, მაგრამ ნაცნობმა მითხრა, ახლა ჩვენს კინოხელოვნებაში სახაბრიელო ალარაფერიაო, და ტელევიზიაში გამოსვლა მირჩია. ეს მე არ მიწოდა, რადგან ტელევიზიაში რაც გინდა და როგორც გინდა ითამაშო, სულფრთია მაინც არავინ შეგაქებს, მით უფრო ჩვენი საგაზეთო რეცენზენტები, ხოლო მე კრიტიკა მჭირდება.

ჩემს სარბიელზე გეშონეკის როლში მხოლოდ ერთხელ მივადწიე პატარა წარმატებას. ეს მოხდა ერთ დიდ კონფერენციაზე, შესვენების დროს, როცა კონფერენციის მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფად მიმდგარიყვნენ დერეფნებში. მე და გეშონეკი ერთ ჯგუფში ვიდექით. ჩვენსკენ გამოემართა ორი გოგონა, თავიაუფალი გერმანელი ახალგაზრდობის წევრები. გეშონეკმა დაინახა, რომ ისინი ჩვენსკენ მოდიოდნენ, მეც დავინახე და გეშონეკმა ჩამილაპარაკა, მაგალთ ალბათ ჩემი ავტოგრაფები უნდათო.

გოგონები მართლაც გეშონეკს მიადგნენ.

— შეიძლება ერთი წუთით შეგაწუხოთ, ბატონო შტრიტმატერ?

მე მამინვე სვეტს ამოვეფარე და გეშონეკს საშუალება მივეცი, ერთხელ მაინც ყოფილიყო შტრიტმატერი.

სანამ გეშონეკი მათ შეედომას აუსხნიდა, გოგონებმა კკითხეს:

— რატომ გამოიყვანეთ თქვენს ბოლო რომანში ქალები ასე ცუდად?

გეშონეკის როლი არ შემშურებია. ეს იყო წვრილმანი, უპატიოსნო შურისძიება, შურისძიება ჩრდილში მიმალული კაცისა.

მას შემდეგ გვარიანი დრო გავიდა. ამსოფლიოში მეეუნე კიდეც, გეშონეკი ვყოფილიყავი და საკუთარი გვარი. ლამის კიდევაც გადავვიწყეს.

მაგრამ ხდება ისე, რომ ზოგჯერ გაბოროტებითა და პატეფმოფვარულად თავს ეჩენს ის, რაც შენ ოდესღაც იყავი და ავტოგრაფებზე მონადირეთ ახლა ასე ვეუბნები:

— თუმცაღა ბატონი გეშონეკი არ გასლავართ, მაგრამ მის როლებში ყველაზე ძნელის შესრულება მე მიხდება.

— ო, მაშ ეს თქვენა ხართ, გეშონეკის მაგიერ ცხენიდან რომ ვარდებით, როცა იგი ფილმში ცხენს მიაჭენებს?

— ჰო, რაღაც ამის მსგავსი ჩამ ხდება, — ვამბობ მე.

*

და მიუხედავად ამისა ხალხი მაინც მთხოვს ავტოგრაფს და მეც ვწერ: მადლობის გრძნობით ერვინ შტრიტმატერი“. და ვამბნევ, რომ მათთვის ის კაცის ავტოგრაფსაც რაღაც ფასი აქვს, რომელმაც ცხენიდან ჩამოვარდნისას ფეხი არ იერქმო.

ნოემბრის დილა

წუხელის წვიმდა და ახლა სვიის ფოთლებზე შერჩენილი წვეთები ცვივა. ტირიფებქვეშ რუ მოწანწკარებს. დილა ხლებიათ სასაფლაოს ნაძვებს. მეზობელი სოფლიდან ორთქმავლის ჭვნენა ისმის.

შემომაქვს შეშა, მერე ნახშირი, პატარა კატა კრუტენით დამდევს. ხან იქით ზამავება, ხან აქეთ, გაჩერებული თუ დამინახა, მაშინვე ხის ქოშებზე მეგლასუნება.

ცეცხლი გუზგუზებს. მეზობელ ფოლვარკებს ჯერ ისევ სძინავთ. პაპაჩემისეული საათი ხუთჯერ ყრუდ რეკავს და ისე მაფიზზლებს, როგორც ერთ დროს ჩემი მოხუცი.

ოთახი თბება. სამეჯდ მანქანასთან ვჯდები და დაუწერელ ქაღალდს ვდებ შიგ. ჯერ არ ვიცი, რას გადავიტანან ზედ. ეს ქაღალი "მომავალია". აწყობ მანქანის კაკუნია. ასოებით გავსებული ფურცელი კი უკვე წარსული იქნება.

ნ ი ს ლ ი

უუუუნა და ნოდარ კაკაბაძეებს

ჯანღი მოსდებოდა ტყეს, მოფარფატე ჯანღი, თქორით რომ არის გაკეკვებული. ატორტმანებული არარაობა, ვით ზღაპარი ბიბლიისა, ვით ამა ქვეყნის შექმნის ამბავი, თავი რამ ერთი. არცა ბალახი, არცა ბუჩქი, ნამეცეი ოდვნ; არსად წიწკანას სტვენა, არსად ჩხავილი ყვავის; მდორე, ალიკლებული წყალი მოსდებია თვალსაწიერს.

რა სასოწარმკვეთი იქნებოდა, აურიდებელი რომ იყოს ასეთი უღიმღამო, ასეთი უფერული სიკვდილი, სიკვდილი იმ კაცთაგან ნუგეშის მიუღებლად, რომელთაც უფლება აქვთ ცოტა ხნით კიდევ დარჩნენ ცოცხალთა შორის!

მ ა ი ს ი ს ქ ა რ ი

რეზო ყარალაშვილს

ზოგჯერ, სანამ ჩავიძინებ, ქარის შრიალს ვუსმენ ბაღში. სამხრეთიდან შემოიჭრება იგი, დალოკავს მთებს, მწარდი დედაქალაქის თავზე აღმართულ საკვამლე მილებით მოქსელილ ზეცაში ფრთებს შემოიცვამს, ახალნაშენ მაღალ სახლებს შემოუვლის და უკანა ეზოებს დაურბენს.

მერე ჩემს სოფელს მოეკრება წვიმის მაცნედ, ხეთა საფარზე გადეჯირითებს. გადამწვანებულ ველზე გაინავარდებს, და აქ, ნაკადულთან — ზღვის პატარა ძარღვთან — ამართული ტირიფებიდან მეჩურჩულება ჩემი ისტორიული ბავშვობის სიამიდო ნავსაყუდელზე.

და მე ვუსმენ სიამოვნებით ჩემი ბავშვობის ბაღიდან მონაჭროლ სიოს და ვეძებ ძალებს, რომ სიბერის დროსაც არ დავკარგო ნდობა სამყაროსადმი, რადგან იმას ვეღარ დავიბრუნებთ, რაც წარსულში დავკარგავს, დავეიკარგავს ისე, რომ არც კი ვცდილვართ მის შენარჩუნებას.

გერმანულიდან თარგმნა **ოთარ ხუციშვილმა.**

ნარკვევი

ვახტანგ გორგანელი

იქ, საღაც ოქროს ციხე დგას

მესხეთი!... საკმარისია ახსენო; შოთა რუსთაველი, გიორგი მერჩულე, ექვთიმე თმაწმინდელი, ბეკა და ბეშქენ ოპიზარები, ბეკა და ადბუღა ჯაყელები და... უკვე ნათელი გახდეს თუ სად ირწყოდა ძველად ქართული კულტურის აკვანი. განა ტყუილა უთქვამს ხალხს: „პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა“, „მესხი სწავლითა ვეებელი“...

და მართლაც, გინახავთ ვარძია? მდგარხართ ზარზმის სვეტებთან? ამაღლებულხართ ოქროს ციხეზე და იქიდან შემოგარენისათვის თვალი მოგიგლიათ? ჰაუ, რა დიდებულია! დასწრებიხართ რუსთავში გამართულ „შოთაობას“? ეს ზეიმი ხომ შოთა რუსთაველს პატივსაცემად ეწყობა ყოველი სექტემბრის ბოლოს, მთელი მესხეთი აქა მაშინ. დიდი პოეტის მშობლიური სოფელი რუსთავი ღონისთვის, სიმღერისთვის ეპატიჟება სასურველ სტუმარს. უხდებათ მხრის გაშლა მესხელებს, ან რატომ არ მოუხდებათ, თუკი ამ მოლხენის სათავე სახელოვანი შრომაა! გასული წელი ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონებმა წარმატებით დაავგირგვინეს!

მესხეთი ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი სათავე იყო ძველად, მაგრამ დროის უკუღმართობამ მისი წმინდა სათავე ამოღერია და ქართველი ხალხის სისხლის ნაკადულებად აქცია იგი. ვინ დათვლის რამდენი მესხური სოფელი მოისპო და აღიგავა მთლიანად. აბა, სადღა სოფელი თახვირი, რომლის სახელი თახვირელ ქალზე თქმულ ლეგენდას შემოუნახავს მხოლოდ.

სოფელ თახვირს, რომელიც ზარზმის მონასტრის სამხრეთით მდებარეობდა, მტერი დასხმია თავს. გამხეცებულ თურქთა ურდოებს სოფლის მოსახლეობა მთლიანად ამოუხოციათ, მხოლოდ ერთი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგონა გადარჩენილა. გოგონა ლამაზი ყოფილა და თურქ მეთაურს მოსწონებია, არტაანში წაუყვანია, ცოლად შეურთავს. ექვსი ათეული წელი გაუტარებია ამ ქალს უცხოეთში, მაგრამ მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული მაინც არ განელებია. ერთხელ არტაანის ქუჩაში თვალი მოუკრავს ფიქვის ხისაგან დამზადებული კოკისთვის, რომელიც მგზავრს ცხენზე ჰქონდა გადაკიდებული. ქალს გახსენებია, რომ ასეთ კოკებს მესხეთში, თახვირის მეზობელ სოფელ გოდერძში აკეთებდნენ მხოლოდ. გამოუკითხავს, მგზავრი იქაური ადმირნელია. უხვად დაუსაჩუქრებია. ბოლოს უთქვამს, როცა ჩემს სოფელში მიხვალ, მონახე მამაჩემის ნასახლარი. მის წინ ერთი დიდი ლოდია. იქ ლოდქვეშ წითელი ქვა იქნება, აიღე, ხურჯინის ერთ მხარეს ჩასდე, მეორე მხარეს კი ჩემი სოფლის წყაროს წყლით სავსე კოკა მოათავსე. ჩამოიტანე და ყველამდის სიმდიდრით აგავსებო.

თახვირში დაბრუნებულა ის კაცი. მოუნახავს ეზოც და ლოდიც. მის ქვეშ მართლაც წითელი ქვა დებულა. ქვა ხურჯინში ჩაუწყია და არტაანისკენ გაუწევია. გზაში გახსენებია, რომ წყალი დავიწყდა. უფიქრია, წყალი წყალიაო და იქვე წყაროდან აუვსია კოკა. ძლიერ გაიხარა თურმე ქალმა. გატეხა წითელი ქვა, შიგ თახვირის მიწა იყო. აკოცა მიწას და მის მომტანს სიხარულით შესძახა — ეს ნამდვილად ჩემი სოფლის მიწაა!

ახლა ქალმა მოიყუდა კოკა. როგორც კი მოუსვამს წყალი, შეწუხებულა, ეს ჩემი სოფლის წყაროს წყალი არ არისო.

ასეთი ლეგენდა რამდენია მესხეთში!

1828 წლის 15 აგვისტოს ბოლო მოეღო უცხოეთის ბატონობას მესხეთში. ამ დღეს, ახალციხის სამაგრიდან თავისი ხელით ჩამოუდია თურქული ნამგალა მთვარე ქართველ გრენადერთა პოლკის ახალგაზრდა არტილერისტს;

პოეტ გრიგოლ ორბელიანს.. მას შემდეგ ბევრ-ჯერ ადიდებულან შეკვეთილი და ქვაბლიანის ზეიმობები, თუმცა, რაღა საჭიროა იმ ცრემლისა და მწუხარების გახსენება. სადღაა ცისა და მიწის შუა დაკიდული ბზები. ვარსკვლავებივით კიოფობენ განახლებულ მესხეთში კულტურის კერები. არც ისე დიდიხანია, რაც მესხეთის სახელმწიფო ქართული თეატრის კარი გაიღო და უკვე მისმა სპექტაკლებმა მაყურებელთა საკმაო სიყვარული დაიმსახურეს. მათ შორის ფასანაშნავია ვ. პოეგაოს „მარიამ ტიუდორი“, ბ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, ო. ჩხეიძის „თედორე“ და სხვ.

მედამდე რომ წარმოადგინოს თეატრმა ო. ჩხეიძის „თედორე“, არ მოაკლდება მაყურებელიო, — ამბობენ აქ.

ეს პატრიოტული, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული პიესა არ დაამშვენებდა თბილისის თეატრების რეპერტუარს?

მესხეთის თეატრალური კოლექტივი არ კმაყოფილდება ახალციხის სცენაზე გამოსვლით. იგი ხშირად მართავს გასვლითს სპექტაკლებ ადიგენისა და ასპინძის რაიონებში. ამ ბოლო დროს თეატრი ესტუმრა ზუგდიდს, წალენჯიხას, ცხაკაიას, ბორჯომსა და ხულოს...

●

ადიგენის რაიონში არის ერთი სოფელი პატარა სმადა. მართლაც პატარაა, ხუთ ათეულამდე კომლი ცხოვრობს. ამ სახელწოდების სოფელი მეორეცაა, ოღონდ გასასსხვავებლად მისთვის დიდი სმადა შეურქმევიათ. არის კიდევ მესამე სოფელი გომარო, რომლის წარმოშობაც დიდ და პატარა სმადასთან არის დაკავშირებული.

სამნი დანი ყოფილან. რომ გათხოვილან თურმე, მამას სამივესთვის ცალ-ცალკე მიუცია საცხოვრებელი ადგილი. სადაც უფროს დას უცხოვრია, დიდი სმადა დარქმეფია ის სოფელს, სადაც შუთანას — გომარო, სადაც სულ უმცროს — პატარა სმადა. პირველისა და მესამე სოფლის სახელები „სამი დასანა“ წარმოსდგება. მეორე ქალაშვილს მარო რქმეფია. „ეს გოგ მაროსო,“ უთქვამს მამას და აქედან — გომარო.

სხვა სოფლებთან ერთად პატარა სმადასაც ბევრი ტანჯვა-ვიება გამოუვლია. დავიწყების მტვერი ჰფარავს უცხოელ დამპყრობთა სახელებს, პატარა სმადა კი...

სოფელს უკეთესობა დაეტყო მას შემდეგ, რაც ამ ჩამოსახლდნენ იმერეთის სოფლებიდან ფოფხაძეები, ჭიღლაძეები, ქველაძეები, ჭიტაძეები, წერაშვილები, ბაკრაძეები, იაკობაშვილები, კესარელები, ხარშილაძეები...

●

იმერეთი. საჩხერის რაიონი. სოფელ ...ღელი. სამკვლრო-სასაფლაოზლო ომია. საბჭოთა სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგა დიდი და პატარა, ამხედრდა სოფელი ორღელიც.

ფრონტზე წასვლის წინ გალაკტიონ ქველაძემ იმ ოთახში გაიხმო მეუღლე, სადაც ბავშვის აკვანი იდგა და ასე უთხრა: — აბა, შენ იცი ჩემი ფედოსია, ოჯახს მოუარე, კერა არ გამიქარდოს, — გალაკტიონ დასწვდა აკვანში ჩაკოწყლმას და აკვანისად მკერდზე მიიკრა, — ჩემი სვეტრიანეს ღიმილს მეეალებიან არამზადები... მტრის ხელი ვერ მოგწვდება, ჩემი პატარა ვაჟაკაცო, არ შეგარცხვენს მამა, შეიღლ! — რამდენჯერმე ჩაკოცნა ბავშვი, აკვანი თრთოლვით დადგა, გალიმებულ ბავშვს კიდევ ერთხელ ცრემლმოწოლილი თვალებით შეხედა, მეუღლეს ისევ გაუმეორა,— აბა შენ იცი, ჩემო ფედოსია!..

წავიდა გალაკტიონი ფრონტზე. ოჯახის მთელი სამკე ფედოსიას დაუწვა. ძმიმე იყო მარტოხელა დედისთვის შინ და გარეთ ტრიალი, ახლა ის იყო ქალიც და კაციც, დედაც და მამაც. დრო მიდიოდა, წყეულ ომს კი ბოლო აღარ უჩანდა. მართალია, გალაკტიონი ოჯახს გამამხნევებელ წერილებს სწერდა, „მალე მტერს თავისივე ბუნაგში ჩავლაჯო და გამარჯვებული დავბრუნდებიო“, მაგრამ ამ დაბრუნებას საშველი აღარ დაადგა.

ერთმა დღემ მაინც სულ გადაუწურა იმედი ქმრის გზისაკენ დღენაღდგა მზრალი ფედოსიას. ფოსტალიონმა შავი ქაღალდი მოიტანა; გალაკტონ ქველაძე გმირულად დაიღუპა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაშია.

ფედოსია სახლში ჩაიკეტა და ადარავის ეჩვენებოდა, წინ დაიდგამდა აკვანს და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა რძეშეუშშრალ პატარა სვეტრიანეს. ხმამაღლა დაიწყებდა თუ არა დედა ტირილს, ისიც ადუა-ადუს ძახილს მოუმატებდა, ამით რომ დაიღლებოდა, გაჩუმდებოდა, მერე გაიღიმებდა, არტახებიდან ხელშს ამოთათავდა და დედას დაუწყებდა ლოყაზე ცაცუნს.

ერთ საღამოს, როგორც კი ფედოსია მიუჯდა აკვანს და ტირილი დაიწყო, ბავშვიც ატირდა, მანამდე არ გაჩუმდა, ვიდრე დედამ ტირილი არ შეწყვიტა, შეწყვიტა და... ბავშვმაც გაუღიმა დედას. მეორე დღესაც ასე მოხდა, მესამე დღესაც... უმანკო ბავშვის ღიმილმა მიახვედრა მშობელი, რომ გაუთავებელ ტირილს სასიკეთო არა მოჰქონდა, გალაკტონი ხომ პატარა სვეტრიანეს ღიმილის დასაცავად წავიდა ფრონტზე, ეს კი, აქ, რას სჩადიოდა? გიმაგრა გული ფედოსიამ, ცრემლი შეიშრო, ფანჯრები გამოალო, სუფთა ჰაერითა და მზის სხივებით აავსო თოახი.

ორღუღელ კოლმეურნეებს ვერ დასწამებდით სიზარმაცეს. ცდასა და შრომას არ აკლებდნენ საქმეს, დღეღამეს ასწორებდნენ, მაგრამ არაფერი გამოდიოდა მაინც. კოლმეურნეობას არ ჰქონდა საკმარისი მიწის ფართობი, რაც ჰქონდა, ნაკლებმოსავლიანი იყო. ფიქრობდნენ ადგილის შენაცვლებას, მაგრამ სად? ბოლოს საქმეში მთავრობა ჩაერია, ორღუღელებს მესხეთში, ადიგენის რაიონში გადასვლას ურჩევდნენ. მიწა საკმარისიც იყო და ნაყოფიერიც. გაიგზავნა დელეგაცია. თავაკაცებმა კარგი ამბავი ჩამოიტანეს მესხეთიდან: მესხეთიც იმერეთივით მთაკორტოხიანიაო, იმ ადგილებს, სადაც უნდა ჩასახლდეთო, ცაში აზიდული ძველისძველი ციხე-სიმაგრე — ოქროს ციხე ისე გადმოპყურებს, მოდინახე გეგონებაო.

გადაწყდა, ადიგენის რაიონში ჩასახლებულიყვნენ. გადაეწყვა, მაგრამ ფედოსია ქველაძისათვის იოლი როდი იყო ძუძუმწოვარა ბავშვით წასულიყო და იქ შესდგომოდა თავიდან ცხოვრებას.

— ნუ გეშინია, შვილო, სოფელი არ გაგზიარავს, ხომ ხედავ, აქ რამდენს ფუვალობთ, მაგრამ არ გამოდის! შენი შვილის მომავალზე ხომ უნდა იფიქრო, — ურჩია კარის მეზობელმა ალექსანდრე ჭიღლაძემ.

— შვილის მომავალზე რომ ვფიქრობ, სწორედ ეს მაფერხებს. მივატოვო აქაურობა, წავიდე, ეთქვაო, ვერ მოვეწყე, ეს ხომ კერიის ცეცხლის ჩაქრობას ნიშნავს, მერე რა ვუთხრა ჩემი ქმრის კეთილ სულს? კერა არ ჩაიქროო.

—ქმრისა და კერის ხსენებაზე ფედოსიამ თავი ვეღარ შეიკავა, ატირდა, ატირდა აკვანში ჩაკრული სეკერიანეც, — არა, გენაცვალე! — ერთი კი უთხრა პატარას და მაშინვე ცრემლები შეიმშრალა ფედოსიამ, განგაზე გაიღიმა, გაიღიმა ჩვილმაც. უჩიერდა ალექსანდრეს სიტყვის თქმა, მაგრამ გაჩუმებაც აღარ შეიძლებოდა.

— მეც მეძნელება ამ შშობლიური ადგილების დატოვება. ჩემს წინაპრებს აქ უცხოვრიათ, აქ უბრძოლიათ, ამ მიწაში აღაგია მათი ძვლები, მეც აქ დავებადე, აქ შევხედე პირველად მზეს, აქ ვიქეცი კაცად, აქ მოვეკიდე ოჯახს. ხუთი შვილის მამისთვის ადვილი არ არის ოჯახისაგან აიყაროს და სხვაგან წავიდეს საცხოვრებლად. მაგრამ მესხეთიც ხომ შშობლიურია, იქაც ხომ საკარისველოს მიწა-წყალია...

— სახელმწიფოც ხელს შეგვიწყობს, სესხს მოგვცემს, ჩვენ შრომასა და ცდას არ დავაკლებთ. იქ დასახლება დიდი ეროვნული საქმეცაა, შვილო, — ეს უკანასკნელი სიტყვები რამდენჯერმე გაუმეორა ალექსანდრემ ფედოსიას და დილამდე მოფიქრების დრო მისცა.

მთელ ღამეს არ ეძინა ფედოსიას, ხან ბავშვს გამოელაპარაკებოდა, ხან კიდევ ომში დაღუპული ქმრის წერილებს გაშლიდა მაგიდაზე. ამ წერილებს ისე ესიტყვებოდა, თითქოს მის წინ გალატიონი იდგა და ერთად მსჯელობდნენ მესხეთში წასვლაზე. ამ ფიქრსა და ღელვაში დადგა მიიწურა; მტრედისფრად ირიბინაკა თუ არა, ალექსანდრე ჭიღლაძის ხმა გაისმა ეზოში:

— დილა მშვიდობისა, ფედოსია!

ათრთოლებულმა ფედოსიამ უცაბ კარები გამოაღო, დარჩენა-წასვლის ფიქრში გართულმა სალამზე პასუხის გაცემა ვეღარც კი მოახერხა და გასძახა ალექსანდრეს: — მოვდივარ ბიძია, — ფედოსიას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ელდანაკრავივით გაჩუმდა, თავისთავს დატუქსავ დაუწყო, რატომ თქვი მოვდივარო. ბავშვთან მიირბინა. გაისმა ალექსანდრე ჭიღლაძის ხმა: მანქანებს მოვიყვან და მზად იყავით. ჯერ უარი უნდა ეთქვა ალექსანდრესთვის, მგრამ აკვნიდან ისე შემოსცინა ბავშვმა, რომ ფედოსიამ უარის თქმა ვეღარ გაბედა.

— მაშ, რაკი შენც გიხარია, მივდივართ მესხეთში, ჩემო ოქრო ბიჭო. — თქვა ფედოსიამ და ბარგის შეკვრას შეუდგა.

●

დასახლდნენ პატარა სმადაში ფოფხაძეები, ჭიღლაძეები, ქველაძეები, ჭიტაძეები, წერაშვილები, ბაქრაძეები, იაკობაშვილები, ეესარელები, ხარშილაძეები, მწყურაშვილები... რა დახვდათ? მიწურები... ოღრო-ჩოღრო გზები... სასმელი წყალიც კი შორიდან იყო მოსატანი, მაგრამ, რაც მთავარია, მიწა დახვდათ ნოყიერი, ეს კი გლეხი კაცისთვის, გამრჯე კაცისთვის ყველაფერს ნიშნავდა.

— ნუ გეშინიან, შვილო, ერთი დახედე, რა მიწაა. ამას თუ კარგად მოუვლის კაცი, უხვად იქნება დოვლათი. — ანუგეშებდა ალექსანდრე ჭიღლაძე ფედოსიას და თან ხელისგულზე დაყრილ მიწას ეალერსებოდა.

აწრიალდნენ ბარები, თოხები, აგუგუნდნენ ტრაქტორები, ემატებოდა ხნული ხნულს, ფეიდებოდა მიწაში თესლი. დღე-ღამეს ასწორებდა ფედოსია ქველაძე. ან კი როგორ დაზოგავდა ძალ-ღონეს, როცა ხედავდა, რომ საქმეს კარგი პირი უჩანდა. მიწის სამუშაოები რომ მთთავდა, სახლის შენებლობაზე დაიწყო ზრუნვა.

სახელმწიფომ სესხი გასცა ახალმოსახლეებზე. ხუროებიც თვითონ იყენენ და კალატაზებიც. ქვისმოლელებიც და მლესავებიც... ფული იყო, მასალა იყო, შრომას ვინღა დაინანებდა!

სოკოებივით ამოდიოდნენ ოდა-სახლები, სწორედ ისეთი, იმერეთში რომ ედგათ. ბუხრებიც იმერულ ყიდიზე აადგი. აადგი და იმერულადაც შემოსძახეს:

გამხიარულდი ბუხარო,
გულჩახვეული ნუ ხარო!

ვასტანგ ბოროგანელი
იქ, სადაც ოქროს ციხე დგას

ფედოსიან ახალ ოდაში პირველი ნაკვერჩხალი რომ გაიღვიძა და იმერეულ ბუხარს ცისფერი კვამლი ასწვა, მაშინვე, ომში დიდუპელი მეეღლის სურათი გამოსახენ ადგილზე მოათავსა: — ჩემო გალაკტიონ, შენს ანდერძს ვასრულებ, ქვეღლაქვის კერა არ ჩამიქრია, შეხედე როგორ გუზგუზებს ბუხარში ცეცხლი!"

იზრდებოდა პატარა სვეტლანიც და მატულობდა ქვეღლაქვების ოჯახში სიხარული. და გაა მატტო ქვეღლაქვების ოჯახში — წელში ამარეთვლიენენ ფოფხაძეები, ჭიტაძეები, წერაშვილები, ბაკმაძეები, იაკობაშვილები, კესარეები, ხარშილაძეები, მწყურაშვილები...

●

ბაგრატ მწყურაშვილი ჯერ ოცი წლისაც არ იყო, პირველად რომ მოიყვა პატარა სმადაში. ალალ მარჯვენა და მწყურვიეთ უწყინარი გული მოჰყვა თან, ეს იყო მისი აკლადდიდა. მარტოხელა კაცი იყო, შეიძლება სულაც არ წამოსულიყო აქ, მაგრამ ჭიტაძეების ქალიშვილი მოსწონდა, და, აბა სხვაგან სადღა წავიდოდა! ორღელში ვერ უბედავდა გულისნადების გამხელას შურას, მაგრამ პატარა სმადაში ჩამოსვლა და თქმა ერთი იყო: — შენ ცოლი და მე ქმარი! ან მომკალი ან მაცოცხლე!

შურა ადრეეე ამჩნეველა, რა ცეცხლი ეკიდა ბაგრატის გულს, მაგრამ ახლა, როცა ოჯახი ჯერ აფორიაქებული და დაუბინავებელი იყო, განა შეიძლებოდა ამაზე ლაპარაკი? გაუბედადა თერთმეტი შვილის მამას — ვალიკო ჭიტაძეს — ქალიშვილი მომათხოვეო. შურამ თავი შეიკავა, ჯერ მამაჩემს მაგის დრო არა აქვსო. რაკი არც ასე თქვა და არც ისე, მიხვდა ბაგრატი, რომ ქალი თანახმა იყო, ადგა და დედამის გოგოტიასთან მივიდა:

— შურა უნდა მომათხოვოთ, თუ არა და თავს მოვიკლავ, ან კიდეე სადმე დავიკარგები.

ეს ისე მტკიცედ უთხრა ბაგრატ მწყურაშვილმა, რომ გოგოტია დაიბნა, ხელები აუკანკალდა, მოეჩვენა, თითქოს ბაგრატს უკვე ხანჯალი გულთან ჰკონია მიტანილი და უარის თქმაზე მართლა მოიკლავდა თავს...

ახლა ვალიკო ჭიტაძის სიძე ბაგრატ მწყურაშვილი ორმოცი წლის კაცია და უკვე რვა შვილის მამაა. უფროსი შვილი ოთარი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია, მაყვალიც იქ სწავლობს, მესამე — თამარი კოლმეურნეობაში მუშაობს, დანარჩენი შვილები — ბიქიკო, გიორგი, ვიქტორი, ზურაბი, ცოალა სამეალო სკოლის მოსწავლეები არიან.

ბაგრატ მწყურაშვილი დიდიხანია ტრიფონ ქიოლაძის ბრიგადაში მუშაობს. მის სახელს მარტო ბრიგადაში კი არა, ახლო-მახლო სოფლებშიც კარგად იცნობენ.

პატარა სმადში კარტოფილი და სიმინდი წამყვანი კულტურებია. კოლმეურნეობას ძირითადი შემოსავალი ამ კულტურების მოსავლიანობაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებით ბოლო დროს, კარტოფილსა და სიმინდს დიდი ყურადღება მიექცა. და გაამართალა კიდეც. ქვეყნად 9-10 ცენტნერი სიმინდი ძლივს მოჰყავდათ ერთ ჰექტარზე, ასევე მცირე იყო კარტოფილის მოსავალიც. ეს იმის ბრალიც იყო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა სასუქების გამოყენებას, რწყვას, მექანიზაცია ხომ უგულებელყოფილი იყო მთლიანად.

ბაგრატ მწყურაშვილმა თავიდანვე აუღო ალღო საქმეს, ამაში ბხარის დამჭერნიე გამოუჩნდნენ: უბარეულს ყოველთა შეისწავლეს ნიადაგის აგრო-ქიმიური თვისებები. გამოირკვა, რომ თუ აზოტოვან სასუქს დაუმატებდნენ ნიადაგს და რაციონალურად გამოიყენებდნენ სარწყავ საშუალებებს, სიმინდის მოსავალი გაიზრდებოდა. შეისწავლეს ის ადგილებიც, სადაც კარტოფილს თესავდნენ. აქაც დადგინდა, რომ საჭირო იყო ორგანულ სასუქებთან ერთად დამატებით შეეტანათ ამონიუმის გვარკილა. ორჯერ გათოხნენ და ორჯერ მორწყავ კანონად იქცა. ამასთან ერთად, ნასიმინდარ ნაკვეთზე თუ დათესავდნენ კარტოფილს, ეს მთლად უკეთესი იქნებოდა.

დღეს თუ პატარა სმადას კოლმეურნეობას კარტოფილის მოყვანაში რაიონში პირველი ადგილი უკავია და გარდამავალი დროშა მის ხელშია, ამაში პატარა წვლილი როდი მიუძღვის ბაგრატ მწყურაშვილს! წინა წლებს რომ თავი დავანებთ, მარტო წელს მან ერთ ჰექტარ ფართობზე ოთხმოცდაათის ნაცვლად სამასი ცენტნერი კარტოფილი მიიღო.

— იმერეული კაცი სიმინდის მოყვანაში რომ გვაჯობებდა, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ კარტოფილის მოყვანაშიც რომ გაგვისწრეს — ეს საოცარია! — ამბობს კახაეთელი აგრონომენინოვი დანელ გიგოლაშვილი. მარტო დანელი კი არა, ულდანეც ამას ამბობენ, სოფელი არაელიც ამას იმეორებს...

ბაგრატს არც მეეღლე შურა ჩამორჩება შრომაში, შვილებიც კეალდაკვალ მიჰყვებიან. თამარმა სკოლა დაამთავრა თუ არა, ფერმაში დაიწყო მუშაობა. იგი კოლმეურნეობის თორმეტ ძროხას უვლის. თვითეულ საფურაეე ძროხაზე 750-ის ნაცვლად 1030 ლიტრ რძეს იღებს, ნამატიც მთლიანად შენარჩუნებული ჰყავს. თამარს არც სხვა დანარჩენი და-ძმანი ჩამორჩებიან, ისინი ხომ სწავლით ასახელებენ ოჯახს!

ამაყობს ბაგრატ მწყურაშვილი თავისი შვილებით, განსაკუთრებით ზაფხულში, არდადეგებზე, როცა ყველა ერთად მოიყრის თავს და ამოუდგებიან მხარში, ცას ეწევა ხოლმე სიხარულით გული მშობლისა. ხარობს ბაგრატ მწყურაშვილი და არანაკლებ ხარობს მისი სიმამრის ვალიკო ჭიტაძის გული, თერთმეტი შვილის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გული. ან რატომ არ გიიხარებს, მარტო შენრას მხრიდან რვა შვილიშვილის ბაბუა...

●

მართალია, პირველად შიშობდა ფედოსია ქვილაძე, ვაითუ მარტოხელა დედას ახალ ადგილზე ვამეჯობრესო, მაგრამ უსაფუძვლო გამოდგა მისი შიში. თუ ადამიანი შრომისმოყვარეა, თუ ხალხი აჩჩნევს, რომ ის ძალღონის დაეზოგავად, პატიოსნად მიპყვება ცხოვრების გზას, სოფელი არ გარიყავს, თანაეგრძნობს, ვეერაში ამოუდგება, ხელს გაუმართავს.

— წასვლილში გინდა წასვლა? წადი ფედოსია, ბავშვს ჩვენ შეგინახავთ.

— რა იყო, შე ქალო, ტყეიკა ხომ არ მჯდარხარ, ჩვენ მოგეხმარებით, — ეხმარებოდნენ...

— ავდა გახდა სევერიანე? რა გატირებს, შექალო, აქ არა ვართ! — თქმა და ეკმიან გამოაცხება ერთი იყო.

— საყიდლებზე მიედევართ, ხომ არაფერს დაგეპარებენ? — და ყიდულობდენ მისთვისაც.

— შეშის მოსატანად შენ რომ არ წახვიდე, ჩვენ რაღას ვაკეთებთ, ახლავე, მაგაზე როგორ დაგზარდებით. — და მოაქონდათ კიდეც თანასოფლელებს ფედოსიას ოჯახისათვის შეშა.

მეზობლებსა და კოლმეურნეობის ყურადღება ამხნევებდა, ძალას მატებდა ფედოსიას. ამასობაში წამოიზარდა სევერიანეც. პირველად სკოლისაკენ რომ გაცუნცულდა, დედის ლოცვასთან ერთად სოფლის ლოცვა-კურთხევაც გაჰყვა თან.

გაკვეთილების სწავლას მორჩებოდა თუ არა, საქმეში მხარში ედგა დედას. წყგნთან ერთად ბარი და თოხი მისი განუყრელი მეგობრები იყო. განსაკუთრებით შვენოდა პატარა სევერიანს, სოდამ ყამს სათოხარიდან ვაკაცივით წინ რომ გამოუქცევიდოდა დედას მხარზე თოხგადებული, ისე მოგიბეჭდდა, თითქოს მთელი პატარა სმადის საკოლმეურნეო სმინიდები მისი გათოხნილი იყო. დიდობდა სევერიანე, მაგრამ დედის თვალში მაინც პატარა ჩანდა. ერთ დღეს, როცა სევერიანეს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი სხარტლით შემოფრიალა ოჯახში, თითქოს მაშინ მიხვდა ფედოსია, რომ მისი შვილი ახლა უკვე პატარა აღარ იყო

— ღმერთო ჩემო, რაახლა გაზრდილა ჩემი პატარა სევერიანი! — აღმოხდა ფედოსიას და შვილის დავაჟკაცების ფასანაშნაკად ის ღამეს მეზობლებს დიდებული სუფრა გაუშალა, თქვენ მიწყობდით ჩემი სევერიანეს გაზრდაში ხელსო.

ამან კიდევ უფრო ჩაიფიქრა თავის მომავალზე სევერიანე. ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში დაპირი შესვლა, მაგრამ მალე გადაიფიქრა, მერე ბედაგიფერი განჩრინი გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. თითქოს სინეინრნო საქმის დაუფლებაც არ იყო ცუდი... ისე იყო თუ ისე, ბოლოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტზე შეჩერდა არჩევანი. ამ განზრახვას ხელი შეეწყო იმანაც, რომ პატარა სმადას კოლმეურნეობას არ ჰყავდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მაგრამ რომელზე შესულიყო, დასწრებულზე თუ დაუსწრებელზე, გადასაწყვეტი ეს იყო. დედას უკვე ადარ შეეძლო შრომა, ხშირად ავადმყოფობდა კიდეც. ამ დროს რომ მოშორებია ოჯახს, არ გამოვიდოდა ლამაზი. დაუსწრებელ ფაკულტატზე შეიტანა საბუთები. მისაღები გამოცდები წარმატებით ჩაბარა. აღწყო საქმე, სწავლა და შრომა კარგად შეუთავსა ერთმანეთს. მესამე კურსზე რომ გადავიდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვარლამ გედაშვილმა საბოჭავ: სოფელს აგრონომი არა ჰყავს და შენ უნდა მოჰკიდო ამ საქმეს ხელიო. პირველად შეყოყმანდა, მაგრამ ბოლოს გაამგიდნეს მაინც. სეეერიანე იენობდა კოლმეურნეობის ავ-კარგს, პატარა სმადელები შრომის მოყვარულნი რომ იყვნენ, ამას მტკიცება არა სჭირდებოდა, მაგრამ მექანიზაციასა და ნიადაგშე მინერალური სასუქების შეტანასს რომ გაურბოდნენ, ესეც უცნო არ იყო მისთვის. სწორედ მისი საქმიანობაც აქედან დაიწყო და არც შემცდარა. პირველივე წლის მოსავლის ალბამ დაარწმუნა ხალხი, რომ მექანიზაციისა და სასუქების გამოყენების გარეშე ვერც მოსავლიანობას გადიდებდნენ, ვერც გარანტირებული შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფდნენ. როცა კოლმეურნეობის ბუხალტერმა აგვისტენე ვარდიძემ დაიანგარიშა და ერთ შრომადღეზე კოლმეურნეებს ფულად ეიგოთ 1 მანეთი და 70 კაპ. ნატურით — 3 კილოგრამი კარტოფილი, 3 კილოგრამი სიმინდი, ყველი და სხვა პროდუქტები, მეცხრე თვეულში გადამდგარმა აღეკსანდრე ჭიღლაძემ ხელფასის უწყისზე ხელმოწერისას ფედოსია ქვილაძეს ამაყად გადახედა და ყველას ვასაგონად უთხრა: — რომ გეუბნებოდი, ჩემო ფედოსია, მესხეთში ქართული კერას უფრო გავაღვივებთ-მეთქი, ხომ გამართლდა?

— გამართლდა, ბატონო აღეკსანდრე, გამართლდა! ყველა ოჯახმა ისე ვიხარეთ, როგორც ჩემმა ოჯახმა ვიხარა. — მიუკო ფედოსიამ და გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას. და განა მარტო ფედოსია ქვილაძის გული ხარობდა?

ღმერთო, ამ სიხარულს რაზე ბოლო ექნება და ნერც დასასრული! და შენ კი, მზეგერო, როცა ეწვევი განაბლებული მესხეთის მიწას, როცა დასტკბები ვარძიის სიდიადით, ზარზმის მშვენებით და ამაღლებები ოტოოს ციხისკენ მიმავალ გზაზე, არ დაგავიწყდეს, პატარა სმადაშიც შეიარე, ნახე შენი თვალით, როგორ გაალვივეს ქართული კერა ფოფხაძეებმა, ჭიტაძეებმა, წერაშვილებმა, ბაქრაძეებმა, იაკობაშვილებმა, კესარელებმა, ხარშილაძეებმა, მწყერაშვილებმა... ნუ მოიკლებ ამ დიდ სიამოვნებას, მეზობრო კეთილო!

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ

ამახ წინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ დაწერა ნარკვევი ახალგაზრდა მექანიზატორზე. ნარკვევის ავ-კარგის გარჩევას არ შევდგები, მისი ერთი დეტალი კი ღირს სალაპარაკოდ. ავტორი, თავისი გმირის შექების მიზნით, ახალგაზრდა მექანიზატორს ამკობს ეპითეტით „სიტყვაძვირად“. მიუთითებს, რომ მექანიზატორს ორ სიტყვას ზედიზედ ვერ ათქმევინებო. თავი გავანებოთ იმას, რომ გმირის თავმდაბლობის მინიშნების ეს ხერხი ტრაფარეტად იქცა და ახალ არაფერს ეუბნება მკითხველს, შეეცხოთ საქმის მეორე, უფრო არსებით მხარეს.

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში სოფლის ახალგაზრდა ადამიანებზე არც თუ იშვიათად ქვეყნდება ნარკვევები, ჩანახატები, კორესპონდენციები და სხვა ჟანრის პუბლიცისტური ნაწარმოებები. მაგრამ, სამწუხაროდ, ესაა სოფლის ახალგაზრდის დახატვის ის თარგი, რომელიც ამ რამდენიმე ათეული წლის წინ გამოიგრა. ამ ნარკვევების სტრიქონებიდან შემოგვცქერიან საკმაოდ გულჩახხრობილი, თავიანთ სამეშაო უბანზე მიჯაჭვული ახალგაზრდები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ფიქრი და სალაპარაკო აქვთ; გადაჭარბებით შეასრულონ გეგმა და ნაკისრი ვალდებულება. ისინი დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად შრომობენ, ჭამისთვისაც კი ვერ მოუცლიათ. ზოგიერთ ნარკვევში არის ლირიკული გადახრებიც, მაგრამ აქაც ახალგაზრდობის გართობა, დასვენება, სიყვარულიც კი დამორჩილებია ე. წ. „ყოვლისმომცველ წარმოების“.

განა მართლა ასეთია ჩვენი თანამედროვე სოფლის ახალგაზრდა? დავუბრუნდეთ ჩემი კოლეგის ეპითეტს „სიტყვაძვირი“, რომლითაც იგი ამკობს ახლგაზრდა მექანიზატორს. რა არის ამაში კარგი? რა თქმა უნდა, ტრაბახს კაცი არავის არ მოსწონს, მაგრამ თავისი მუშაობის შესახებ ახალგაზრდა კაცს უნდა შეეძლოს საუბარი. და შეუძლია კიდეც, ოღონდ ეს ისეგ იმ ძველი თარგის ბრალია, რომლითაც ჩემი კოლეგა სარგებლობდა. წინათ, საკოლმეურნეო სოფლის ბევრი მოწრნავე მართლაც ერთგვაროვად შებოჭილად გრძნობდა თავს საზოგადოებრივ თავყრილობებზე და ჟურნალისტთან საუბრის დროს. უჭირდა საჯაროდ გამოსვლა. მაგალითად, ასეთები იყვნენ თავიანთ ახალგაზრდობაში და ასეთებად დარჩნენ ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები თამარ ყუფუნია და ტატიანა ტყეპუჩავა, მექპარხლე სოფიო მარიდაშვილი, მექანიზატორი ივანე ბაიდოშვილი და მრავალი სხვა. იმათ სათქმელს მათ მიერ გაკეთებული საქმე და მათ გარშემო მყოფი ადამიანები ამბობდნენ. მათი ეს სიტყვაძვირობა ნამდვილად თავმდაბლობის ნიშანი იყო. ეს „სიტყვაძვირობა“ თავისებურად გამართულები იყო, რადგან ამ ადამიანების დიდი ნაწილი სკოლის მერხს გარეშე მივიდა მინდორსა და პლანტაციაში, არ ჰქონდა გავლილი მჩქეფარე კომკავშირული ცხოვრების „გაკვეთილები, სოფლის მაშინდელი „კულტურული დონეც სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე დღესაა.“

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე მრავალი წერილი დაიბეჭდა, რომლებშიც ნათლად აისახა ჩვენს სოფელში ნახევარი საუკუნის მანძილზე მომხდარი გიგანტური გარდაქმნები, მაგრამ ამ წერილებში ძირითადად მოთხრობილი იყო გარდაქმნებზე მატერიალურ სფეროში, სულიერი სფერო კი ერთგვაროდ ჩრდილში დარჩა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გარდაიქმნა სოფლის არა მარტო მატერიალური ცხოვრება, არამედ ძირეული ცვლილებებია ადამიანის ხასიათის, ქცევის, წარმოდგენებისა და მისწრაფების სფეროში. ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრების

შემოქმედი, რომელიც სტიქიურად კი არ მისდევს საზოგადოებრივ დინებას, არამედ კარგად აქვს შეგნებული თავისი ადგილი ცხოვრებაში. იგი, როგორც ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი, აქტიურად ებმება ყველაზე საჭიროსა და ყველაზე აქტუალური პრობლემების გადაწყვეტაში. ახალი სოფლის ახალგაზრდა არ არის უთქმელი და ინერტული. მას კარგად აქვს შეგნებული უფროსი თაობის დიდი ღვაწლი, პატივს სცემს პირველი ხნელის გამვლებებს, აგრძელებს მათ საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

პირველი ხუთწლედების ახალგაზრდობას, რა თქმა უნდა, ენთუზიაზმის სესხება არ დასჭირდებოდა ჩვენი დღევანდელ ახალგაზრდობისაგან, მაგრამ ამ შედარებით თავშეკავებულ, ნაკლებად პათეტიკურ თაობაში არანაკლები მოქმედებითი პოტენციაა. ჩვენ შევეჩვიეთ საკარმიდამო მეჩაიეთა, მეკვნახეთა და მეცხოველეთა შრომითს გამარჯვებებს. ვინ ჭედს ამ გამარჯვებათა ბეღს? პირველ რიგში — ახალგაზრდობა. მამა-პაპური გუთნეული მძლავრმა ტრაქტორებმა შეცვალეს, მანქანური შრომა დამკვიდრდა მინდერებში, ზვრებში, პლანტაციებსა და ფერმებში. ვის ხელშია ახალი სოფლის ინდუსტრიალიზაციის საქმე? ჩვენი ნიჭიერი სოფლის ახალგაზრდობის ხელში! ამ ოციოდე წლის წინ ზუგდიდელი მეჩაიე ქოინია სარსანია ჩაის ფოთლის ჩქარისწყალი კრეფისათვის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა, შაშაწა კი ანიგვარელმა კომკავშირელმა ნაზიბროლა ხასაიამ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოთი“ 40 ტონა ფოთოლი მოკრიფა. იმ წლებში გაზეთების ფურცლებს არ შორდებოდა ქოინია სარსანიას ხახელი, ნაზიბროლას შრომითი წარმატებანი კი ჩვეულებრივ ამბად ჩაითვალა.

სასიხარულოა, რომ ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა მხარდამხარ მისდევს ეპოქას, ეუფლება მეცნიერების უახლეს მიღწევებს და უხმაუროდ, თითქოს ამაში არაფერია განსაკუთრებულიო, აღწევს გამარჯვებებს. მაგრამ სწორედ აქვე იმალება ერთი ნაკლი. რა თქმა უნდა, ზედმეტი ხმაური და ერთი ადამიანის ქებით ცემდე აყვანა ბევრჯერ საქმეს ვნებს, იწვევს ერთის ხარჯზე სხვების დაჩრდილვას, სხვების მიღწევების დავიწყებას, მაგრამ „შუქურებზე“ საკრთოდ ხელის ალება არ შეიძლება!

ახალგაზრდობას აქვს ერთი კარგი თვისება — მიბაძვის თვისება. მათ ყოველთვის უნდა თვალწინ ჰყადგეთ ადამიანი, რომელი შრომა და ცხოვრება მიბაძვის ღირსი იქნება. ასეთი ადამიანები ჩვენს სოფელს ჰყავდა და ჰყავს. მაგრამ ბოლო წლებში პრესის ფურცლებზე შეინიშნება ამ საკითხისადმი ყურადღების ერთგვარი შენელება. ინერციით, ასეა თუ ისე, გაზეთებს შემორჩა მოწინავე ახალგაზრდა მეჩაიეების სახელები, მაგრამ გაგვიჭირდება ისევე საზოგადოებრივად აღიარებული ახალგაზრდა მეკვნახის, მეგხილის, მეძანანზატორის, მწეველების, მეკბილეშემის დასახელება, როგორიც არის ეთქვათ ნინო ჩაიე კლაედია ნაცვალაძე ან ვინაი სხულელი. სოფლის მეურნეობის ამ დარგებში განა არ გვყავს ახალგაზრდა მოწინავეები? გვყავს, მაგრამ ჩვენი პრესის მუშაკებმა უმართებულოდ დაიგიწყეს ისინი. საჭიროა მათი წარმოჩინება, საჭიროა მათი შრომის სრულყოფილად ასახვა, რათა ერთის კარგმა მაგალითმა ას და ათას ახალგაზრდას აუნთოს გული!

თანამედროვე სოფლის ახალგაზრდა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მარტო თავის სამეშაო უბანზე, რადგან იგი თავისი კოლექტივის წევრია და კოლექტივის მოღვაწეობა არ შემოფარგლება მარტო შრომით საქმიანობით. მას აღელვებს არა მარტო თავისი გეგმის შესრულება, არამედ მთელი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცება, სოფლის კეთილმოწყობა, გართობისა და კულტურული დასვენების ორგანიზაცია. ვერ დაასახელებთ სოფლის ცხოვრებას ვერც ერთ უბანს, სადაც ახალგაზრდობა არ ტრიალებდეს, სადაც მათი ინტერესები არ ეჯახებოდეს ძველის გადმონაშთებს, სადაც არ იგრძნობოდეს ბრძოლა ახლის დამკვიდრებისათვის.

ჯერ კიდევ არ ვართ მთლად დაზღვეული კონსერვატორებისაგან, რომლებიც ახალგაზრდების ახალ წამოწყებას არ უწყობენ ხელს. ზოგიერთი ახალგაზრდა „ჭვეს ნატეხი“ გამოდგება და თავისას მაინც ვიტანს, ბოლომდე მიიყვანს კარგ ჩანაფიქრს. მაგრამ ყველას რომ არ ყოფნის საფანელი?!

ამ ექვსიოდე წლის წინ თელავის რაიონის სოფელ იაკეთის ღვინის ქარხანაში სამუშაოდ ჩავიდა ახალგაზრდა ტექნოლოგი გოგი შთირიშვილი. ქალაქს შეჩეკულ ჭაბუკს ერთობ მდორედ და უღიმღამოდ მოეჩვენა სოფლის კულტურული ცხოვრება. ბიბლიოთეკა, კინო, ჩამოსული არტისტების კონცერტები შემთხვევიად შემთხვევამდე. აი, ის სულიერი საზრდო, რომლითაც იკვებებოდა იაკეთოელი ახალგაზრდობა.

გ. შთირიშვილმა გადაწყვეტა რადაც სიახლე შეეტანა სოფელში. ჩაიფიქრა სახალხო უნივერსიტეტის შექმნა, სადაც ლექციების წასაკითხად მოიწვევედნენ გამოჩენილ მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. სოფლის იმდროინდელი ხელმძღვანელობა განსაკუთრებული ენთუზიაზმით არ შეხვედრია ახალგაზრდა ტექნოლოგის ინიციატივას. მაგრამ გ.შთირიშვილი იმათ რიცხვს როდი ეკუთვნის, რომლებიც პირველივე სიძნელის წინაშე ფარხმალს ყრიან. მან მაინც თავისი გაიტანა. ახლა

ვლადიმერ გოგოლაშვილი
სოფელში ცხოვრობს ახალგაზრდა

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის სახელი მარტო სქართველოში კი არა, მთელს საბჭოთა კავშირშია ცნობილი. სოფლის ხშირი სტუმრები არიან ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების ოსტატები. ბევრმა უცხოელმა ნახა შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმი, ორიგინალი იყალთოს ძველი აკადემიის შენობაშია მოწყობილი, სოფელში რელიგიური დღესასწაულის ნაცვლად ყოველ შემოდგომაზე ზეიმიანენ შოთაობას, ამ ზეიმში იყალთოელებთან ერთად მეზობელი სოფლებისა და რაიონების ახალგაზრდობაც იღებს მონაწილეობას.

გოგი შათირიშვილი სოფლის საყვარელი ადამიანი გახდა, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არავინ ამოსცემს. მახსოვს, ერთხელ იყალთოს ცენტრალურ ქუჩაზე მივდიოდით, ერთი თალხებიანი დედაკაცი შემოგვხვდა, გოგი გაიჩერა და დედაშვილურად გადაკოცნა.

— დაილოცოს შენი გამზრდელი, შენ შვილები გამიცოცხლო!

დედაკაცი რომ დაგვშორდა, უხერხულობისაგან წამოწოლებულ გოგის ეკითხე, ვინ იყო ის დედაკაცი და რატომ გადაკოცნა-მეთქი...

იმ დედაკაცს სამამული ომში სამი ვაჟაკაცი დაუკარგავს. გოგის ინიციატივითა და ხელშეწყობით შეკრიბეს იყალთოელ ომში წასული და დაღუპული 150 ვაჟაკაცის ფოტოსურათი და სტენდი მოაწყეს. ეს იყო შინმოუსვლელთა ერთ-ერთი პირველი სტენდი ჩვენს რესპუბლიკაში.

არ გეგონოთ, რომ გოგი შათირიშვილმა ყველაფერი ერთის ხელის დაკრით გააკეთა, სხვა რომ არ იყოს, რა, ის „ქალაქიდან ჩამოსული ბიჭი“ გახლდთ და სოფლელები ისე უცვნ არ გაუხსნიდნენ გულს. სამის კალაპოტში ჩაყენებასა და დაგვირგვინებას წლები, დიდი მოთმინება და ენერგია დასჭირდა. გოგი რამდენიმე წელს დადიოდა საკმაოდ „შეფერთხილი“ ბუკლეს პალტოთი, რაღაან ხელფასის დიდი ნაწილი მუზეუმისათვის ექსპონატებისა და ლიტერატურის შეძენას მიჰქონდა.

გოგი შათირიშვილი ერთადერთი არ არის საქართველოში. ასეთი ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეები სხვა სოფლებშეც გვყავს. ოღონდ ჩვენ, ჟურნალისტებს, ან ვერ მიგვიგნია მათთვის, ან თუ მივაგენით, კეთილი ღიმილით წაგვახალისებთ და ამით ვიმხიარულთ საქმეს. ისინი ცხოვრებას წინ სწევენ, პრესის დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ მხარი დაუჭიროს ახალს, ხელი შეუწყოს მის დამკვიდრებას.

სოფლის ახალგაზრდობის წინაშე ამაღამდგას მნიშვნელოვანი პრობლემა — კულტურული დასვენებისა და გართობის პრობლემა! ჩვენს ახალგაზრდობას (მის უდიდეს ნაწილს მაინც) შრომა არ ეზარება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან და ძნელ უბნებზე ახალგაზრდობა მუშაობს. შრომის საზღვარიც არ არის ურიგო. ანდ რომ, ახალგაზრდობა ძირითადად მატერიალურად კარგად არის დაკმაყოფილებული, რასაც ჯეროვანობით ეფერებიან სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

კლუბი და ბიბლიოთეკა თითქმის ყველა სოფელშია. თავისთავად ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. საკრძალო კულტურის ამ კერებს მუშაობის იმ დონეზე დაყენება, რომ იგი სრულად ეთანხმებოდეს ახალგაზრდობის სურვილებსა და მიდრეკილებას, სამწუხაროდ, სოფლის კულტურის კერები ხშირ შემთხვევაში არავითარ მუშაობას არ ეწევიან, ან თუ ეწევიან, შაბლონურად, მოძველებულად. შაბლონურს კი როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდობა არ ეტანება!

ახალგაზრდობის გართობისა და დასვენების ფორმების პოვნა საკმაოდ რთული.

თუ კარგად ჩავუკვირდებით ჩვენი ერის ხასიათსა და ტრადიციას, შეიძლება გამოვაკვლნთ ახალგაზრდობის გართობისა და დასვენების საუკეთესო ფორმები. ერთ-ერთ ასეთ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს სპორტი. ჩვენში ყოველი საერო თუ საეკლესიო დღესასწაულად სპორტულ შეჯიბრებებთან იყო დაკავშირებული. იმართებოდა ჯირითი, ჭიდაობა, ლელო, მშვილდოსნობა და სხვა სახის შეჯიბრებანი. ახალგაზრდობა ამ შეჯიბრებაში მარტო მკლავის სიმაგრეს კი არ ცდიდა, არამედ იძენდა მეგობარს, გულისწორს. სპორტი ფიზიკურ აღზრდასთან ერთად ასრულებს ზნეობრივი აღზრდის ფუნქციასაც. ახლაც ჩვენს სოფლებში ახალგაზრდობის ყველაზე მასობრივი თავშეყრის მიზეზი სპორტული ასპარეზობა ხდება ხოლმე.

საქართველო ყველაზე სპორტულ რესპუბლიკად ითვლება ჩვენს ქვეყანაში. ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენი სპორტული ორგანიზაციები უნაკლოდ მუშაობენ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ფიზიკური კულტურისადმი სიყვარული ქართველ კაცს ოდითგანვე ქვაზეა და რბილში აქვს გამჯდარი. იმათ, ვისზედაც არის დამოკიდებული სოფლის ახალგაზრდობის გართობისა და დასვენების მოწყობის საქმე, პირველ რიგში უნდა იზრუნონ სოფლად მჩქეფარე სპორტული ცხოვრების დამკვიდრებისათვის! როდესაც ცდებიან ზოგიერთი ადგილობრივი ხელმძღვანელები, რომ სპორტული მოედნის მოსაწყობად ან სპორტული ინვენტარის შესაძენად სახსრები ენანებათ და სპორტული მოედნის გადახვნასაც კი არ ერიდებიან.

რა თქმა უნდა, მარტო სპორტული სასახალხო ვერ დაკმაყოფილებს სოფლის ახალგაზრდობის სულიერი საზრდოობის მაღალ, რომელიც სხვათა შორის დღითიდღე უფრო და უფრო ძლიერდება. აქ ქალაქმაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები სოფლის იშვიათი სტუმარია. როცა ჩა-

დიან, არც მაშინ არიან ხელდამშვენებული. ეი თუნდაც ჩვენი დედაქალაქის თეატრების და ფილარმონიის მსახიობთა გამოსვლები! ახალგაზრდა მეჩიაეებს, მეეენახეებსა და მექანიზატორებს ზშირად გამოუთქვამთ უმაყოფილება იმის გამო, რომ თბილისიდან ჩასული მსახიობები სოფლის მაყურებლებს უმასპინძლდებიან იფასანი სკეტჩებთა და პაროდიებით. ნუ დაგვიგიწყდება, რომ ჩვენი სოფლელი ადარ არის·ის, რაც წინათ იყო, რომ ახლა სოფლელი მაყურებელი კარგად არჩევს ერთმანეთისაგან ნამდვილ ხელოვნებსა და ხალტურას. ერთი რუსი ეკონლელი ამას წინათ სმპრთლიანად შენიშნავდა, რომ სოფლის ახალგაზრდა ძველად ითხთვლიანი ტრაქტორი უფრო აკვირვებდა, ვიდრე ახლანდელი ზემძლავრი საკონტენტანტაშორისო რაკეტაო.

ამ ათიოდე წლის წინათ ჟურნალ „ნიანგში" დაიბეჭდა ერთი ნარკვევი-პაროდია, რომლის ვმრი — კოლმეურნეობის მწყემსი ვიოლინიზუ ულრავდა. ავტორი დასცინოდა იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ვარიფაფერი სიღებავებით ხატავდნენ ცხოვრებას. ჩვენი მეცხვარეები არც დღეს უკარავენ ვიოლინიზუ, მაგრამ მათს ცხოვრებაში მოხდა ბევრი რამ საგულისხმო. ეკონომიკ, ბევრ ფერმაში მწყემსები საღამოს ატარებენ ტელეეეზორთან, ნურც ის გაგიკვირდებათ თუ სადმე მთაში, ტრადიციული სალაშერის კენესის ნაცვლად შემოგესმებთ ულტრათანამედროვე სასტრაფო მელოდია (მწყემსებმა გემო ბაუეეს ტრანზისტორული რადიომიმღებებს).

ეს გარემოება სერიოზული ყურადღების ღირსია. ბევრ მეურნეობაში ჯერჯერობით უქირთ მეცხოველეთის ფერმებში ახალგაზრდობის სამუშაოდ გაგზავნა. კომკავშირული ორგანიზაციების აგიტაციასაც ვერ მოაქვს სათანადო შედეგი. აბა ვის სურს თვეობით მოსწყდეს თავის ოჯახს, მეეობრებს, კულტურულ ცხოვრებას და დასვენებას. მარტო თბილი ნაბადი, სალაშერი ან ფანდური ვერ დაკმაყოფილებს თანამედროვე ახალგაზრდის სულიერ მოთხოვნილებებს. თუ მწყემსებს ექნებათ კარგად მოწყობილი ბინა, სისტემატიკად უჩვენებენ კინოსურათებს, ექნებათ რადიო, ტელევიზორი, დროულად მიიღებენ ჟურნალ-გაზეთებს, მაშინ ახალგაზრდობა უფრო ხალისით მოჰკიდებს ხელს ამ ნამდვილად ძნელ და ეაკეაკეტურ საქმეს. ფოიელწყაროს, სიღნაღის, ყვარლისა და ზოგიერთი სხვა რაიონის რამდენნიმე კოლმეურნეობაში მწყემსებს ისეთი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ შექმნილი, რომ ქალაქელ კაცს შეშურდება. საბედნიეროდ, ასეთი მეურნეობები ჯერჯერობით თითზე ჩამოსათვლელია.

ახალგაზრდობა და ენთუზიაზმი სინონიმებია. ახალგაზრდობის შექმა, წაქეზება, ეულის გაკეთება სჭირდება. ამ დროს იგი უფრო მეტ ხალისითა და ენერგიით ეკიდება საზოგადო საქმეს.

დიდი ძალა აქვს მორალურ წახალისებას, ბაგრამ ახალგაზრდას ეულისა და გონების გარდა გააჩნია მატერიალური ინტერესებიც. ახალგაზრდობის წახალისების ღონისძიებათა კომპლექსიდან ზშირად გამორიცხულია ეს ძნიშვნელოვანი ეზანი. მატერიალური დაინტერესება სრულიადაც არ ლახავს ახალგაზრდის მაღალ საზოგადოებრივ შეგნებულობას. პირიქით — ეისაც თავისი ზრომა არაფრად ეღირს, ის ვერაფერს კარგად ვერ ეშრომებს.

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში ზარშნ კოლმეურნეობის კამეეობამ და კომკავშირის ორგანიზაციამ ახალგაზრდობის მატერიალური წახალისების მიზნით დაწესებულ ჯილდო — მსუბუქი ავტომანქანა. საკოლმეურნეო მინდვრებში, ზვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში ათობით ახალგაზრდა ეჯიბრებოდა ერთმანეთს. გამარჯვება ზილად ხდდ მეეხვარეობის ბრიგადის ხელმძღვანელს, საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტს გივი თანელიშვილს.

ენთუზიაზმისა და მატერიალური დაინტერესების შერწყმა საერთო საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანს!

სოფლის ახალგაზრდა ორლობიდან კარგანანია გამოვიდა თანამედროვე ცივილიზაციის ფართო შარაგზაზე. ეს ჩანს მათს ქცევაში, გარეგნობაში, ჩაცმა-დახურვაში. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ამ ბოლო წლებში კარგ ღონისძიებას ატარებს — ყოველ გაზაფხულზე იწვევს ახალგაზრდა მეჩიაეთა, მეეენახეთა, მეგბალეთა და მეცხოველეთა რესპუბლიკურ შეკრებებს. შეიძლება გაგიკვირდეს: ნუთუ ეს უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი და თმაშეკრეეული ქალიშვილები და ჰალუკები მუშაობენ პლანტაციებსა და ზვრებში, ნუთუ ისინი ებრძვიან წვიმასა და ქარბუქს იალაღებზე?

სწორედ ისინი!

ამ კოაწიად, ქალაქურ ყაიდაზე გამოწყობილი ახალგაზრდებს უფრო ზშირად სხეა გარემოებაში ნახავთ. აბა ერთი ზაფხულში ზიდით მეჩიაეებთან. ბაბანაეეზა სიცხესა და ზხაპუნს წვიმაში, ძმიმე კალთამოკოდებული, წელში მოხრილნი, ოფლში გახვეთქული კრეფენ ფოთოლს. ქალიშვილებს ის დღეებში უხეში ქსოვილის კაბები ან ზარვალები აცვიათ, უცხო კაცისათვის ხელის ჩამორთმეეაც ეერიდებათ, რადგან ამ ხელებს სინაზე დაუკარგავს, ჩამეზვანებულ-ჩაშავებული კოკრებთ არის დაფარული.

სასიამოვნო და საამაყოა, რომ ეს ძმიმე ზრომა სულიერად ვერ ტეხს, ვერ აბეჩავებს ჩვენს

ვლადიმერ გოგოლაშვილი
სოფელი ცხოვრება ახალგაზრდა

ახალგაზრდობას, რომ იგი ფიზიკური თუ გონებრივი ენერგიის უდიდესი დაძაბვის ფასად არ ჩამორჩება ცხოვრების წინსვლას. და როცა ვხედავთ მოდურად ჩაცმულ სოფლელ ახალგაზრდას, უნდა აღვივსოთ მისდამი პატივისცემით, ვიამაყოთ მისი შრომითა და სილამაზისადმი სწრაფვით.

სოფლის ერთი შეხედვით წყნარ, რიტმულ, აუღელვებელ ცხოვრებაში ბევრი ძვრა ხდება. ეს ძვრები, უპირველეს ყოვლისა, თავის გამოხატულებას პოულობს ახალგაზრდობაში, მის მოქმედებაში, მის წარმოდგენებსა და მოთხოვნილებებში. ამ ძვრებს ღრმა ჩაფიქრება და რეაგირება სჭირდება.

იტალიაში სამკურნალოდ მყოფი მაქსიმ გორკი სორენტოდან იწერებოდა, რომ, როცა იგი დაბრუნდებოდა საბჭოთა კავშირში, მთლიანად ჩაებმებოდა ჟურნალისტურ საქმიანობაში, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო ცხოვრებასთან, ახალგაზრდობასთან. დიდი საბჭოთა მწერლის ეს სიტყვები და ის პრაქტიკული მოღვაწეობა, რაც ამ სიტყვებს მოჰყვა, კარგი მაგალითია პრესის მუშაკთათვის. ვისაც სურს ცხოვრების შუაგულში ტრიალი, მისი გულის ძგერის უშუალო შეგრძნება, ის გვერდში უნდა ამოუდგეს ახალგაზრდობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯინჭველაშვილი

საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა

საქართველოს კომკავშირმა, რომელიც საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, შრომისა და ბრძოლის დიდი გზა განვლო. კომკავშირის ისტორიაში ბევრი სასახელო ფურცელი ჩაწერეს ქართველმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა, მთელმა ახალგაზრდობამ. საქართველოს კომკავშირის სახელოვანი ისტორიის ყოველმხრივ შესწავლას, მის მეცნიერულ დამუშავებას დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს კომკავშირის ისტორია“,[1] რომელიც მომზადდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტში, წარმოადგენს საქართველოს კომკავშირის ისტორიის ძირითადი მომენტების მეცნიერული გაშუქების პირველ ცდას. ნაშრომში ბევრი ახალი, მეტად ძვირფასი პარტიული და კომკავშირული დოკუმენტებისა და საარქივო მასალების საფუძველზე ახლებურადაა გაშუქებული საქართველოს კომკავშირის ისტორიის მთელი რიგი საკითხები, ნაწვენებია კომკავშირისადმი პარტიის ზრუნვა და ხელმძღვანელობა.

როგორც სარეცენზიო ნაშრომშია აღნიშნული, ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი დიდად იფასებდნენ ახალგაზრდობის ძალას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომ პარტიის ერთ-ერთი ზრუნვის საგანი იყო ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების შექმნა და გამოწრთობა. მოახლოებული რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკური კომიტეტების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ზედიზედ იქმნებოდა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციები რუსეთის ოლქებსა და რაიონებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ამიერკავკასიაში და სხვ. ახალგაზრდობის ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები. ახალგაზრდა რევოლუციონერთა კადრების პოლიტიკურ აღზრდაში თვალსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „პრავდამ“, რომელსაც მაშინ ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა.

წიგნში თანმიმდევრულად, სისტემატური სახით გაშუქებულია საქართველოს კომკავშირის ისტორია დაწყებული მისი ჩასახვიდან დღეგანდლამდე. ნაშრომის დიდი ღირსება ისაა, რომ საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და განვითარება, მისი მოღვაწეობა გადმოცემულია

---

1 „საქართველოს კომკავშირის ისტორია“ (**ავტორთა ჯგუფი:** ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ყვანია—ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნ. ჩახვაშვილი და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ვ. ქარუმიძე; **სარედაქციო კოლეგია:** გ. ანდრონიკაშვილი, გ. გელაშვილი, ვ. მერკვილაძე—ხელმძღვანელი, რ. მეტრეველი. წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს რ. მეტრეველს).

გამომცემლობა „ნაკადული“, ტირაჟი 5.000, გვ. 444, 1968 წ.). გამომცემლობის რედაქტორი მ. ამაშუკელი.

საკავშირო ახალგაზრდობათა ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიასთან შეიდრო და განუყოფელ კავშირები.

ნაშრომში შედგება ცხრა თავისაგან, თვითეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად. პირველ თავში, რომელიც ეხება საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობას 1917-1920 წლებში, კონკრეტული ფაქტიური მასალის საფუძველზე გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების შექმნა, კომკავშირის ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობა, საქართველოს კომკავშირი „ლეგალიზაციის“ პერიოდში და მისი გადასვლა არალეგალურ მუშაობაზე.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ბევრ ოლქსა და რაიონში დაიწყო ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა. ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობის შემდგომი გაფაფხორებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის VI ყრილობას (1917 წ. იელისი), რომელმაც მიიღო ისტორიული რეზოლუცია „ახალგაზრდობის კავშირების შესახებ“; VI ყრილობის გადაწყვეტილებას საფუძველზე საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, გაჩაღდა ენერგიული ბრძოლა ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების შესაქმნელად. საქართველოში ახალგაზრდობის პირველი რევოლუციური ორგანიზაცია „სპარტაკის“ სახელწოდებით შეიქმნა 1917 წლის სექტემბერში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ „სპარტაკელთა“ რევოლუციური ორგანიზაციები შეიქმნა ქუთაისში, სამტრედიაში, ხაში, ოზურგეთში, აბაშაში, სიღნაღში, ბათუმში, ლეჩხუმში, სოხუმში და სხვა რაიონებში; ამრიგად, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით 1919 წლის ბერელი ნახევრისათვის „სპარტაკის“ ორგანიზაციები საქართველოს თითქმის ყველ კუთხეში იყო შექმნილი, მიმწოფდა საკითხი „სპარტაკის“ ყველა ორგანიზაციის ერთ კომუნისტურ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ.

1919 წლის 31 მარტს ჩატარდა „სპარტაკის“ ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთოსაქალაქო კონფერენცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციას. იგი ამასთანავე ალიარებულ იქნა როგორც საქართველოს კომკავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ამრიგად, 1919 წლის აპრილიდან „სპარტაკის“ ორგანიზაციები გაფორმდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებად და დასაბამი მიეცა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის ისტორიას. წიგნში მეტად დამაჯერებლად არის გაშუქებული საქართველოს კომკავშირის მრავალმხრივი მუშაობა და ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. საქართველოს კომკავშირმა ამ მეტად ძნელ პერიოდში მუდმივ ხელმძღვანელობასა და დამარბევს უუნდნენ პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები სერგეი კიროვი, სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, ანასტას მიკოიანი და სხვ. ქართველ ახალგაზრდობას წარმატებით ხელმძღვანელობდნენ პარტიის სახელოვანი შვილები ბორის ძნელაძე, გიიორ დეკდარიანი, დავით კაჭარავა, იაში ოქოყი, ამასი ამირბეგოვი.

ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები ის ხელმძღვანელი როლი, რაც შეასრულა საქართველოს კომკავშირულთა ორგანიზაციამ ამიერკავკასიაში ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის განვითარებისათვის. ამის დამადასტურებლად წიგნში მეოთხეული ბეჭრ სანინტერესო მასალას იპოვის. მაგალითად, 1920 წლის მაისში მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ სომხეთის დაშინაურება მთავრობამ სასტიკად გაანადგურა როგორც პარტიული, ისე კომკავშირული ორგანიზაციები. კომკავშირის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მითითებით, დაავალა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტს ხელმძღვანელობა გაეწია სომხეთის კომკავშირის ორგანიზაციისათვის. და მან ეს დაალაგა ბაზეკინაველად შეასრულა.

„ყველანი დავიღუნებით, მაგრამ გავიმარჯვებთ!“ —ასეთი იყო საქართველოს კომკავშირის ლოზუნგი მეზუბეგეზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების დღეებში. საქართველოს მშრომელი ხალხის, ახალგაზრდობის თავგანწირულმა ბრძოლებმა თავისი შედეგი გამოიღო—1917 წლის თებერვალში თბილისში აფრიალდა კომუნიზმის დიადი დროშა. წიგნის ფურდეცენი ფრსება ისაა, რომ მასში სავსებით სამართლიანად ხაზი აქვს გასმული ის გარემოებას, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში საქართველოს კომკავშირი თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე მხარში ედგა კომუნისტურ პარტიას და ყველა და ყოველგვარი განსაცდელის ჟამს მისი სიმტკიცე მებრძოლი თანაშემწე იყო.

მეოთხეული ბეჭრ დამახასიათებელ მასალას იპოვის წიგნის მეორე თავში, სადაც განხილულია საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლაში, ნათლად არის ნაჩვენები ის უდიდესი როლი, რაც შეასრულა საქართველოს კომკავშირის IV (პირველი ლეგალური), V, VI VII ყრილობების გადაწყვეტილებებმა კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, ახალგაზრდობის აღზრდასა და სამეურნეო მშენებლობის ფრონტზე საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში მათი აქტიური ჩაბმისათ-

ვის. ხელმძღვანელობდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული საქმიანობით ახალგაზრდობის აღზრდა, — საქართველოს კომკავშირის მთელი შემდგომი მუშაობის ღერძად და დედაზრად გადაიქცა.

საქართველოს კომკავშირმა თავისი გაბედული სიტყვა თქვა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გეგმის შესრულებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში (წიგნის მე-3 და მე-4 თავები). ამ წლებში წარმოიშვა და შემდგომ ფართოდ გავრცელდა სოციალისტური შეჯიბრება. ისევე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი გახდა ლენინური კომკავშირი. შეჯიბრების პირველი წამომწყებნი იყვნენ თბილისის ორთქლმავალგაგონშემკეთებელი ქარხანა, 26 კომისრის ქარხანა, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროების და მრავალი სხვა მოწინავე საწარმოს ახალგაზრდა მუშები, კომკავშირელები. ასევე დიდი იყო კომკავშირის როლი სახოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთი სიტყვით, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ნაშრომში, მეტად მრავალფეროვანი და სისხლსავსე იყო საქართველოს კომკავშირის ცხოვრება სოციალიზმის ყველა ფრონტზე შეტევისა, ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების შექმნის პერიოდში. კომკავშირმა თავისი მოღვაწეობის ყველა უბანზე ახალ-ახალი სამეირო ფურცლები ჩაწერა თავისი სახელოვანი ისტორიის მატიანეში.

დიდია საქართველოს კომკავშირის წვლილი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის ბრძოლაში, რაც მეხუთე თავშია გაშუქებული; აქ მკითხველი ნახავს იმის მკაფიო აღწერას, თუ როგორ გამოიჩინეს თავი კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ მეორე ხუთწლიდის ახალ მშენებლობებზე ტექნიკის ათვისებისათვის ბრძოლაში, სტახანოვურ მოძრაობაში, საკოლმეურნეო წყობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ყველა გადამწყვეტ უბანზე კომკავშირი იჩენდა თავის ინიციატივას, რაზმავდა ახალგაზრდობის ფართო მასებს მშენებლობის დროზე დამთავრებისათვის, როგორ|ჰესის მშენებლობაზე კომკავშირმა გაგზავნა 2.500 ახალგაზრდა, ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხნის მშენებლობაში ჩაბმული მუშათა 90 პროცენტზე მეტი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა იყო; კომკავშირის მუშაობა შეიღერად იყო ავრეთვე დაკავშირებული მთელი რიგი სამრეწველო საწარმოს რეკონსტრუქციის განხორციელებასთან.

როგორც ცნობილია, პარტიამ მეორე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის დარგში ცენტრალურ ამოცანად წამოაყენა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების ამოცანა. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ინტერესები პარტიულ-პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა კიდევ მეტი ენერგიითა და თავდადებით მუშაობას, კოლმეურნე გლეხთა აქტივობის შემდგომ ამაღლებას. კომუნისტებთან ერთად კომკავშირელები სოფლის მეურნეობაში ყველაზე მოწინავეთა რიგებში იყვნენ, ასარჯვდნენ ავანგარდულ როლს. ათეულობითა და ასეულობით კომკავშირელი გახდა საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორი. საქართველოს კომკავშირი ყოველწლიურად ახალ-ახალ ღონისძიებას სახავდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად. კომკავშირი იყო ჩაის კულტურის შეფი და ამ მოვალეობას იგი სასახელოდ ასრულებდა. ერთი სიტყვით, როგორც წიგნშია აღნიშნული, საქართველოს კომკავშირი ერთგულად ედგა პარტიის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლეურნეთა მასების სოციალისტური აღზრდისათვის ბრძოლაში მეორე ხუთწლედის წლებში და საერთად სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

აკტრონი განიხილავენ საქართველოს კომკავშირის ისტორიას სოციალისტური სახოგადოების განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლის პერიოდში — 1937-1941 წწ (მეექვსე თავი). აქ ლაპარაკია კომკავშირის ახალ ამოცანებზე, შინაკომკავშირული დემოკრატიის ფართოდ გაშლაზე, კომკავშირის მონაწილეობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, კომკავშირის ბრძოლაზე საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილოის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამ თავში მოყვეულ, მაგრამ მთელი სიცხადით არის ნაჩვენები თუ როგორ შრომობდა მთელი თავისი ახალგაზრდულობა. უშრეტი ენერგიით კომკავშირი პარტიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სოციალისტური სახოგადოების განმტკიცებისა, და განვითარებისათვის ბრძოლაში.

წიგნის სპეციალურ თავში (VII), რომელშიც გაშუქებულია საქართველოს კომკავშირის ისტორია დიდი სამამული ომის პერიოდში, ავტორთა ადგილ ნაჩვენები, რომ ისევე როგორც მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, ისევე ომის პერიოდშიც საქართველოს კომკავშირმა, მთელმა ახალგაზრდობამ პირნათლად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული ვალი, როგორც ბრძოლის ველზე, ავრეთვე ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობები გმირული, თავდადებული შრომით. მარად უკვდავია ლენინური კომკავშირის აღზრ-

მიხეილ ჯიბლაძელაშვილი
საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა

ფილთა — დიდი სამამულო ომის გმირთა სახელები. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მუშა და კოლმეურნე, კომკავშირელი და ახალგაზრდა წავიდა ფრონტზე ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს კომკავშირის 150 ათასმა წარგზავნილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, სტალინგრადის, კიკკასის დაცვაში და ბერლინისათვის ბრძოლებში. 134 ქართველმა ჯარისკაცმა, ოფიცერმა და გენერალმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება დაიმსახურა. მათი უმრავლესობა კომკავშირელი და კომკავშირის აღრიცხვილია.

სარეცენზიო ნაშრომში მკითხველი ნახავს იმის მკაფიო აღწერას, თუ რა უანგარო სიყვარული და ერთგულება ამოძრავებდა საშობლოს გმირ დამცველებს მამულისადმი. ამის საილუსტრაციოდ ავტორებს ბევრი მაგალითი აქვთ მოყვანილი. ინ თუნდაც თბილისელი ვახტანგ მიქელაძის წერილი კომკავშირის ეიროვის რაიონული კომიტეტისადმი. იგი წერდა: „კომკავშირელებისადმი მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინეთ, დაე, თვითეულმა ახალგაზრდამ იცოდეს, რომ კომკავშირელი ბილეთის წმინდად ტარებისათვის მზრომელია სისხლი დაიღვაროს საამოკაჟო ომში და სისხლი იღვრება ახლა საყვარელი სამშობლოსათვის“. და მართლაც, ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი მომთხოვნელობა და მტერზე გამარჯვების დაუოკებელი სწრაფვა არასოდეს დაავიწყდებთ მოსკოვისა და ლენინგრადის, სტალინგრადისა და სევასტოპოლის, ოდესისა და ბრესტის ციხე-სიმაგრის ერგიული დამცველებს. მათ რიგებში იყვნენ ზოთა გამცემლიე და ვასილ პეტროიაშვილი, თინა იოსებიძე და ჭიჭვიკ ზენდელიანი, ნიკოლოზ შიიშვილი და ზოია ოუხაძე; რომელ ერთს ჩამოთვლი. ყველა ისინი ლენინურ კომკავშირში ვამოწრთობილნი იყვნენ, კომკავშირმა ჩაუნერგა მათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

როგორც ცნობილია, გერმანელ ფაშისტებმაყოროობთა განადგურებაში დიდი როლი შეასრულა პარტიზანულმა მოძრაობამ. მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე კომკავშირელები მასობრივად შედიოდნენ პარტიზანულ რაზმებში, სპობდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, აფეთქებდნენ ხიდებს, სამხედრო ეშელონებს... ათასობით ქართველმა კომკავშირელმა და კომკავშირის აღრიცხვილმა მიიღო მონაწილეობა პარტიზანულ მოძრაობაში, როგორც ფაშისტების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, საფრანგეთისა და სხვ. ქვეყნების ღრუბით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ავტორთა კოლექტივს ყოველივე ამაზე მკაფიოდ აქვს მოთხრობილი სპეციალურ ქვეთავში.

წიგნში ასევე კარგად არის ნაჩვენები საქართველოს კომკავშირის მონაწილეობა ომამდე პერიოდში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში და კომკავშირელთა ინიციატივა ფრონტისა და წინელი არმიისადმი საყოველთაო-სახალხო დახმარებაში. საგულისხმოა თუნდაც ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელმა ორგანიზაციებმა თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად სახელმწიფოს გადასცეს 811 მილიონი მანეთი, რესპუბლიკის მრეწველობაში შეიქმნა 1279 კომკავშირული ახალგაზრდული ბრიგადა, რომელთაგან 357-ს საფრონტო ბრიგადის წოდება მიენიჭა.

ნაშრომში ფართოდ და საინტერესოდაა გაშუქებული საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობა ომისშემდგომ პერიოდში (მერეკე თავი). დამაჯერებელი ფაქტებითა და მაგალითებით გადმოცემულია კომკავშირული ორგანიზაციების თავდადებული მუშაობა მეთოხე და მეხუთე ხუთწლიანი გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, ნაჩვენებია მთელი კომკავშირის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მოღვაწეობა. საინტერესო წიგნის უკანასკნელ თავში საქართველოს კომკავშირი დახასიათებულია, როგორც კომუნისტური პარტიის აქტიური თანაშემწე კომუნიზმისათვის ბრძოლაში (1959-1968 წლები). აქ ხაზგასმულია, რომ სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა შეედგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რამაც ფართო გასაქანი მისცა ახალგაზრდა თაობისა და მისი ავანგარდის — ლენინური კომკავშირის აქტივობას, შემოქმედებით ინიციატივასა და თვითშემოქმედების ზრდას. ნაშრომში გადმოცემულია საქართველოს კომკავშირის მოღვაწეობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში, კერძოდ, პარტიის პროგრამისა და პარტიის XXII და XXIII ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. ვანგელო შეიდწლედი ჩვენმა ქვეყანამ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდა ლენინური კომკავშირი და მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი სა-ქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია. რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები უფრო ღრმად იჭრებოდნენ საწარმოთა ცხოვრებაში, მეტი აქტივობით იბრძოდნენ წარმოების ნაყოფიერების ამაღლებისათვის, წარმოების შინაგანი რეზერვების გამონახვისა და ამოქმე-

დებისათვის, ახალგაზრდობის იდეური აღზრდისათვის, მისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამის საილუსტრაციოდ წიგნში ბევრი ჩაფიი მაგალითი და ფაქტი მოყვანილი.

ამყამად ლენინურ კომკავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებაში. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის, როგორც ეს სარეცენზიო წიგნში სწორადაა აღნშნული, ფართო და აქტიურ მუშაობას ეწევა სრულიად საკავშირო ალკკ-ს ერთ-ერთი ძველი და მებრძოლი რაზმი — საქართველოს კომკავშირი. საქართველოს მშრომელებს, მათ შორის ახალგაზრდობას, დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში, რის გამო საქართველო მეორედ დაჯილდოდა ლენინის ორდენით. ამისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. საქართველოს სს რესპუბლიკის ლენინის ორდენის გადაცემისათვის მიძღვნილ საზეიმო კრებაზე 1966 წლის 1 ნოემბერს, სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საქართველოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, ჩვენ ყოველთვის ვხედავთ კომუნიზმისათვის ბრძოლის წინა ხაზზე“.

საქართველოს კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასა და ახალი ადამიანის ფორმირებაში. ამის თავდებია ჩვენი ახალგაზრდა მეფოლადეებისა და მეჩაიეების, მეავტომობილეებისა და მეევნახეების, შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოველდღიური სახალხო შრომითი წარმატებები.

„საქართველოს კომკავშირის ისტორია“ დიდი წვლილია ლენინური კომკავშირის ერთ-ერთი ძველი და მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომკავშირის ისტორიის მეცნიერულად დამუშავებაში. ჩვენი კომკავშირის ისტორიის შესწავლა კომკავშირელებს, ყველა ახალგაზრდას აღუძრავს კანონიერი სიამაყის გრძნობას კომკავშირისათვის, როგორც პარტიის სიმამღერ რეზერვისათვის, სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებისათვის, იმის სურვილს, რომ მთელი თავიანთი ძალები, ნიჭი და უნარი კომუნიზმის მშენებლობის საქმეს მოახმარონ.

„საქართველოს კომკავშირის ისტორია“ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს კადრებს, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, კომკავშირელთა ფართო მასას, ინტელიგენციას, სტუდენტ ახალგაზრდობას პოლიტიკური აღზრდისა და გამოწრთობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუჟი

მუხრან მაჭავარიანის პოეზია

მუხრან მაჭავარიანი ქართველი მეცოხველი საზოგადოებისათვის ამ ორი თუ სამი წლის წინათ გახდა ცნობილი. მან პირველსავე ლექსებში გამოამჟღავნა საკუთარი გზის ძიების უნარი. მ. მაჭავარიანის კალამი ყოველთვის პოეტობს საჭირო და ღონიერ სიტყვას ნაფიქრ-ნაგრძნობის გადმოსაცემად. პოეტის ლირიკული ხმა მშვენარე და ომახიანია. მის ლექსებში იშვიათად შეხვდებით ტრაფარეტულ გამოთქმებს. სიყვარულზე წერს, შეშენდოლაზე თუ სულხან-საბა ორბელიანის ქარაშხლიან ცხოვრებაზე, მ. მაჭავარიანი ყოველთვის ახერხებს სათქმელს თავისებური ფორმა მოუნახოს. როცა პოეტი რიხიანად ამბობს, ამ ეიწრო ქეიშში კომუნიზმი ვერ შემოტეხეო, თქვენ ნათლად გრძნობთ, რომ კომუნიზმი არის ბედნიერება და სიკეთე, განსახიერება ახოვნებისა, ტიტანურობისა, რომელიც მძლავრად მოაბიჯებს, ფფრთოვებს ჩვენს ცხოვრებას და დიად ნათელს ამკვიდრებს.

მ. მაჭავარიანის ყოველ ახალ ნაწარმოებში არის რაღაც ახალი და თავისებური, მაგრამ მ. მაჭავარიანის ორიგინალობა მანერული როდია, პირიქით, მისი ლექსები სადაა, მკითხველისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი. ამას ადასტურებს თუნდაც ფართოდ გავრცელებული ლექსი „კომუნიზმი“, რომლის საერთო იდეაზე ზემოთ ვილაპარაკეთ და რომლის რამდენიმე სტრიქონი მოგვყავს აქ, როგორც შემოქმედებითი ინდივიდუალობის ნიმუში:

— ამ ვიწრო ქეიშში კომუნიზმი ვერ
შემოეტევა! —
სახლებმაც იფიქრეს და სახლთა
პატრონებმაც:
ქუჩის დასაწყისთან მოდგა კომუნიზმი, —
ელვის უსწრაფესად ქეიშები ფართოვდება.
კომუნიზმს შემოიყვანს ვერც ეტლი, ვერც
ურემი, —
მას შემოგვამზეცებს გრძმედების სითაკარე;
ის შემობრძანდება ფოლადის სილაპლაპით
და მოიკალთებს სუყველანაკ... შინ და
გარეთ.

მ. მაჭავარიანის პოეზია, რომელიც ესოდენ მდიდარია გამომსახველობითი საშუალებებით, გამსეკვლეულია ეპოქის სულისკვეთებითა და ტენდენციით. ეს შემთხვევითი როდია. რამდენადაც ნიჭიერია პოეტი, მით უფრო მეტად არის იგი საუკუნის მოწინავე იდეების მატარებელი. იმდენად უცსოა მისთვის სანტიმენტალიზმი, ინდივიდუალიზმი, ვიწრო კამერული, ღრმა ადამიანურ განცდებს მოკლებული ლექსი. ცხოლად იმ ნაწარმოთეს ეძლევა ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა და მხოლოდ ის ლექსი იმსახურებს საერთო სიმპათიას და საყვარელს, რომელშიც გამოთქმულია ღიდი აზრები და მკითხველს ეხმარება საგზებისა და მოვლენების გაარჩევაში. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო მ. მაჭავარიანის ლექსები: „ულადიმერ ლენინი“, „ლენინის ქეიშ“. „ხალხი მარადისაა“, „ომრავლეთ, დატკბით“ და სხვ. დაწერილი მასებისათვის და არა რამდენიმე კაცისათვის. ისინი მკითხველს ამაღლებს შინაგანად, მსგავლავს მეგობრობის ღრმა და კეთილშობილი გრძნობით, სიკეთისათვის ბრძოლის ინტერესით, ანიჭებს სიხარულს და კმაყოფილებას. პოეზიის ამოცანაც ხომ ესაა.

როდესაც პოეტი ბუნებაზე მოგვითხრობს, მან ჩვენში უნდა აღძრას მისი სიყვარული, ისევე როგორც ადამიანებზე წერასას მისდამი თანაგრძნობით და პატივისცემით უნდა განგვაწყოს. სწორედ ამ ემოციებს იწვევს ნ. მაჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარიანის ნაწარმოებები. მათგან პირველ რიგში გვინდა დავასახელოთ „ვლადიმერ ლენინი“, რომლის ყოველი სტრიქონი გამბარია ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ვლადიმერ ილიას ძე ლენინისადმი რწმენითია და განუზომელი სიყვარულით. მასში დიდი მხატვრული ძალით იგრძნობა ჩვენს პლანეტაზე ჩაგრულთა გამათავისუფლებლის ტიტანური ნებისყოფა და ინდამატური მიმზიდველობა, ჭეშმარიტი სიდიადე. ლენინის სახელთან განუყოფელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყველა გიგანტური წარმატება. ძლევამოსილი და სრულქმნილება, ეროვნული კულტურის აყვავება და საყოფ-ცხოვრებო ბედნიერება.

სახელი, რწმენა გამარჯვების მარად რომ
ანთია,
ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში
გამოვლენილი,
სახელი იგი, — სიცოცხლე რომ უწოდა
ხალხმა,
ნუგეში მუშის, — ოკეანის გამოლმა, გალმა,
ვლადიმერ ლენინი!
ახსენე მხოლოდ —
და წყვდიადში იფეთქებს შუქი;
ახსენე მხოლოდ —
და გვალვაში დაეშვებს წვიმა;
ახსენე მხოლოდ —
გზას დაგითმობს მძაფრი ქარბუქი;
ახსენე მხოლოდ —
და გაობები, როდესაც გცივა.

აქ ყოველი სიტყვა ტევადი და ხატოვანია, მხატვრული სახის დონემდეა აყვანილი.

მ. მაჭავარიანის ლექსებში თქვენ ვერ ა-ღმოაჩენთ ქანგმოკიდებულ სიტყვას ან ფრაზას. პოეტი სიტყვას, საერთად პოეტური ფორმის დაუცხრომელ ძიებაშია, ეძებს იმატომ, რომ უფრო მოზდენილად და მარტივად გამოთქვას თავისი შეხედულებები და თვალსაზრისი ცხოვრებასა და გარემომცველ სამყაროზე. მის ლექსებში სიტყვა იმდენად ზუსტად გამოხატავს აზრს, რომ შეუძლებელია მისი სხვა სიტყვით შეცვლა. საკმარისია სულ უმნიშვნელო ცვლილება, რომ ლექსმა დაკარგოს თავისი პირველდელი პლასტიკურობა და სუბსტანციური ღირებულება.

მ. მაჭავარიანის ლექსის სტრიქონები უაღრესად კომპაქტურია, მათ შორის ცარიელი ადგილი, ჰაერი დარჩენილი არ არის. მაგალითისთვის დავასახელებთ ლექსს „ლენინის ქუჩა“, რომელშიც ლაპარაკია ამერიკელი ცხოვრების მეორე მხარეზე და ნაჩვენებია უბრალო ამერიკელების სოციალურ უბედურებისაგან თავის დაღწევის რეალური გზა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მ. მაჭავარიანმა საკგიტაციო-პოლიტიკურ ქანრში სრულიად ახალი რიტმი შემოიტანა.

გაზეთში ეწერა:

„იზრდება ოელ-სტრიკზე უმუშევართა
ტალღა!“ —
უმუშევარო!..
რაც უნდა გერქვას შენ:
ჯეკი, მარტინი, გინდ ჯონი! —
ვიცი: დამშეულნი, გამათხოვრებულნი...
რესტორანთან დგახარ ახლა.
— რატომ?!
— აი რატომ:
მანდ, ამერიკაში, არ არის ლენინის ქუჩა!
ვიდრე არ გაჩნდება მანდ ლენინის ქუჩა, —
მშიერი იქნები, ჯონ!
— დაარქვი ბროდვეის ლენინის ქუჩა!
— ძნელია?!
— არ არის შიმშილზე ძნელი!
დაარქვი, თუ გინდა იცხოვრო კაცურად,
დანაყრდე, გმართო წელი!

ეს ლექსი და პოეტის სხვა ლექსებიც (აქ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ზემოსსენებული ნაწარმოებები, არამედ ეგრეთვე „სტალინგრადის დღე“, „საბა“ და სხვა.) გამოირჩევიან ქართული ლექსისათვის ადრე უცნობი ლექსთაწყობის ზომით, სიმტკიცითა და არქიტექტონიკით, მელოდიით, რაც დაფუძნებულია სიტყვებისა და გამების თავისებურ მონაცვლეობასა და ურთიერთკავშირზე.

დიდი პოეზია დიდი საზოგადოებრივი სუნთქვის გარეშე არ არსებობს. ამიტომ მისი წვრილმანებზე დახურდავება, ფუჭ საქმეებზე გამოყენება დანაშაულია.

ამ მაღალი შეგნებით არის აღბეჭდილი მ. მაჭავარიანი. მისთვის დამახასიათებელია ცხოვრების ოპტიმისტური ხედვა და შემართება:

ცხოვრება ჩვენი ბედნიერი არის, იმდენად,
იმდენად არის ძვალმაგარი ჩვენი ცხოვრება,
რომ არც მუსიკა,
რომ არც ლექსი,
რომ არც სიმღერა —
ჩვენ უიმედო
არაფერი მოგვეპოვება!
ყოველი ჩვენი სიმღერა და ყოველი ლექსი
უმღერის ჩვენი გაქანების უსაზღვრობას;
ახლა,
როდესაც ვოლგა-დონის ხმაური გვესმის,
ახლა,
როდესაც მწყობრში დგება ურიცხვი ჯეხი,—
ტირილის ნებას არ იძლევა ჩვენი ცხოვრება!

ვლადიმერ ჯიბუტი
მუხრან მაჭავარიანის პოეზია

მ. მაჭავარიანის უდიდესი სურვილია მისი ლექსი შეიცავდეს მთლიანად ცხოვრებას—მთელი თავისი სიდიადით, სიხარულით და ტკივილებით, მოიცავდეს ბუნებას, დამახასიათებელი მრავალფეროვნებით, მშვენიერებათა და კონტრასტებით. და ეს არა მარტო მისწრაფებაა, არამედ განხორციელებული ოცნება. ამის დასტურებს მისი ლექსები, რომლებშიც მძლავრად ჟღერს სიცოცხლის ცხოველმყოფელი მოტივები.

პოეტი, რომელსაც უნდა გულში მთელი ქვეყნის ჩაკვრა, ერთ-ერთი ლექსში („ვიტყვე") ამბობს:

ავხედავ ზეცას,
დავხედავ მიწას,
ვიტყვი:
სიკვდილი
ჭორი!
ჭორი!

მართალია, აქ სიცოცხლის უკვდავების იდეა მეტაფორებით არ არის შემკული, მაგრამ უაღრესად შთამაგონებელია. ეს იმიტომ, რომ გულწრფელად არის გამოთქმული. გულწრფელობა და სისადავე კი პოეზიის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ლექსში „იმრავლეთ, დატკბით" პოეტმა კალმის ერთი მოსმით გამოხატა ჰარმონიული სიცოცხლისადმი საოცარი ტრფიალი. „სიცოცხლის გარდა, — ჯან ღონის გარდა, რწმენის გარდა,— სიმტკიცის გარდა, არა მინდა რა." სიცოცხლის რწმენის ასეთი მრწამსი მხოლოდ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღ ადამიანს აქვს. სწორედ ამით იხსნება, რომ მის ლექსში ასე მძლავრად ხმაურობს სიცოცხლე და ცხოვრება, მთელი ძალით დაგმობილია სულმდაბლობის საწყისება. პოეტი მოგვიწოდებს.

უბრალოება,
სათნოება
ავწიოთ მაღლა.

ადამიანი რამდენად უბრალო და მოკრძალებულია, იმდენად სრულქმნილია, ბუნებრიობა საჭიროა არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ყოფაცხოვრებაშიც — აი ამ ლექსის ძირითადი იდეა, ჩამოყალიბებული გარკვეულად.

მ. მაჭავარიანის გამჭვირვალე და შინაარსიან შემოქმედებაში ყველაზე მთავარი ადგილი კომუნიზმის თემას უჭირავს. პოეტისათვის დიდად დამახასიათებელია კომუნიზმის მშენებელი ხალხის სიყვარული.

ვენაცვალე ხალხს,
რომელიც გულს სინათლით მივსებს,
ვინც ამაყად მიაბიჯებს კომუნიზმის გზაზე.

ლექსში „ახალი წელი" გამოხატულია მისწრაფება კომუნიზმისადმი, როგორც ცხოვრების უმაღლესი სიკეთისადმი, რომელიც „ღრე-ღრეზე, აგერ-აგერ გველის.

დდე კომუნიზმის,
მახლობელი და არა შორი.

ლექსში, „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთველის ლანდი" პოეტი ასახავს თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ დეტალებს, მის მღელვარე ყოფას, აღიდგმს კოსმოსში შეჭრილ ადამიანებს.

ეჭო მიმართავს პოეტს:
— ან გამოხატე ეპოქა შენი,
ანდა წერაზე აიღე ხელი!
ამოირჩიე ორიდან ერთი! —
სხვა გზა არც იყო,
არც არის შენთვის!

მ. მაჭავარიანის შემოქმედებითს ნიჭს ჩვენ სწორედ იმაში ვხედავთ, რომ მისი პოეზია გამოხატავს საზოგადოებრივ პათოსს, სუნთქავს და ცოცხლობს თანამედროვე ადამიანის სიხარულით და უპასუხებს ხალხს მოთხოვნებსა და მის იდეალებს. პოეტი გამოთქვამს აზრს, რომ ადამიანის მოუსვენარი ბუნება ვერ ურიგდება უძრაობას, გაყინულ წერტილს, ერთხელ დადგენილ დოგმებს, მისი გონება მუდამ ძიებაშია და ისწრაფვის სიახლისაკენ, სამყაროს იდუმალების შეცნობისაკენ. ეს შეუნელებელი სწრაფვა განაპირობებს მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფულ წინსვლას. და, რაც მთავარია, ადამიანის გონების ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, აფაროთოებს პოეზიის ჩარჩოებს, წარმოდგენას ყოფიერებასა და ბუნებაზე, ამდიდრებს და ალრმავებს პოეტის ემოციურ სამყაროს.

ვგრძნობ:
ბევრი გრძნობა დავკარგე ძველი,
ვგრძნობ:
ვიძენ გრძნობებს —
სრულიად ახალს...

ლექსი, რომლის იდეა მკითხველის ცნობიერებისათვის მიუწვდომელია, არ შეიძლება შეშმარიტ პოეტურ ქმნილებად ჩაითვალოს. ვამბობთ ამას და არ გვგონია, რომ მხოლოდ ის პოეტური ნაწარმო

სრულფასოვანი, რომელშიც მკითხველი ყველაფერს ერთბაშად აღმოაჩენს. მ. მაჭავარიანის ლექსებმა თავისი უშეალობით მიიპყრო ყურადღება. მის ნაწარმოებებს მკითხულობთ თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მაგრამ პოეტის ქმნილების მთელი ღირსება მარტო ეს როდინა. მონტესკიე ამბობდა, საქმე ის კი არ არის, მკითხველს წააკითხო შენი ნაწარმოები, საქმე ის არის,

ფიქრი აიძულოო. მ. მაჭავარიანი სწორად ამ უნარით არის დაჯილდოებული. მისი ლექსები გამოირჩევიან ლაკონური ქვეტექსტებით, ამას მოწმობს თუნდაც „ზღვიდან ამოდის ხოლმე ამ დროს რუსთველის ლანდი“, რომელშიც ლირიკული ნიუანსებით გამოხატულია ყოველივე, რაც პოეტს აღელვებს და აფიქრებს.

მ. მაჭავარიანის პოეზია ეს არის ზმე და სინათლე, გაზაფხული, მიძინებულ ბუნებას რომ აღვიძებს და მთა-ბარს ნაირ-ნარი ფერებით მოსავს, სიცოცხლის ხალისით რომ ავსებს ყველას და ყველაფერს. ზმე საოცარი კანონზომიერებით ამოდის და ჩადის. მაგრამ პოეტს მხოლოდ მისი ამოსვლა იზიდავს, რადგან ამ დროს წყვდიადი ქრება და ადამიანს სიცოცხლის საზეიმო განწყობილება ეუფლება.

მაგალითისთვის ამ დავასახელებთ ლექსს „ამოვიდა ზმე“. ეს არის ზმისა და განთიადის ჰიმნი, დაწერილი ისეთი ძალით, რომ შეუძლებელი მან გავლენა არ მოახდინოს ისეთ ადამიანებზეც კი, რომლებიც ყველაფრის მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მაგრამ უჭკობესია მოუუსმინოთ თვით პოეტს: „ზმე ამოდის... ღამის ბინდი ფეხთარეკით მიდის... — არ იქნება არ ამღერდე, — თუ გაქეს წვეთი სისხლი... — რა მეოდნა პაწაწინა, ცეროდენა ჩიტის, — მაგრამ მაინც გიხარია, რომ ჭიკჭიკებს ისიც... ზმე ამოვიდა, — ამოძრავდა ძარღვებში სისხლი, ამოტეტივდა დედამიწა იმგვარად თვალწინ, — თითქოს ძველ სურათთა ედო მტვერი მტკაცელი სისქით, — და მოწიწებით გადაწმინდა კეთილმა კაცმა. რა ფერებია!.. გაიზრდაცა არის რა კარგი! — ერთი შეხედე!— კიდევ ერთხელ შეხედე ერთი! — დედამიწაზე უკეთესი რა უნდა ნახო, რა უნდა ნახო განთიადზე ტკბილი და კარგი; შეხედე! — ცაში ზმე პაწია ვარსკვლავებს აკრობს, — ცა დედამიწაზე არის სარეკ, კრიალა სარეკ“. მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში მოქმედება ეთორგდება მხოლოდ და მხოლოდ ზმის სინათლეში, ყველაფერი მოცულია კოსმოსის ამ უზარმაზარი ძალის სხეებით. ამით იგი მკვეთრად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ ძალისადმი, რომელმაც დასაბამი მისცა სიცოცხლეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბის პოეზიაში ელვარე სახეების გამოყენება თანამედროვე ყოფაცხოვრების სიდიადით არის ნაკარნახევი.

მ. მაჭავარიანის ლექსის მეორე თავკერი კომპონენტია ბიწა, რომელიც სამყაროს ცოცხალ ორგანულ სხეულ შეადგენს და რომლის სიუხვე ამხნევებს პოეტს. იგი ადიდებს ზმესა და ბიწას, როგორც ობიექტურ რეალობას, რომელიც არაგბის დამშილის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად:

დიდება ბიწას,
ზმეს დიდება,
ჰაერს დიდება!

სუნთქვას მიდდებს,
ბულს მიმხნევებს სიუხვე მათი...

მართალია, მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ზმე და ბიწა უმაღლეს ამოთეოზშია მოცემული, მაგრამ მისთვის მაინც უცხოა დეკადენტური ნეიდის მოხრა მათ წინაშე. მ. მაჭავარიანი, უმღერის რა ზმესა და ბიწას, როგორც სიცოცხლის პირველად წყაროს, იქვე დიადი შარავანდედით მოსავს დედამიწის მარადიულ მშვენებას — ადამიანს, აზრსა და შინაარსს რომ აძლევს მთელ სამყაროს, ვინც თავისი შრომით საერთო საზოგადოებრივ დოვლათს ქმნის: „ბოროწყარებს ლაშრა... იღვიძებენ ჭალები.... სიხარულით სავსეა ბოხეირი გარემო... სიმინდის ტეხენ ვენახშა კოლმეურნე ქალები: — გამარჯვებათ, ქალებო! ოღრს თავის ნაოფლარს ხალხი — მხნე და გამრჯელი... მთავრეს ფერი ეცვალა... მზე ფანრრებში იჭრება... ზვინებს დგამენ კალოზე მკლავმაგარი ვაჟები: — გამარჯვებათ, ბიჭებო!“

მ. მაჭავარიანის ოპტიმიზმის წყარო რომ თანამედროვე ცხოვრება და საზოგადოებრივი წესწყობაა, ამას მოწმობს მისი ყველა ნაწარმოები. ამ ნაწარმოებებში პოეტი, რომლის ლექსისათვის ესოდენ დამახასიათებელია ექსპრესია, ზოგჯერ განზრახ ანელებს ტაროს. მის ზოგიერთ ნაწარმოებში გვხვდება პროზაული ელემენტები, და ეს შემთხვევითი როდია. ამას პოეტი აკეთებს შეგნებულად. ამ გზით მას სურს მკითხველს მისცეს ლექსზე დაფიქრების დრო, მისი იდეის ღრმად აღქმის საშუალება.

პოლიტიკური და ფილოსოფიური ლირიკის თვალსაჩინო ოსტატის შემოქმედებაში ცხოვრება და ბუნება მოცემულია მუდმივ ზრდასა და გაშუწყვეტელ მოძრაობაში, დიალექტიკურ განვითარებაში: „მე მიხარია,— ღილა, დიდი ღილა მკვიდრდება. მე მიხარია — ეენახები ატირებულან. მე მიხარია,— გაახლეს თვალი კვირტებმა. მე მიხარია,— მდინარენი აღიდებულან. მაგრამ ვიცი, რომ: ეს დღეები თანდათან გაფლენ; მოვა ზაფხული... შემოდგომა... შემდეგ... ზამთარი... კვლავ გაზაფხული... კვლავ იგივე ბალახი მწვანე... — წყაროც სიცოცხლის სიყვარულის აი სად არი!“

ბუნების სახეთა მრავალფეროვნებით და ცვლილებებით მოჯადოებული პოეტი აღიარებს სიცოცხლის უსასრულობის პრინციპს და მთელი თავისი შემოქმედებით უპირისპირდება ცხოვრების ხანმოკლეობის ფილოსოფიას, რომელიც წყაროა ყოველგვარი პესიმიზმისა და მისტიციზმის. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოეტი არ ეკუთვნის პეიზაჟისტების იმ რიცხვს, ეს სიერთო ხედვის ხატვას, ბუნების გარეგნულ

ვლადიმერ ჯიბუტი
მშრალ მაჭავარიანის პოეზია

მხარეს ადწერს, არამედ იგი გადმოგვცემს ბუნების თვისებებს, ბუნება მას აინტერესებს, როგორც ადამიანის ტონუსის მედმიერი წყარო (აქ მხედველობაში გვაქვს მისი ლექსები გაზაფხეულზე). მშვენიერია პოეტის მიერ დახატული შემოდგომა. ამ ფერწერეულ ტალოზე თქვენ ხედავთ სიმინდის ტაეიას, ყურძნის კრეფას... აქ ფუნჯის მძლავრი მოქმედე�d დახატეულია შემოდგომის პეიზაჟი და მოსავლის ალების სურათები.

ეი როგორ შეიგრძნობა ზამთრის მოახლოეება: „მთებზე გადმოდგნენ ზამთრის ჯარები, — გადმოადგეთრეს მათთა წეერები... დაფრთხენ ვაზები, დაფრთხენ ბალები, დაფრთხენ ყანები, დაფრთხენ ველები. „თავს უშველეთო!“ ითქმა ვერხვმა... და... რაც კი იყო იმემთან ხილი: ეუნაბი, კომში, ატამი, ლეღვი, — ყველამ ბეღლისკენ იბრენა პირი, ვაშლებმა სასწრაფოდ დაცალეს ტოტები და სახლის თავზე მოთავსდა ყველა. ღრეღლებმა დაფარეს ცის ლურჯი კამარა. ეურმებმა ამოავსეს შარა. წელზე შემორტყეა სასწრაფოდ ქამარი, — ყანიდან გაიქეა ჩალა“. და ა. შ.

ერთ დიდ მხატვარს ეთქვამს, პოეზია ისეთი ფერწერაა, რომელსაც ისმენენ, და პირიქით, ფერწერა ისეთი პოეზიაა, რომელსაც ხედავენ. ლექსი „შემოდგომა“ სწორედ ის პოეზიაა, რომელსაც ხედავენ.

მ. მაჭავარიანის ლექსებში ჩაქსოვილია ხალხური გონებამახვილობა, ეუწეინარი, მშვიდი იემორი. ამ მხრივ განსაკეთრებით გამოირჩევა ციკლი „ჩვენებურები“ და „დიალოგები წვიმაში“, რომლებშიც ორიგინალურად არის გაანრებული ხალხის ზნე-ჩვეულება, სოფლის ცხოვრების სურათები და ყოფითი დეტალები, აქ მკითხველი თითქოს ისმენს იმერელი გლეხების ტკბილ საუბარს, ცნობს მათ — დამახასიათებელი ჩაცმეულობითა და ქცევის მანერით.

ცხოვრება და ბუნება ასაზრდოებს პოეზიას, ლექსი დიდი სახოგადოებრივი მოვლენაა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს პოეზია ბუნებასა და ყოფაში ეძებს მარტო სილამაზეს და თავის მხრივ არ შეაქვს მათში იგი. პოეზიის ყველა ეეშმარიტი ნიმეში იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მას დამოუკიდებელი ზემოქმედებისა და ეალა აქვს. საღი იდეით, ხალხურობის სულისკვეთებით გამსჭვალული პოეზია სტაქიური სიძლიერით მოქმედებს ცხოვრებაზე, ადამიანის სულსა და გულზე, ამაღლებს და სიცოცხლის სილამაზით ავსებს მას.

აქეე ისიც უნდა ითქვას, რომ მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი ვერ მიაღწევს ეეშმარიტ წარმატებას მხოლოდ ნიჭით. ფეტეფატეტორის ისტორიამ ცხადეყო, რომ ნიჭიერი ხელოვანი მხოლოდ ამაში აღწევს ნამდვილ წარმატებებს, როცა მას ღრმად აქვს შეთვისებული თავისი საეკუნის ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობა. მ. მაჭავარიანის წარმატება, პოეზიის ფართო სარბიელზე, სწორედ ამ გარემოებით არის გაპირობებული, მისი ტალანტი ემყარება ჩვენი საეკუნის ყველაზე მოწინავე და ნათელ მსოფლმხედველობას, სხვაგვარად იგი ვერ შექმნიდა პოლიტიკური ლირიკის ისეთ ბრწყინვალე ნიმეშებს, როგორიც არის „ეომეენიმი“, „ელდამერ ლენინი“, „ლენინის ქუჩა“, „სტალინგრადის დღე“, „მდინარეს უნდა“, „ზღვა“ და სხვ.

როგორც ყოველ ეეშმარიტ პოეტს, მ. მაჭავარიანსაც თავისი საკუთარი ინტონაცია აქვს. მაგრამ მისი ხმა საოცრად კონტრასტეეია, ხასიათდება თამამი და მოეულდნელი გადასვლებით, რაც არც თე ისე ადვილი საქმეა. მ. მაჭავარიანის ბრავალი ლექსი გამოირჩევა თავისებური სინტაქსით. მან მარჯვედ გამოიყენა ქართული ლექსთა წყობის ფარეული შესაძლებლობა. მის მთელ რიგ ნაწარმოებებში მკაფიოდ გამოვლინდა თეორი ლექსის პატენციალი. პოეტის ლექსის მუსიკალობა ეეშთავრესად ემყარება შინაგან რიტმს. მაგრამ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის რითმას ანგარიშს არ უწევდეს. პირიქით, პოეტმა ქართული ლექსი გაამდიდრა ახალი რითმებითა და მეტრით. ერთი სიტყვით, მ. მაჭავარიანმა მტკიცედ დაიმკვიდრა ეეშმარიტი პოეტის სახელი. „აღფრთოვანებულს გინდა, რომ ხმა მიაწვდინო ყველანაზ; მთელ ედდამიწას, გეწყურია, ცასაკენ გადაემხო; შენ აღარ გეკერა საერთოდ ქვეყნად კაეი თე ეკდება! — სიცოცხლე უნაპრობ!“ — ამას მოგძახის ეზოკი“. ეკითხულობთ ამ სტრიქონებს და სიცოცხლის ახალი ძალებით ვიმუტატებთ. აქ მკეეთრად ჩანს პოეტის პიროვნება, მისი ლაღი და სიცოცხლისმოყვარე ბუნება, ფართო ჰუმანისტური თვალსაზრისი. ერთი სიტყვით, მ. მაჭავარიანმა თავისი ძარღვიანი ლექსებით კიდეე უფრო ადამეალ ქართული ლექსის ავტორიტეტი, განამტკიცა მისი პრესტიჟი. მაგრამ მ. მაჭავარიანის ყოველი ლექსი როდი შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილ პოეტურ მოეულნად. ზოგიერთი მისი ნაწარმოები სქემატურია.

მზე აცხუნებს...
ცხრაა სრული...
ფურნის პორის
ვიგრძენ სუნი...
ვსხვამ ნატახტარს.

პოეტი ხშირად მიმართავს დატეხილ სტრიქონებს, რასაც ზოგჯერ აზრობრივი პრინციპი უდევს საფუძვლად, მაგრამ ზოგჯერ გაუმართლებელია. სტრიქონების ასეთ დატეხვა მარტო თოთხმეტმარცვლიან ლექსებში კი არ გვხვდება, არამედ რვამარცვლიან ლექსებშიც კი:

ჯდა ვახტანგ მეფე მარტოკა —
უბანჯლოდ და ულახტოდა —
მაღლიდან ნახა:
სირბილით
კიბეზე
კაცი
ახტოდა...

ასეთ ლექსებს მ. მაჭავარიანის ფართო რეპერტუარის პაზონის შემოქმედებაში იშვიათად ეხვდებით. ამიტომ არადამახასიათებელზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიგვაჩნია.

მ. მაჭავარიანი ერთ-ერთ ლექსში ამბობს:

მზე ამოვიდა...
დადგა მთელი ქვეყანა ფეხზე...
დილა ყოველი
უკვდავებას გვავალდებულებს!
სალამი ლექსებს!
გულმხურვალე სალამი ლექსებს —
განთიადისას
მზესთან ერთად დაბადებულებს.

მიეესალმებით განთიადისას მზესთან ერთად დაბადებულ პოეტის ყოველ ახალ ლექსს და გამოვთქვამთ რწმენას რომ ისინი, რა თქმა უნდა, მთელი სისავსით და ძალით გადმოგვცემენ იმას, რაც ყველაზე არსებითი და დამახასიათებელია ჩვენს ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შეთეკაური

დედის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში

ქართული ტრადიციული პოეტური ფოლკლორის ძეგლებში იშვიათი მხატვრული ოსტატობითა და ამაღლებული რომანტიკული ფერებითაა გამოძერწილი დედის დიადი, მონუმენტური სახე, რომელიც ღრმა ჰუმანიზმის პრინციპებითა და ზოგადსაკაცობრიო ნათელი იდეალებითაა შთაგონებული და გარემოსილი. სიტყვა „დედა“, როგორც შემადგენელი ნაწილი, ქართულ ენაში დაერთვის გარკვეულ სიტყვებს და ამ დართვისაგან მიღებულ კომპოზიტს ანიჭებს უაღრესად მდიდარ ემოციურ და სემანტიკურ მნიშვნელობას. ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ „ქართველებისათვის „დედა“ მარტო შშობელი არ არის. ქართველი ფვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვდრსა და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, სამოგრო აზრს — „დედა აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული და თავმოსწონელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულია დედობით!“..[1]

ჩვენი ქეკეული ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დედა, როგორც შშობელი და აღმზრდელი, ყოველთვის წარმოადგენდა დაფასებისა და პატივისცემის საგანს, ხოლო ამ ტრადიციის ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. დედის პიროვნების განდიდების უმაღლესი ილუსტრაცია ძველი ქართული მითოლოგიური ლექსები, რომელთაც საფუძვლად უძევთ პირველყოფილ ადამიანთა ანიმისტური შეხედულებანი. ამ ლექსებში დედა გამოყენილია ქეკეული მანათობელი, სიცოცხლისა და ენერგიის მომნიჭებელი ციური სხეულის—მზის სახით. ანალოგიურ მოვლენებს ადგილი აქვს სხვადასხვა ხალხების მნათობთა მითოსშიც[2].

კერძოდ, ლექსში, რომელშიც ასახულია მნათობთა კულტი, თავს იჩენს ადამიანთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები, რაც აქ კონკრეტულად ციურ სხეულთა პერსონიფიკაციაში მდგომარეობს. ლექსში სამმე გვაქვს ციური სხეულების — მზის, მთვარის, ვარსკვლავების ადამიანური ოჯახის წევრებად გაპირიროვნებასთან, სადაც მზე დედაა:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ესაა ასტრალური მეტაფორებით მდიდარი სამეურნეო-აგრარული ხალხური ლექსი, — იგი გარკვეული მაგიზმის საფუძველზე ამინდის წარმართვის ფუნქციით იყო აღჭურვილი და წარმოშობით საგაზაფხულო წესიერას წარმოადგენს[3].

ანთროპომორფული მზე დედადაა მოკემული საოჯახო საწესო პოეზიის ნიმუშში, უძველეს საწესო სიმღერაში „იაე-ნანა“. ამ სიმღერას თან ახლდა ცეკვაც, ხოლო „ხალხის წარმოდგენით რიტუალი, რომელშიც შედიოდა იაგნანას სიმღერა და ცეკვა, ჰკურნავდა სახადით (ყვავილით, წითელსთი და ხველათი) დაავადებულებს“[4].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1953, გვ. 428—429.

[2] Э. Ланг. Мифология, Москва, 1901. გვ. 171.

[3] ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, შედგ. ქს. სიხარულიძის მიერ, თბილისი, 1956, გვ. 46.

[4] იქვე, გვ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ჯავახიშვილი ახდენს ამ სიმღერიდან იმ ადგილის ციტირებას, სადაც მითითებულია მზის ქალობა—დედობა:

დაიძინე გენაცვალე, იავ ნანინა,
მზე დაწვა და მთვარე შობა, იავ ნანინა.5

საყოფაცხოვრებო ლირიკის რეპერტუარში ფართო პოპულარობა მოეცემული დედის ამაგის მოტივი. მის ძირითად იდეურ პრინციპსა და მხატვრულ ამოცანას შეადგენს დედის, როგორც ამაგდარი, ღვაწლმოსილი პიროვნების ტიპიური სახე—ხასიათის შექმნა. ამ მხატვრულ ამოცანას თვით რეალური ცხოვრება, წუთისოფლის ფილოსოფია განაპირობებს: დედა — უკეთილშობილესი არსება სიცოცხლეს ანიჭებს ადამიანს, ხოლო სიკოცხლე კი უძვირფასეს განძს წარმოადგენს სამზეოზე. დედა ზრდის, შთაადგინებს, ასწავლის, ურჩევს, ეალერსება, ტუქსავს, კაცურაკაობის გზაზე აყენებს საკუთარი სხეულისა და ფიქრის ნაწილს შვილს — და ქვემმოოტანილი ლექსიც დედის ამ ფასდაუდებელ ამაგს ეძღვნება:

ვაიმე, დედის ამაგსა
რომ ვერ გადვიხდი, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბმითა,
რომ ვერა ვზიდო, რა ვუყო?
დავემბო დედამიწასა,
ქვეშმწნელ ჯინჭველას ხმა ვუყო?

ამ ლექსისათვის დამახასიათებელია ლოგიკური ინტონაცია, რაც ძირითად აქცევს აზრობრივი შინაარსის გადმოცემაზე აკეთებს. მისთვის ნიშანდობლივია აგრეთვე ემოციური ინტონაცია, რადან იგი მიზნის (დედის ამაგის გადახდის) შეუსრულებლობის გამო ხალხური მოქმედის მელანქოლიურ განწყობილებასაც გამოხატავს.

პირველივე სიტყვა — მწუხარების აღმნიშვნელი შორსდებული — „ვაიმე“ ლექსს დასაწყისიდანვე ექსპრესიულ შინაარსით ტვირთავს, ხოლო ტავტოლოგიური რითმა „რა ვუყო“ შეიცავს კითხვას, რომელიც ამავე დროს ნაწარმოების იდეასაც განსაზღვრავს.

დედის ამაგის მნიშვნელობის მხატვრულ პროპაგანდას ისახავს მიზნად დ. ჩიზანიშვილის მიერ ფშაურში ჩაწერილი საყოფაცხოვრებო-ფილოსოფიური ლექსი, რომელიც უარყოფით პარალელაზმზეა აგებული:

ზღვაზედ ხიდსა ვერვინ გასდებს,
ვერც ვინ დაუდგებს დირესა;
ვერც გადაეწვდინს ბადესა,
ვერც მაუხელავს ძირესა;
ვინა თქვა, წილი არ უძე.
სუ დედა არ ზდის შვილებსა?!

დედის უსპეტაკესი ღვაწლის შთაგონებელ საგალობელს წარმოადგენს ცახვაში ჩაწერილი პოეტური ფორმელა, — მისი თვითეული სტიჩქონი ლექსად გაწყობილი იდიომური გამოთქმაა, რაც ნაწარმოთებს მეტ ბეგენბრილობასა და ცხოველმყოფელობას ანიჭებს. ლექსი უპირატესად სრულდება ჩონგურის აკომპანემენტის თანხლებით:

დედის ტკბილი ხმის ჭირიმე,
მე დედას ვენაცვალები,
ვინც დედის ყადრი არ იცის,
აჯეფილი აქვს თვალები.

დედის, როგორც აღმზრდელის ეთიკურ-მოქალაქეობრივი სახე ხალხური პოეზიის ძეგლებში განეუზომელი მადლიერების გრძნობითა და ნათელი მხატვრული ფერებით არის ალბეჭდილი. ცხადია, დედის ფუნქცია საყოფაცხოვრებო ლირიკის მასალების მიხედვით მარტოოდენ წმინდა ბიოლოგიური ფაქტორით არ ამოიწურება. კოლექტიური ავტორის აზრით, შეუდარებლად ძნელია და გაციცქნთ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის შესრულება — საზოგადოებისთვის ღირსეული, საუკეთესო მორალურ-ზნეობრივი თვისებებით მოძალღეული ინდივიდის აღზრდა. ხალხი ძირითადად ამ ასპექტში განიხილავს დედის დამსახურებას, მის ამაგს, მის დანიშნულებას მოზარდი თაობის პეშმარიტ ადამიანებად აღზრდა — ფორმირების თვალსაზრისით.

დედის უდიდეს აღმზრდელობით ფუნქციას ეფულისხმობს ფშაური ლექსი, სადაც გარკვეულ ასახვას პოულობენ ხალხური პედაგოგიკის ელემენტები:

ცხენ-კარგის დედას დავნატრი —
ლაშქარს წინა-წინ წადგება!
მერე თოფ-კარგის დედასა —
ერთის ნასროლით დარჩება!
მერე ცოლ-კარგის დედასა —
ქმრის სწორთა ლამაზად დაჰხვდება.

ხალხური სიბრძნე შვილის პატიოსნებას, მის ეთიოლმობილებას, კაცურკაცობას, პირველ რიგში დედის იმედის გამართლებად, დედის ამაგის ეშეშმარიტ ზეიმად მიიჩნევს. ზოგიერთი ხალხური ლექსის მიხედვით შვილს ყოველი სიკეთე (ფიზიკური და სულიერი) დედის სახელს მიეწერება:

ნეტა რა დედამ გაგზარდა ეგეთი
მშვენიერია.

5 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 58.

ზრდილი, ქველ-გმირი, მამაცი, გრძენი და გონიერიო,
გიხდება ბრტყელი მხარ-ბეჭი, წვრილი წერწეტა ტანი,
ტურფა სახეზე თვალ-წარბი, შავი ულვაში წვერიო.

დედის, როგორც მშობლისა და აღმზრდელის ღვაწლდაფასებულ,მაღალ ზნეობრივ ფსიქიოლოგიურ პორტრეტს გვიხატავს ქართული ხალხური პოეზიის ვეფხვგვინი „ვეფხისა და მოყმის ბალადა“, რომელშიც ხალხის ტიტანური პოეტური გენია ტარეულს აღწევს და აზრებისა და გრძნობების ბალადურად ბრეშეორებელი მონოლოგური ჰარმონიით ხასიათდება.

თუ ამ ჰეროიკული ბალადის პირველი ნაწილი უშუალოდ ასახავს ვეფხვისა და მოყმის შებრძოლებას — მეტწილად ფერწერული ხასიათის ეპიზოდს, ანუ ფსიქიკე მთავრდება ურთიერთ მორკინალთა სიკვდილით, სადაც ორივე დადებული მოპირდაპირე ერთდროულად გამარჯვებულიც არის და დამარცხებულიც, სამგალობელ ბალადის მეორე ნაწილი გადმოგვცემს შვილმოკლული დედის დრამატულ განცდებს, რომლებიც უალრესად მაღალი ინტენსიობით გამოირჩევან და დედის სუბიექტური სამყაროს მთელი სიგრძე-სიგანით ემოციურ გადმოშლას წარმოადგენენ.

ხალხური მხატვრული სიტყვის ჯადოქარი ოსტატის ფუნქით გვიხატავს დედას, რომელიც შერისძიებაზე მაღლა დედურ გრძნობას აყენებს. ეს კონკრეტულად ვეფხვის დედისადმი მის თანაგრძნობასა და სოლიდარობაში ვლინდება.

შვილის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას ისევ შვილის ეფაკცობა ედება მალამოდ. დედას ვეფხვებთან მეომარი შვილის გაზრდა ეამაყება; თავლერეშლილან დედა ჯერ შვილისა და ვეფხვის ორთაბრძოლაზე მოგვითხრობს, მაგრამ საკუთარ სევდასა და ტკივილებზე მალლა დგება და შვილის გმირობასთან ერთად ვეფხვის შეეღრეკლობასაც აღნიშნავს:

ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია,
გაჯარებული ტილი,
ჩემ შვილს — ხმლით, იმას — ტოტითა,
დღე დაუდამდათ მზიანი,
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ბკვიანი,
მაო დაუოცავ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანნი.

შემდეგ დედა შვილს მანუგეშებელი და გულს გამაძაგრებელი სიტყვებით მიმართავს, მაგრამ არც აქ დალატობს სიმართლეს, შვილს რომ განადიდებს, ეგი ხაზს უსვამს ვეფხვის თავგანწირულობასაც. შვილისადმი მიმართვას დედა ამთავრებს საკუთარი ზმაგის აღმნიშვნელი სტრიქონებით:

ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია.

დასასრულს დედა, როგორც დიდსულოვნებითა და ტტკიეე ნებისყოფით აღჭურვილი ქალი, იჩენს ფედიდეს ჰუმანიზმსა და სიბრალულის გრძნობას და გადაწყვეტს ეწეოს ვეფხვის დედას, რომ ნუგეში სცეს და ტანჯვა შეუმსუბუქოს.

სავმირო ბალადა დედური გრძნობის აპოთეოზს წარმოადგენს, იგი გენეზისით ხვეულურეთთანაა დაკავშირებული და მისი რამდენიმე ვარიანტი ჩაწერილი აქვს ა. შანიძეს (უნდა აღინიშნოს, რომ მას ეკუთვნის ამ ბალადის პირველი პუბლიკაცია).

როგორც მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, „ამკამად ეს ლექსი დაცულია საწესო ელემენტებისაგან და წმინდა სავმირო პოეზიის სახე აქვს“.[6]

დედის მარად დაუვიწყარი სახე მაღალპოეტური და ღრმად ემოციური შტრიხებითაა შესული საყოფაცხოვრებო-ფილოსოფიური ლირიკის უშესანიშნავეს ქმნილებაში „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“, რომელიც, დ. ჯანელიძის აზრით, მგოსანთა რეპერტუარის კუთვნილებას შეადგენს[7].

ამ ლექსში ხალხის პოეტური ენთუზიაზმი სიტყვიერი ინსპირაციის — შთაგონების ზენიტს აღწევს, ამ მკვეთრ აზრობრივ-ემოციურ განფენილობაშია აკინძული ელეგიური განცდებიც მთელი გამა, მაგრამ სტრიქონების მიღმა მაინც იგრძნობა სიცოცხლის მარადიულობის ოპტიმისტური რწმენა, რომელიც დედის უზადო, უფაქიზეს და უსაყვარლეს სახელთანაა დაკავშირებული.

ხალხური ავტორი, რომელიც შვილის სახელით გამოდის, სენტიმენტალური ტონით ხატავს დედის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ამავე დროს ლექსის მხატვრულ-ესთეტიკური ფონის მეტ სიმკვეთრისთვის • კონტრასტულ ხერხებსაც იყენებს:

ერთ ეგეც უნდა ვიკითხო,
ჩემ სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩაშაბნევს ცრცელებსა,
საქმეს ვინ გაიჭირვებსა...
დედის მეტს ჩემი სიკვდილი
ორავის აატირებსა,
თუმც ნათესავი, და-ძმანი
ადარ აისხმენ ლილებსა,
ცოლიც ძალიან მიტირებს,

---

6 მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 334.

7 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948, გვ. 269.

ჭვეყანას გააკვირვებსა,
ცოცა ხნის შემდეგ ისიცა
სხვისა ჭირს გაალხინებსა,
სულ ყველას დავავიწყებდი,
ყველა სხვას დაათირებსა,
მე დედის გულში ვიქნები,
ძილსაც არ დაიძინებსა,
ვინაცალე ძაძე გამზრდელსა,
გულით ეგ დამიტირებსა.

ლექსის ბოლო სტროფში კომპოზიციური დასკვნის სახით მოცემულია ანტითეზური პრინციპზე აგებული სტრიქონები, რომლებშიც სადად და ლაკონიურადაა წარმოდგენილი დედის უმწეოკლო სიეკარული შვილისადმი და შვილებს უმადურება დედის მიმართ:

დედას უყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა.

ამას მოსდევს ამ დისჰარმონიის საბედისწერო შედეგის ფილოსოფიური განზოგადოება:

იმითა გვტანჯავს უფალი,
სულ უფიდამ გვაცოდვილებსა, —

რომლის მიხედვით შვილების უმადურება დედების მიმართ მთელი ცხოვრების ტრაგიზმის მიზეზადაა დასახელებული, ხოლო მსაჯულის როლში გამჩენი, უფალი, ღმერთია გამოყვანილი. აქ თავს იჩენს მთქმელის მიერ ქრისტიანული რელიგიის დოგმატის — ცოდვა-მადლის კონცეფციის გაზიარების ტენდენცია, თუმცა ეს მომენტი ლექსში უფრო მხატვრულ ნერხადაა საგულებელი, ვიდრე მთქმელის სარწმუნოების გამოვლინების საბუთად.

ლექსი მოპოვებულია ფშაფში, ს. კაწალეკეში, ე. ხორნაულის მიერ და მასში ნახმარი სიტყვიერი ინვენტარი და გრამატიკული ნორმები მიწერობენ, რომ იგი ლოკალური წარმოშობისაა.

დედის თემატიკის ლექსებში ცალკე უნდა გამოიყოს ნიმუშები, სადაც დედაშვილური დამოკიდებულების კომპოზიციურ საშუალებად გამოყენებულია გამაასება, დიალოგი.

დედისა და შვილის დიალოგია წარმოდგენილი ე. წ. წინაფეოდალისეული ანუ წინასწარმეტყველური ქართული სამგლოვიარო პოეზიის კლასიკურ ძეგლში „სიზმარი“, რომელიც არქაული წარმოშობისაა. ამ უკანასკნელ მომენტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ იგი შეიცავს სიკვდილის მდიდარ ხალხურ სიმბოლიკას და სიზმრის მისტიკურ ახსნას, რაც ძირითადად ძველი, ანიმისტური მსოფლმხედველობის ადამიანისათვისაა ნიშნადობელი. ლექსის ფორმა კითხვა-მიგებაზეა დამყარებული,—შვილი სიზმარში ნანახ ცალეული დეტალს, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია, დედას აუწყებს. დედა შვილს უხსნის თვითეული საგანი სიმბოლოს რელიგიურ ადეკვატურ პარალელს, ე. წ. მის „დედანს“:

— წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ, დედავ, რაო?
ალვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი ტანი არის,
ვაჰ, შენ დედასაო,
— იმას ტოტები ემსხვრევა,
ნეტავ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი მკლავებია;
ვაჰ, შენ დედასაო.

საანალიზო ლექსში, რომელიც სამგლოვიარო მეგვარეტყველების სალეკვთესო ნიმუშს წარმოადგენს, მოცემულია სხეულის ნაწილების სიმბოლიკა, განსამბოლოებულია ქრისტიანული მშობლები, ძროხა — დედის, ხოლო ირემი მამის სიმბოლოა; განსამბოლოებულია აგრეთვე ცოლი, შვილები, კუბი, სამარე და ა. შ.

ეს გამაასებაც, დ. ჯანელიძის აზრით, გლოვის მგოსნის რეპერტუარს განეკუთვნება, სადაც „მეზარეები ჭირისუფალს განასახიერებდნენ, ხოლო ხმით მოტირალი მესულთანენ... გარდაცვალებულის ენით მეტყველებდა“[8].

ლექსში საინტერესოა რეფრენი, რომელიც გვხვდება როგორც შვილის შეკითხვაში, ისე დედის პასუხში (ე. ი. ტექსტში არის ორი სხვადასხვა შინაარის რეფრენი). თუ შვილის კითხვაში გამოყენებული რეფრენი „ნეტავ, დედავ, რაო?“ — ანრობრივ-ინტონაციური ფუნქციით ხასიათდება, დედის პასუხში შემავალ რეფრენი „ვაჰ, შენ დედასაო“, — უფრო სამგლოვიარო-ემოციური დანიშნულებისაა.

დედის დადებით ტიპისადმი მიძღვნილი ამ თემატიკაზე შექმნილი ხალხური პოეზიის ძეგლთა აბსოლუტური უმრავლესობა, მაგრამ ასეთი ხასიათის სტრიქონების გვერდით გვხვდება რამდენიმე ხალხური ლექსი, რომელთა ადრესატსაც უარყოფითი ტიპის დედა წარმოადგენს.

თ. რაზიკაშვილის მიერ ფშაფში ფიქსირებული ლექსი ასეთი უარყოფითი დედის შერისხვას შეიცავს; აქ შვილის მიერ ანათქვამსა გადაცემული ანრსტი, გულცივი დედ, რომელიც სიცივის გამო დედინაცვალთანა ვატოლებული. (ტექსტში დედინაცვალს მაგივრად გამოყენებული ტერმინი „მამის ცოლი“, — ფშაფური და ხევსურული დიალექტების მიხედვით დედინაცვალს მამის ცოლიც ეწოდება)

[8] დ. ჯანელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 247.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა მყავს დიასახლისი, მამის ცოლივით
მექცევა,
როცა ლოგინში დაწვება, საგონად
გადამექცევა,
ამ ზაფხულ ნანახ კრაქი ჭია-ლუდამდე
ექცევა!

კოშმარულ სიტუაციაში ხატავს ხალხური ავტორი ბედის ანაბარა ობლების მიმტოვებელ დედას, რომელიც ამავე დროს შედარებულია კაცის მკვლელთან:

დედა ობლების დამყრელი
კაცის მკვლელს ედარებოდა,
უბეში უჯდა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა.

ლექსი გაჯეფულია რელიგიურ სამოსელში და დაკავშირებულია ირეალურ სამყაროსთან, საიქიოსთან, კერძოდ, ჯოჯოხეთთან, სადაც, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სიცოცხლეში ცოდვის ჩამდენნი ასაჯიოს იხდიან. ობლების დამტოვებელ დედას კი, როგორც დანაშაუვს, გველები უბეში უსხედან და ძუძუებზე კბენენ. სწორედ ამ პოზიციებიდან აქვს განხილული ეს ლექსი ვაჟას ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით"[9]. ეს ტრაგიული შტრიხი შაბლონურ მხატვრულ ხერხად გვხვდება ამ მოტივის შემცველ სხვა ლექსებშიც, — ნ. ხიზანიშვილის მიერ მოპოვებული ლექსის მიხედვითაც:

ობოლთ შვილთ დედას დამწირავს
უბეს ჩაუსხნენ გველნია, —
შვილეს მოსწირე წვრილება,
ეგ რა რიგ საკვანელია...[10]

ფშაური პოეტური ფოლკლორის სხვა ნიმუშში, რომელიც აგრეთვე სასულიერო-რელიგიური ხასიათისაა და ჯოჯოხეთზე ეთარგმნა ალ. წერეს, გველების მოქმედების ლოკალი [illegible] ვებულია:

დედას ობლების დამყრელსა
ყელზე მხვევია გველია[11].

აქ გაანალიზებული, დედის უარყოფითი ტიპის ამსახველი ლექსები შექმნილია „დეთისმშობლის მიმოსულის" ახალი აღთქმის ალეგორიფულ-ესქატოლოგიური ძეგლის ამაკრა გავლენით. ხსენებული ძეგლი შეიცავს ჯოჯოხეთში ცოდვილთა წამების ვრცელ სურათს, სადაც, მართალია, უშუალოდ ობლების მიმტოვებელი დედის წამების დეტალი არ გვხვდება, მაგრამ სხვა ნასიათის წამების სცენები გამოსახეთი ხერხებით ენათესაავება ზემოგანხილულ ლექსებში მოცემულ დედის წამების ეპიზოდს. მაგალითად, ამ ძეგლში ეკითხულობთ: „და იხილა ყოველად წმიდამან სხუასა ადგილსა დედაკაცი დამოკიდებული ორთა ძუძუთა და ჰკეკენი ჰამდეს და პირსა მისგან გამოვიდოდეს [ალი ცეცხლისაჲ] და ჰკითხა მიქაელს: „რაჲ არს ცოდვაჲ ამათი?" — „ესე იგი არს, რომელი მივიდის მეზობლისასა და ისმენდის სიტყუასა და შეპრთის იგი სხუასა შფოთსა"[12]. ამრიგად, ციტირებული ტექსტის პირველი ნაწილი უდაო მხატვრულ გამომსახველობით კავშირშია ლექსებში ასახულ დედის ტანჯვის ეპიზოდთან.

საერთოდ კი, ფოლკლორული საყოფაცხოვრებო პოეზიის რეპერტუარში ჯანსაღი მხატვრული ფერებითა და უდიდესი ლირიკული სითბოთია გამოქანდაკებული დედის მდიდარი სულიერი პორტრეტი, მისი ნათელი, მაღალნუნობრივი, ღვაწლმოსილი სახე ხალხურ ავტორთა მუდმივი შთაგონების წყაროსა და ხოტბა-დიდების საგანს წარმოადგენს.

---

9 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1956, გვ. 86.

10 ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1940, გვ. 72.

11 ნ. ხიზანიშვილი, ფშაური ლექსები, გვ. 140.

12 ძველ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანრი გრეგუარი

ივერთა მონასტერი და ათონის მთის ქართველთა როლი

დასავლეთ ევროპაში ბიზანტინოლოგიას ორი დიდი მეცნიერი მეთაურობდა მე-20 საუკუნეში: ევროპის ფრანგული ნაწილში — ანრი გრეგუარი (გარდაიცვალა 1964 წლის 28 სექტემბერს), ხოლო ევრონული ნაწილში — ფრანც დოლგერი (გარდაიცვალა 1968 წლის ოქტომბერში). დასავლეთ ევროპაში ესენი იყვნენ მიჩნეული ავტორიტეტებად.

დასავლეთ ევროპაში ორი, საერთაშორისო მასშტაბის ბიზანტინოლოგიური ორგანო არსებობს: გერმანული „ბიეანტინიშე �ططშრიფტ", რომლის რედაქტორი 1930-1967 წლებში იყო ფრ. დოლგერი, და ფრანგული „ბიზანსიონი", რომელსაც დღიდან მისი დაარსებისა, 1925 წელს, ვიდრე 1964 წლამდე რედაქტორობდა ანრი გრეგუარი.

ანრი გრეგუარმა 1963 წელს ბერძნულ ჟურნალში „ბიზანტინოლოგიური საზოგადოების წელიწდეული" მოთავსა ის ნარკვევი, რომლის ქართულ თარგმანს ქვემოთ ვაქვეყნებ და რომელსაც, ჩემის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიაში. ის ეხება ბერძნული „ბალავარიანის" წარმომავლობას და დაბეჯითებით და დიდის მხურვალებით, საოანადო საბუთების მოტანით, პმბკიცებს, რომ ბერძნული „ბალავარიანის" პბტრრ არის ქმეთიმე მთაწმინდელი. ის ფეხდაფეხ მიაღევს ფრ. დოლგერის მიერ 1953 წელს გამოქვეყნებულ შრომაში წამოყენებულ დებულებებს, თითქოს ბერძნული „ბალავარიანის" ავტორი იყოს არა ექვთიმე მთაწმინდელი, არამედ იოანე დამასკელი, და გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ეგზომ გამოჩენილმა ბიზანტინისტმა ფრ. დოლგერმა ასეთი მომაკვდინებელი შეცდომა ჩაიდინა.

საყურადღებოა, რომ ანრი გრეგუარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ივერთა მონასტერს ათონზე, რომელსაც ბერძნული „ბალავარიანის" სხვა ენებზე, კერძოდ ლათინურ ენაზე, გადათარგმნის საქმეში დიდი როლი მიეკუთვნება.

უკანასკნელ, მოვიხსენიებთ იმასაც, რომ ანრი გრეგუარის აზრით, „ბალავარიანი" მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია და იგი ღირსია ნობელის პრემიისა.

ს. ყაუხჩიშვილი

სათაური, რომელიც მე ავირჩიე, ამთავითვე უჩვენებს მკითხველს, რომ ჩემი წვლილი იმ ძეგლისადმი, რომელსაც ბატ. ტომადაკისმა (განსაცვიფრებელი იდეა იქონია და) უძღვნა მთაწმინდას, მისი ათასი წლის იუბილეს გამო, დაუმტკიცებს ყველას, როგორც მეცნიერთა, ისე საშუალო მკითხველს, როგორც ქართველებს ისე ელინებს, რომ მე ვადაგეცერი ის სადავო საკითხები, რომელთა გარშემო მოიქმა-მოოქმა იყო. პირველი საკითხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთქმული წიგნის წარმოშობას, დამრიგებლობითი, „სულის მარგებელი“, სხვათა შორის ბალიან მიმზიდველი და საოთხი რომანის, სახელდობრ ვარლაამისა და იოასაფის რომანის წარმოშობას.

ვინ არის მისი ავტორი, ან როდის არის დაწერილი ეს ქრისტიანული მიბაძვა ბუდას ისტორიისა? ცნობილია ფართო წრეებშიაც, რომ ამ საგნის გარშემო დაეა ატყდა ამ მეოთხედი საუკუნის წინ განსვენებულ განთქმულ ორიენტალისტს, ბოლანდიელ ი. პ. პოლ პეეტერსსა და გერმანელი ბიზანტინოლოგიის მეთაურს, ბატ. ფრანც დელეგრს შორის.

ბატ. დელეგერი, წინააღმდეგ პ. პეეტერსისა, ამბობს, რომ ვარლაამის რომანი იოანე დამასკელის თხზულებაა, და დაბეჯითებით ამტკიცებს ამას „სულის მარგებელი ისტორიის“ ხელნაწერულ ტრადიციაზე დაყრდნობით და მისი სათაურის მიხედვით, ისევე როგორც იმ სტილისტიკურ შსგავსებათა მეშვეობით, რომლებიც მან შეამჩნია დიდი რაოდენობით ჩვენს რომანსა და იოანე დამასკელის იმ შრომებს შორის, რომლებიც მას უდავოდ ეკუთვნის. პ. პეეტერსი უარყოფს დამასკელის ავტორობას და აცხადებს, რომ ამ რომანის ავტორია მე-12 საუკუნის ერი ქართველი ბერი, ექვთიმე, იერუთა მონასტრის დამაარსებელის იოანეს შვილი, რომელსაც ერთიმერისაგან დამოუკიდებლად ქართულ, ბერძნულ და ლათინურ ტექსტთა მოწმობანი მიაკუთვნებენ პატივს, იყოს მთარგმნელი ქართული ენიდან ბერძნულად ენაზე იმ წიგნისა, რომელიც უკუნელად იმსახურებს მსოფლიო ლიტერატურისათვის განკუთვნილ ნობელის პირველ პრემიას, თუ გაერთიანებული ერები დაადგენენ ასეთი ჯილდოს გაცემას, რისი მსურველებიც ჩვენ ვართ.

თუ მე ამ დაკაში ჩემი აზრი გამოვაქვი, სრულიად გადაჭრითაც, ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც მე ეს საკითხი სრულიად მომწიფებულად შეეისწავლე და წაეკითხე ყველა წიგნი და ნარკვევი, რომლებიც მას ახლიკენ. ბოლანდისტთა მეზეუმის კეთილშობილი სტუმართმოყვარეობის წყალობით მე ხელი მქონდა ამ საკითხის მთელი ბიბლიოგრაფია,[2] რამაც შესაძლებელი გახადა საკითხის გაღრმავებული გადასინჯვა, რეკეზია; მე ვამბობ, რეკეზიაო, რადგან უკეთ თარმეტი ტეზისი წერდა, რაც მე ჩემს სიტყვაში პარიზში, „წარწერათა და ლიტერატურის აკადემიაში“, მიღებისას, სადაც მე ბატონ პეეტერსის ადგილი დავიკავე, ადელეფეფეზმა დელეგრის მიერ მოტანილი საბუთებით, ჩემს სამჭელეფეზ რა სიტყვაში ნეტარხსენებულის მოსაგონად ეწამოყენე მისი (პეეტერსის) დებულება, როგორც ერთი იშვიათ შეთხვევათაგანი, რომელშიც ბოლანდიტთა პრეზიდენტის კრიტიკული ალღო მცდარი აღმოჩნდა.

მე ვერ დამაბარლებენ მიდგომას, „უკანელ პირწმინდა ბოლანდიზმს“, რადგან მე ვფიქრობ, რომ მიუხედავი მოძღვრის (დელეგრის, ს. ყ.) სახელგანთქმულობას და ავტორიტეტს შეუძლია სხვების მომხრეობა მიიზიდოს და რადგან მე ვფიქრობ ვულგარიზიოდ, რომ დამასკელური დებულება მძიმე შეედომს წარმოადგენს, მე ეღებულობ ბატ. ტომადაკის მოწოდებას და ეცდი მოვახდინო რამდენიმე კონკურსია ჩემი კონკურსის მსგავსი. მე ის ბედი მეწყვეტა, რომელიც განკუთვნილია ამათთვის, რომლებსაც საჯაროდ გამოაქვთ ამკარა ამბავი. მე დამჭირდება არა დასაბუთება, არამედ ჩვენება. ჩემი ამოცანა იქნება ადვილი და მარტივი და მე შეეძლებ მოკლედ მოვახსნთო, ძალიან მოკლედ.

მკითხველო თანმიმდევრობით დანახავს ორ რამეს: ა) მცდარია, წინააღმდეგ დელეგრის თქმისა, თითქოს ხელნაწერული ტრადიცია ბალავარიანისა ერთხმად მიაწერს ავტორობას იოანე დამასკელს უკვე მე-8 საუკუნიდან; ბ) ნამდვილია, რომ პ. პეეტერსი მართალია, დელეგრის წინააღმდეგ, როდესაც ამბობს (და მე ამას ვიმეორებ) „რომ ერთ წუეს საბუთებისა, ერთიმერორისგან დამოუკიდებელდ. ამტკიცებენ, რომ **„სულისმარგებელი ისტორია“** (ე. ი. ბალავარიანი. ს. ყ.) **არის ექვთიმე ქართველის ნაწარმოები“.**

მე ვიწყებ პირველი დებულების გაწლეთ. ამ მე ვიმეორებ იმას, რაც თქვა ფრ. ალენმა: „სათაურში, რომელიც წინ უძღვის ნაწარმოებს, 60-ზე მეტ ხელნაწერში ფრ. დელეგრი ფიქრობს ამოკითხოს ავტორის სახელი. მაგრამ ეს სათაური უბრალოდ ამბობს, რომ ეს მოთხრობა მოიტანა ინდეის ქვეყნიდან იერუსალიმში, საბა-წმინდის ბერმა იოანემ. საბა-წმინდელი იოანე, როგორც ნათლად ჩანს, წარმოდგენილია არა როგორც მწერალი, არამედ როგორც წმინდა კაცი, რომელიც დაბრუნდა ინდთა ქვეყნიდან და მშვენიერი მოთხრობა ჰქონდა ან თავის მეხსიერებაში ან თავის ჩანთაში. განა ეს ბერი-

[1] უნდა იყოს მე-11 საუკუნის (ს. ყ.).

[2] ფრანც დელეგრი დებულებას იცავს Studia patristica et byzantina-ს პირველ ნაკეთებში სათაურით: „ბერძნული ბალავარიანი — იოანე დამასკელის თხზულება“, 1953 წ., ეტალის გამომცემლობა, X 104 გვერდი. ხოლო პ. პეეტერსის დებულება წარმოდგენილია მის ნარკვევში, რომელიც მოთავსებული „ანალექტა ბოლანდიანაში“, ტ. 49, (1931 წ.), გვ. 276-312, და „წმიდანთა ცხოვრების“ დეკემბრის ტომში, 1940 წ., გვ. 551. ეს დებულება დაიცვეს ბოლანდისტებმა ფრანსუა ალკანმა („ანალექტა ბოლანდიანა“, ტ. 71, 1953 წ., გვ. 475-488) და პოლ ფე

ბელეგრინი უნდა გავიგივოთ მეუდაბნოე იოანესთან, რომელიც თვიდრე ედესელის ცხოვრებაში იგულისხმება, რომ მოუთხრობს თავის მოგონებებს ერთი მოგზაურობის შესახებ „ინდური ქვეყნის შიდა მხარეში“? ყოველ შემთხვევაში ეს ბერი ითარი არ შეიძლება იყოს იოანე დამასკელი, რომელსაც არასდროს არ უმოგზაურია ინდოეთში. სჯერთოა ითქვას, რომ სათაური 60 ბელნაწერისა არ მიაწერს ამ რომანს იოანე დამასკელს. თხრობა კიდევ ანონიმური მეტწილ ხელნაწერებში, რამდენიმე ნუსხა, ისიც მხოლოდ მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, ლინმნაკის სახელითაი იოანე დამასკელს ეროგორც ავტორს ან როგორც მთარგმნელს, ამას ამბობს არაბული ცხოვრება, 1085 წლის შემდეგ დაწერილი, ამასეე ამბობს მე-12 საუკუნისათვის ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული ლათინური თარგმანის, ლათინური ლემის ავტორი.

ახლა გადავიდეთ მეორე დებულებაზე. აი, სამი მთავარი სპეთი წმ. ეკვთიმეს ავტორობის სასარგებლოდ:

პირველი ქართული სპეთი; ის მომდინარეობს გიორგი მთაწმინდელისაგან, რომელიც იოანეს და ეკვთიმეს ნამდვილი მემკვიდრე იყო ავერთა მონასტერის სათვეში და მათი ბიოგრაფია დაწერა. ორი დამაარსებელის, მამის და შვილის, ცხოვრება თარიღდება მაინ (გიორგის) წინამძღვრობის დასაწყისით, დაახლოებით 1045 წლით. ის ჯერჯერობ შეფასებას ანლევს ეკვთიმეს დაუცხრომელ საქმიანობას, რამდენადაც ის, როგორც მთარგმნელი, ბერწყინავს ორი ღირსებით. პირველ ყოვლისა განსხვავებული ზედმიწევნით, გარკვეული არის ეს განსხვავება იმას შორის, რაც არის თარგმნა ქართულიდან ბერძნულად, და იმას შორის, რაც არის თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. მე აქ გადმოთარგმნი ბ. პეეტერსის ლათინურ თარგმანს: „და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტყვობაცა, ვითარცა ნესტ3 ოქროჰაა ქმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქეყეანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისაცა, რამეთუ ბალაქვარი და ბეეკერიან და სხუანაცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძნულად“3. „აშარაა, ამბობს ბ. პეეტერსი, რომ ჰაგიოგრაფი ვანა შუსლეანასა, გაბედადა ასე ლაპარაკს, რომ ერტაგებეზე, რომელშაეც ის იცნობდა ბეერად ეფრო მეტს, ვიდრე ბეერი ელინი, ყოფილიყო მოთავსებული ნივთიერი საბეთი იმისა, რომ „სულის სასარგებლო ისტორია“ არსებობდა ეკვთიმეზე უფრო ადრე? უმჯობესია ეს ეჭვნაბა თუ არ ეჭნებოდა, ასეთი ქარაფშუტა თხზულებანი ეჭნებ დაიცადეთ „ეთიოპურნიერებ“.

ჩვენ სერიოზულად მივიღებთან ამ საბეთს. კიდეეაც რომ არ ვეეიდნოდეთ ქართული ბალავარიანი. მაგრამ ბალავარიანი არსებობს. ჩვენ ეეე

რომლის ორი გარემოება კიდევ უფრო ზრდის მის მნშვნელობას: ანონიმის თარგმანი გულისხმობს მის არსებობას 1048 წლის უწინარეს, **ბერძნული ხელნაწერი**, რომლის მიხედვით მუშაობდა მთარგმნელი, **მიმდინარეობს, თითქმის უეჭველად**, ათონიელნ, **შეიძლება თვით ივერთა მონასტრიდან.** (ხაზი ჩვენია. ს. ყ.).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ ეს ლემა დაცულ იქმნა ხელუხლებლად. თითქმის ყველა ხელნაწერში მხოლოდ პირველი ნაწილი იქმნა შენახული, ჩვეულებრივ ასეთი ფორმით: „სულის მარგებელი მოთხრობა ეთიოპელთა, ეგვიპოწოდებულ ინდოა ქვეყნის შიდა მხარიდან წმინდა ქალაქსა ჩამბანანილი იოანე ბერის მიერ, რომელიც იყო კაცი პატივდებული და რჩეული, საბაწინდის მონასტრის ბერი“.

ლეიის მეოე ნაწილიც გაქრობა, რომლისკენისაც შეიძლება რამდენიმე მოტივი ვივარაუდოთ და, პირველ ყოვლისა, ბერძენთა პატივმოყვარეობის თითქოს შელახვისას. სულ მალე ვახდა სამწუხარო შედეგების მიზეზი: როდესაც სათაური სრულია, მაშინ ბერძნული ტექსტის მთარგმნელის სახელად მოყვანილია ევმთიმე, მაშინ გამოთქმა „ეთიოპელთა ქვეყნის შიდა მხარიდან წმინდა ქალაქში იოანეს მიერ ჩამოტანილი მოთხრობა“. ძალიან ბუნებრივად გამოხატავს მნშვნელობას „შიდა ეთიოპიიდან იერუსალიმში იოანეს მიერ ჩამოტანილი მოთხრობის ახრს“, და რომ ამ შემთხვევაშიც ნაალბად გვიქვს მიღრეკილება **μετενεχθεισα**-ს მნშვნელობა გადაახიოს შეთხზეის ახრისაკენ, ან ჩაწერისა და თარგმანის ახრისაკენ.

მაგრამ როგორც კი ლემას საბედისწეროდ მოკვეთეს მისი მეორე ელემენტი, ხალს ინსტინქტურად დაებადა მოთხოვნილება მოეძებნა ავტორის სახელი და ამან აიძულა თანდათან გადაეყვანა ბუნებრივი მნიშვნელობა „გადმოტანისა“, რომელიც ჰქონდა თავის კონტექსტში ტერმინს **μετενεχθεισα**. ხელოვნურ მნიშვნელობაში „ლიტერატურული გადმოტანისა“. ეს დამახინჯება გამოიხატა ორგვარად. იოანე საბაწინდელმა, უცნობმა ბერმა, სამოლოოდ მიიღო სახე უფრო გავლენანი ბერ. იოანესი, ცნობიერი მწერლისა და გადმოგვცემს, საბაწინდელისა. და სიტყვასთან **μετενεχθεισα** მოვიდნენ შესაფერებლად ან კიდევაც მისი ადგილის დასაკავებლად ასეთი ტერმინები, როგორც **μεταβληθεισα**, („გადმოთარგმნილი ს. ყ.) ან **σιγχρανεισα** („შეთხზული“. ს. ყ.); ამიტომაც უფრო ვგიან გვხვდება ასეთი სათაურები:

„სულის მარგებელი მოთხრობა ეთიოპელთა, ე. წ. ინდთა ქვეყნის შიდა მხარიდან რომ მოვიდნენ წმინდა ქალაქში საბაწინდის მონასტერში პატივდებული კაცება და მოიტანეს, შეთხზული იოანე დამასკელის მიერ“.

„სულის მარგებელი მოთხრობა იოანეს (მიერ) მოტანილი ეთიოპელთა შიდა ქვეყნიდან რომელთა ქვეყანაში და გადათარგმნილი ეთიოპელთა კილოდან ელინურ ენაზე ბერ იოანე დამასკელის მიერ.“

ხომ ხედავთ, რამდენად ცდებოდა ფრანც დელგერი, როდესაც ამტკიცებდა „სიძველეს“ დამასკელური ტრადიციისა. საჭირო იყო სუფეენები, რომ იოანე საბაწინდელი, რომელიც არც ავტორი იყო და არც მთარგმნელი, არამეულ ხელნაწერის მომტანი ინდოეთიდან იერუსალიმში და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო იოანე დამასკელი, როდესაც ეს უკანასკნელი არასდროს არ ყოფილა ინდოეთში, — საჭირო იყო, ვამბობ მე, სუფეენები, რომ ჩატარებულიყო უცნობი ბერის იოანეს გარდაქცევა იოანე დამასკელად, ხრისოროად. ბერძენი ეკლესიის მეორე ოქროპირად. საჭირო გახდა ეგვეთვე, რომ მთარგმნელის და ბერძნული რომანის გამოჩენილი ავტორის ევმთიმეს სახელი დიდების შუქედან გადასროლილი ყოფილიყო უმეცრებისა და სიძველეების ბარე წყვდიადში.

რომ აეხსნათ ევმთიმე იბერის დიდებაცა და ისტორიაზზეც, ჩვენ მოგვიხდება ახლა გიამბოთ და დავახასიათოთ იბერთა (ევმთიმეს და ,ბისიანების) ურთიერთობა ბიზანტიასთან.

საქართველოს სახელმწიფო — ბიზანტიის მოკავშირე

ოდესღაც ჩვენ დავბეჭდეთ (ეურნ. „ბიზანტინონ“ VIII, 1933) **ბრწყინვალე ნარკვევი ზ.** ავალიშვილისა სათაურით „დავით ალმაშენებელ-ტის, იბერიელის, ტაოს მმართველის მემკვიდრეობა“.

შეიძლება ითქვას, რომ იბერიის სახელმწიფო ბიზანტიისათვის ივივეი, რაც კიევის რუსეთის წინასახე, მართლმადიდებელი როგორც ის; მათ თავის დროზე გადაარჩინეს იმპერია ხიფათისაგან, რომელსაც მას უმზადებდნენ ძლიერი მოჯალაენი: ბარდა სკლიროსი (ქართველებმა) და ბარდა ფოკა (ლეკებმა). გადმოვთარგმნოთ მშვენიერი ლთინურიდან ს. პეეტერსის „ქარ-

ტეტნეკური დაბრკოლების გამო მოგეყოვს ქართულად: ანრი გრეგუარს მოყვანილი აქვს ბერძნულად.

თველ მონაზონთა ცხოვრებანი“-ს რამდენიმე გვერდი5:

„და მას ქამსა (976—979 წწ.) იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ და კმელით კერძო ყოველი დაიპყრო და მეფენი (ბასილ II და კონსტანტინე VIII შეწუოდეულად იყვნენ ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარცოდენ ჩუენნი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს. და ეინაცათან გზაჲ ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წყალუნაჲ არა ეგებოდაო“. ამის შემდეგ ნათქუამია: გაიგეს, რომ ათონის მთაზე იყვნენ ოიონე და თორნიეე ათანასესის ლავრაში. გაიგზავნეს მათთჳის სალმქალად მეფეთა შიკრაკი, სევასტოფორი:

„უფლმრთო სკლიაროსი გაგუადგა და კმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ გეეგდრებით სიწმიდესა თქუენსა, რაჲთა თჳნიერ ყოველისა მიზეზისა ოიონე-თორნიე მოეიდეს მეფობისა ჩუენისაჲ“.

თორნიეე ჯერ უარზეა, მაგრამ შემდეგ მიემგზავრება. დედოფალი ემუდარება მას იხსნას იმპერია; იგი თავის თაეზე ღებულობს ყველა შეცოდებას, რასაც კი ბერი, კელაკ ჯარისკაცად ქცეული, ბრძოლის დროს ჩაიდენდა. თორნიეეს მეთაურობით ქართული ჯარი მივა საბერძნეთში. დამარცხებული სკლიაროსი ბერძის არაბთა ქვეყანაში, ხოლო თორნიეე ბრუნდება ათონის მთაზე ეტიეტვი განძეულით, რაც მის მონასტერს უხვად გაამდიდრებს.

ჩვენ აეხსენით უზომო კეთილგანწყობილებაჲ, რომელთაგან სარგებლობენენ ბიზანტიაში თორნიეე, ოიონე, ექვთიმე და, რასაკვირველია, დავით კურაპალატი. მაგრამ ასახსნელი გვრჩება ვკრთობა ამ კეთილგანწყობილებისა, რასაც მოწმობს „სულის მარგებელი ისტორიის“ სათაურში ექვთიმეს სახელის გაუჩინარება. მოკლედ ვიტყვით, რადგან, ისედაც ნათელია.

დავით კურაპალატი ბერდაიცველა აღდგომის დღეებში, 1001 წლის 31 მარტს. ბასილ II, რომელსაც მან უანდერძა თავისი სამფლობელოები, მოეიდა, რათა მიეღო და მოენახულებინა ის, რასაც ის თელდა თავის მემკვიდრეობად. მაგრამ შეთანხმება ვერ დასრულდა მასა და აფხაზთა მეფეს ბაგრატ II-ს შორის (ეს იყო ბერდაცველებული მფლობელის ნაშვილები და ბიერთა მეფე თავისი მამით, გურგენით). უთანხმოება დიდხანს, მწიფდებოდა და საბოლოოდ გამოიწვია ბასილ II-ის უკანასკნელი ომები (1021—1022).

ბასილ II-ის დაპყრობები, საქართველოს და სომხეთის საზარალოდ წარმოებული, შეადგა ბიზანტიაში „იბერიის თემის“ სახით და მისი მთავარი საყრდენები იყო ერზერუმი და ანისი.

ამ ომმა, ზურაბ ავალიშვილის თქმით, გამოავლინა საბოლოო დამარცხება იმ პოლიტიკური სისტემისა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ემყარებოდა იბერია-ბიზანტიის კავშირი. ამიტომად იბერიის სახელი იხსენებება ორგულ მტერთა საძაგელ სახელებს შორის. ბასილ II შემდეგნაირად ლაპარაკობს თავის წყობილ ეპიტაფიაში:6

ძველ მეფეთაგან ზოგმა და ზოგმა
უცხო მხარეები სამარეზე გაიტყუბრეს.
მე კი ბასილი, ძოწეთშობილთა შთამომავალი,
შეკვდავარ საფლავზი შუამსეკეფში,
და ვისენენ ეზომო ზრომთაგან,
რომლებიც გადატანილ ბრძოლებში დავხარკე;
მის შემდეგ, რაც მე ღმერთმა მეფე მიწოდა,
არავის უნახავს ჩემი ლახვარი დასვენებული,
და ამას მოწმობენ სკვითები და სპარსელები,
მათთან ერთად ისრაელი, აბაზგი, იბერი, არაბი.

ჩვენ არ დაეშორებიეართ ჩვენ საგანს, როდესაც მოვიყვანეთ ეს აოსტრიქონინი ლექსი, რომლის მეთე ტაეი ვეგიხსნის იმის მიზეზს, თუ ექვთიმე იბერმა, რომელიც ბასილ II-ის სამი წლის შემდეგ გარდაეცვალა, რატომ ვერ შეინარჩუნა პატიეი დარჩენილიყო ბიზანტიური ლიტერატურისათვის შედეგრის, ეარლამ და იოასაფის „სულისმარგებელი ისტორიის“ ავტორად. პატეეი, რომელიც მას მოსტაეა ოიონე დამასკელის არრდილმა.

---

6 ჩვენ დიდი შრომა დაგვეგმრია გვეპოეა იგი, თუმცა ზ. ავალიშვილი სრულიად გარკვეეით მიუთითებს ზონარას მე-6 ტომს, გვ. 172—173. საქმე ეხება ზონარას ტექსტის დინდორფის გამოცემას, რომელიც იმეორებს ლეერის გამოცემას (ბიზანტიისას) დიუკანგის შენიშვნებით; მან ვამოსცა ეპიტაფია პახიმერეს ერთი ხელნაწერის მიხედვით (ნუსხა 2130). შლომბერეე, როგორც ჩანს, არ იცნობდა ამ კარგ პოემას და ჩვენ მოგვყავს ჩვეულებრივი გამოცემის, ზონარა III ბონის კორპუსში, ბიეტნერ-ეობსტის მიხედვით.

---

5 მოგვყავს პირდაპირ ქართული ტექსტი: იხ. ზემოთ შენიშვნა 1.

ᲛᲐᲓᲚᲔᲜᲐ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲝᲠᲘ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲘ

გასულ წელს თბილისის კონიაკის ქარხანას არსებობის 80 წელი შეუსრულდა. ეს თარიღი ქართველი საზოგადოების მიერ ფართოდ აღინიშნა. საყოველთაოდ განთქმული ქართული კონიაკის წარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილ ქართველ მრეწველს დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილს, რომელმაც ჩვენში საფუძველი ჩაუყარა და საკმაოდ მაღალ დონეზე აიყვანა კონიაკის სარეწველო წარმოება, რის მაჩვენებელიც არის მისი ქარხნების პროდუქციის მიერ საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედალი.

დ. ზ. სარაჯიშვილის მიერ 1888 წელს დაარსებული კონიაკის ქარხნის საფუძველზე შექმნა თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მის ფირმაში გამოზრდილი სპეციალისტები — ნ. ს. გამბაშელი, ვ. დ. ციცაშვილი, მათ განვითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართული კონიაკის წარმოება. ახლა ქართული კონიაკის მარკა მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

მეტად სანტერესოა საქართველოში კონიაკის წარმოების განვითარების ისტორია. მრეწველობის ამ დარგის განვითარებაში, როგორც ღვინიშნავთ, თვალსაჩინო როლი ითამაშა ქართველმა მრეწველმა დავით სარაჯიშვილმა, რომლის დაბადების 120 წლისთავი გასულ წელს ვიზეიმეთ. იგი მეტად განათლებული პიროვნება იყო. 1866 წელს, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, მან ერთი წელი დაჰყო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რის შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ მიუნქენის, მერე კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ 1871 წელს მიენიჭა ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მაღე იგი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც შეისწავლა მეკენახეობა და მეკენახეობისთან დაკავშირებული საკითხები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროდ სპირტისა და არაყის წარმოება აირჩია, რათა საფუძველი მოემზადებინა კონიაკის წარმოებისათვის, რაც მან ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს დაისახა მიზნად.

დ. სარაჯიშვილი ცნობილია არა მარტო როგორც მრეწველი კაპიტალისტი, არამედ როგორც ქართული ეროვნული კულტურის მოამაგე და ქველმოქმედი. მის სიცოცხლეში არც ერთი ეროვნული საქმე არ წამოწყებულა, რომ მას მატერიალური დახმარება არ გაეწიოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს. დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-საგთნოგრა-

ფიო საზოგადოებების, სათავადაზნაურო ბანკის, ქართული გალობის აღმდგენელები კომიტეტის, მუსიკალური სასწავლებლის დაარსების, გაზეთის, ჟურნალის, წიგნის გამოცემის, მეცნიერთა, მუსიკოსთა გამოჩნდის, ეკლესიისა და სკოლის გამშენებლის, ღარიბ-ძღლურთა დახმარების, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა დაჯილდების და სხვა მრავალ საქმეში.

დ. სარაჯიშვილის ბინა (დღეკანონელი მწერალთა კავშირის შენობა) წარმოადგენდა ქართველი ინტელიგენციის შესაკრებ ადგილს, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ცნობილი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მხატვრები... მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ნ. ჯაკებაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარები, გრ. ყიფშიძე, ტ. ერისთავი, ვ. უმიკაშვილი, ივ. მაჩაბელი, ნ. ცხვედიანი, ი. მაწყვეტაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ლალიტი, ნ. ქორიდანია, მ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ნ. გაბუნია და სხვანი. ხშირად ირთობოდა პოლუმენაკა ამა თუ იმ მნიშვნელოვან თემაზე. წყდებოდა ბევრი საპირბოროტო საკითხი.

დ. სარაჯიშვილის თბილისის მთავარ კანტორასთან არსებობდა სტიპენდიების გამანაწილებელი კომიტეტი ნ. ცხვედიანის თავმჯდომარეობით. 1889-1911 წ. წ. კომიტეტი ყოველწლიურად სტიპენდიებისათვის 30.000-40.000 მანეთს გასცემდა. მისი სტიპენდიატები იყვნენ მელატონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, ი. ყარგარელი, მოსე თოიძე, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ ნიკოლაე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ანრიალ ქართველიშვილი და სხვები. მისმა მაღლიერმა სტიპენდიატმა ნ. ნიკოლაძემ მარბარა ლოსაცვის გამოყვანთა დ. სარაჯიშვილის ქანდაკება, რომელიც ამკაბად ხელოვნების მუზეუმში ინახება, ხოლო თაბაშირით შესრულებული — ლიტერატურულ მუზეუმში.

დ. სარაჯიშვილმა თავისი სიყვარული სამშობლოსადმი, სამსახური თავისი ქვეყნისადმი, მზრუნველობა ხალხისადმი, ეროვნული კულტურისადმი გამოხატა თავის ანდერძში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაეკი და ეკატერინე სარაჯიშვილებმა უანდერძეს 890.000 მანეთი. ქართული ეროვნული მუზეუმის აგებას 150.000 მან. ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას— 205.000 მანეთი, თავისი ფირმის მუშებს 198.000 მანეთი და სხვ.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება, ორფორიც მრეწველობის ცალკე დარგი, XIX საუკუნის 80-ან წლებში შეიქმნა. სპირტიან სასმელებზე მოთხოვნილების ზრდის გამო ისინი ძირითადად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. 1873 წლისათვის თბილისში საზღვარგარეთული სასმელების ორი მაღაზია არსებობდა. ერთი მათგანი საფრანგეთის ქვეშევრდომს რიშარს ეკუთვნოდა. იგი საფრანგეთიდან მიღებული სასმელის ჩამოსასმა ადგილზე ახდენდა. შემდეგ საქონელს ასაღებდა ამიერ-კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთაც. ერთი ვედრო ფრანგული კონიაკი 40-დან 140 მანეთამდე ღირდა. ამასთან საზღვარგარეთული კონიაკის უმეტესობა ფალსიფიცირებული იყო, ხშირ შემთხვევაში იგი პუნის, კარტოფელის, სპირტის, კონიაკის ესენციის, შაქრის, ჩაის წყლისა და სხვათა ნარევს წარმოადგენდა.

ბუნებრივია, რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოება ისეთ ადგილებში უნდა შექმნილიყო, სადაც ამისათვის სათანადო პირობები იყო. კონიაკის წარმოება უეცრათ რიღიოლეთ კავკასიაში, ყირიმში, ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ყველა ეს ცდა XIX ს. უკანასკნელ მეოთხედამდე მარცხით მთავრდებოდა. რუსეთში კონიაკის წარმოების განვითარებამდე კონიაკს უწოდებდნენ საერთოდ ყველა სახის არაყს, რომელიც ყურძნისაგან ან მისი ნარჩენებისაგან იყო მიღებული.

XIX ს. I ნახევრიდან ყიზლარში ღვინის და ჭაჭისაგან დიდი რაოდენობით ბრანდებენ ყიზლარულ არაყს „კიზლარკის“ სახელწოდებით, რომელსაც ფრანგულ კონიაკებსაც კი ადარებდნენ. პირველ ხანებში მას დიდი გასაღები ჰქონდა, მაგრამ თანდათან, მოთხოვნილების შემცირებასთან ერთად, მისი წარმოებაც დაეცა. 1882 წ. ტემპელეოფში გიიხსნა კონიაკის ქარხანა, ამავე პეროიდში თერგის ოლქში უშეიენენ „სამთოხის ცრემლის“ სახელწოდებით. არსებობს აზრი, რომ ეს იყო უმაღლესი ხარისხის ნაწარმი, რომელიც ფრანგულ კონიაკებსაც კი უწევდა კონკურენციას, მაგრამ 1884 წ. ახალი საკაქიზო სისტემის შემოსაღასთან დაკავშირებით, მისი წარმოებაც შეწყდა, კონიაკის წარმოების ცდებს ადგილი ჰქონდა ციორნოეოს, რაციასის, რომანოფების მამულში, საქართველოში — კახეთის საუფლისწულო მამულში. მაგრამ ყველა ეს წამოწყება ან პრიმიტიული და სათანადო ტექნიკურ საფუძველს მოკლებული იყო, რის გამოც ვერ უძლებდა კონკურენციას და იხურებოდა, ანდა სპორადულ ხასიათს ატარებდა. ზოგჯერ კი სულაც საოჯახო მოხმარების ფარგლებს არ სცილდებოდა.

წარმატებლობას ხელს უშლიდა ისიც, რომ კონიაკის წარმოება მოითხოვდა ფულის დიდი რაოდენობით დაბანდებას. სხვა სახის საწარმო შედარებით ადრე ანაზღაურებდა ხარჯებს, კონიაკისა კი მოითხოვდა დიდ დროს, რაც სპირტის დაძველებასთან ერთ დაკავშირებული. გასთვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ რუსეთის ბაზარზე უცხოეთიდან შემოტანილი კონიაკი ბატონობდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ხელს უშლიდა ახალ წარმოების დაუბარკოლებლივ განვითარებას, ამიტომ ხში-

მაგლენა მირიანაშვილი
ორი იუბილე

რად ახლად შექმნილი კონიაკის წარმოება კოტრდებოდა და იხეტებოდა.

რუსეთის იმპერიაში კონიაკის სამრეწველო წარმოების პიონერად დ. სარაჯიშვილი თვლება. მისი წარმოება სათანადო ბაზაზე იყო დაყარტული და ფართო სამრეწველო ხასიათი ჰქონდა.

1888 წ. შემოდგომაზე სარეკლამოფიკაციო ქარხნის ბაზაზე — ოლღას ქუჩაზე მუშაობა დაიწყო დ. სარაჯიშვილის — თბილისის კონიაკის ქარხანამ (იგი მანამდეც, 1884 წ.-დან აშენდებოდა კონიაკს, მაგრამ ამას მხოლოდ ცდების ხასიათი ჰქონდა). პირველი პროდუქციია ქარხანამ საკონიაკე სპირტის სახით იმავე წელს გამოუშვა 9631° რაოდენობით. საკაცხოო სამმართველოს უფროსი დეპარტამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში სპეციალურად აღნიშნავდა: «В 1888 году Сараджев в Тифлисе устроил первый коньячный завод в России, чем дал толчок к открытию других подобных же заводов в Закавказье... однако, таковые заводы до примера поданного Сараджевым не возникали»[1].

დაახლოებით ამავე პერიოდში გაიხსნა კონიაკის ქარხნები: 1891 წელს — ა. სოღომონოვისა და მ. ხუბლარიანს, 1892 წელს — პარუმეანს, ირუნოვისა და ფორკინს; 1895 წელს — გუმელის, ჯეკაშორისა და გაჩეჩუნეცვის — ელისავეტპოლოს გუბერნიაში; 1892 წელს — ეგზარლოვის და 1894 წელს — ფეროკოვის — ერევნის გუბერნიაში, 1891 წელს — პრინცი მიუროატის — ქუთაისის გუბერნიაში; 1895 წელს — მირზახანოვისა — ბაკოს გუბერნიაში.

1888 წლიდან დ. სარაჯიშვილს კონიაკის ქარხანაში შეეცალიოდან მიღებული ალარტი ამოქმედდა. მისი კუბი 41 ვედროს ტევადობისა იყო. იგი შედგებოდა დეფლეგმაციური ცილინდრისაგან 2 თეფშით და კლანერი მაცივრით. მაღალი ხარისხის საკონიაკე სპირტის გამოსაგანი ტეტად ნელა წარმოებდა (2 გამოხდა დღეღამეში). მიღებული 55,4° სიმაგრის საკონიაკე სპირტი ეუფის კასრებში ინახებოდა. პირველ წლებში ქარხანა იყენებდა ეახეთის, ქართლის, კიკეთიდამის სხვადასხვა ხარისხის ღვინოს.

ახალ საწარმოს პირველი წლებიდანვე დიდი სიძნელეებს გადალახვა მოუხდა, რადგან მას კონკურენცია უნდა გაეწია საზღვარგარეთელი კონიაკისათვის, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, თავისი დაბალი ხარისხის მიუხედავად, დაყოფილი ჰქონდა რუსეთის ბაზარი. კარგად რეკლამირებული უცხოური საქონელი პირველ ხანებში იოლად ამარცხებდა ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციას, რომელსაც მოსმენარებელი ნაკლებად ეტანებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში წარმოება თანდათანობით ეაუმჯობესდა, ამაღლდა ღვინო-მასალის ხარისხი, გაიზარდა მუშაკის კასრებში საკონიაკე სპირტის დაძველების პერიოდი. ყოველივე ამ ღონისძიების შედეგი ის იყო, რომ ადგილობრივმა კონიაკმა თანდათან მოიხეუჭა სახელი და გავიდა რუსეთის ბაზარზე.

1895 წ. დ. სარაჯიშვილის 1, 2, 3, 4, ვარსკვლავიანი ქართული კონიაკი „რუსული ნატურალური კონიაკის“ მარკით გადიოდა მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის სხვა ქალაქებში, იგი ბევრად იაფი იყო საზღვარგარეთელ სასმელებთან შედარებით.

1898 წ. დ. სარაჯიშვილი კვლავ თხოვს დეპარტამენტს ნება დართოს, რუსეთის იმპერიის ბაზარზე ვაიტანოს 50-დე დასახელების საალკოჰოლო სასმელი — კონიაკი, სხვადასხვა სახის ნაყენი და რომი შემდეგ ფასებში: ძველი №1, 1/16 ბოთლი 87 კაპ., 1 — 1ბაქ. 2. — 1 მან. 30 კაპ., 3 — 1ბაქ. 50 კაპ., 4 — 1 მან. 90 კაპ. ფინშამპანი — 2 მან. 35 კაპ., ძველი ფინშამპანი —2მან. 85 კაპ., გრანდ შამპანი — 3 მან. 35 კაპ. 1/16 ბოთლი. დ. სარაჯიშვილის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, ხოლო ა. სოლომონოვისა და ხუბლარიეს თბილისის ფირმებს, პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო, აეკრძალა რუსეთში სასმელების გატანა.

დ. სარაჯიშვილის კონიაკი ფრანგთან კონკურენციას უწევდა უცხოეთის კონიაკს. მისი პროდუქციი ძირითადად მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის სხვა ქალაქებში საღდებოდა. მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა სარაჯიშვილის მიერ კონიაკის გამოშვება, ამ დროისათვის დ. სარაჯიშვილის მიერ ბაზარზე გატანილი კონიაკის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მის მიერ დამზადებულ საკონიაკე სპირტს. ამ სხვაობას იგი ეფსებდა საკუთარი, ყიზლარის ქარხნიდან, რომელიც 1889 წ. გახსნა, ნაწილი კი სხვა მწარმოებელებისაგან ყიდულობდა.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ თბილისში ჩამოტანილი ღვინის გამოხდა ძვირი ჯდებოდა, ამიტომ სარაჯიშვილმა გადაწყვიტა დიეხრა თბილისის ქარხანა და ახალი ქარხნები ნედლეულის ბაზებთან ახლოს გაეხსნა. 1895 წ. თბილისს კონიაკის ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა. იგი გადაკეთდა კონიაკის ცენტრალურ საწყობად. დ. სარაჯიშვილის კონიაკის ახალი ქარხნები გაიხსნა 1894 წ. ერევანში, 1895 წ. კალარაშში (ბესარაბია), 1901 წ. ბაკიკუმეთსა და ქოქჩაში (ბაქოს გუბერნია), 1908 წ. ტარუმოვკაში (თერგის ოლქი), 1915 წ. ელისავეტპოლში (ყოფილი ფრანგეს ქარხანა). საკუთარი ვენახიდან მიღებული ღვინის გარდა ქარხნები ადგილზე ყიდულობდნენ იაფფასიან ნედლეულს, რაც სპეციალური პირების, აგენტების მეშვეობით ხდებოდა. შუამავალი შემსყიდველების პასუხისმგებელნი იყვნენ ნედლეულის ხარისხზე. შემენილი ღვინის გადაღება, ნალექებისა-

[1] Закавказье, 1911 г. № 138. დ. ზ. სარაჯიშვილის სახსოვრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან განთავისუფლების მიზნით, სექტემბრიდან მარტამდე ორჯერ ხდებოდა. ვარდა ღვინისა, ქარხნები ადგილობრივი მწარმოებლებისაგან მზა საკონიაკე სპირტსაც იყენებნენ.

დ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნები აღტურეული იყო იმეროოსანთის საუკეთესო დანადგარებით. ეროვნული კონიაკის ქარხანაში მოქმედება პისტოროიუსის ტიპის აპარატი 177 ვედროს მოცულობის კუბით, ცილინდრული მაცივრითა და ორი თეფშით. ბესარაბიის კონიაკის ქარხანაში 1901 წლიდან მისი რეკონსტრუქციისა და კალარაშიდან კიშინიოვში გადატანის შემდეგ, ორი გამოსახულები აპარატი მუშაობდა. დ. სარაჯიშვილი სათანადო დროს ცვლიდა ქარხნის მაქანა-იარაღებსა და დანადგარებს და მის რეკონსტრუქციას ახდენდა ახალი ტექნიკის ბაზაზე. 1906 წ. ცვლილებები განიცადა № 3 სარეტორტიანი ქარხანამ. 1909 წ. კი სარეტორტიანი აპარატს დამატებით დეფლეგმატორი და ახალი ავტომატური რეგულატორი დაუყენეს. სარეტორტიანი ქარხნებში ბორმანოსია და შეედეს და სალალის ტიპის დანადგარები მოემზადებდა, კონიაკის ქარხნებში კი პისტოროიუსისა და შარანტის ტიპის აპარატები. ასეთი აღჭურვილობა თითქმის დღემდეც შემორჩა.

სხვადასხვა ქარხნებში დამზადებული საკონიაკე სპირტი კასრებით გაგზავნდათ თბილისის საკონიაკე საწყობში, სადაც მისი შემდგომი დამუშავება ხდებოდა.

დ. სარაჯიშვილის კონიაკის წარმოებაში ძირითად როლს თბილისის კონიაკის ცენტრალური საწყობი ასრულებდა, რომელიც ოლოს ქეჩრიდან 1901 წ. წყნეთის ქუჩაზე იქნა გადატანილი (ამჟამად მელიქიშვილის ქუჩა, სამეფიცანო ინსტიტუტის შენობის ადგილზე), საწყობი შედგებოდა 3 შენობისა და 6 სარდაფისაგან და გათვალისწინებული იყო 2-3 მილიონი გრადუსი საკონიაკე სპირტის დასაძველებლად. აქ არსებობდა სპეციალური განყოფილება, სადაც ხდებოდა საკონიაკე სპირტის ტაბების გამოშუშავება, კონიაკის დაკუპაჟება, ახალი მარკის სასმელების გამოშვება და სხვა.

დ. სარაჯიშვილის ფირმაში კონიაკის წარმოება ფრანგული წესის მიხედვით ხდებოდა. საწყობში მიღებული საკონიაკე სპირტი ხარისხდებოდა და სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ადგილებიდან შემოსული სპირტი ცალ-ცალკე ისხმებოდა 40-50 ვედროიან მუხის კასრებში. მუხის შერჩევა საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ჯიშებიდან ხდებოდა. სპირტის დაძველების შემდეგ საკონიაკე სპირტის დაკუპაჟება ანუ გაზავება წარმოებდა. დაკუპაჟებული კონიაკი ისხმებოდა უფრო დიდ კასრებში და დასაყენების შემდეგ ბითუმად ან ბოთლებში ჩამოასხ

ლგვარი მინარეულისგან თავისუფალი მაღალი ხარისხის კონიაკი, რაც განაპირობა ქართული ყურძნის მაღალმა ხარისხმა.

დ. სარაჯიშვილის ფირმის საქმიანობა მეტად მრავალფეროვანი იყო. იგი მოიცავდა ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა სახის წარმოებას — ხდიდა არაყს, ასეთფო

ჟენიაკის ქარხანას, სპირტის საბითუმო და კონიაკის საწყობებს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ფეოდოსიაში, პეტროფსკში, ჩარკოფში და სავაჭრო საავეტლიებს რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქში.

დ. სარაჯიშვილის მაღალსახოსნოვანი სალაკოპოლო სასმელები არაერთხელ იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა სამრეწველო გამოფენაზე. მისმა პროდუქციამ დაიმსახურა 8 ოქროს, 3 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი და 1 დიპლომი (ოქროს მედალზე), კერძოდ, 1889 წ. კიევაში გამოფენაზე თბილისში დაჯილდოდა ოქროს მედლით, 1889 წ. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში — 2 ვერცხლის მედლით, 1890 წ. სამეცნიერო-სამეურნეო გამოფენაზე ყაზანში — დიპლომით ოქროს მედალზე. 1893 წ. კოლუმბის გამოფენაზე ჩიკაგოში — ბრინჯაოს მედლით, 1899 წ. პეტერბურგში, სრულიად რუსეთის პიგიენურ გამოფენაზე ვერცხლის მედლით, 1896 წ. სრულიად რუსეთის გამოფენაზე ნიჟნი-ნოვგოროდში ოქროს მედლით, 1900 წ. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში — 2 ოქროს მედლით 1 — კონიაკისათვის, 1 ლიქიორისათვის, 1901 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თბილისში 2 ოქროს მედლით, (კონიაკისათვის, არყის წარმოებისათვის), 1910 წ. სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე ოდესაში ოქროს მედლით (კონიაკისათვის), 1913 წ. სრულიად რუსეთის გამოფენაზე კიევში — ოქროს მედლით (კონიაკისათვის). 1901 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით, დ. სარაჯიშვილმა გამოუშვა სამარკო კონიაკი „ძველისქველი", რომელიც დაყენებული იყო 1888 წ. საკონიაკე სპირტზე. აღნიშნულმა კონიაკმა მეტად დიდი მოწონება დაიმსახურა და არა ერთხელ იქნა დაჯილდოებული ოქროს მედლით. 1902 წ. დ. სარაჯიშვილს აღკოპოლიანი სასმელების წარმოების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის მინიჭება „კომერციის სოვეტნიკის" წოდება, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ფირმის მარკა იყო კლდეზე შემდგარი ჯიხი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ XIX საუკუნეში საქართველოში იყო სპირტის მრავალი წვრილი მწარმოებელი, რომელთა საერთო ხვედრითი წონა მეტად დაბალი იყო, აგრეთვე იმას, რომ საალკოჰოლო სასმელების წარმოება თავმოყრილი იყო მსხვილ ხარმრეწველო ქარხნებში, რომელნიც მთლიანად მოიცავდნენ სპირტის წარმოებისა და გასაღების ოპერაციებს, რომ ამ უკანასკნელთა შორის წამყვანი ადგილი დ. სარაჯიშვილის ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას ეკავა, ცხადი გახდება მისი ადგილი სპირტიანი სასმელების წარმოებაში. XIX ს. 80-იანი წლებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე, დ. სარაჯიშვილის უახლოესი ტექნიკის ბაზაზე შექმნილი წარმოება, **სპირტის მწარმოებელთა შორის,** საქართველოში ყველაზე მსხვილი სამრეწველო მონოპოლისტური გაერთიანება იყო.

1911 წელს დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ფირმის საქმიანობას სათავეში ჩაუდგა სარაჯიშვილის მეუღლე. მის დროს ფირმის წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა. 1913 წელს ფირმას მიეცა წოდება.

«Поставщик двора Его Императорского Величества».

I მსოფლიო ომის დროს წარმოება კვლავ განაგრძობდა არსებობას. რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაწესებულმა სამოქალაქო ომმა ჩაკეტა რუსეთის ბაზარი, გამოუცალა მდგომარეობა შეუქმნა წარმოებას. მოხდა მისი კონსერვაცია. კონსერვაციის დროს ფირმიდან სარეალიზაციოდ გატანილი იქნა 300 კასრი საკონიაკე სპირტი, რაც უგზოუკეთოდ დაიკარგა. წარმოებას არსებობა თანდათან გაუჭირდა. დაიხურა ფართო გასაღების ბაზარი, რასაც თან დაერთო საგარეო პოლიტიკური და შინა აშლილობა, წარმოებას უკლო პროდუქციის გამოშვებას და დაახლოებით 1920 წელს ფირმამ („დ. ზ. სარაჯეგ") შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ 3-4 წლის მერე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განაახლა მუშაობა.

დ. ზ. სარაჯიშვილის კონიაკის ქარხნის საფუძველზე შექმნა საქართველოს კონიაკის ქარხანა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მის ფირმაში გამოზრდილი სპეციალისტები. მათ განავითარეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართული კონიაკის წარმოება. ახლა ქართული კონიაკის მარკა მთელ მსოფლიოშია ცნობილი. თბილისის კონიაკის პროდუქცია იგზავნება საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში. ქართულმა კონიაკმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

რევაზ მიშველაძე

სიცილის სალონში...

ადამიანი გაიცინცვას იოლად იტანს, დაცინვას კი ვერა; იგი თანაზმაა იყოს ცუდი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — სასაცილო.

მ ო ლ ი ე რ ი

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია. მინიატურების თეატრი — „ენკი ბენკი“. ხელმძღვანელი **თენგიზ ჩანტლაძე**. მსახიობები **ზაირა გოგიაშვილი, ირაკლი როსტიაშვილი, ოთარ სანდღმიისაშვილი, თენგიზ ჩანტლაძე, ჯემა რუფლატი, მაია ვიკტოროვა, ნოდარ ბასილაშვილი.** დამდგმელი — **ავთანდილ გელოვანი**, ტექსტი **თ. ჩანტლაძის** და **ა. ველოვანისა**, მხატვარი **ირაკლი გორგელაძე**, კომპოზიტორი **ოთარ თევდორაძე**, კორეოგრაფი **გივი ოდიკაძე**, ინსტრუმენტული ანკარტები: **როგერგ მერაბოვი** (ხელმძღვანელი), **ნიკოლოზ კვეკვეციანი, ნუგზარ თხილავა, იური მიკიერტშვილი.**

არსებობს გაუცინარი მაყურებელიც. კაცი, „დონ-კიხოტსა“ და ჩარლი ჩაპლინს ნაზიარევი; კაცი, რომელმაც ზეპირად იცის ადგილები ილფისა და პეტროვის თუ ზოშჩენკოს წიგნებიდან, კაცი, რომელსაც წლების განმავლობაში ჩვენი ესტრადიდან სთავაზობდნენ უგემოვნო, პროვინციულ ხუმრობებს დიდი რიდითა და მოკრძალებით (კინაღამ ვთქვი — შიშით) იმ დიდი მატერიებისადმი, რაც თითქოსდა ყოველგვარი სატირისა და იუმორის მიღმა დგას, კაცი, რომელსაც ცხვირში ატენიდნენ უმტკივნეულო იუმორის შაბლონურ წვრილმანთემიანობას... თანდათანობით ჩამოყალიბდა სკეპტიკოსად. სკეპტიკოსად იმ დიდი მოვალეობის პუბლიცისტური თეატრის მიმართ, რასაც ქართული სატირული ესტრადა ჰქვია. ამ ესტრადაზე დიდხანს იდგნენ ნიჭიერი კომიკოსი მსახიობები; იდგნენ კვალიფიციური ტექსტისა და რეჟისორის გარეშე და ბევრი მათგანი ისე ჩამოვიდა სცენიდან, რომ კვალი მხოლოდ იმ გულუბრყვილო მაყურებლის თვალში დატოვა, ვისაც თითის ჩვენებაზეც კი ეცინება.

თენგიზ ჩანტლაძის მინიატურების თეატრი ქართული სესტრადო სატირისა და იუმორის პროფესიულ დაწესებულებაში გაერთიანების ცდაა, გულწრფელი ტაში, რომლითაც მაყურებელი ამ ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს და მისი დასის სხვა წევრებს აჯილდო-

ებს, ამ ცდის პირველი დამსახურებული წარმატებაა.

ეს, რა თქმა უნდა, ჯერ სრულყოფილი თეატრი არ არის, მაგრამ ასეთი თეატრის შექმნისკენ გადადგმული ყველაზე დიდი ნაბიჯია, რაც კი აქამდე ჩვენს ფილარმონიას ამ მიმართულებით გადაუდგამს. მინიატურების თეატრის საჭიროებაზე კი ორი აზრი არ არსებობს. ამაში დავიმოწმებ მაყურებლით სავსე დარბაზებს, — ორი თვის განმავლობაში „ენკი ბენკის“ განუყრელ თანამგზავრს.

ამ თეატრიდან ხვალ თუ ზეგ ჩვენი ცხოვრების მანკიერებებზე მაყიანი და მრისხანე ხმა უნდა გაისმას, ამ თეატრმაც ეზოპეს ენით, დაუფარავად და პირდაპირ უნდა მიგვითითოს ჩვენს ნაკლოვანებებზე და ადამიანის გაკეთილშობილების საქმეში შესაფერი როლი შეასრულოს.

სიცილი ჩვენი თანამედროვის ხალისიანი და განუყრელი თანამგზავრია. გაუხუნარია მისი ესთეტიკური და სოციალური ძალა. სატირასა და იუმორს ყველაზე მეტი მუშტარი ჰყავს, თუმცა „დაცინვისა თვით იმასაც კი ეშინია, ვისაც თითქმის აღარავისი ეშინია ამ ქვეყნად“ (გოგოლი). ჩვენ ახლა შორსა ვართ იმ დროიდან, როცა მეთერთმეტე საუკუნის არქეპრისტიანი ბერი ბალავრაში წერდა: „სიცილმან წარწყმიდოს სული მონაზონისაჲ, სიცილმან შთაგდის სული მონაზონისაჲ ვნებათა მწინაკულევანსა, არა ხოლო თუ ოდენ ჭაბუკი, არამედ მოხუცებულიცა... სიცილი უხმარ არს და უსარგებლო...“ ჩვენ ახლა შორსა ვართ უკონფლიქტობის თეორიის იმ უსაფუძვლო ჰიპოთეზისგანაც, რომლის მტკიცებითაც საბჭოთა საზოგადოებაში სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურას მომავალი არ გააჩნდა.

3. მაიაკოვსკიმ ერთხელ დასწერა: „ჯერა, მომავლის სკოლაში სატირას ასწავლან ალგებრის გვერდით, იქნება, აუცილებლად იქნება სატირის უმაღლესი სკოლა“. ეს საკითხი არანაკლები სიძლიერით დგას მინიატურების თეატრის წინაშეც, იგი მაყურებლს გემოვნების აღზრდისა და ფორმირების „უმაღლეს სკოლად“ უნდა იქცეს.

ჯერჯერობით კი რაც ჩვენი ესტრადის ახალგაზრდა ენთუზიასტთა რუდუნებით გაკეთდა, წახალისებისა და ტაშის ღირსია. ფილარმონიის საზამთრო თეატრის პატარა სცენაზე ორი საათის განმავლობაში გაიცალს სატირიკოსის თვალით დანახული „ე ბ ე ბ რ ბ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი“, მაყურებლის აქილევსის ქუსლი — „ტ ე ლ ე ფ ო ნ ი“ და კოლორატული „ნ ა დ ი რ თ ა ს ა ს ა ბ ა რ თ ლ ო“. მაყურებლის გულწრფელი ტაში არაერთხელ ჩაერევა სპექტაკლის მხიარულ მდინარებაში. ეს ტაში ყველა შემსრულებელს ეკუთვნის, იქნება იგი სასიამოვნო გარეგნობისა და დიქციის ზაირა გოგიაშვილი თუ დინჯი და ნახევრადირონიული ოთარ სანდომისაშვილი, სხატი და მოქნილი ირაკლი როსტაიშვილი თუ ხალხური ნიღბების ოსტატი ჯემა რუდელატი, ატლეტური ნოდარ ბასილაშვილი თუ ტემპერამენტიანი მაია ვიქტოროვა... და რაც მთავარია, თენგიზ ჩანტლაძე, — ჭეშმარიტი კომიკოსის ნიჭით დაჯილდოებული ამ მსახიობის სახით ქართულ ესტრადას საამედო ოსტატი ჰყავს.

იქნებ არც კი იყოს საჭირო ამ „დამწყების“ თეატრის ნაკლოვანებათა ჩამოთვლა:

1. მას გაბედულება აკლია. უფრო ღრმად უნდა ჩაწვდეს ცხოვრებას და ხელი ჩასჭიდოს ახალ თემებს, რათა ჩვენი ესტრადის ტრაფარეტული, ყბადაღებული თემატიკის პერსეფერიციის საშიშროების წინაშე არ აღმოჩნდეს.

2. ტექსტობრივი მასალის სისუსტეს მსახიობთა კარგი თამაშიც ვერ შველის. ტექსტი ალაგ-ალაგ პროვინციული, ალაგ-ალაგ ხელოვნურად გაჭიანურებული და ალაგ-ალაგ ანგგდოტურია („ნადირთა სასამართლო“... „მეგობრობის მატარებელი...“).

რევაზ მიშველაძე
სიცილის სალონში...

3. მომჭირნეობით მოვეკიდოთ მუსიკალურ მხარეს. ზოგან ხელოვნურად ჩართულმა სიმღერებმა ცუდი ოპერეტის ასოციაცია არ გამოიწვიოს.

4. ზოგიერთი მსახიობი, როგორც ჩანს, თავისი პროფესიული ხასიათით არ შეესაბამება სატირულ-იუმორისტულ თეატრს. ხშირად ყალბად სერიოზული და ხშირად ძალად მხიარულია.

მაგრამ ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩემზე უკეთ იცის „ენკი ბენკის“ მცირერიცხოვანმა კოლექტივმა. მე მათ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის სიტყვებს შევახსენებ: „დაუჭინიათ სასაცილოაო. ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესტეტიური გრძნობა ყველასაცილს ვერ შეიწყნარებს, თავის-მაგალად ვერ გაიხდის. სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდაიქმნას ლაზღანდარობად...“

...და მაინც, უპირველეს ყოვლისა, მინიატურების თეატრს მწერალი სჭირდება. სიტყვა იმათზეა, ვისაც ხელეწიფების სატირისა და იუმორის მახვილის „მარჯვედ ქნევა, მართლად ცემა“.

კარგი დასაწყისი უკეთესი მომავლის საწინდარია.

გამარჯვებას ვუსურვებ „ენკი ბენკის!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი კოკაია-ფანჯიკიძე

ლეონჰარდ ფრანკი ქართულად*

არიან მწერლები, რომელთა მოძხიბლაობას შათი დიდებული უბრალოება განაპირობებს. ეს მწერლები უბრეტენზიოდ, თავმოდრეკილად ემსახურებიან ქვეყანას და ერს, ღრმა კვალს სტოვებენ ერის სულიერ ცხოვრებაში და თავიანთ შემოქმედებაში ასახული ადამიანური განცდებითა და ზოგადსაკაცობრიო იდეალებით ყველა ეროვნების მკითხველისათვის მახლობელნი ხდებიან.

თანამედროვე გერმანული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ლეონჰარდ ფრანკი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ასეთ მწერალთა რიცხვს. ქართველმა მკითხველმა ლეონჰარდ ფრანკი მშობლიურ ენაზე ამ რამდენიმე წლის წინ გაიცნო მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანის თარგმანით „მარცხნივ, სადაც გულია“. გასულ წელს კი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართველ მკითხველს ლეონჰარდ ფრანკის მოთხრობების კრებული მიაწოდა. წიგნში შეეიდა ფრანკის შვიდი მოთხრობა: „მამა“, „ბედის ხიდი“, „ორი დედა“, „ბოლო ვაგონში“, „ანა და კარლი“, „მერლინური სიყვარულის ამბავი“ და „მიხაელის დაბრუნება“.

ჟინაიდან ამ შვიდი მოთხრობიდან ექვსის თარგმანი ვიოლეტა ფურცელაძეს ეკუთვნის, ძირითადად მინდა ამ მთარგმნელის ნამუშევარს შევეხო.

დავიწყოთ სათარგმნი მასალის შერჩევით.

ლეონჰარდ ფრანკის შემოქმედება ტენდენციური შემოქმედების მაგალითია. მისი ნაწარმოებების ერთი ნაწილი მწვავე სოციალური ბრალდებაა თანამედროვე კაპიტალიზმზე, მეორე ნაწილი კი პაციფისტური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ორი მსოფლიო ომის მომსწრე მწერალს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ დაუყრია ფარხმალი, არ დაუთმია მკვეთრად გამოხატული ანტიმილიტარისტული პოზიცია. წინამდებარე კრებულში მოთავსებული მოთხრობები ისეა შერჩეული, რომ თვალსაჩინო წარმოდგენა გვექმნება ლეონჰარდ ფრანკზე, როგორც მწერალზე და მოქალაქეზე. აქ არის ომის მოძღვრ კაცის თვალით დანახული ომის საშინელებაც და ჰუმანისტი მწერლის სიყვარულით გამთბარი უბრალო ადამიანის ცხოვრებაც.

•

კრებულში მოთავსებული ორი მოთხრობა, „მამა“ (1917) და „მიხაელის დაბრუნება“ (1959) ერთგვაროვან აჯამებს ფრანკის შემოქმედებით გზას. ამ ორი მოთხრობით მტკიცდება, რომ მწერალს სიცოცხლის დასასრულამდე არ შეუცვლია თავისი მრწამსი, ბოლომდე შეუნარჩუნებია ერთგულება თავისი იდეალებისადმი. თუმცა მხატვრული სიძლიერით „მიხაელის დაბრუნება“ ვერ უტოლდება „მამას“, მაგრამ ამ ორი მოთხრობის შედარების საფუძველზე შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ლეონჰარდ ფრანკი ბოლომდე ასევე ერთგული დარჩენილა თავისი მხატვრული მანერისაც, არ უღალატია სისადავისა და უბრალოებისათვის. ლეონჰარდ ფრანკის ენას არ ახასიათებს მაღალი ფარდოვ-

* „ლეონჰარდ ფრანკი, „ანა და კარლი“, „საბჭოთა საქართველო“, 1968.

ნება, მწერალი ყველზე ამაღლებულ და დიდებულ გრძნობებზეც კი სადად და ლაკონურად მოგვითხრობს.

ერთი შეხედვით ლ. ფრანკი შეიძლება აღვილად სათარგმნელად ეჩვენოს კაცს, მაგრამ სწორედ მისი მწერლური მანერის უბრალოება და სისადავე აყენებს მთარგმნელის წინაშე საკმაოდ ძნელად გადასაწყვეტ ამოცანას. იგივე უბრალოებას, სიცხადისა და რიტმულობის აღდგენა, რაც ლეონარდ ფრანკის გერმანულ ენაზე კითხვისას სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს, მთარგმნელისაკენ დაკვირვების უნარს, აღღოსა და გემოვნებას მოითხოვს.

თარგმანში გაცილებით უფრო ოლია მწერლის აზრის, იდეის, მსოფლმხედველობის შენარჩუნება, ვიდრე მისი სტილისტური თავისებურებების გადმოტანა. ცხადია მხატვრული ნაწარმოების სხვა ენაზე გადმოცემისას თავისთავად იკარგება მწერლური მანერის ის მხარეები, რაც ამა თუ იმ ენის ეროვნულობაზეა დამოკიდებული, მაგრამ მწერლის სტილის დამახასათებელი ნიშნების რაც შეიძლება მაქსიმალური სიზუსტით გადმოტანა მიახლოებით მაინც აღადგენს მის სტილს, ეს კი თარგმანელის დიდ ოსტატობაზე და ასევე არანაკლებ პასუხისმგებლობის გრძნობის გამოჩენაზეა დამოკიდებული.

ვიოლეტა ფურცელაძის თარგმნებს ეტყობა დაკვირვებული და კეთილნდისიერი მთარგმნელის ხელი. ყველა მოხრობა თითქმის თანაბარი სიძლიერითაა ნათარგმნი. მთარგმნელს სწორად გაუანალიზებია ლეონარდ ფრანკის სტილის თავისებურებანი და თითქმის მაქსიმალური სიზუსტით აღუდგენია იგი ქართულ ენაზე. თარგმანში თითქმის არსად არ ირღვევა რიტმი, ყველგან შენარჩუნებულია აზრის სიცხადე და ლაკონურობა. ფრაზა არსად არ არის გადატვირთული ზედმეტი დეტალებით. შედარებით როგორ კონსტრუქციებიც (თუმცა აქვე უნდა ითქვა., რომ რთული კონსტრუქციები ნაკლებად ახასიათებს ფრანკს) ძალდატანებულად არის აგებული, მთარგმნელი იშვიათი გამონაკლისის გარდა არ უხსევს ქართულ ენის ნორმებიდან. ეს შემოაქეს ქართულისთვის არაბუნებრივი, უცხო ენის ყაიდაზე ნაწყობები კონსტრუქციები.

ენობრივი საფუძველი მხატვრული თარგმნისათვის, რაზეც, ჩვენი აზრით, დადგა დრო, რომ სპეციალურად აღარ ვამახვილებდეთ ყურადღებას (ვგულისხმობთ უცხო ნაწარმოების გამართული, ბუნებრივი ქართულით გადმოღებას). ამ თარგმნებში ისეთ ბუნებრივ აუცილებლობად არის ქცეული, რომ მკითხველის თვალი და ყური მხოლოდ მწერლის ჩანაფიქრსა და ამ ჩანაფიქრისთვის მონახული ფორმის აღქმისაკენ არის მიმართული.

ზემოთ ვთქვი ყველა თარგმანი თითქმის თანაბარი სიძლიერით არის შესრულებული-მეთქი, მაგრამ მაინც მინდა გამოვყო შეიდგვერდანი მოთხრობა „მამა". ჩემი აზრით, ვ. ფურ-ცელაძემ ამ თარგმანში მიაღწია სრულყოფილ-ლებას.

ზნიორად მცირე ზომის ნაწარმოები უფრო მეტ სიძნელეს უქმნის მთარგმნელს. მოთხრობა „მამა" თითქმის ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. მოთხრობის მთავარი იდეა, რომ ომს მარტო ფიზიკური განადგურება კი არ მოაქვს, იგი სულიერად ძარცვავს და ამდაბლებს ადამიანს, ადვილებს მასში მხეცს, ანთქვეს იმ გრძნობას, რომელიც ადამიანს, ადამიანად ხდის, ანთქვეს სიყვარულის გრძნობას.

„მამა" სათარგმნელად რთულია. მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ომის სიძულვილით შთაგონებული პაუოსი. საკმარისია თარგმანში სადმე მისუსტდეს ეს მამოძრავებელი ძალა, რომ ნაწარმოები გაუფერულდეს და მკითხველზე ორიგინალის ტოლფასოვანი შთაბეჭდილება ვეღარ მოახდინოს.

მოთხრობაში არ არის დიალოგი. თავისთავად დიალოგის სიჯარბე მთარგმნელის ამოცანას კი არ აადვილებს, პირიქით. დიალოგის აღდგენა თარგმანში დიდ ოსტატობას მოითხოვს, მაგრამ დიალოგი თავის მხრივ მრავალფეროვანს ხდის ნაწარმოებს და მკითხველს ყურადღებას აფიზლებს. როცა ჩვენს წინაშე თითქმის მთელი მოთხრობის მანძილზე მხოლოდ ავტორი — მთხრობელი გამოდის, მთარგმნელს სხვა არანაკლებ რთული ამოცანის გადაჭრა უწევდა: მან არ უნდა დაუკარგოს თხრობას ის დინამიურობა და მიმზიდველობა, რაც მას ორიგინალში ჰქონდა. ვ. ფურცელაძის თარგმნილი „მამა" თვიდან ბოლომდე ინარჩუნებს იმ ვნებულობას, იმ შინაგან პათოსს და დაძაბულობას, რაც ორიგინალში ჩიბლავს და ატყვეევებს მკითხველს. ნაწარმოების რიტმი იმ ადგილამდე, სანამ მთავარი გმირის მონოლოგი დაიწყებოდეს, მდორეა, მაგრამ მკითხველს მაინც შეეწყობოდა ეწევა წინ. თარგმანში თხრობის დინჯი რიტმი სრულყოფილად არის შენარჩუნებული, ამის წყალობით მოთხრობის დამაგირავებელი მოსოლოგი უფრო მკვეთრად მოჩანს და მკითხველზე ორიგინალის ტოლფასოვან ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს. თვითონ მონოლოგი უზადოდ არის თარგმნილი. არსად არ ნელდება ტემპი. ეს არის ნელ-ნელა ნაგროვები ბოლმის ამოსხეივა, აქ არ შეიძლება ჩამოვარდეს პაუზა, თარგმანიც ორიგინალის მსგავსად ერთი ამოსუნთქვით უნდა იკითხებოდეს. ნიმუშად მოვიტან ერთ ადგილს:

„ჩვენ მეგლელები ვართ, ჩვენ თვალები დავსილი გვაქვს, რადგან მტერს ჩვენს ირგვლივ ვეძებთ და ვეგონია, რომ ვპოულობთ. ინგლისელი, ფრანგი ან რუსი კი არ არის ჩვენი მტერი, ან გერმანელი კი არ არის მთი მტერი. არა, ჩვენა ვართ ჩვენივე თავის მტრები. ჩვენ სხვა გვგონია მტერი, ინიტომ, რომ ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბტერი უხილავია. ესაყვარულობაა მტერი და მიზეზი ამ ომისა. მთელი ეერთა ტირის, რადგან ადარ ძალუძს სიყვარული... განა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ექვიდან

აშშ

პიუსტონ ჯონსონის მემუარები

ამერიკის შეერთებულ შტატებში დარჩა ხმა, თითქოს ყოფილი პრეზიდენტის ჯონსონის ძმამ —სემ პიუსტონ ჯონსონმა დაწერა მემუარები, რომლებშიც აღწერი თეთრი სახლის ცხოვრება. ლინდონ ჯონსონი ყველა ღონეს ხმარობს, რათა ხელში იგდოს ეს მეტად „საშიში“ ხელნაწერი.

ამერიკაში მემუარებზე დიდი ნადირობაა გაჩაღებული.

ერთ-ერთმა გამომცემელმა განაცხადა: „მე რომ ხელნაწერი ხელთ მეგდო, შეიძლება არც კი გამომეცვეყენებინა, მაგრამ დღესვე გადავიხდიდი 50 ათას დოლარს იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მისმა წაკითხვამ შეიძლება მომანიჭოს“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

„აჰ — ჯონკონგი-68“

არმიის ლეიტენანტი, ამერიკელი ელის ბი შვებულებიდან დასავლეთ გერმანიაში ბრუნდებოდა. ბის გზაში შეაცივა. ორი დღის შემდეგ სიცხემ 39,9 აღწია, რამდენიმე დღის შემდეგ კი მან ავადმყოფობა გადასდო 17 ადამიანს.

როგორც ექიმებმა დაამტკიცეს, ეს იყო ახალი გრიპოზული ვირუსი, რომელიც ბიმ ამერიკიდან შემოიტანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გრიპმა სხვა რაიონებიც მოიცვა. აქაც იგი ამერიკელმა ჯარისკაცებმა შემოიტანეს.

ამერიკაში, კერძოდ ნიუიორკში, ჰონკონგის გრიპით დაავადებული 800 000 ავადმყოფიდან გარდაიცვალა 1000 ავადმყოფი.

გრიპის ეპიდემია წარმოიშვა ჰონკონგში. ივლისის თვეში, 2 კვირის განმავლობაში, ამ მჭიდროდ დასახლებულ სანაოსნო ქალაქში გრიპით დაავადდა ნახევარი მილიონი ადამიანი. როგორც ვირუსოლოგებმა დაადგინეს, მას ბევრი საერთო ჰქონდა 1957 წლის „აზიური გრიპთან“. ახალმა გრიპმა მიიღო სახელწოდება „აჰ2-ჰონკონგი-68“.

ჰონკონგის გრიპი გადადის ხველების ან ცხვირის ცემინების დროს წარმოქმნილი ზზეფებით.

მისი სიმპტომებია: უეცარი მაღალი სიცხე, შეცივება, თავის და კუნთების ტკივილი.

დასავლეთგერმანელი ექიმი შუმახერი ჰონკონგის გრიპის შესახებ წერს: „მე მიმაჩნია, რომ ჰონკონგის გრიპზე დარხეული ხმები გაზვიადებულია“.

ინგლისი

სად დაიღუპა ლაპერუზი?

1788 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა ცნობილი ფრანგი მეზღვაური ლაპერუზი, რომელიც ხომალდებით „ბუსოლიით“ და „ასტროლაბითი“ მოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ კუნძულ ვანიკორთან აღმოაჩინეს რამდენიმე ჩაძირული ხომალდი. ვარაუდობდნენ, რომ ეს იყო ლაპერუზის ხომალდები.

ახლახან, წყნარი ოკეანის ფსკერზე კუკას კუნძულების მახლობლად იპოვნეს ჩაძირული ხომალდის ნაწილები. სპეციალისტების ვარაუდით, ეს არის სიიდუმლო ვითარებაში დაღუპული ლაპერუზის ხომალდების „ბუსოლისა“ და „ასტროლაბიას“ ნაწილები.

ამრიგად, ამ ხომალდების დაღუპვის შესახებ თითქმის 140 წლის განმავლობაში არსებული ვერსია შეიცვალა ახალი ვერსიით.

იტალია

1 ჩვილი და 150 ოგიეჭტივი

150 ფოტორეპორტიორი ჩავიდა ყენენის კლინიკაში, რათა ფოტოზე აღებეშდათ ცნობილი კინოვარსკვლავის, სოფი ლორენის ახლახან დაბადებული ჩვილი.

●

ოვიდიუსის უცნობი ლექსი

გათხრების დროს იტალიის ქალაქ სულმონის რაიონში არქეოლოგები წაყყენენ ჰერაკლეს ტაძრის

მარმარილოს სვეტს, რომელზეც ამოკვეთილია ლეჭსები მინაწერით „ნაზონისი". როგორც გამოირკვა, ლეჭსები ეკუთვნის ცნობილ იტალიელ პოეტს ოვიდიუს ნაზონს, რომელიც ორიათასი წლის წინათ დაიბადა და ცხოვრობდა ქალაქ სულმონში.

ტაძრის სვეტს წარწერა დაზიანებულია და იტალიელ ლათინისტებს დიდი შუშაობის ჩატარება მოუხდებათ, ვიდრე ადადგენდნენ იმ სტრიქონებს, რომლებსაც ნაზონმა თავისი გვარი მიაწერა.

ამჟამად იტალიელი სპეციალისტები მუშაობენ ტექსტის აღდგენაზე.

სათვალე-მუზეუმი

ერთ-ერთმა იუგოსლავველმა ინჟინერმა დაამზადა ორგანესლური ხელსაწყო, რომლის საშუალებით თვალის დახმარებაში შეიძლება ნებისმიერი სიჩქარით მოძრავი მანქანის დაშუხრუჭება. დადგენილია, რომ ვიდრე ადამიანის ტვინი მოახლოებული კატასტროფის ჟამს ფეხს დაშუხრუჭების „ბრძანებას" გადასცემდეს, თითქმის ერთი წამი გადის. თუ მანქანა საათში 100 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობს, ერთ წამში თავისუფლად შეიძლება მოხდეს კატასტროფა. ახალი „ჯადოსნური სათვალის" მიზანია, ნებისმიერი სიჩქარით მოძრავი მანქანის მძღოლი გადაარჩინოს ბევრ უსიამოვნო შემთხვევას.

რად უნდა ისაპელს ურანი?

იტალიის ეუურნალი „პანორამა" ბრაზილიის საიდუმლო ცნობებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ისრაელი დიდ ინტერესს იჩენს ბრაზილიის ურანის მადნის საბადოებისადმი, რომელიც ამაზონის აუზზე მოიპოვება.

როგორც ეუურნალი აღნიშნავს, გამორიცხული არ არის, რომ ისრაელმა უკვე მიიღო ამ მადნის დიდი ნაწილი, რომელიც მას წყალბადის იარაღის დასაბზადებლად ესაჭიროება.

მაროკო

„ოქროს ქუჩიკი"

ახლახან ტანჟერში ჩატარდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მხატვრული ფილმების პირველი კინოფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს 11 სახელმწიფოს კინემატოგრაფისტებმა. მათ შორის: საფრანგეთის, იტალიის, ალჟირის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, მაროკოს, ესპანეთის, თურქეთის, ლიბანის, ტუნისისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა.

ფესტივალზე მიწვეულ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდათ ეჩვენებინათ თავიანთი ფილმები. მიწვეულთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, იაპონიის, სენეგალის,ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ბრაზილიის, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

9 დღის განმავლობაში ქალაქ ალ-მაბროუის ერთ-ერთ დიდ კინოთეატრში, რომელსაც ამშვენებდა ემბლემა „ოქროს ქუჩიკი" და ფესტივალის მონაწილე სახელმწიფოების ალმები, უჩვენებდნენ ფილმებს. ფესტივალის ორგანიზატორებმა მაყურებელს უჩვენეს მაროკოელ კინემატოგრაფისტთა ახალი ნამუშევარი, ფილმი „როდესაც ფინიკი მწიფდება".

ფესტივალზე წარმატებულად ჩვდა ალჟირის მხატვრულ ფილმს „ქარი ორეხიდან", ლიბანის ფილმს „მუნჯი და სიყვარული", აგრეთვე საფრანგეთისა და იტალიის ფილმებს. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ უჩვენა კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიერ გადაღებული სურათი „მაცი ხეტია".

დასასრულს გამარჯვებულ დელეგაციას გადაეცა დიპლომები და პრიზი „ოქროს ქუჩიკი".

მექსიკა

„მთავარია ბრძოლა მუშათა ინტერნაციონალისთვის".

მექსიკაში XIX ოლიმპიური თამაშების დასასრულს გაიხსნა დავით სიკეიროსის გიგანტური ფრესკა „ეკიფპრიობის ნაბიჯები". ფრესკის თემაა მექსიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

სიკეიროსი გიგანტური ფრესკებისა, კედლების მოხატვის ერთ-ერთი ბრწყინვალე ოსტატია.

ლეონ ფელიპე

როგორც გაზეთი „გრანმა" იტყობინება, ახლახან მექსიკაში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ესპანელი პოეტი-ემიგრანტი ლეონ ფელიპე. ესპანეთში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ფელიპე სიცოცხლის ბოლო წლებამდე ცხოვრობდა მექსიკაში.

პოეტმა ესპანელი ხალხს დაუტოვა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა — ლექსები, პიესები, თარგმანები. ფელიპეს პოეზია,

ალნშნულია პოეტის ნეკროლოგში, მთლიანად გამსჭვალულია მშობლიური ეს ანეთისადმი ღრმა სიყვარულით, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

საფრანგეთი

პაბლო პიკასოს 847 გრავიურა

პარიზში გაიხსნა პიკასოს 847 გრავიურის გამოფენა.

87 წლის მხატვრის შემოქმედებითი ენერგია ახალი, განუმეორებელი მოვლენაა გრავიურის ისტორიაში — წერენ კრიტიკოსები წინასიტყვაობაში გრავიურები ძმები კრომელენკები.

ბევრი ფრანგი კრიტიკოსი ხელოვნენი ამტკიცებს, რომ შესრულების დიდი ოსტატობა პიკასოს ნამუშევრებს თამამად აყენებს რემბრანტისა და გოიას ოფორტების გვერდით.

ჩეხოსლოვაკია

ბრძნული გადაწყვეტილება

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ცენტრალური მინისტრმა ვ. დანაიაკემ წამოაყენა რამდენადმე უჩვეულო კანონპროექტი. მან დააწესა გადასახადი... ქალის სილამაზეზე. გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველა ქალმა, მხოლოდ „სილამაზის ხარისხის“ მიხედვით. სილამაზის ხარისხს თვით ქალები ადგენენ.

ასეთი ბრძნული გადაწყვეტილება დიდად შეუწყობს ხელს ცენტრალური ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

●●

გამამფრთხილებელი სიგნალები

...ავალონის კონცხთან, ნავსადგურ სენტ-ჯონის მახლობლად თავმოყრილი ვეშტერიელთა აისბერგები თანდათან სამხრეთისაკენ მიიწევენ.

...ეს მოხდა 1912 წლის აპრილში. ყველაფერი რამდენიმე წუთში დამთავრდა. ტრიუმფს უეცრად წყალი მიაწყდა. გემმა თანდათან ჩაძირვა დაიწყო და მალე ატლანტიკის უფსკრულში შთაინთქა. ეს იყო ბრიტანეთის საზღვარ ფლოტის სიამაყე, სრულიად ახალი გემი „ტიტანიკი“, რომლის 1500 მგზავრმა რიგიანად ვერაც კი გაიგო, რა მოხდა, ისე ჰპოვა სამოდამო სამყოფელი ატლანტიკის ფსკერზე. ვეშტერიელა ყინულოვანმა მთამ კი მშვიდად გაგზავრა ბანა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ეს იყო თითქმის ყველაზე გრანდიოზული კატასტროფა ყველა მოსმდარ საზღვაო კატასტროფათა შორის. აისბერგებისაგან თავის დასაცავად 1914 წელს შეიქმნა საერთაშორისო ყინულოვანი პატრული, რომელიც ხომალდებს ამცნობს საშიშროების მოახლოებას.

ეს ვეშტერიელა მოძრავი ყინულოვანი მთები კარგ ამინდში დაახლოებით 10 მილის მანძილზე მოჩანან, ნისლში კი რადიოტალღიანი ყინულზე ცუდად მოქმედებენ. რადიოლოკატორებიც აისბერგებთან უძლურნი არიან, ამიტომ ერთ-ერთ სამიდო პატრულად იყენებენ თვითმფრინავებს. დღეში ორჯერ, ყველა მეზღვაურისათვის ცნობილ ტალღაზე გაისმის გამაფრთხილებელი სიგნალები.

„Я ник... Я ник... კონცხ ავალონთან, ნავსადგურ სენტ-ჯონის მახლობლად“.

გაერკანის მეორე გვერდზე ნახ. დ. ერისთავისა.

ჟურნალი გაფორმა დ. ზარაფიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ახდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-35. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 2/I-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-69 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეკვ. 231. უე 02008. ტირაჟი 21.900.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14,

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

6 73/40

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236